# კვირის პალიტრა

36 გვ

№ 10 (360) ◆ 11 – 17 მარტი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## «...რუსეთის დაშლა გარდაუვალი იქნება»



...ამერიკელთა შემოსვლა საქართველოში ჭკუაზე მოიყვანს ყველა სეპარატისტს, რომლებიც ყველაფერს უბედავდნენ დღემდე სუსტ და უმწეო საქართველოს.

...დღეს პირველად გამიჩნდა იმედისა და ოპტიმიზმის გრძნობა, რომ საქართველოს რაღაცა ეშველება.

...თუ შევარდნაძეს სურს სტაბილურად დარჩეს საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, მან „ლაზიერი“ და სხვა ფიგურებიც უნდა შესწიროს და მოიგოს „პარტია“, საშინაო პოლიტიკურ დაფაზეც... გვ.3

...საუბედუროდ, 21-ე საუკუნე ძალიან ცუდად დაიწყო და თუ ადამიანებმა ახლავე არ გადახარშეს ყველაფერი და ახლებურად არ დაიწყეს აზროვნება, ცივილიზაციათა შეტაკება კატასტროფით დაუმთავრდება პლანეტას.

## ნაძალადევთან მოკლული რეზიდენტის მკვლელობას ნელ-ნელა ფარდა ეხდება...

### ფრედ ვუდროფი საქართველოში ნარკობიზნესზე აგროვებდა ინფორმაციებს?! გვ.6



ათასი მძიმე ნარკომანი პოლიციისთვის საკმაოდ კარგ და სტაბილურ შემოსავალს წარმოადგენს (თითოს საშუალოდ 200$-ს თუ წაართმევენ, თვეში 200.000$ გამოდის). ბუნებრივია, თუ მათ უფასოდ, სტაციონარულად უმკურნალებენ, თანაც ისეთი პროგრამით, რომელიც „ლომკას“ მოუხსნის და „წამალზე“ აღარ ირბენენ, ჩვენს სამართალდამცავებს ეს შემოსავალი მოაკლდებათ...

### სამხედრო თემაზე:




## ვინ ვის დაბომბავს?!

თეთრი სახლი საბაბს ეძებს ერაყში არსებული წყობის ძალისმიერი გზით შესაცვლელად... ყველაფერი იმისკენ მიდის, რომ პენტაგონმა დაიწყოს საშუალო მასშტაბის საბრძოლო მოქმედებები ერაყის მიმართ.

თანამედროვე საბრძოლო ავიაციისთვის გამოსადეგად საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება დასახელდეს სენაკის, კოპიტნარის, ვაზიანის, მარნეულისა და დიდი შირაქის აეროდრომები.

პენტაგონს იმიტომ შეიძლება სურდეს საქართველოდან ერაყის დაბომბვა, რომ სადამ ჰუსეინის საპასუხო სარაკეტო დარტყმები თურქეთში განთავსებულ ბაზას მისწვდება, ქართულ აეროდრომებს კი არაო...

მაგრამ, არის ერთი გამონაკლისიც... გვ.8

## პანკისში ანტიტერორისტული ოპერაცია აღარ ჩატარდება?!

– ეს მხოლოდ მიზეზი იყო აშშ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის დასაჩქარებლად. გვ.9



გვ.22

## ადამიანებმა დამღალეს...

## ორი ახალი სახელი

### იბეჭდება პირველად:

„სამაიმუნეთი ძველად ჩვეულებრივი ქვეყანა ყოფილა. იქ ჩვეულებრივი ადამიანები ცხოვრობდნენ და შრომობდნენ. ამ ქვეყანას უდიდესი ისტორია ჰქონია და სახელიც რაღაც სხვა ერქვა, თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს იქაური ხალხი შეკრებილა ქვეყნის მთავარ მოედანზე და მოუკლავთ მეფე... გვ.17

ამ დროს, რომელიღაც ორანგუტანგის მოქნეული ჯოხი თავში მომხვდა და ვინ იცის, ეს მერამდენედ დავკარგე გონება...“

## ხუთ მილიონ დოლარად „შეფასებული“

### ბინ ლადენის თანამებრძოლი და ჩვენი თანამემამულე...



ვაკეთებ სახიფათო ადგილებში პროვოკაციულ ვიზიტებს. „ძმაკაცი“ კი უშიშროებიდან თავის სამსახურს აცნობებს, რომ პანკისში „არაბი ტერორისტი“ გამოჩნდა და ოპერატიული მუშაკები მაპატიმრებენ. გვ.5

კარგა ხნის ზეწოლის შემდეგ კი აღიარებს, რომ არაბი ტერორისტი კი არა, ქართველი მწერალია, რომლის უფლებებიც შეილახა და მორალური კომპენსაციისთვის 5 მლნ $-ს არა, მაგრამ კაი გვარიან თანხას მოითხოვს.

## თავისუფლების ინსტიტუტისადმი

### „ЛИЧНУЮ НЕПРИЯЗНЬ ИМЕЮ...“



ეს ქვეყანა თავისუფლების ინსტიტუტმა დაანგრია.

2 თვის წინ განგებ წავედი ავსტრიაში. რადგანაც აქ არ ვიყავი, წესით თარგამაძეს არ უნდა შეშინებოდა. ...ფეხს ვმკურნალობდი, აბა, ეგლა მაკლდა, თარგამაძის გულისთვის ორი თვე გადავხვეწილიყავი. გვ.6

*მართალია, ლევან პირველი საახალწლოდ ვერ დაოჯახდა, მაგრამ მის ოპონენტს გაუმართლა – გივი თარგამაძემ 8 თვის წინ გაცნობილ ნინო მუშკუდიანზე იქორწინა.*

## ჯეკ-პოტი! ამ ნომრის რეიტინგი 200-ლარიანია გვ.35


რამდენი ხანია გულიანად აღარ გაგვიცინია!



ფილფილა

სატირულ-იუმორისტული ჟურნალი


ვერსია გვ.10

## როგორ დააპატიმრა ქართველმა გენერალმა ამერიკელი მფრინავები...

– დაუყოვნებლივ გადაჭერით ბაგირები. პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ და საერთოდ, იმოქმედეთ პრინციპით – ყველაფერი მიზნის მისაღწევად. ამ წუთიდან თქვენ თევზსაჭერი ბრიგადა კი არა, მებრძოლი ესკადრილია ხართ. თქვენთან ერთად ამ ოპერაციაში ჩართულია აკვატორიაში მოცურავე ყველა საბჭოთა გემი...

ფრეგატის მხარეს, ანუ თქვენგან მარცხნივ მყოფმა სეინერებმა ერთმანეთთან შეჯახება და განგაში გამოაცხადონ, ეთერში კი კოდირებული რაციით, იაპონელების გასაგონად ჩვენ მოგვახსენეთ, – ეკიპაჟის ერთი წევრი გემების კატასტროფის რაიონში უკვე ვნახეთ და წყლიდან მისი ამოყვანის დროს ჩვენი გემები შეეჯახნენ ერთმანეთს-თქო. შეუდექით დავალების შესრულებას!

ეთერში SOS-ის ისეთი სიგნალი წამოვიდა, ოთარმა ისიც კი იფიქრა, ნამდვილი ხომ არ იქნებაო...

## თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!


ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## როგოზინის „ისტორიული" დოკუმენტი

გასული კვირის მანძილზე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში გრძელდებოდა ანტიქართული დემარშები, რომლის სული და გული დუმის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი როგოზინი გახლდათ. მან საკომიტეტო მოსმენაზე უკვე გაიტანა დადგენილების პროექტი სათაურით „საქართველოში შექმნილი სიტუაციისა და იქ აშშ-ის სამხედროთა ყოფნის შესახებ". დახურულ მოსმენაზე გაისმოდა მოწოდება, რომ რუსეთმა საკუთარი ინტერესები უნდა დაიცვას და აქტიურად იმოქმედოს; რომ რუსეთი საქართველოს აწვდის ყველაზე იაფ გაზსა და ელექტროენერგიას, ოფიციალური თბილისი კი რუსეთის ინტერესების იგნორირებას ახდენს და ა.შ. როგოზინისეულ დოკუმენტში ისიც არის ნათქვამი, რომ „დუმა მიესალმება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთავრობათა გადაწყვეტილებას, უფრო მჭიდრო ურთიერთობები დაამყარონ რუსეთთან." იქვე დაფიქსირებულია, რომ დუმას აუცილებლად მიაჩნია თავისი ჩართვა ანტიტერორისტულ ოპერაციაში, რომ თუ საქართველოს ხელისუფლებასთან კონკრეტულმა დიალოგმა შედეგი არ გამოიღო, რუსეთის დუმა მიესალმება და მხარს დაუჭერს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას(!)". დუმამ ეს „ისტორიული" დოკუმენტი 376 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო.

## აფხაზეთში არაბი ტერორისტები მოქმედებენ

ახალქალაქის მახლობლად აღმოჩენილია დიდი რაოდენობით იარაღი, რომელიც პანკისის ხეობაში უნდა გადაეტანათ და რომელსაც რუსეთის სამხედრო ბაზის მაღალჩინოსნები ყიდიან, ისევე როგორც თავის დროზე ვაზიანის ბაზიდან ყიდდნენ. ოპერატიული მონაცემებით, იარაღის ამ ბიზნესში ჩართული არიან ქართველებიც. მიმდინარეობს გამოძიება. ეს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა. მინისტრის თქმით, მის სამსახურს აქვს უტყუარი ოპერატიული მონაცემები იმისა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან არაბი ტერორისტები. მეტიც, სხვადასხვა წყაროდან გავრცელდა ინფორმაციაც, რომ აფხაზეთში მოქმედებს ტერორისტული მუსლიმანური დაჯგუფება „მუსლიმანთა საძმო", რომელთა შორის არიან თბომავალ „ავრაზიას" გამტაცებლები, ვაჰაბიტები. ეს და სხვა უამრავი ფაქტი დოკუმენტური მამხილებელი მასალებითურთ აფხაზეთის დევნილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ სტრასბურგში ჩაიტანა და ევროპის საბჭოს ხელმძღვანელობას წარუდგინა. ევროსაბჭომ განაცხადა, რომ აუცილებლად მოახდენს მასზე რეაგირებას... საინტერესოა, რომ ამ ამბების ფონზე მოსკოვში სამკურნალოდ მყოფმა ვლადისლავ არძინბამ ინტერვიუ მისცა სააგენტო ინტერფაქსს, სადაც დიდი შიში გამოთქვა იმის გამო, რომ საქართველოსთვის ამერიკულ სამხედრო დახმარებას თბილისი სოხუმის რეჟიმის წინააღმდეგ გამოიყენებს და კატეგორიულად უარყო აფხაზეთში არაბი ტერორისტების ყოფნის ფაქტი. სხვათა შორის, არძინბას ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ვლადისლავ გრიგორევიჩს უკიდურესად დაქვეითებული მეხსიერების გამო, კარგა ხანია აღარ შეუძლია ინტერვიუების მიცემა... აფხაზეთში არაბი ტერორისტების ყოფნის ფაქტს ადასტურებს „ვაშინგტონ თაიმსიც".

## პოდიუმი პანკისში მაკა ასათიანის თანხლებით...

გუშინ სამოდელო კომპანია „მაკა ასათიანის" მიერ პანკისის ხეობაში, კერძოდ, სოფელ დუისში გამართულმა ქართული მოდის კოლექციის ჩვენებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მიუხედავად ჩვენების ორგანიზატორთა განცხადებისა, რომ აქცია პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებდა, მისი უმთავრესი მიზანი ალბათ მაინც ლამაზი მოდელების ჩვენებაზე მეტად ხეობაში მშვიდი და უსაფრთხო ვითარების დემონსტრირება იყო. შოუ-წარმოდგენას ადგილობრივ ქისტ მოსახლეობასა და ჩეჩენ დევნილებთან ერთად დედაქალაქიდან ჩასული 500-მდე სტუმარი (მათ შორის კულტურის მინისტრიც) დაესწრო. იგი გაშუქდა სხვადასხვა ქვეყნის 20-მდე ტელეკომპანიის, მათ შორის Reuters-ის, CNN-ის და OPT-ის მიერ. აქციის მშვიდობიანად წარმართვის გარანტი საქართველოს შინაგანი ჯარის 2000-კაციანი შენაერთი და თავად შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი გახლდათ.

ისე კი ფაქტია, რომ სილამაზის დემონსტრირებასთან ერთად ამ უპრეცედენტო აქციით მაკა ასათიანმა საკუთარი ბიზნესის საერთაშორისო ასპარეზზე გასატანად სამზადი სერიოზული ნაბიჯი გადადგა.

## თედო ჯაფარიძე — ახალ პოსტზე

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად პრეზიდენტმა შევარდნაძემ დანიშნა აშშ-ში, მექსიკასა და კანადაში საქართველოს ელჩი თედო ჯაფარიძე, რომელიც ამ პოსტზე 1994 წლიდან იმყოფებოდა. ეს მოვლენა საქართველოში და განსაკუთრებით რუსეთში ექსპერტებმა აღიქვეს, როგორც საქართველოს მკვეთრად დასავლური, ანუ პრო-ამერიკული კურსის საბოლოო შემოწმების ფაქტი. თედო ჯაფარიძის ადგილს ვაშინგტონში კი, სავარაუდოდ, ევროში საქართველოს ელჩი ლევან მიქელაძე დაიკავებს! ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თედო ჯაფარიძე კარგად ერკვევა აშშ-სა და რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებსა და პრობლემებში და ამ ახალ პოსტზე ის უდავოდ ღირსეული კანდიდატურაა. ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნად თედო ჯაფარიძის დანიშვნას მიესალმა საქართველოში აშშ-ის საელჩო.

## ეუთო არ ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას

თბილისში ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟაიმე გამა. თბილისში ჩამოსვლამდე მან განცხადება გააკეთა 2 მარტს სეპარატისტული რეჟიმის მიერ აფხაზეთში გამართულ ე.წ. არჩევნებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ეუთო დარწმუნებულია, რომ 2 მარტს აფხაზეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული აქტი და რომ ეუთო არასოდეს ცნობს არც ამ უკანონო პარლამენტს და მით უმეტეს, არც აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობას. რუსეთში ამტყდარ ანტიქართულ პროპაგანდასთან დაკავშირებით ეუთოს თავმჯდომარემ უკვე თბილისში ბრძანა, რომ „ჩვენთვის გასაგებია საქართველოს მთავრობის სურვილი გაანადგუროს თავის ტერიტორიაზე მყოფი ბოევიკები. ყველა პრობლემა კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე უნდა გადაწყდეს". საგულისხმოა, რომ ეუთოსაც აქვს შემუშავებული ანტიტერორისტული გეგმა, რომელშიც საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ჟაიმე გამას თქმით, ეუთო მომავალში უფრო აქტიურ მონაწილეობას მიიღებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტების მოგვარების პროცესში.

## სახელმწიფო მინისტრი წმენდით იმუქრება

მსოფლიო ბანკის რეგიონალური პროგრამების კურატორის ჯუდი ო'კონორის თბილისში ვიზიტს საქართველოს ხელისუფლება „შეშინებული" შეხვდა, რადგან ამას წინათ ო'კონორმა ოფიციალურად მოსწერა საქართველოს მთავრობას წერილი, სადაც დაემუქრა მას საქართველოში მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული სოციალური პროგრამების შეწყვეტით და იგივე გაიმეორა თბილისში ჩამოსვლისას. ამ მუქარის მიზეზი კი არის ის, რომ საერთაშორისო-საფინანსო ორგანიზაციებმა 2001 წელს საქართველოს მიერ მსოფლიო ბანკის პროგრამების შესრულების მაჩვენებელი საშუალო ქულით შეაფასეს, რაც დაბალ რეზულტატად ითვლება. ექვსბალიან სისტემაში საქართველოს ფისკალურმა მაჩვენებელმა მხოლოდ 2,5 ბალი მიიღო. ამ სავალალო მაჩვენებლის მიზეზი კი ო'კონორის თქმით, კორუფციის მაღალი დონე, გადასახადების ამოუღებლობა და მთავრობის არაკოორდინირებული მუშაობაა. 2002 წელს მსოფლიო ბანკს საქართველოში სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად 200 მლნ დოლარი უნდა გამოეყო, თუმცა წლიური ანგარიშის მაჩვენებლების შეჯამების შემდეგ ეს თანხა 20%-ით შემცირდება. ო'კონორმა ერთი „სენსაციური" მაჩვენებელიც გაახმოვანა: მისი თქმით, საქართველოში ქრთამის სახით წელიწადში 70 მლნ დოლარამდე ტრიალებს(!). ამ მონაცემებით განრისხებული სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე დაიმუქრა, რომ უახლოეს ორ თვეში განწმენდს მთავრობას უღირსი მინისტრებისა და ჩინოვნიკებისგან!

## მე-11 ბრიგადამ საჩუქარი მიიღო

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 3,5 მილიონი დოლარის ოდენობის თურქული გრანტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური დახმარების პირველი პარტია მიიღო, ძირითადად, ავტომანქანები — 16 „ლენდროვერი" და 20 სატვირთო მანქანა, რომლებიც რაციებით და საბრძოლო მოქმედებებისას საჭირო სხვა აუცილებელი ტექნიკითაა აღჭურვილი. ეს საჩუქარი მე-11 ბრიგადამ მიიღო, ხოლო 1100 სამხედრო ფორმის კომპლექტი კი ქართული საზღვაო ქვეითი ჯარისკაცებისთვისაა განკუთვნილი. მე-11 ბრიგადა ის სამხედრო ნაწილია, რომელსაც პენტაგონის ინსტრუქტორები ანტიტერორისტული ოპერაციისთვის მოამზადებენ. მალე თურქები მანქანა-დანადგარებს ჩამოიტანენ ვაზიანის სამხედრო ბაზის შესაკეთებლად, რომელიც რუსმა „მეგობრებმა" გაპარტახებული დაუტოვეს ქართველებს.

## პანკისიდან ყველა ბოევიკი გავა

გაზეთმა „ნიუ-იორკ თაიმსმა" პანკისის ხეობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი სტატია გამოაქვეყნა, სადაც დამოწმებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილის გელა ბეჟუაშვილის განცხადება, რომლის თანახმადაც საქართველოში ამერიკელ ინსტრუქტორთა ჩამოსვლისა და კონტრტერორისტული ოპერაციის მზადების დაწყების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, ჩეჩენმა მებრძოლებმა პანკისის ხეობა დატოვეს. საქართველოს ხელისუფლების პროგნოზით, დარჩენილ ბოევიკთა ნაწილიც დატოვებს ხეობას და მაისის ბოლოს პანკისიდან ყველა ბოევიკი გავა.

## დაისვა „თბილგაზის" პრივატიზების საკითხი

მთავრობის მორიგ სხდომაზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ მხარი დაუჭირა ანტიკორუფციული საბჭოს ინიციატივას, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებისა და სახელმწიფო მოხელეთა რიცხვის შემცირებას ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტით, არსებული 19 სამინისტროდან მხოლოდ 10 დარჩება, ხოლო 28 მოქმედი დეპარტამენტიდან — მხოლოდ შვიდი. პრეზიდენტმა ამ საკითხის განხილვის დროებით გადადება მოითხოვა იმ მოტივით, რომ პროექტს ბოლომდე არ იცნობს... იმავე სხდომაზე ქონების მართვის მინისტრმა „თბილგაზის" პრივატიზების საკითხი დააყენა. მინისტრის თქმით, „საქენერგოს" ანალოგიით უნდა ჩამოყალიბდეს სააქციო საზოგადოება „თბილგაზი-2002", რომელიც დაგროვილი ვალებისგან გათავისუფლდება და სამართავად გაზის საერთაშორისო კორპორაციას გადაეცემა.

ამასობაში „იტერას" ხელმძღვანელობის ბრძანებით თბილისს გაზის მიწოდება შეუწყდა დათებერვალ-იანვრის დავალიანების გადაუხდელობის გამო. ქართულმა მხარემ უმალ გადაურიცხა შესაბამისი თანხა და გაზიც გაჩნდა თბილისში. „თბილგაზმა" დარჩენილი დავალიანება 15 მარტამდე უნდა გაისტუმროს, თორემ გაზის მოწოდება კვლავ შეწყდება.

## რას ითვალისწინებს პროექტი?

რაც შეეხება სახელისუფლებო სტრუქტურების გაუქმება-გაერთიანებას, ანტიკორუფციული საბჭოს პროექტით ნავარაუდევია: 1. ფინანსთა და შემოსავლების სამინისტროების გაერთიანება; 2. ეკონომიკის, სათბობენერგეტიკის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ქონების მართვის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროებისა და ტურიზმის დეპარტამენტის გაერთიანებით იგეგმება ერთიანი ეკონომიკისა და განვითარების სამინისტროების შექმნა; 3. გარემოს დაცვის სამინისტრო, გეოლოგიის, სატყეო, დაცული ტერიტორიებისა და ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტებს შეიერთებს; 4. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კი შეერწყმება მიწის მართვის, გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტები; 5. შეიქმნება განათლებისა და კულტურის გაერთიანებული სამინისტრო, რომელშიც შევლენ ახალგაზრდობის, ინფორმატიზაციისა და სპორტის დეპარტამენტები; 6. გამსხვილდება განსაკუთრებულ საქმეთა სამინისტრო, რომელშიც შევა შინაგანი ჯარი, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი; 7. შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები უნდა გათავისუფლდნენ საგამოძიებო ფუნქციებისგან და ორივე უწყებამ მიიღოს დეპარტამენტების სტატუსი; ცალკე შეიქმნება დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახური!

## კარტოზიას იმპიჩმენტი ელის

განათლების მინისტრ ალეკო კარტოზიას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის სკანდალმა კულმინაციას მიაღწია. კარტოზიასა და პარლამენტის ნაწილს შორის ურთიერთობა მას შემდეგ გამწვავდა, რაც პარლამენტმა უმაღლესი განათლების განვითარების შესახებ დადგენილება მიიღო, რომელიც კარტოზიასთან დაპირისპირებულმა პარლამენტართა ჯგუფმა შეიმუშავა და გაიტანა. დეპუტატები ირწმუნებიან, რომ კარტოზიას მოადგილემ დეპუტატებს ნაძირალები უწოდა, კარტოზიამ კი დეპუტატებზე გაიწია. კულუარებში ერთმანეთს წაეკიდნენ ჩანსულ ჩარკვიანი და კოტე კემულარია, ხოლო ქალ დეპუტატთა „ფრონტზე" კი ერთმანეთს შეებნენ ელენე თევდორაძე და მანანა გიგინეიშვილი... ყოველივე იმით დამთავრდა, რომ პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით ალეკო კარტოზიას საქმიანობას მიხეილ ოსაძის საგამოძიებო კომისია შეისწავლის. დეპუტატთა თქმით, გამორიცხული არ არის, რომ დაისვას განათლების მინისტრის იმპიჩმენტის საკითხი.

## 300.000 ლარიდან ბიუჯეტში შედის 0 (ნული) ლარი

გენერალურმა პროკურატურამ კოლეგიის სხდომაზე საგანგებო ლეგიონის წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარება მოითხოვა. გაირკვა, რომ 17 თვის განმავლობაში საგანგებო ლეგიონის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში „მობილიზებული" თანხები გაცილებით ნაკლებია საკუთრივ ლეგიონის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების თანხის რაოდენობაზე(!). ითქვა, რომ დარღვევები (უფრო სწორად, დანაშაული) საგანგებო ლეგიონის თითქმის ყველა რეგიონალურ სამსახურში დაფიქსირდა და რომ ამ ხნის მანძილზე საბაჟო წესების დარღვევისა და კონტრაბანდის არც ერთი ფაქტი არ გამოვლენილა საზღვრისპირა რეგიონებში — სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთში(!). მიუხედავად გენპროკურორის კატეგორიული მოთხოვნისა, კოლეგა-პროკურორებს დაესახელებინათ დამნაშავეთა კონკრეტული გვარები, „რატომღაც" ყველა მაინც ზოგადად საუბრობდა... თბილისთან დაკავშირებით კი ითქვა, რომ დიდუბის ტერიტორიაზე არსებულ გარე ვაჭრობიდან თვეში... 300 ათას ლარს კრეფენ ე.წ. მაკონტროლებელი ორგანოები და ამ 300 ათასიდან ბიუჯეტში შედის — 0 (ნული) ლარი.! კოლეგიაზე ისიც ითქვა, რომ ასეთი ვითარება თურმე „ხელს უშლის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას"(!).

## სტუდენტებმა მექრთამე ლექტორები ამხილეს

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრმა სტუდენტებმა ამ უპირველესი უმაღლესი სასწავლებლის 1600 სტუდენტის გამოკითხვა ჩაატარეს, რომლებსაც უნდა დაესახელებინათ კორუმპირებული პროფესორ-მასწავლებლები. გამოკითხულ სტუდენტთა 60%-მა ლექტორები მექრთამეობაში დაადანაშაულა. მექრთამეთა სიაში 200-მდე ლექტორი მოხვდა. ახლა სტუდენტები რექტორ როინ მეტრეველთან აპირებენ შეხვედრას მექრთამე პედაგოგთა უნივერსიტეტიდან დათხოვნის მოთხოვნით.

## მკალავიშვილმა პოლიციელები... დააპატიმრა

გუშინ, გლდანში, ახმეტელის სახელობის თეატრის გვერდით მშენებარე ეკლესიის ეზოდან გამოსულ ბასილ მკალავიშვილს პოლიციის თანამშრომლებმა გზა გადაუღობეს და მისი დაპატიმრება სცადეს. მაგრამ მკალავიშვილის მრევლმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას და თავიანთი წინამძღოლის დაპატიმრების საშუალება არ მისცა. პირიქით, „მრევლის სასახელოდ" უნდა ითქვას, რომ მათ აქეთ დააკავეს სამი პოლიციელი. როგორც მკალავიშვილი აცხადებს, მის გასანადგურებლად 1 მილიონი დოლარია გადახდილი — „სამი მანქანა მოვიდა ჩემს მოსაკლავად... ორი მანქანა გაგვეპარა, ერთი კი გავჩხრიკეთ და ყველა პოლიციელი აღმოჩნდა", — აცხადებდა აღშფოთებული მკალავიშვილი. მრევლმა პოლიციელებს ავტომანქანიდან რუსეთის ფედერაციის სანომრე ნიშნები მოუხსნეს, ასევე ჩამოართვეს მათ ე.წ. რაცია და მანქანაში ჩამონტაჟებული მოსასმენი აპარატურა. მრევლის ერთ-ერთი წევრის თქმით, ასეთი მოსასმენი აპარატები პოლიციელებს ტანზე და ფეხებზეც ეკეთათ. როგორც თავად პოლიციელები აცხადებენ, ისინი ოპერატიულ ღონისძიებას ატარებდნენ და მათი დაკავება გაუგებრობის შედეგია. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მკალავიშვილის მომხრეებმა სამივე პოლიციელი გაათავისუფლეს.

მკალავიშვილის წარმომადგენელთა განცხადებით, პოლიციის აღნიშნული „თავდასხმა" 9 მარტს სახალხო დამცველის ოფისში გამართულმა შეხვედრამ გამოიწვია, სადაც მკალავიშვილის თქმით არასამთავრობო ორგანიზაციებმა ქალაქის პოლიციის შეფს, კახა ბაკურაძეს მისი დაპატიმრება მოსთხოვეს.

## ფართომასშტაბიანი ოპერაცია მაფიის წინააღმდეგ



იტალიის სამართალდამცველებმა კარაბინერთა რაზმებთან ერთად ყველაზე ფართომასშტაბიანი ოპერაცია დაიწყეს სიცილიასა და ქვეყნის ჩრდილოეთ ქალაქებში მაფიის წინააღმდეგ. ჩრდილოეთში ორ დღეში 113 მაფიოზი დაიჭირეს. მათ ბრალად ედებათ კორუფცია, ნარკობიზნესი, ბანდიტიზმი და მკვლელობები. სიცილიაში კარაბინერებმა 30-მდე „ნათლია" და მაფიოზი დააპატიმრეს, ორი ბანდიტი კი წინააღმდეგობის გაწევისას დაცხრილეს. იტალიის პრესის ცნობით, დაპატიმრებულ მაფიოზთაგან ბევრს დანაშაულებრივი ურთიერთობა ჰქონდა ქვეყნის სახელისუფლებო წრეებთან. მოელიან, რომ გამოძიება სკანდალური შედეგებით დასრულდება.

## ტრიბუნალს ფოტო და ვიდეომასალა წარუდგინეს

ასლან მასხადოვის წარმომადგენელი აჰმედ ზაკაევი შეხვდა ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის სამხედრო დანაშაულობების საქმეთა გენერალურ პროკურორს კარლ დელპონტეს. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, რომლის დამთავრების შემდეგ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ საუბარი იყო ჩეჩნეთში რუსი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულებებისა და რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელების, როგორც ომის გამჩაღებლის პასუხისმგებლობის საკითხებზე... პოლანდიის პრესის ინფორმაციით, ზაკაევმა თითქოს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს გადასცა დოკუმენტური ფოტო და ვიდეომასალა, რომელშიც დაფიქსირებულია რუს სამხედროთა მხეცობა ჩეჩნეთში. იმავდროულად, ზაკაევს მიანიშნეს, რომ ის ჩეჩენი ბოევიკებიც ექვემდებარებიან პასუხისმგებლობას, რომლებიც ტერაქტებს სჩადიოდნენ და ვიდეოკამერის წინ რუს სამხედრო ტყვეებს ყელებს ჭრიდნენ... ზაკაევის ამ ვიზიტის უკან ბევრი ბორის ბერეზოვსკის ხელსაც ხედავს, რომლის საერთაშორისო ძებნის შესახებაც ოფიციალურად გამოაცხადა რუსეთის გენპროკურატურამ. ბერეზოვსკის ბრალს სდებენ ჩეჩენ ბოევიკთა დაფინანსებასა და რუსეთის ქალაქებში საცხოვრებელი სახლების აფეთქების ორგანიზებაში!

## უპრეცედენტო ხოცვა-ჟლეტა

იასირ არაფატმა ოფიციალურად სთხოვა ვაშინგტონს შეაჩეროს სისხლის ღვრა პალესტინელთა ტერიტორიებზე, სადაც უკანასკნელი ორი დღე უპრეცედენტო ხოცვა-ჟლეტით აღინიშნა! პალესტინელ კამიკაძეთა ტერაქტებს ისრაელმა დაბომბვითა და სატანკო შეტევით უპასუხა. ტანკებმა და ბულდოზერებმა მიწასთან გაასწორეს პალესტინელთა დასახლება. ებრაელებმა მოკლეს იასირ არაფატის უერთგულესი გენერალი თეფრეჯი და ორმხრივი სროლისას სამი პალესტინელი ექიმიც ააფეთქეს რეანიმობილითურთ. ამ ფაქტით აღშფოთებული ისრაელში მყოფი „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის" წარმომადგენლები შეტაკებისას საპროტესტო აქციით გამოვიდნენ ქუჩაში(!). თუმცა ხოცვა-ჟლეტა მაინც გაგრძელდა. დაიღუპა 47 პალესტინელი და 6 ებრაელი!

# „თუ რაღაც კატაკლიზმები მოხდა, რუსეთის დაშლა გარდაუვალი იქნება“

## რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა, ამერიკისთვის ომის გამოცხადების ტოლფასი იქნება!

„...პანკისის ხეობაში მყოფი ტერორისტების შესახებ ყველაზე ბევრს რუსეთი ლაპარაკობდა და დღეს მას ისღა დარჩენია, მიესალმოს ამერიკელთა ინიციატივას, საქართველოში ანტიტერორისტული ოპერაციის ჩატარებაზე. რუსებმა ამისთვის ტაში უნდა დაუკრან ამერიკელებს“, — განაცხადა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ და რუსეთის დუმის დეპუტატებსა და სხვა ქართველთმოძულეებს პირდაპირ მიანიშნა საქართველოში ვაშინგტონის გეგმებისა და განზრახვის სერიოზულობის შესახებ. საერთოდ, ბოლო დღეებში საქართველოში და მის ირგვლივ მიმდინარე პროცესები ფრიად საინტერესო კალაპოტში მოექცა. მოვლენები, რომ იტყვიან, ელვის სისწრაფით ვითარდება: თბილისში ჩამოდიან რუსეთის სპეცსამსახურების მაღალჩინოსნები; საქართველოს უშიშროების მინისტრი აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში მიემგზავრება ამ ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელებთან საკონსულტაციოდ; საქართველოში არ წყდება ამერიკელ და თურქ სამხედრო მაღალჩინოსანთა ვიზიტები და ქართული არმიისთვის მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გადმოცემის პროცესი; პანკისის ხეობაში 24-საათიან „მორიგეობაზე“ იმყოფებიან დასავლეთის წამყვანი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები და დღე-დღეზე ელიან იქ კონტრტერორისტული ოპერაციის დაწყებას; ყოველივე ამაზე კი, რუსეთის მასმედია უკვე სრულიად მშვიდად რეაგირებს, აღარც რუს პოლიტიკოსთა მხრიდან ისმის მუქარა, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, მხოლოდ რუსეთის დუმის მიერ „საქართველოში შექმნილი ვითარების და იქ ამერიკის სამხედროთა ყოფნის შესახებ“ მიღებულ განცხადებას დასჯერებოდნენ... არ ვიცი, რა რეაქცია ჰქონდათ და ექნებათ გუშინ პანკისის ხეობაში ქართველ მოდელთა მიერ გამართული შოუს მიმართ მოსკოვს და რუსეთის ისტებლიშმენტს, მაგრამ თავისთავად ეს ღონისძიებაც რომ „ამერიკულად“ იყო ჩაფიქრებული, ფაქტია. მეტიც, როდესაც პრეზიდენტი შევარდნაძე, მიუხედავად რუსეთის მასმედიისა და პოლიტიკოსთა მხრიდან გაუთავებელი ლანძღვა-გინებისა, კვლავაც ჯიუტად უძღვნის დითირამბებს რუსლან გელაევს, კვლავ აცხადებს, რომ გელაევი ნორმალური და თვით რუსეთისთვის მისაღები კაციაო და ამას OPT უკვე გადასცემს როგორც ჩვეულებრივ ინფორმაციას ყოველგვარი წივილ-კივილის და კომენტარების გარეშე, ალბათ მრავლისმთქმელია. ვნებები, ჯერჯერობით, ჩაცხრა, თუმცა ჩვენს საზოგადოებაში კვლავ არის ერთგვარი შეშფოთება რუსეთის მხრიდან აგრესისა და აფხაზეთისა და სამაჩაბლოში კონფლიქტების შესაძლო ესკალაციის მიმართ. რამდენად რეალურია ეს, ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრებით პოლიტოლოგ **რამაზ კლიმიაშვილს**.

— უწინარესად, ვიტყვი, რომ უმძიმესი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე ქართველ პოლიტიკოსთა და ისტებლიშმენტის წარმომადგენელთა რეაქციამ რუსეთში გაჩაღებული ანტიქართული კამპანიის მიმართ. 10 წელიწადია დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრობენ, თავს პოლიტიკოსობაზე დებენ და ვერ გარკვეულან ელემენტარულ საკითხებში — საერთაშორისო სამართალში არ არსებობს არანაირი თავი, მუხლი, თუ პარაგრაფი, რომ ვინმემ აფხაზეთის ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნოს, ან ე.წ. ასოცირებულ წევრად მიიღოს თავის შემადგენლობაში. ჩვენი პოლიტიკოსების სისაწყლესა და უმეცრებაზე მეტყველებს მათივე შიში, რომ არიქა, აფხაზეთს გვართმევენო. აქ იმდენად აფხაზეთის დაკარგვა არ აფიქრებთ, რამდენადაც ხალხის თვალში მგზნებარე პატრიოტებად საკუთარი თავის წარმოჩენა. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენს პოლიტიკოსებს ათი წელიწადია ფულის მეტი არაფერი აინტერესებთ და არც კი იციან, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ეუთომ დაადგინა — არ მოხდება საზღვრების გადასინჯვა და ახალი სახელმწიფოების შექმნა. საერთაშორისო თანამეგობრობამ აღიარა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოქმნილი 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო და იუგოსლავიის ფედერაციის დაშლის შედეგად წარმოქმნილი დამოუკიდებელი რესპუბლიკები, მორჩა! ან როგორ ფიქრობთ, პუტინი გადადგამს ამ ნაბიჯს, რა დადგენილებაც არ უნდა მიიღოს დუმამ და რა წივილ-კივილიც უნდა ატეხონ ჟირინოვსკ-როგოზინებმა, თუ რუსეთის მასმედიამ? პუტინმა იმდენი იბრძოლა, რომ როგორც იქნა, მსოფლიოს თვალში რუსეთს შეუქმნა აშშ-ისა და დასავლეთის მოკავშირის იმიჯი და პრესტიჟი და არა მგონია, ისეთი ბეცი იყოს პოლიტიკურად, რომ წყალს გაატანოს ეს მონაპოვარი. დავუშვათ და, ამერიკელი სამხედროების შემოსვლისთვის რუსეთმა ცნო აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, აშშ-ისთვის ომის გამოცხადების ტოლფასი იქნება და ამერიკისთვის ომის გამომცხადებელია რუსეთი?! მეტიც, როგოზინმაც და ჟირინოვსკიმაც შესანიშნავად იციან, რომ მათი განცხადებები ფარატინა ქაღალდებად დარჩება და ვნახეთ კიდევ 24 საათში როგორ შეიცვალეს პოზიცია და ლამის ხატზეც დაიფიცეს, რომ საქართველოს დაშლა გულშიც არ გაუვლიათ! დუმის პოლიტიკოსებს უხარიათ და იციან, რომ მათი დემარშებით აქაურ პოლიტიკოსებს გულები დაუსკდებათ და შეგნებულად სჩადიან ამას. ერთი საინტერესო ფაქტიც: გახსოვთ, ალბათ როცა OPT-ს პირდაპირ ეთერში გამოიყვანეს ანრი ჯერგენია და დაჟინებით ეკითხებოდნენ — საქართველოში ამერიკელების შესვლის გამო დამოუკიდებლობას თუ გამოაცხადებთო? ჯერგენია პასუხობდა — ჩვენ კი გვაქვს დამოუკიდებლობა გამოცხადებული, მაგრამ არავინ გვაღიარებსო! ჯერგენიას ესმის, რომ არასოდეს აფხაზეთს დამოუკიდებლობა არ ეღირსება. პუტინი პრეზიდენტია და მან თქვა ამ თემასთან დაკავშირებით პრეზიდენტის სიტყვა, სადაც კატეგორიულად დააფიქსირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი. ხოლო ექსცენტრიკული და არასერიოზული რუსი დეპუტატების გამოხდომები ძირითადად რუსეთის შიდაპოლიტიკური ბაზრისთვის, ანუ შიდამოხმარებისთვის იყო განკუთვნილი და ცოტათი ქართველების გასაგიჟებლად! ეს ყველა საღად მოაზროვნე რუსმა პოლიტიკოსმა იცის და არც პუტინია ელცინი, რომ რაღაც ავანტიურებს აუნთოს მწვანე შუქი.

— **და სწორედ ელცინის დროის დათესილი მოიმკეს დღეს რუსებმა საქართველოში ამერიკელთა შემოსვლის ფაქტით...**

— დიახ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რუსებს ძალიანაც გაუხარდებათ საქართველოში არათუ მხოლოდ ამერიკელ ინსტრუქტორთა, არამედ თვით ამერიკის სპეცრაზმ „მარინების“ შემოსვლაც კი, რადგან რუსი ჯარისკაცები, რომლებსაც ჩეჩნეთში ვერაფერი მოუხერხებიათ ჩეჩენი ბოევიკებისთვის, აქ, ახმეტის მთებში რისი გამკეთებლები იქნებიან? მაგრამ ამას პუტინი, გნებავთ იგივე როგოზინი ხმამაღლა როგორ იტყვიან? ეს როგოზინი და დუმის სხვა დეპუტატებიც უფრო პრეზიდენტ პუტინზე გაცოფდნენ, ვიდრე შევარდნაძეზე, რადგან პუტინმა მათ არ „დასდო პატივი“ და არ შეატყობინა დუმას, თუ რას აპირებდნენ ამერიკელები საქართველოში. საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა რომ დაიწყო, ორი კვირით ადრე ლაპარაკი პანკისში ბინ ლადენიაო, ეს განცხადებაც თავისი ელექტორატისთვის ჰქონდა გათვლილი, რადგან იცოდა უკვე, რომ საქართველოში ამერიკელები შემოვიდოდნენ. ამხელა სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი სამასხაროდ არ გაიხდის საქმეს. მისი განცხადების ქვეტექსტში იგრძნობოდა მინიშნება რუსეთის მოსახლეობისადმი — პანკისში ბინ ლადენია და რა ვქნათ, ამერიკელებს ველარ გავაჩერებთო! კრემლში წინასწარ შეგუებულნი იყვნენ ამ ფაქტს. ამიტომ ლაპარაკი იმაზე, რომ ამერიკელებმა „გააცურეს“ რუსეთი, არასერიოზულია. უნდა შევიგნოთ, რომ დღეს რუსეთი და აშშ საქმით არიან სტრატეგიული პარტნიორები და არა მხოლოდ სიტყვით და ბევრი მათი ინტერესი ემთხვევა ერთმანეთს. ახლახან ერთ ქართულ გაზეთში ვიღაცა უვიცი წერდა, — შეიძლება რუსეთი ისლამური სამყაროს მხარეზე გადავიდესო. ასეთ უვიცს არ უნდა მისცე წერის ნება, რადგან თავისი სისულელით აბრიყვებს და აბნევს მკითხველთა მნიშვნელოვან ნაწილს. საქმე ის არის, რომ ფუნდამენტალისტური ისლამი სრული კატასტროფით ემუქრება რუსეთს, ვიდრე ამერიკას, ისევე როგორც ემუქრება საქართველოსაც. ეს უნდა ვთქვათ ხმამაღლა და ნერვები მოვთოკოთ.

ნუ დავივიწყებთ, რომ პანკისის ხეობას აკონტროლებენ არა ჩეჩნები, არამედ ახალშემოსული, გაურკვეველი ეროვნების წვეროსნები, რომლებიც ფუნდამენტალისტურ ისლამს მისდევენ. ჩეჩნები კი



**როცა აშშ-ს სამხედროები შემოჰყავს აქ და თან თავისი ხელისუფლების სტაბილურობის გარანტიას აძლევს შევარდნაძეს, ეს იგივე კარტ-ბლანშია საშინაო საქმეებში მოქმედებისთვის. ამიტომ შევარდნაძეს რამდენიმე ცნობილი კორუმპირებული მაღალჩინოსნის მოცილება აუცილებლად დასჭირდება და არა მეორე-მესამე რანგის მოხელეებისა.**

ტოვებენ პანკისის ხეობას. ამ ფუნდამენტალისტებს ძლიერი ისლამური სახელმწიფოს შექმნა სურთ ჩრდილო კავკასიაში (და არა მხოლოდ იქ), რაც მომაკვდინებელი იქნებოდა ჩვენთვის, როგორც ერისთვის, რადგან ფუნდამენტალისტები ქრისტიანი ქართველების ადგილს ვერ ხედავენ კავკასიის ისლამურ სახელმწიფოში. რაც შეეხება იმის მტკიცებას, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის რაღაც გარიგება მოხდა პანკისის სანაცვლოდ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მოქმედებისთვის რუსეთისთვის კარტ-ბლანშის მიცემის თვალსაზრისით, ეს ისეთი წარმოუდგენელი აბსურდია, რომლის კომენტარზეც მხოლოდ არანორმალურებს შეუძლიათ სიტყვების ხარჯვა.

— **რუსეთის დუმის ამ ყბადაღებულ განცხადებაში უკვე იგრძნობა, რომ რუსებს იმდენად პანკისის ხეობა აღარ აღელვებთ, რამდენადაც ის ამერიკელთა მიერ მომზადებული ქართული კონტრტერორისტული ქვედანაყოფები, რომლებმაც მომავალში შეიძლება აფხაზ და ოს სეპარატისტებს გამოუყვანონ წირვა...**

— რა თქმა უნდა, ამის ეშინიათ და მომავალშიც ბევრს იხმაურებენ მოსკოვში, მაგრამ საქართველოს აქვს ამის გაკეთების უფლება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს-ხვალ გამორიცხულია აფხაზეთში ომის დაწყება და ვფიქრობ, იქ ფართომასშტაბიანი ფრონტიც აღარასოდეს გაიხსნება! სანამ საქართველოს ეყოლება ამერიკულ ყაიდაზე გაწვრთნილი მაღალპროფესიული ჯარი, აფხაზეთის პრობლემა, იმედი მაქვს, მოწესრიგდება. ამერიკელთა შემოსვლა საქართველოში ჭკუაზე მოიყვანს ყველა სეპარატისტს, რომლებიც ყველაფერს უბედავდნენ დღემდე სუსტ და უმწეო საქართველოს. დღეს კი ჩვენი უპირველესი პრობლემა არის პანკისის ხეობა. აი, აღვადგინოთ იქ კანონიერება და დავინახავთ, როგორ დაგველაპარაკებიან აფხაზებიც, ოსებიც და რუსებიც. დღეს 1992-93 წლები არ არის, რომ რუსეთის გენერალიტეტმა გვაბურთაოს ჩვენც და საერთაშორისო თანამეგობრობაც. დღემდე მოლაპარაკებებს არანაირი კონკრეტული რეალური შედეგი არ მოსდევდა არც გაეროს, არც ჟენევის და არც არანაირ დონეზე იმიტომ, რომ ვერც საქართველოში და ვერც მის უკან ძალას ვერ ხედავდნენ სეპარატისტებიც და მათი მოსკოველი მფარველებიც. დღეს კი საქართველოში შემოდის მსოფლიოს ზესახელმწიფო, მისი ინსტრუქტორები და შეიარაღება და კარგი ბიჭები არიან და გაექაჩონ, თუ აქვთ ამის თავი. მოლაპარაკების გარდა აფხაზებსა და ოსებს სხვა გზა აღარ ექნებათ. როგორც იქნა, ამ 10 წელიწადში, ხელისუფლებამ ბოლოს და ბოლოს, გადადგა გაბედული და სტრატეგიული ნაბიჯი და ამას ბოლომდე უნდა მიყოლა.

— **საინტერესო ისიც არის, რომ აქ კონტრტერორისტული ქვედანაყოფების მომზადებასთან ერთად ვაშინგტონიდან არაერთხელ გაისმა, — ამერიკელთა შემოსვლა საქართველოში ვითარების სტაბილურობის განმტკიცების და მათ შორის, ხელისუფლების სტაბილურობას მიზნითაც განხორციელდაო. ანუ შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძე არასოდეს ისეთი ძლიერი არ ყოფილა ბოლო 10 წლის მანძილზე, როგორც დღეს არის და მოკლევადიან პერსპექტივაში იქნება ამერიკელთა წყალობით.**

— სანამ 11 სექტემბრის ტერაქტები მოხდებოდა, საქართველოში, აზერბაიჯანსა და სხვა რესპუბლიკებში მყოფ ამერიკელ ბიზნესმენებს პრაქტიკულად ჩალაგებული ჰქონდათ ჩემოდნები და მიდიოდნენ, რადგან მანამდე აქცენტი უფრო საქართველოსთან ეკონომიკურ ურთიერთობებზე კეთდებოდა, ვიდრე პოლიტიკურზე. 11 სექტემბერმა დაარწმუნა ამერიკელები, რომ ახალი მსოფლიო ომი გარდაუვალი გახდა და რომელიც, უკვე ვხედავთ, რომ ნელ-ნელა იკრებს ძალას. ამიტომ რამდენიმე სერიოზული ამერიკელი ბიზნესმენი დარჩა საქართველოში სწორედ აშშ-ის პოლიტიკური ინტერესების გამო, რათა ამერიკას დასაყრდენი ჰქონდეს აქ და სათქმელიც, რომ საქართველოში ინტერესები ამ სფეროშიც მაქვსო. წაგებაში არიან ეს ბიზნესები, მაგრამ დარჩნენ მაინც აშშ-ის სტრატეგიული მიზნების გამო. აგერ, ერაყს დღეს-ხვალ დაარტყამენ და აქაური აეროდრომებიც დასჭირდებათ ამერიკელებს, შესაბამისად, სტაბილურობა — საქართველოშიც და სტაბილური რეჟიმიც. ეს გარემოება მომგებიანია საქართველოსთვის. ამერიკელთა გამოჩენა, გეთანხმებით, თვისებრივად ცვლის ჩვენს და ხელისუფლების ყოფასაც. რუსეთის დუმას ერთი ძვირი სიტყვა დასცდენია უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის მიმართ, რომლებიც გაივსო უკვე ამერიკის ჯარით? ასევე იქნება საქართველოშიც. დღეს პირველად გამიჩნდა იმედისა და ოპტიმიზმის გრძნობა, რომ საქართველოს რაღაცა ეშველება. იგივე კორუფციის პრობლემა ავიღოთ, რის შესახებაც ყველა დონეზე მიუთითებდნენ და საყვედურობდნენ შევარდნაძეს, შესაბამისად, პრეზიდენტიც და მისი ხელისუფლებაც „გაათმაგებული ძალით ებრძოდა“ კორუფციას, ოღონდ სიტყვით! ახლა კი, სხვა ვითარება იქმნება. როცა აშშ-ს სამხედროები შემოჰყავს აქ და თან თავისი ხელისუფლების სტაბილურობის გარანტიას აძლევს შევარდნაძეს, ეს იგივე კარტ-ბლანშია საშინაო საქმეებში მოქმედებისთვის. ამიტომ შევარდნაძეს რამდენიმე ცნობილი კორუმპირებული მაღალჩინოსნის მოცილება აუცილებლად დასჭირდება და არა მეორე-მესამე რანგის მოხელეებისა. თუ შევარდნაძეს სურს სტაბილურად დარჩეს საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე, მან „ლაზიერი“ და სხვა ფიგურებიც უნდა შესწიროს და მოიგოს „პარტია“, საშინაო პოლიტიკურ დაფაზეც...

— **რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პერსპექტივაც ამ „პარტიაზე“ იქნება დამოკიდებული? კომენტარს გთხოვთ რუსეთი-ნატოს თანამშრომლობის პერსპექტივაზე, რაც ალბათ მაისში გაფორმდება...**

— მე ასე ვიტყოდი: უნდა ვუსმინოთ რუსეთის პრეზიდენტს და არა ვიღაც დემაგოგ პარლამენტარებს. ვისწავლოთ ბოლოს და ბოლოს, რომ საკითხს წყვეტს პრეზიდენტი! ხომ იყეფა რუსეთის მასმედიამ და დუმამ, მაგრამ საქართველოსთვის სასიკეთოდ დამთავრდა ეს კამპანია. ასევე იქნება მომავალშიც. ნატოს პოლიტიკურ საბჭოში კი რუსეთს აძლევენ უკვე ადგილს და აძლევენ იმიტომ, რომ პუტინი დათანხმდა ნატოში ბალტიისპირეთის სახელმწიფოების მომავალ გაწევრებაზეც და ნატოს გაფართოებაზეც. რუსეთს უფრო სჭირდება ნატოს წევრობა, ვიდრე ნატოს რუსეთი. ყველაფერი ეს კი, პუტინის პრაგმატული პოლიტიკის შედეგია. პუტინი ხედავს, რომ დამთავრდა რუსეთის დომინანტობა მსოფლიოში. მას წამყვანი სახელმწიფოს როლის შესრულება შეეძლება მხოლოდ მაშინ, თუ 100%-ით იქნება ინტეგრირებული ევროპაში. მეტიც, გავა დრო და ევროკავშირში რუსეთი „პირველი ვიოლინოს“ როლს შეასრულებს. ანუ საბჭოთა კავშირის და დსთ-ის ნაცვლად, რუსეთი დომინანტი იქნება ევროკავშირში, უმდიდრეს ევროპაში. კრემლში დღეს ზის ხალხი, რომელიც თვლის, რომ რუსეთის ადგილი არის ევროპაში და არა აზიაში, ჩამორჩენილ ქვეყნებში. ეს არის რუსეთისთვის ერთადერთი სწორი გზა და ამით უნდა ვისარგებლოთ, საქმე ვაკეთოთ და არა ის, რომ ვიძახოთ — ნატოს კარზე ვაკაკუნებთ, ან დავაკაკუნებთო! ჩვენს პოლიტიკოსებს კი, ეტყობათ, კომპლექსი აქვთ და ჰგონიათ, რომ დუმაში უფრო ჭკვიანი და მიზანმიმართული ხალხი ზის, ვიდრე საქართველოს პარლამენტში. არა, ბატონო! რა „მასალაც“ საქართველოს პარლამენტშია, ზუსტად იგივე „მასალა“ დევს რუსეთის დუმაშიც, უკრაინის რადაშიც, აზერბაიჯანის მილი მეჯლისშიც და სომხეთის ეროვნულ კრებაშიც. ეს პოლიტიკოსები და მათთან ერთად მოქმედი ჩინოვნიკებიც გამოსულები არიან საერთო საბჭოთა ინკუბატორიდან, აბსოლუტურად მსგავსი განათლებითა და აზროვნებით. მხოლოდ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ და სადღეგრძელოებსაც ამბობენ სხვადასხვანაირად. კიდევ დიდი დრო დასჭირდება, რათა ამ საბჭოთა ინკუბატორიდან გამოჩეკილ-აღზრდილები დასავლეთში განათლებამიღებულმა ახალგაზრდებმა შეცვალონ. დღეს ასეთი ახალგაზრდები ჩამოდიან უკვე, მაგრამ ცოტანი არიან და საუბედუროდ, მამების გავლენაში ექცევიან. დღეს დსთ-ის ქვეყნები კორუფციაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. ორი წლის წინ კორუფციაში პირველ ადგილს არავის უთმობდა აზერბაიჯანი. შარშან საქართველო დაეწია აზერბაიჯანს, წელს კი უკრაინამ გაგვასწრო. ანუ დღესაც საქმე გვაქვს არა დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, არამედ საბჭოთა რესპუბლიკებთან. აღარაფერს ვამბობ რუსეთზე, რომლის მილიარდერ-მილიონერებთან შედარებით, ქართველი მილიონერები უბადრუკ ვაჭრუკანებად მოჩანან.

— **ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია რუსეთის მომავალზე, კავკასიიდან მისი წასვლის პერსპექტივაზე და როგორც ჩანს, დღეს უკვე შეგვიძლია გარკვეული რეზიუმეს გაკეთება...**

— შეიძლება დღეს ბევრისთვის შოკისმომგვრელი გამოდგეს, ვთქვათ, აზრი იმის შესახებ, რომ გვაწყობს კი ამ ეტაპზე რუსეთის გასვლა კავკასიიდან? არის კი საქართველოს ინტერესებში ჩრდილო კავკასიის ისლამური სახელმწიფოს შექმნა? ამ კითხვას ამერიკელი პოლიტოლოგები უკვე აშკარად სვამენ და არცთუ უსაფუძვლოდ. რუსეთის წასვლისთანავე შეიქმნება ისლამური სახელმწიფო. აი, ასეთი პერსპექტივისთვისაც არის ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი აქ ამერიკელების ყოფნა. ეს ბუნებრივია, უახლოეს მომავალში არ მოხდება, რადგან არავინ იცის, ბოლოს და ბოლოს, როდის ჩაიქნევს საბოლოოდ რუსეთი ხელს კავკასიაზე. იმავე ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკები მძიმე ტვირთად აწევს რუსეთს, რომელთაგან პრაქტიკულად არაფერს იღებს სასიკეთოს და მხოლოდ იქით აჭმევს. თანაც, ვერ იტანს ეს ხალხი რუსეთს და ადრე თუ გვიან აფეთქდება მთელი ჩრდილო კავკასია. მეტიც, ჩვენ ძნელად წარმოგვიდგენია, რა შეიძლება დაემართოს რუსეთს ვოლგისპირეთში, მეტიც, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. ეს უზარმაზარი სივრცეები სავსებით შესაძლებელია, ჩამოყალიბდნენ ცალკე რუსულენოვან სახელმწიფოებად. ოდესღაც ახალი ზელანდია დიდი ბრიტანეთის ისეთივე ნაწილი იყო, როგორც დღეს რუსეთისთვის არის შორეული აღმოსავლეთი. ასეთი პრეცედენტი უამრავია მსოფლიო ისტორიაში და ვფიქრობ, რუსეთისთვისაც გარდაუვალია მოვლენათა ამგვარი განვითარება. საბჭოთა მენტალობის „წყალობით“ ცნება — კოლონია არასწორად გვესმოდა და გვეგონა, რომ კოლონია ნიშნავს მაინცდამაინც სხვა ხალხის პყრობას. არადა კოლონია ნიშნავს დასახლებას და იგივე შორეული აღმოსავლეთიც რუსებით დასახლებული კოლონიაა... ამიტომ, გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება რუსეთს შორეული აღმოსავლეთი უფრო მოსწყდეს, ვიდრე ჩრდილო კავკასია! მაგრამ, ვიმეორებ, ეუთოს გადაწყვეტილებით წარმოუდგენელია საზღვრების შეცვლა, თუმცა ვლადივოსტოკი როგორი „ევროპაა“, მოგეხსენებათ. მაგრამ მოსკოვს მაინც ისე ეშინია შორეული აღმოსავლეთის რუსეთისგან შესაძლო მოწყვეტისა, რომ „ევრონიუსში“ ყოველთვის აცხადებენ ხოლმე პარიზის, ლონდონის, მოსკოვის გვერდით ვლადივოსტოკის ამინდის პროგნოზს, რათა გამუდმებით ხაზი გაუსვან შორეულ აღმოსავლეთის „ევროპულობას“. მაგრამ თუ რაღაც კატაკლიზმები მოხდა, რუსეთის დაშლა გარდაუვალი იქნება.

— **და აქ კვლავ და კვლავ დღის წესრიგში დგება ცივილიზაციათა შორის დიდი დაპირისპირების, კატაკლიზმების გარდუვალობის საკითხი.**

— მსოფლიოს წამყვანი პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები უკვე თითქმის დარწმუნებულნი არიან, რომ 11 სექტემბრის შემდეგ დაწყებული დაპირისპირება ახალ საშიშ ფაზაში შედის და უახლოვდება ცივილიზაციათა დაპირისპირების ზღურბლს. ბოლო ხანებამდე ძლივს აჩერებდნენ ისრაელსა და პალესტინას. ახლა კი, რა მოხდება იქ, არავინ იცის. მთელი მსოფლიო ხედავს, რას სჩადიან პალესტინელი კამიკაძე-ტერორისტები, მაგრამ ევროპაშიც კი სიმპათია პალესტინელთა მხარეზე იხრება. უკვე პროამერიკული ეგვიპტეც პალესტინას ემხრობა და თუ ეგვიპტე ჩაერია ისრაელის წინააღმდეგ კონფლიქტში, ეს უკვე კატასტროფის ტოლფასი იქნება. ისრაელის წინააღმდეგ დაიძვრება მთელი ახლო და შუა აღმოსავლეთი! საუბედუროდ, 21-ე საუკუნე ძალიან ცუდად დაიწყო და თუ ადამიანებმა ახლავე არ გადახარშეს ყველაფერი და ახლებურად არ დაიწყეს აზროვნება, ცივილიზაციათა შეტაკება კატასტროფით დაუმთავრდება პლანეტას.

*ზურაბ მჭედლიშვილი*



# შენდობის დღე

ქრისტიანული ეკლესია დიდი მარხვისთვის ამზადებს თავის სამწყსოს და მოუწოდებს სინანულისკენ, რათა სულიერად განწმენდილი, უხინჯოდ შეუდგეს იგი „სულიერი სიხარულის კიბეს“.

ამაზე მეტყველებს ყველიერის ბოლო დღის სახელწოდებაც — მიტევების კვირა.

ეს ტრადიცია, ანუ მიტევების, შენდობის დღე ქრისტიანობის გავრცელების დროიდან დაწესდა. იგი დაარსდა ეგვიპტის უდაბნოში. ამ დღეს ბერები ერთად იკრიბებოდნენ, ერთმანეთს შენდობას სთხოვდნენ და აღდგომის საგალობელთა წართქმით უდაბნოში მიდიოდნენ, რათა მთელი დიდმარხვა ლოცვით და სინანულით იქ გაეტარებინათ. წასვლის წინ მიტევებას იმიტომ ითხოვდნენ, რომ არ იცოდნენ, შეძლებდნენ თუ არა უდაბნოდან უკან, თავიანთ მონასტრებში დაბრუნებას და დღესასწაულში მონაწილეობის მიღებას.

ამავე დღეს ეკლესია იხსენებს ადამის სამოთხიდან განდევნას, რადგან ეს დღე ადამიანს შეახსენებს, თუ რა არის ცოდვა, რომლის გამოც მთელი დიდმარხვის პერიოდში მოუწევს მრავალი რამის დათმობა.

როგორც ბიბლია გვასწავლის, ადამი სამოთხიდან ცოდვით დაცემის შემდეგ განიდევნა, რადგან დაარღვია უფლის მიერ ბოძებული მცნება. ცოდვა, რის წინააღმდეგაც ადამიანს მარხვა უხდება, ადამისა და ევას დაცემის შედეგია. ადამიანი ღვთისგან უცოდველადაა დაბადებული, იგი არის ხატი უფლისა და მოწოდებულია იმისთვის, რათა ემსგავსოს შემოქმედს. ამიტომაა, რომ ყოველი ადამიანი, მართალია იგი თუ ცოდვილი, ღვთის ხატებას არასდროს კარგავს. წმინდა მამებს ასეთი მაგალითი მოჰყავთ: ძვირფასი თვალ-მარგალიტი ტალახში რომ ჩააგდო, თუმცა კი ამოისვრება, მაგრამ თუ გაწმენდ, კვლავ თავდაპირველი სახით წარმოაჩენს თავის ბრწყინვალებას.

საქართველოში, როგორც უძველესი სამოციქულო ეკლესიის ქვეყანაში, უწინდელი ტრადიციის მიხედვით მორწმუნე მრევლი და სასულიერო პირები, მუხლმოყრილნი, ერთმანეთისგან იღებენ შენდობას. თბილისში ყველა ტაძრიდან სიონის საკათედრო ტაძარში იკრიბებიან ურთიერთმიტევებისთვის, სადაც კათოლიკოს-პატრიარქი აღავლენს საგანგებო ლოცვას და ითხოვს შენდობას სამწყსოსაგან...

***ანა ჩხეიძე***

# „უყიდეთ იები მზეთუნახავებს, იები საჩუქრად“



ქუჩაში უცნაური შემთხვევის მოწმე გავხდი. პატარა, ასე, თორმეტიოდე წლის ბიჭი გოგონებსა და ქალბატონებს იების პაწაწინა თაიგულებს ჩუქნიდა, კაცებს კი მისძახოდა — „იყიდეთ იები, აჩუქეთ ყვავილები მზეთუნახავებს“. 8 მარტი იდგა და მიუხედავად იმისა, რომ ქალთა დღესასწაულზე თბილისი კინაღამ ყვავილების ტალღამ წალეკა, სურნელოვან იებსა და ყოჩივარდებს, როგორც იტყვიან, ცეცხლი ეკიდა. ძვირად მოვაჭრე მეყვავილეების გვერდით ამ უცნაური ბიჭუნას გამოჩენამ ცნობისმოყვარეობა გამიღვიძა და გადავწყვიტე, უფრო ახლოს გამეცნო მეყვავილე ჯენტლმენი. თუმცა, ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. რამდენსაც გინდა, იმდენ იას გაჩუქებ, ოღონდ თავი დამანებეო — დიქტოფონის დანახვაზე ხვეწნა დამიწყო ბიჭმა. ასე რატომ უარობ ინტერვიუს-მეთქი, რომ ვკითხე, შემომიტია — პრანჭია ვინმე ხომ არ გგონივარ, გაზეთში გამოჭიმვა რომ მინდოდესო. ბოლოს მაინც კაცურად დამითმო და მითხრა — ეგ რაღაცაა (დიქტოფონი) მომაშორე და დროზე მკითხე, რაც გინდა, ნუ მაცდენო.

— ***რა გქვია, რა გვარი ხარ, სად ცხოვრობ?***

— ალუდა მქვია. გვარი რად გინდა? თბილისელი ვარ, გლდანელი. სკოლაში დავდივარ. როცა მცალია, ყვავილებს ვკრეფ და ვყიდი

— ***სულ ასე უცნაურად იქცევი? ყვავილებს მარტო კაცებზე რად ყიდი?***

— დღეს დილით გადავწყვიტე, რომ ყველა ქალისთვის, ვინც ჩემთან მოვიდოდა, ყვავილები მეჩუქებინა. სხვა დროსაც ყოფილა, როცა გოგო ყვავილის ფასს მკითხავდა, ძვირიაო, იტყოდა და წასვლას დააპირებდა, იების კონას ვჩუქნიდი. იცი რა? აზრი არა აქვს სხვანაირად მოქცევას — მე ხომ ქალებისთვის ვკრეფ ყვავილებს. ვიღაცას ყიდვა რომ უნდოდეს და ვერ შეძლოს, მე კი იები დამიჭკნეს და გადასაყრელი გამიხდეს, როგორი საქმეა...

— ***დღეს ალბათ პირველად დედას აჩუქე იები.***

— დედა არა მყავს, ორი წლის და მყავს, მარიტა. ის რომ გაჩნდა, დედა მომიკვდა მაშინ. იების კრეფა მერე შემიყვარდა, სანამ ცოცხალი იყო, დედა ხშირად ხმამაღლა მიკითხავდა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეს“. იმის მერე სულ მგონია, რომ იები დედის ცრემლებია და როცა ყვავილებს ვკრეფ, მგონია, ყველა იიდან დედაჩემი შემომცქერის. ვფიქრობ, ველაპარაკები ხოლმე და უიმისობას ველარ ვგრძნობ. თავიდან იებს დედის საფლავზე ავიტანდი ხოლმე, ზოგსაც სახლში მის სურათთან ვაწყობდი. მერე მამას გაუჭირდა ფინანსურად. რომ ნერვიულობდა, ვდარდობდი. ერთ ღამეს დედა დამესიზმრა. მითხრა — იებს რომ კრეფ, ტყუილად რად აჭკნობ? გაყიდე, ან კიდევ სხვებს აჩუქეო. იმის მერე, როცა სკოლიდან თავისუფალი ვარ, იებს ვკრეფ და ვყიდი. თუ ფული არა გაქვს, აჰა, გაჩუქებ. ჰო, მართლა, დილით დედის საფლავზე ავიტანე იები, სულ მინდა შემდეგ ასვლაზე დამჭკნარი ყვავილები არ დამხვდეს საფლავზე, მაგრამ...

— ***ვინმე შურიანი მყიდველი თუ გადაგყრია ქუჩაში?***

— ერთი ქალი იყო, ბებიაჩემის ტოლა, რა ღირს იებიო, — მკითხა. 15 თეთრი-მეთქი. რა ამბავიაო — გაიკვირვა. გავჩუმდი, რა უნდა მეთქვა, თავისი გასჭირვებოდა. კარგა ხანს არ მომშორდა, მლანძღა, ბუნების მტერი მეძახა... ისე ცუდად გავხდი, ეკლესიაში წავედი, ველარ ვსუნთქავდი. იებს რომ კრეფ — ბუნებას აჩანაგებო — მითხრა.

— ***ალბათ სხვისთვის უნდოდა ესაყვედურა და შენ შერჩი ხელში.***

— მე რა ვიცი, რა უნდოდა. ვაჟა-ფშაველა წაიკითხონ მაგნაირებმა და მიხვდებიან, ვინ აჩანაგებს ბუნებას. ია იმისთვის მოდის, რომ დაკრიფო და თვალმა გაიხაროს. აბა ბნელ ტყეში, ნეშომპალას ქვეშ ვინ დაინახავს მის სილამაზეს. მე თუ ბუნებას ვაჩანაგებ, იმათზე რაღა უნდა თქვან, ვინც ახალი წლის წინა დღეებში ნაძვის ხეებს ანადგურებს და ჩეხენ ნორჩ ნაძვებს. ქუჩებში დაყრიან, დაადებენ უზარმაზარ ფასს და ხალხი ვერ ყიდულობს. 31 დეკემბერს ჩემი თვალით მინახავს ნაძვის ხეებით მოვაჭრეები დარჩენილ „ტავარს“ საღამოს როგორ შეუნთებენ ცეცხლს და უზარმაზარ კოცონს ააბრიალებენ. „ტყე შეუნახე შვილებსაო“, მაგათ ესმით, აი!..

— ***ალუდა, შეყვარებული არა გყავს?***

— (იცინის) მყავს. დღესაც დედამისთან ერთად გამოიარა აქ, გავეკიდე, დედამისს თაიგული ვაჩუქე, ის ქალი ვერაფერს მიხვდა, მე არ მიცნობს. იმ ჩემს გოგოს კი სახეზე ხელები აეფარებინა და იცინოდა. ძალიან გამეხარდა მისი სიხარული... კაი, მოვრჩეთ ახლა მაგ შენს ინტერვიუს, საქმე მაქვს, საქმე...

ჯენტლმენი მეყვავილე ალუდა დამემშვიდობა და თავის იებს მიუბრუნდა... მოვდიოდი, ხელში ალუდას ნაჩუქარი მშვენიერი კონა მეჭირა და კარგა ხანს მესმოდა: „უყიდეთ იები მზეთუნახავებს, იები საჩუქრად“...

***ეკა ლომიძე***

# მემანქანე, რომელიც „უცნობმა“ კლიპში არ გადაიღო...



კლიპის ნაცვლად — „კვირის პალიტრაში“

რა უცნაური ადგილია ეს დეპო! ჩვეულებრივ სადგურებზე გაჩერებული მატარებლები სრულიად ჩვეულებრივად აღიქმება. იქ კი... რკინის საშიშ, უსულო ცხოველებს ჰგვანან — კომპიუტერულ მულტფილმებში რომ მრავლადაა და მათ დანახვაზე ბავშვები ტირილით რომ ისივებენ თვალებს...

მაინც რა მომიყვანა აქ, დეპოში? მოგეხსენებათ, ახალი წლიდან როგორ აიტაცა ხალხმა „უცნობის“ „ვაგონი მიქრის“...

მემანქანე ვასილ დუგლაძე სრულიად ახალგაზრდაა და უკვე კარგა ხანია მატარებელს დააქროლებს. პირველივე კითხვისას პირისპირ აღმოვჩნდი პრაგმატიკოს მემანქანესთან, რომელსაც პეპლებისა და ყვავილებისთვის ნამდვილად არ სცალია. კითხვაზე — და მაინც, სად მივყავართ მატარებლის ლიანდაგს-მეთქი, მიპასუხა — გააჩნია, რომელი რეისით მიდიხარო... იხტიბარი არ გავიტეხე და საუბარი გავაგრძელე...

— ***არ იღლებით ამდენი მგზავრობით?***

— მიჩვევა იცის ყველაფერმა.

— ***არ გეშინიათ, ამდენი ადამიანის სიცოცხლე რომ გაბარიათ?***

— რისი უნდა მეშინოდეს?

— ***რომ ჩაგეძინოთ?***

— მემანქანეს არ უნდა ჩაეძინოს!

— ***თანამდებობის პირები თუ მგზავრობენ თქვენი მატარებლით?***

— ამას წინათ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ იმგზავრა, ხშირად მგზავრობს ბატონი აკაკი ჩხაიძეც...

— ***პრეზიდენტი?***

— ჩემი მატარებლით არ უმგზავრია, ისე ვიცი, რომ ხანდახან მგზავრობს ხოლმე...

— ***მსახიობები, მომღერლები?***

— ალბათ კი. მახსოვს, ლარისა დოლინა მგზავრობდა. ძალიან მინდოდა დამენახა, მაგრამ კუპედან არ გამოვიდა.

— ***„უცნობის“ კლიპი თუ მოგეწონათ?***

— ძალიან... მაგრამ უფრო გამიხარდებოდა, რომელიმე ჩვენი თანამშრომელიც რომ გამოეჩინათ...

— ***შემიძლია ის მემანქანე ვნახო, რომელსაც გადაღების დროს მატარებელი მიჰყავდა?***

— როგორ არა! ახალგაზრდა კაცია — მირიან მირიანაშვილი. ტელეფონის ნომერს მოგცემთ...

მართალი გითხრათ, მირიანის დაჭერა გამიჭირდა — გამუდმებით რეისში იყო წასული...

და აი, ერთ მშვენიერ დღეს მისი ხმაც გავიგონე, როგორც იქნა, ჩვენი ინტერვიუც შედგა...

— ***როგორ მოხვდით ამ გაუგებრობაში?***

— დეპოში მითხრეს, კლიპს იღებენ, ახალგაზრდა მემანქანე სჭირდებათო და მე გამომგზავნეს.

— ***სად იღებდით?***

— ბორჯომის ვაგზალზე — მცირე მანძილზე ვმოძრაობდით.

— ***იცოდით, რა მომენტში უნდა დაგეძრათ მატარებელი?***

— ჯგუფის ხელმძღვანელი — ვიღაც ყმაწვილი — მაფრთხილებდა, მე კი ჩემი თანაშემწე ბორის დათუნაშვილი მეხმარებოდა.

— ***„უცნობი“ ანუ გია გაჩეჩილაძე თუ გაიცანით?***

— რა თქმა უნდა, ამოდიოდა ელმავალზე, თბებოდა (გარეთ ციოდა), თან მესაუბრებოდა...

— ***რაზე საუბრობდით?***

— მე ჩემს პროფესიაზე, ის — თავისაზე...

— ***რაო, როგორი პროფესია მაქვსო?***

— აი, ასე ვწვალობთ ხოლმეო — მითხრა, მერე ჩემი ხელფასით დაინტერესდა...

— ***თუ საიდუმლო არ არის, რამდენი გაქვთ ხელფასი?***

— საშუალოდ 200 ლარი გამომდის.

— ***„უცნობმა“ გადაგიხადათ ფული?***

— არა, რატომ უნდა გადაეხადა? ის დრო, რაც მასთან ვიყავი, ჩვეულებრივ სამუშაო დროდ მეწერებოდა. ჩემმა სამსახურმა გადამიხადა.

— ***კიდევ ვინ გაიცანით?***

— ბასა. უნდა გენახათ, როგორ მუშაობდა. ჩემთანაც ამოვიდა რამდენჯერმე... ვისაუბრეთ... კარგი ქალბატონია...

— ***თქვენთვის გადაღება არ შემოუთავაზებიათ?***

— არა. მემანქანეს „უცნობი“ თამაშობდა... საერთოდ, კაბინაში ორნი უნდა იყვნენ — მემანქანე და თანაშემწე. ხუმრობით ვუთხარი, — მარტო რატომ ხართ, თანაშემწე არ გჭირდებათ-მეთქი?.. არა, არ შეიძლებაო, — მიპასუხა... ასე რომ, მე არ ვარ კლიპში...

— ***არ იქეიფეთ გადაღების შემდეგ?***

— როდის უნდა გვექეიფა? გადაღება ღამის 12 საათზე დაიწყო და დილის 8 სთ-ზე დამთავრდა. ისეთი დაღლილები ვიყავით...

— ***ნახეთ კლიპი?***

— რა თქმა უნდა, ვნახე და კასეტაც ვიყიდე... ძალიან მომწონს...

— ***თქვენ იცით, სად მივყავართ მატარებლის ლიანდაგს?***

— ალბათ შორს, უსასრულობაში.

ამოძრავებულ კადრს მატარებლის ბორბლების ხმაური ავსებს. ამის შემდეგ, როცა ამ კლიპს ვნახავ, „უცნობის“ გვერდით ყოველთვის წარმოვიდგენ მირიანს — კეთილს, გულახდილს და... ნამდვილ მემანქანეს.

***ეკა მახარაშვილი***




CMYK

# ხუთ მილიონ დოლარად „შეფასებული" ბინ ლადენის თანამებრძოლი და ჩვენი თანამემამულე...





ჩვენ მიერ შემოთავაზებულ პროვოკაციულ ფოტოებზე, რაც არ უნდა დაუჯერებლად ჟღერდეს, ერთი და იგივე პიროვნება კი არა, უსამა ბინ ლადენის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი ხალად შაიჰ მოჰამედი და მისი ქართველი ორეულია წარმოდგენილი. ამ ფაქტს სტატიის დასაწყისშივე აღვნიშნავთ, რადგან ამერიკის მთავრობამ პანკისში სასწრაფოდ არ დაიწყოს ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელება.

საერთაშორისო ძებნილი ტერორისტი და ქართველი ჰუმანისტი წყლის წვეთივით ჰგვანან ერთმანეთს. საუდელ, ხალად შაიჰ მოჰამედს და ქართველ მიხეილ ანთაძეს კიდევ ერთი რამ აქვთ საერთო: ორივემ ბრწყინვალე განათლება მიიღო — არაბი თეოლოგიისა და ფილოსოფიის პროფესორია, მოღვაწეობდა პაკისტანში, ფილიპინებზე, ეგვიპტეში, აშშ-ში. იგი ისლამური ტერორიზმის ერთ-ერთი იდეოლოგია, იძებნება 1995 წლიდან აშშ-ის მთავრობის მიერ და მასზე ინფორმაციის მიწოდებისათვის ჯილდოდ 5 მლნ. დოლარია დაწესებული. მიხეილ ანთაძე განათლებით ფილოლოგი და კინორეჟისორია, ოთხი წიგნის და 15 ფილმის ავტორია. დაარსებული აქვს ერთი თეატრი და როგორც თავად ამბობს — საქართველოს სახელმწიფოს 5 მლნ მისნაირი ერთი ცენტიც კი არ ულირს. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არაბ ტერორისტთან საუბარს ვერ შემოგთავაზებთ, სამაგიეროდ გთავაზობთ ინტერვიუს მის ქართველ ორეულთან.

**— როდის და როგორ აღმოაჩინეთ, რომ ტერორისტი ორეული გყავდათ?**

— ერთ-ერთი ჟურნალში ჩემმა ახლობელმა არაბი ტერორისტის ფოტო ნახა. მითხრა — ძალიან გგავსო. დავინტერესდი, ვნახე და მართლაც გამაოცა მსგავსებამ. ხუმრობის ხასიათზე დავდექი, როცა გავიგე, რომ თავისი ბოროტების გამო ეს კაცი 5 მლნ $-ად არის შეფასებული, მე კი ტერორი გულშიც არ გამივლია, მაგრამ მილიონობით ჩემნაირი არც ერთი ქვეყნისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს. ვფიქრობდი ამ საოცარ მსგავსებაზე და უცნაური აზრები მომეძალა.

**— იქნებ ჩვენც გაგვიმხილოთ.**

— ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, ყველაფერი, რაც ხდება, გარკვეულწილად პროზის მასალაცაა. იუმორისტული სიუჟეტი წარმოვიდგინე, თითქოს მე, ქართველი, მატერიალურად ხელმოკლე მწერალი, არაბ ტერორისტთან ფიზიკური მსგავსების აღმოჩენის შემდეგ, უშიშროების სამინისტროში ერთ-ერთ ახლობელს ვუკავშირდები და ფულის გასაკეთებლად საქმეს ვთავაზობ. ვაკეთებ სახიფათო ადგილებში პროვოკაციულ ვიზიტებს. „ძმაკაცი" კი უშიშროებიდან თავის სამსახურს აცნობებს, რომ პანკისში „არაბი ტერორისტი" გამოჩნდა და ოპერატიული მუშაკები მაპატიმრებენ.

**— ასე ხომ ტერორისტობისთვის კი არა, აფერასთვის დაისჯებით.**

— დემოკრატიაა, დაგავიწყდათ? მინდა არაბულად ჩავიცვამ და პანკისში ჩავალ, მინდა ჩოხით შევიმოსები და სვანეთს ვესტუმრები. რომელ აფერაზე მელაპარაკებით? მოკლედ, საქართველოს ძალოვნები ცდილობენ, ჩვენება ჩამოართვან „არაბ ტერორისტს". ის კი ორი ღერი ინგლისურით მხოლოდ ადვოკატს მოითხოვს, კარგა ხნის ზეწოლის შემდეგ კი აღიარებს, რომ არაბი ტერორისტი კი არა, ქართველი მწერალია, რომლის უფლებებიც შეილახა და მორალური კომპენსაციისთვის 5 მლნ $-ს არა, მაგრამ კაი გვარიან თანხას მოითხოვს.

**— ღარიბისა და ქალა ერბოს ამბავი გამახსენდა. მგონი, სჯობს, სანამ ჯოხი მოგიქნევიათ და ქილაც დაგიმსხვრევიათ, ამ ხუმრობანარევ ოცნებას თავი ანებოთ.**

— რატომ? მეც ხომ შემიძლია გავხდე მდიდარი და პოპულარული (იცინის), იქნებ არაბი ტერორისტი იმიტომაც გაჩნდა ამქვეყნად, რომ პოპულარობაში დამეხმაროს. მართლაც ხუმრობა იქით იყოს და ტრაგედიაა, რომ დღეს ბოროტებით უფროა შესაძლებელი პოპულარობის მოპოვება, ვიდრე სიკეთით. ადოლფ ჰიტლერს, სტალინს, ჩინგის ხანს, თემურ-ლენგს და სხვა სისხლისმსმელებს მსოფლიო არ ივიწყებს. მაგრამ კაცობრიობის მეხსიერება ივიწყებს მათ, ვინც კეთილის ქმნას შეალია სიცოცხლე. სამყაროში კი, სადაც გამუდმებით ქადაგებენ სიკეთესა და სათნოებას, თავს კარგად მხოლოდ არამზადები გრძნობენ.

**— მივუბრუნდეთ თქვენს არაბ ორეულს. როგორ გგონიათ, რამ შეიძლება უბიძგოს ბრწყინვალე განათლების, სოციალურად მაღალ საფეხურზე მდგომ კაცს კაცობრიობის სისხლის ღვრის მანიაკალურ წყურვილამდე?**

— მიმაჩნია, რომ სოციალური მდგომარეობა არაფერ შუაშია. ხალად შაიჰ მოჰამედი ისლამური ფუნდამენტალიზმის იდეოლოგია. ისლამური ფუნდამენტალიზმის თანახმად, ყველაზე სწორი ცხოვრების წესს შარიათის კანონები ნერგავენ და ვინც ისლამის მიმდევარი არ არის, იგი საერთოდ არ ითვლება ადამიანად, ამიტომაც იგი არც უნდა არსებობდეს. აქედან გამომდინარე, ფუნდამენტალისტები კაცთმოყვარეობის გამოვლინებად თვლიან, თუკი ისინი შეეცდებიან ძალადობით დანერგონ შარიათის კანონები.

**— იუმორისტულ სიუჟეტს რომ მიყვებოდით, უშიშროების სამინისტრო ახსენეთ. უფრო ახალგაზრდა რომ იყოთ, ითანამშრომლებდით თუ არა მათთან?**

— ალბათ სერიოზულად დავფიქრდებოდი. ადრე, კომუნისტების დროს ეს გამორიცხული იქნებოდა. ბოროტების იმპერიასთან თანამშრომლობა ჩემთვის სამშობლოს ღალატის ტოლფასი იყო. დღეს კი, როცა საქართველო დამოუკიდებელია, არ გამოვრიცხავ ამგვარ სამსახურში მუშაობას. დანიელ დეფო, ბომარშე, სომერსეტ მოემი და მთელი რიგი მწერლები თავიანთი სამშობლოს პატრიოტები იყვნენ და დაზვერვაშიც მუშაობდნენ.

**— გარდა მწერლობისა და კინორეჟისორობისა, გავიგე, თოვლის ბაბუას ამპლუაშიც მოგისინჯავთ თავი.**

— კინოსარეჟისორო ფაკულტეტის დასრულებიბს შემდეგ ჩემი მოთხრობის მიხედვით გადავიღე ფილმი „თოვლის ბაბუა", სადაც ახალგაზრდა პერსპექტიულ ჩინოვნიკს მეზობელი ჩაითრევს საახალწლო აქციაში და თოვლის ბაბუად აქცევს. ამ როლში ყოფნა და ბავშვებისთვის სიამოვნების მინიჭება ისე მოეწონება კაცს, რომ ნამდვილ თოვლის ბაბუად იქცევა და ცაში გაფრინდება. მთავარ როლს ფილმში ზურა ყიფშიძე თამაშობს. ფილმი ჩემი ცხოვრების წინასწარმეტყველებად იქცა. მისი გადაღებიდან 10 წლის შემდეგ გვერდზე გადავდე კალამიც და კამერაც და „ზღაპრის თეატრი" გავაკეთე. ასე ვიქეცი თოვლის ბაბუად, რომელიც ზამთარ-ზაფხულ ბავშვების სიხარულით ცხოვრობს.

**— დღეს თითქმის ყველა თეატრს მაყურებლის პრობლემა აქვს. თქვენთან როგორ არის საქმე, დადიან ბავშვები თეატრში?**

— ბავშვებს სურთ თეატრში მუდმივად სიარული, მაგრამ, მოგეხსენებათ, არსებული ეკონომიკური პრობლემები მათ მშობლებსაც არ აძლევს თეატრით ბავშვების განებივრების საშუალებას. როდესაც ჩვენი თეატრი დაარსდა, სულ მალე მიმოქცევაში გავიდა ეროვნული ვალუტა — ლარი. ერთ დღეს 55-ე სკოლაში ჩავატარეთ „ნაცარქექია". რადგან სკოლას დარბაზი არ უვარგოდა, ამიტომ ყველა კლასში, 16-ჯერ ჩავატარეთ სპექტაკლი. პირველკლასელებთან წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, ერთმა პატარა ბიჭმა „ნაცარქექიას" ერთთეთრიანი გაუწოდა. ჩვენთვის ეს იყო ყველაზე დიდი ჯილდო, ყველაზე დიდი ჰონორარი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ბავშვებისათვის შეუძლებელი უნდა შეძლო. თუ ბავშვები დაშორდებიან თეატრს, წიგნს, კულტურას, მივალთ კულტურული ფასეულობების დევალვაციამდე. არ მინდა მჯეროდეს იმ ვერსიისა, რომ ყველაფერი შეგნებულად კეთდება იმისათვის, რათა მოხდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ნიველირება.

***ეკა ლომიძე***

# «რა უნდა დამკითხონ, არც ერთ კითხვას პასუხს არ გავცემ...»

გასულ კვირას თენგიზ კიტოვანმა მორიგი სკანდალური განცხადება გაავრცელა. მისი თქმით, პრეზიდენტის შეკვეთით მის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი იგეგმება. სხვა საკითხია, რაში სჭირდება შევარდნაძეს კიტოვანის წინააღმდეგ ტერაქტი (ან საერთოდ თუ სჭირდება ვინმეს), თუმცა ყოფილი თავდაცვის მინისტრი თავის კონფიდენციალურ წყაროს დღესდღეობით ვერ აკონკრეტებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აქტიური პოლიტიკური ცხოვრებიდან განდევნილი ძველი „პოლიტიკოსი" ხმაურიანი განცხადებების ფონზე კვლავ ცდილობს მოექცეს საზოგადოების ყურადღების ცენტრში. თუმცა რამდენად გამოუვა, ძნელი სათქმელია. ჯერჯერობით კი რეალობა ის არის, რომ დღეს იგი ჩრდილოელი მეზობლის მზის ქვეშ უფრო თბილად გრძნობს თავს და საქართველოში დაბრუნებას არც აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურამ, საჯაიას თვითმკვლელობასთან დაკავშირებით, „თვითმკვლელობამდე მიყვანის" მუხლით აღძრა საქმე, კიტოვანი ჯერ არ დაუკითხავს და ალბათ, ვერც დაკითხავს იმ უბრალო მიზეზით, რომ ყოფილი თავდაცვის მინისტრი „კვირის პალიტრასთან" საუბარში ხმამაღლა აცხადებს, რომ პროკურატურასთან საჯაიაზე სათქმელი არაფერი აქვს. უფრო მეტიც, კიტოვანი მიიჩნევს, რომ უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი მოკლეს და ხელს შევარდნაძისკენ იშვერს. გთავაზობთ ინტერვიუს **თენგიზ კიტოვანთან.**



**— ბატონო თენგიზ, თქვენ სკანდალური განცხადება გაავრცელეთ, რომ თქვენზე მოსალოდნელია ტერაქტი. რამდენად სარწმუნოა თქვენი საინფორმაციო წყარო და საერთოდ, რის საფუძველზე გააკეთეთ ეს განცხადება...**

— ეს პირველი შემთხვევა არ არის. თავის დროზე იგორ გიორგაძის თანაგუნდელმა სპეცრაზმ „ალფას" მეთაურმა პაპუაშვილმაც გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ჩემთვის უნდა მოეწყოთ ტერაქტი. გარდა ამისა, ავსტრიაში ჩემი ყოფნის დროს, ეს თავად ექიმმაც დაადასტურა, ასევე ჩაფიქრებული იყო ტერაქტი, მაგრამ ვერ მოასწრეს. ოპერაციის შემდეგ წამოვედი ავსტრიიდან, პრაქტიკულად, გამოვასწარი. ყოველივე ამის შემდეგ რატომ გიკვირთ, რომ შევარდნაძეს ჩემი ლიკვიდაცია კიდევ ერთხელ ჩაეფიქრებინა?! მე ამჯერად გამაფრთხილეს, მეტი რა გააკეთონ? ტელეგრამას ხომ არ გამომიგზავნიან. წყაროს ჯერ ვერ გაგიმხელთ, თუმცა ის დროც მოვა, როცა ადრესატს დავასახელებ.

**— თქვენ ისიც განაცხადეთ, რომ შევარდნაძე ასეთ ტერაქტებს პირველად არ უკვეთავს. სხვა რომელი შეუკვეთა?**

— ბევრი რამ დაუდგება მას წინ. თავის დროზე ფინანსთა მინისტრმა დვალიშვილმა თავი მოიკლაო რომ თქვეს, გჯერათ?! ან საჯაია რატომ მოიკლავდა თავს?! არ იცით, რომ შევარდნაძის და საჯაიას პოზიციები ერთმანეთს არ ემთხვეოდა?! თვითონ საჯაიამ პოსტიდან წასვლაც კი სთხოვა. მე ვფიქრობ, ის წინააღმდეგი იყო ამერიკული ძალების საქართველოში შემოსვლისა. როგორც ჩანს, ის არ გამორიცხავდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შესაძლოა მოხდეს ამერიკული და რუსული ჯარების დაპირისპირება. მას კი ეს არ სურდა. ეს ჩემი აზრია.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ მას აიძულებდნენ თავისი თავის წინააღმდეგ წასულიყო. იქნებ დააკონკრეტოთ?**

— ახლა, მე რომ ვთქვა, ისევ ჩემს წინააღმდეგ გამოიყენებენ და არ მინდა ვთქვა. მე ვფიქრობ, რომ ის მოკლულია. თქვენ თუ ხართ მის კაბინეტში ნამყოფი, მის კაბინეტს მეორე კარიც ჰქონდა. შეეძლო ვიღაცას შესულიყო სამდივნო ოთახის გავლის გარეშე და მოეკლა.

**— ბატონო თენგიზ, უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე თედო ჯაფარიძის დანიშვნა ნიშნავს თუ არა იმას, რომ შევარდნაძემ რუსებს საბოლოოდ შეაქცია ზურგი?**

— მე ის ვიცი, რომ თედო ჯაფარიძე არის წესიერი და ჭკვიანი კაცი. ამით შევარდნაძემ სწორი ნაბიჯი გადადგა.

**— დაბოლოს, მართლა გაქვთ საკუთარი რესტორანი მოსკოვში?**

— როგორ გეკადრებათ, ეგ მოგონილი ჭორია. ჩამოვიდეს ვისაც უნდა და ამ რესტორანს ვაჩუქებ. გახსოვთ, იმასაც რომ ამბობდნენ — სახლები აქვს კიტოვანსო და ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ჩემი გოგო ნაქირავებში ცხოვრობს დღეს.

**— ამბობენ, რომ შესაძლოა პროკურატურაში დაგკითხონ...**

— რა უნდა დამკითხონ, არც ერთ კითხვას პასუხს არ გავცემ საჯაიას თემაზე.

***მარინა მამისაშვილი***

**სასწავლო ცენტრი CAC (სი ეი სი)**
**ფინანსური აღრიცხვის (Financial Accounting)**
**ოთხთვიანი სასწავლო პროგრამა**

ბიზნესის წარმოების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით სასწავლო ცენტრი **CAC** (სი ეი სი) ახორციელებს ფინანსური აღრიცხვის სასწავლო პროგრამას, რომელიც თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საგანს წარმოადგენს.

სასწავლო ცენტრი **CAC** (სი ეი სი) გთავაზობთ სრული ფინანსური პაკეტის (***მოგება-ზარალის უწყისი; გაუნაწილებელი მოგების უწყისი; საწარმოს ბალანსი; ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი***) შედგენისა და ანალიზის შესწავლას.

მსმენელები შეისწავლიან აღრიცხვის ფუნდამენტურ მოდელს, თითოეული ფინანსური ოპერაციის ანალიზს, ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის აღრიცხვის სპეციფიკას, შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობაში მოყვანის პრინციპს.

ფინანსურ აღრიცხვასთან ერთად ისწავლება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა: საქართველოს ***კანონი მეწარმეთა შესახებ, საბაჟო და საგადასახადო კოდექსი.***

სასწავლო კურსის წარმატებით დამთავრების შემდეგ მსმენელებს შეეძლებათ დამოუკიდებლად იმუშაონ ნებისმიერი სირთულის ადგილობრივ თუ უცხოურ კომპანიაში, თავისუფლად აწარმოონ ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება, სრულფასოვნად წარმართონ აღრიცხვა გადასახადებისათვის და ანალიტიკურად გაანალიზონ საანგარიშგებო პერიოდში მიმდინარე ფინანსური მოვლენები.



***პროგრამის წარმატებით დამთავრების შემდეგ მსმენელებს მიენიჭებათ უმაღლესი სასწავლებელი CAC (სი ეი სი)-ის სერტიფიკატი.***

- **საბუთები მიიღება 19 მარტამდე;**
- **ჯგუფში მოხდება 10 მსმენელის შერჩევა;**
- **მეცადინეობები დაიწყება 20 მარტს;**
- **მსმენელები უზრუნველყოფილნი იქნებიან სასწავლო ლიტერატურით.**

მის: ვაჟა-ფშაველას 41; ტელ: 25-17-30; 29-40-80 ელ.ფოსტა cac@gol.ge

# ნატახტართან მოკლული რეზიდენტის მკვლელობას ნელ-ნელა ფარდა ეხდება...



ფრედ ვუდროფი საქართველოში ნარკობიზნესზე აგროვებდა ინფორმაციებს?!



ალბათ, ახალგაზრდა თაობაში ძნელად თუ ვინმე მოიძებნება, ერთხელ მაინც რომ არ ჰქონდეს „პლანი“ გასინჯული. — „მერე რა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნარკომანობას“ — ჩვეულებრივ, ასეთია მიდგომა თუ გამართლება საკუთარი თავის წინაშე. ძალიან ხშირად ეს ერთი შეხედვით უსაფრთხო გართობა იმ ხაფანგად იქცევა ხოლმე, რომელსაც მთელი ცხოვრება თავს ვეღარ აღწევენ და „საკუთარი სიკვდილის“ შესაძენად უკან არაფერზე იხევენ. ნარკოტიკებით ვაჭრობა ნებისმიერი სახის ბიზნესთან მიმართებაში ყველაზე მომგებიანად არის აღიარებული. ერთობ საინტერესო ტენდენციაა, რომ ქართველები ამ ბიზნესის პირამიდის თავში არიან მოქცეულნი — ვინ პოლიციის მაღალჩინოსანია, ვინ კანცელარიისა თუ პარლამენტისა. რაც შეეხება წვრილფეხა „საცალო“ მოვაჭრეებს, მათი უმრავლესობა არაქართველი — აზერბაიჯანელი ან სომეხი ეროვნებისაა.

საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას კარგთან ერთად ბევრი ცუდიც მოაქვს — ყველაზე მზარდი და მნიშვნელოვანი პრობლემა მათგან ნარკოტიკების საერთაშორისო მიმოქცევაში მონაწილეობაა. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ნარკოტიკების ტრანზიტში მონაწილე ქვეყნებში ნარკომანიის გავრცელების ტემპი სხვებთან შედარებით ათმაგად მაღალია.

**გივი თარგამაძე,** ანტიკორუფციული საბჭოს წევრი:

— საქართველო საკმაოდ სერიოზულად არის ჩაბმული ნარკოტიკების საერთაშორისო მიმოქცევაში. თუნდაც, პანკისის ხეობა ავიღოთ. გეოგრაფიული თვალსაზრისით, ეს არ არის ჩაკეტილი ხეობა, რომ შიგ შეღწევა შეუძლებელი იყოს. ნარკოტიკების წარმოება-განაწილებისთვის პანკისში მაინცდამაინც გადასარევი ბუნებრივი პირობები არ არის. ნარკობარონების ბუდედ მისი ქცევა უფრო რუსეთისა და ჩვენი სამართალდამცავების დამსახურებაა. ჯერ რუსეთმა გადმოუშვა შეგნებულად ჩეჩნები, შემდეგ ამ პრობლემის აჟიტირება და გაბუქება მოხდა, რასაც სამართალდამცავებმა ხეობის ბლოკ-პოსტებით ჩაკეტვა მოაყოლეს და „შემოღობეს“.

— **ნარკოტიკებით ვაჭრობის თვალსაზრისით, რა მასშტაბებზე შეიძლება იყოს საუბარი?**

— ჩვენი გამოთვლებით, მთელ ქვეყანაში, წლის განმავლობაში 300 მილიონი დოლარის ჰეროინი მოიხმარება. რაც შეეხება ტრანზიტს, აქ, რა თქმა უნდა, გაცილებით დიდ თანხაზე, მილიარდებზეა საუბარი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ ვინ იქნება ამ საქმიანობაში ჩარეული — ეს არის მთელი სახელმწიფო აპარატი და არა მარტო საქართველოში. აქ რუსეთის დაინტერესებაც ცალსახაა.

იმავე პატარკაციშვილის, ან ბერეზოვსკის საქართველოთი დაინტერესება ავიღოთ. სასაცილოა, რომ ეს კაცი ჩვენთან „დინამოს“ საყიდლად, ან მაუდის ბიზნესის დასატრიალებლად იყოს ჩამოსული. საუბარია ნარკოტიკების ტრანზიტის მთლიანად საქართველოში გადმონაცვლებაზე, მით უმეტეს, რომ ცნობილმა ანტიტერორისტულმა ოპერაციებმა ავღანეთში ტრანზიტის ძველი მარშრუტი შეაფერხა.

— **რა მიმართულებასა აქვს ახალ მარშრუტს?**

— ეს არის შუა აზია-ჩეჩნეთი-პანკისი. შემდეგ ნარკოტიკები უკვე მზა ნაწარმის სახით საქართველოს პორტებიდან გადის საზღვარგარეთ. სხვათა შორის, ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბათუმის პორტი. ამას დიდი გამოძიებაც არ სჭირდება — საკმარისია, დააკვირდეთ, რა საეჭვო ყურადღებით აცილებს ხოლმე აბაშიძეების მთელი სანათესავო სრულიად უმნიშვნელო ტვირთად გაფორმებულ გზავნილებს.

— **ტექნიკური თვალსაზრისით, პანკისის რგოლი ამ ჯაჭვში რა როლს ასრულებს?**

— მაქვს ინფორმაცია, რომ პანკისში ნარკოტიკების გადამამუშავებელი ფაბრიკა უნდა მუშაობდეს — რა თქმა უნდა, სიტყვა „ფაბრიკაში“ თანამედროვე, მრავალსართულიან შენობას არ ვგულისხმობ...

— **სამართალდამცავები ამ მოსაზრებას იმით უპირისპირდებიან, რომ ერთი კილო ჰეროინის მისაღებად ათი კილო ოპიუმია საჭირო, ამ უკანასკნელის დამზადებას კი რამდენიმე სატვირთო მანქანა ყაყაჩოს ნამჯა სჭირდება, თავად პანკისის ჰავა კი ყაყაჩოს მოყვანის საშუალებას არ იძლევა.**

— რა თქმა უნდა, სიტუაციისთვის ასეთი ელფერის მიცემა მათ არ აწყობთ. შსს-ს განცხადებით, პანკისში მხოლოდ ნარკოტიკების სარეალიზაციოდ დაფასოება ხდება. დღეს უკვე ცნობილი ფაქტია, რომ არსებობს ისეთი ჯიშებიც, რომელთა მოყვანას არანაირი სპეციალური ბუნებრივი პირობები და ჰავა არ სჭირდება. შესაძლოა, ნამჯის შემოტანა მართლაც წარმოუდგენელი იყოს, მაგრამ ნახევარფაბრიკატული ნედლეულის შემოტანა ოპიუმის, ან სხვა სახით საკმაოდ იოლი შესაძლებელია. რაც შეეხება გადამუშავებას, ამისთვის სპეციალური, მცირე ზომის აპარატურაა შექმნილი და პროფესიონალ ქიმიკოსს მისი ამუშავება უპრობლემოდ შეუძლია. სხვათა შორის, არცთუ დიდი ხნის წინ საქართველოს ჩინკენტის ცნობილი ქარხნის პროფესორები სტუმრობდნენ. მათი ვიზიტის მიზეზი უცნობია... (ყაზახეთის ქალაქ ჩინკენტში პოსტსაბჭოთა სივრცეში უდიდესი ფარმაცევტული ქარხანაა — დ.გ.)

საერთოდ, საქართველოში პანკისი ერთადერთი ადგილი არ არის, სადაც ნარკოტიკებს აწარმოებენ. ჩვენი ინფორმაციით, ასეთი ფაბრიკები არსებობს აჭარაში და ახალქალაქშიც, თუმცა ამ უკანასკნელთან დაკავშირებით დაზუსტებული ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში უკვე დასრულდა კანონპროექტის საბოლოო ვარიანტზე მუშაობა, რომელიც ჯანდაცვის კომიტეტთან ერთად იქნა მომზადებული და ნარკოტიკული საშუალებების ლეგალური ბრუნვის მოწესრიგებას ეხება.

**ზურაბ ჟვიძე,** იურიდიული კომიტეტი:

— კანონპროექტზე მუშაობისას ჩვენი მიზანი იყო, ამ სფეროში არსებული განუკითხაობა ერთ სისტემაში მოქცეულიყო. კანონში საუბარია ლეგალურ ბრუნვაში არსებული ნარკოტიკული ნივთიერებების დამზადების, ტრანსპორტირების, შენახვისა და მოხმარების წესებზე.

— **განსაკუთრებული აჟიოტაჟი მისმა მე-7 მუხლმა გამოიწვია, რომელიც ნარკოლოგიურ დახმარებას გულისხმობს...**

— აჟიოტაჟს ვერ დავარქმევ, თუმცა გარკვეული კამათი იყო. საქმე ეხება ე.წ. „ჩანაცვლების პროგრამას“, რომელსაც პროექტი ითვალისწინებს. მისი მიხედვით, განსაკუთრებით მძიმე ფორმის ნარკომანების მკურნალობა ნარკოტიკული საშუალებების ჩანაცვლების პრინციპით უნდა მოხდეს. ზოგიერთი სამართალდამცავი მიიჩნევდა, რომ ასეთი ქმედება ვითარებას გამოსწორების ნაცვლად, გააუარესებს.

**გივი თარგამაძე:** — საკითხი ნამდვილად არ არის იმ მნიშვნელობის, რომ ზოგიერთებს ასეთი ამბავი აეტეხათ. „ჩანაცვლების პროგრამა“ მხოლოდ ძალიან მძიმე, „გნილოი“ ნარკომანებს ეხება. ასეთი კი სულ ათასი კაცი თუ იქნება. ათასი მძიმე ნარკომანი პოლიციისთვის საკმაოდ კარგ და სტაბილურ შემოსავალს წარმოადგენს (თითოს საშუალოდ 200$ თუ წაართმევენ, თვეში 200.000$ გამოდის). ბუნებრივია, თუ მათ უფასოდ, სტაციონარულად უმკურნალებენ, თანაც ისეთი პროგრამით, რომელიც „ლომკას“ მოუხსნის და „წამალზე“ აღარ ირბენენ, ჩვენს სამართალდამცავებს ეს შემოსავალი მოაკლდებათ...

მთელ მსოფლიოში გაშლილი ანტინარკოტიკული ფრონტის მიუხედავად „თეთრი სიკვდილი“ კვლავ მძვინვარებს. 1999 წელს მიახლოებითი შეფასებით, მთლიანობაში 6,600 ტ ოპიუმი იქნა ნაწარმოები, რაც წინა წელთან შედარებით 2000 ტონით მეტია. ჩრდილო-აღმოსავლეთი აზია ოპიუმის წარმოების მთავარ ცენტრს წარმოადგენს. ლაოსი, მუანმარი და ტაილანდი სპეცსამსახურებში „ოქროს სამკუთხედის“ სახელით არის ცნობილი. მარტო მუანმარში წლიურად 1500 ტონა ოპიუმი იწარმოება. რაც შეეხება დასავლეთ ნახევარსფეროს, ნარკობიზნესსა და წარმოებაში აქ მექსიკა (40ტ) და კოლუმბია (60ტ) ლიდერობენ. ჯერჯერობით, საერთაშორისო ორგანიზაციების ბიულეტენებში საქართველო მხოლოდ ტრანზიტულ ქვეყნად მოიხსენიება, თუმცა, „მომავალი“ წინ გვაქვს. აზიიდან ევროპაში მიმართული ბალკანური მარშრუტის მიღმა ალტერნატიული ქსელიც მოიხსენიება, სადაც საქართველო ძირითად პუნქტად არის შესული. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ ყაზბეგი-თბილისის გზაზე მომხდარი „სი-აი-ეი“-ს (აშშ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო) რეზიდენტის მკვლელობაც სწორედ ნარკობიზნესს უკავშირდება. როგორც შეერთებულ შტატებში ახლახან გამოქვეყნებული მასალებიდან ირკვევა, ფრედ ვუდროფი საქართველოს რეზიდენტურის დირექტორობის გარდა, სხვა მისიასაც ასრულებდა — ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი დიდი გამოცდილების აგენტი რეგულარულად გადასცემდა ცენტრს საქართველოს გავლით დასავლეთში ნარკოტრანზიტის შესახებ მოპოვებულ მასალებს. აღნიშნული მასალები პირველ რიგში „სი-აი-ეი“-ს რუსული განყოფილების შეფთან, ოლდრიჩ ეიმსთან ხვდებოდა. ეს უკანასკნელი კი გასულ წელს რუსეთის სპეცსამსახურებთან „ზედმეტად“ მჭიდრო ურთიერთობისთვის დააპატიმრეს. (დღეს მას სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი) კონგრესში ეიმსის საქმის მოსმენისას გაირკვა, რომ მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე ოლდრიჩ ეიმსი ვუდროფის ინსპექტირების მიზნით საქართველოში იყო ჩამოსული. როგორც ჩანს, იგი გამოგზავნილმა მასალებმა შეაშფოთა და იმის გასარკვევად, თუ რამდენი იცოდა ვუდროფმა, თავად ეწვია საქართველოს. „სი-აი-ეი“ საგამოძიებო ჯგუფის დასკვნიდან ჩანს, რომ ვუდროფმა მართლაც ბევრი იცოდა — ეს უკანასკნელი ერთი კვირის შემდეგ, საკმაოდ საეჭვო ვითარებაში მოკლეს სოფელ ნატახტართან.

***დაჩი გრძელიშვილი***

# თავისუფლების ინსტიტუტისადმი „ЛИЧНУЮ НЕПРИЯЗНЬ ИМЕЮ...“

პარლამენტარ ლევან პირველისა და ანტიკორუფციული საბჭოს წევრ გივი თარგამაძის დუელის ამბავს 2001 წლის ნოემბრიდან იძიებენ. გასულ კვირას გენერალურმა პროკურატურამ სვანი დეპუტატისა და „თავისუფალი“ ანტიკორუფციონერის ამბავზე პარლამენტს ინფორმაცია მიაწოდა. როგორც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს საპროცედურო საკითხთა კომიტეტი აცხადებს, — ძიებამ პარლამენტარის უდანაშაულობა დაამტკიცა. დადგინდა, რომ რესტორან „ძველ სახლში“ თარგამაძისთვის არათუ ლევან პირველს, მის მხლებლებსაც არ უსვრიათ.

თავისუფლების ინსტიტუტსა და ქართველ სამართალდამცავებს შორის „სიამტკბილობა“ ამ კონკრეტულ ფაქტშიც აირეკლა. გენპროკურატურა თარგამაძის „თავხედობით“ განაწყენებული ჩანს.

— დაკითხვაზე სამი დღის დაგვიანებით გამოცხადდა, მერე საგამოძიებო მოქმედების გადადება მოითხოვა, მეორე დღეს კი ჩვენების მოსაცემად აღარ მოვიდაო. თარგამაძეს არც ლევან პირველთან მოუნდომებია დაპირისპირება. ამ დროს კი მესტიელი მაჟორიტარი თურმე „სანიმუშოდ“ იქცეოდა და ძიების მოთხოვნებს უსიტყვოდ აკმაყოფილებდა.

„ძველ სახლში“ შემდგარი დუელის მონაწილეებს რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— **ბატონო ლევან, გივი თარგამაძე პროკურატურაში არ გამოცხადდა. როგორც წესი, დაზარალებულები ჩვენების მიცემაზე მაშინ აცხადებენ უარს, როცა მათზე ზეწოლაა. ამ შემთხვევაშიც გაჩნდა ეჭვი.**

— გივი თარგამაძეს არც დავმუქრებივარ და არც შემიშინებია. 2 თვის წინ განგებ წავედი ავსტრიაში, რადგანაც აქ არ ვიყავი, წესით თარგამაძეს არ უნდა შეშინებოდა. მის საქციელს ერთადერთი ახსნა აქვს. რადგან გენპროკურატურამაც დაადასტურა — გივი თარგამაძისთვის იმ დღეს არავის უსვრიაო, კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. სათქმელი რომ აღარაფერი ჰქონდა, იმიტომაც არ გამოცხადდა პროკურატურაში.



— **მაგრამ თქვენ შორის მოხდა შეხლა-შემოხლა და ამაზეც შეიძლება პასუხი გაგებინონ.**

— მაგრამ ამას ის ეფექტი არ ექნება, რაც მათ გამიზნული ჰქონდათ. კაცს რომ დააბრალებ, მესროლაო, მერე კი საჯაროდ მკვლელს და ბანდიტს უწოდებ, არ არის ეს მორალური ტერორი? თავისუფლების ინსტიტუტი 3 წლის მანძილზე პრესით გულმოდგინედ მლანძღავდა. — რისი დაბრალებაც შეიძლებოდა, ყველაფერი დამაბრალეს, ბოლოს კი „ენერგომამად“ მომნათლეს. ჩემს წინააღმდეგ აგორებული ყველა თემა, მათ შორის — ნიკა უჩანეიშვილის მკვლელობის ამბავიც, ამათი გაღვივებულია, ამიტომ, როდესაც რესტორანში შევხვდი გივი თარგამაძეს, ის სიტყვები ვუთხარი, რაც უნდა მეთქვა.

— **ანუ...**

— ვუთხარი, რომ ეს ქვეყანა თავისუფლების ინსტიტუტმა დაანგრია.

— **ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ „თავისუფლების ინსტიტუტის“ 3-წლიან „ლანძღვას“ მხოლოდ ასეთი უკუბრალდებით უპასუხეთ და ამ მიზეზით გაარტყით თარგამაძეს.**

— ბუნებრივია, სხვა რამის გამოც მოხდა ეს... მაგრამ მე ხომ არ მოვყვები საკუთარი თავის ლანძღვას — ესა და ეს დაწერეს ჩემზე-მეთქი.

— **ითქვა, რომ გივი თარგამაძისა და თქვენი ინციდენტი პირადი წყენიდან მოდიოდა და არა საგაზეთო პუბლიკაციებიდან.**

— თარგამაძის კი არა მთელი თავისუფლების ინსტიტუტისადმი „ЛИЧНУЮ НЕПРИЯЗНЬ ИМЕЮ“. ჩვენ შორის „პირადი წყენის“ გამო რომ ყოფილიყო კონფლიქტი, თარგამაძე ასე ადვილად ვერ გადარჩებოდა.

— **ზემოთ თქვენი ნათქვამი, — განგებ წავედი ავსტრიაში, რომ ძიებისთვის ხელი არ შემეშალაო, ალბათ, არასერიოზულად უნდა მივიღოთ.**

— ფეხს ვმკურნალობდი... აბა, ეგღა მაკლდა თარგამაძის გულისთვის ორი თვე გადავხვეწილიყავი.

გივი თარგამაძემ ინციდენტის პროკურატურისეული შეფასება ჩვენგან შეიტყო. 18 ნოემბერს რესტორანში თავს არავინ დამსხმია, მაგრამ მომაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, იყო სროლაც. არ მითქვამს, რომ ვინმემ დამიზნებით მესროლა და არც იმის მტკიცება დამიწყია, — მოკვლას მიპირებდნენ ან დამჭრეს-მეთქი. იყო ჰაერში სროლა. ეს დაფიქსირებულია ჩემს და რესტორნის თანამშრომლების ჩვენებებში. ის, რომ იქ ლევან პირველმა კი არა, მისმა თანმხლებმა პირებმა ისროლეს, არ არის დამამშვიდებელი გარემოება. ეს ადამიანები — დაახლოებით 15-20 კაცი — შეიარაღებული დადიან, ისვრიან, სადაც და ვისთანაც უნდათ — ეს არაფერს ნიშნავს?! გამოდის, ფიზიკური შეურაცხყოფაც არაფერი ყოფილა. ლევან პირველი აცხადებს, — თარგამაძეს ის ვუთხარი, რასაც მასზე ვფიქრობდიო, — კი ბატონო, მას აქვს აზრის გამოთქმის საშუალება ისევე, როგორც მე, მეც



ყოველთვის იმას ვამბობდი, რასაც მასზე და მის მეგობრებზე ვფიქრობდი... ის, რომ რესტორნის ტერიტორიაზე ჰილზები და სხვა „რაღაცები“ ვერ იპოვა პროკურატურამ, თვითონ პროკურატურის პრობლემაა და არა ჩემი.

— **ჩვენების მიცემა რატომ გადაიფიქრეთ?**

— სრული ჩვენება მთაწმინდის საგამოძიებო პოლიციას მივეცი. ამ პროცესს ზედამხედველიც ესწრებოდა და პროკურორიც. ყველა კითხვას ვუპასუხე, ამის შემდეგ გენპროკურატურაში მომიწია მისვლა. ჩვენებას 3,5 სთ-ის განმავლობაში ვაძლევდი, დავიღალე და ვთხოვე, იმ დღეს შეეწყვიტათ დაკითხვა. იმდენი დრო არ მაქვს, რომ გენპროკურატურის გუნება-განწყობის მიხედვით ვირბინო მათთან და დაუსრულებელი ჩვენებები ვაძლიო. მით უმეტეს, რომ მაშინ ლევან პირველი ავსტრიაში იყო და როცა პროკურატურიდან ურეკავდნენ, ბოდიში და... მათ ერთ ადგილზე გზავნიდა. რა უნდა მექნა? ე.ი. მე, დაზარალებულს, პროკურატურაში უნდა მერბინა, ლევან პირველს კი ამ დროს ავსტრიაში დაესვენა? მზად ვარ ჩვენება მივცე, თუ ლევან პირველს სასამართლოში განსასჯელის სკამზე ვნახავ. ამ ადამიანს გაცილებით მძიმე ფაქტზეც ღერი თმა არ ჩამოვარდნია თავიდან და მე უსაქმური კი არა ვარ. ჩვენი პროკურატურის მიმართ ნდობით განმსჭვალული არასდროს ვყოფილვარ და არანაირი სურვილი არ მაქვს ამ ტაკიმასხარაობაში მივიღო მონაწილეობა.

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი აცხადებს, — სარჩელი გივი თარგამაძემ შეიტანაო, რითაც საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს. საქმე ფაქტის გამო აღიძრა. მეც და ლევან პირველიც დავიკითხეთ, როგორც მოწმეები. პროკურატურას იმაზეც არ შეუწუხებია თავი, დაზარალებულად ვეცანი. ჩვენებაში დავაფიქსირე — პროკურატურასთან ურთიერთობის არანაირი სურვილი არ მაქვს-მეთქი. მით უმეტეს, არ მექნებოდა ამის სურვილი თუ გავითვალისწინებდი პროკურატურასთან ლევან პირველის თბილ ურთიერთობას.

P.S. ლევან პირველმა ორი თვის წინ „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას ავსტრიაში გამგზავრების მიზეზად მკურნალობა კი არა, მომავალი ოჯახური ბედნიერება დაასახელა, — უცხოელ ქალბატონზე ვქორწინდებიო. მაგრამ პარლამენტარი უცხოეთიდან საქორწინო ბეჭდის გარეშე დაბრუნდა და 2 თვის წინანდელი ნათქვამიც გადათქვა, — ვინ მოიგონა, რომ ცოლს ვირთავდი... კი ვაპირებ, მაგრამ როდის, ჯერ არ გადამიწყვეტიაო.

მართალია, ლევან პირველი საახალწლოდ ვერ დაოჯახდა, მაგრამ ამ მხრივ მის ოპონენტს გაუმართლა — გივი თარგამაძემ 8 თვის წინ გაცნობილ ნინო მუშკუდიანზე იქორწინა.

***იზო რიკაძე***

# ეკოპოლიციელის მიერ წართმეული პასპორტებით სახელმწიფომ 300 ათას ლარზე მეტი იზარალა


ბეჟან გუნავა ტერაქტმოწყობილ კარ-მიდამოში

„ჩემს ნათესავებს და მეგობრებს! იმ შემთხვევაში, თუ მომკლეს, ან საეჭვო გარემოებაში დავიღუპე, ან ავტოკატასტროფაში მოვხვდი, იცოდეთ, მე იმ მაფიოზური ჯგუფის მსხვერპლი გავხდი, რომელიც საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს, საგადასახადო დეპარტამენტის დაკვეთას ასრულებდა. ჩემს მკვლელებს მფარველები ხელისუფლებასა და სამეგრელოს-ზემო სვანეთის სამხარეო პროკურატურაში და სხვა სამართალდამცავ სტრუქტურებში ჰყავთ" (აქ ჩამოთვლილია იმ პირების გვარები, ვისაც, მისი თქმით, უკვე ყოფილი ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციის უფროსის, ბეჟან გუნავას სიკვდილი სურს. იქვე იმ ქილერების ვინაობაცაა დასახელებული, ვინც შესაძლო შეკვეთილი მკვლელობა სისრულეში უნდა მოიყვანოს).

ეს წერილი ბეჟან გუნავამ 13 თებერვალს, გვიან ღამით, მის ოჯახზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ დაწერა. იმ ღამეს გამოძიებისათვის ჯერ კიდევ უცნობმა შეიარაღებული დაჯგუფების წევრებმა გუნავას საცხოვრებელი სახლის ეზოს ბეტონის ზღუდეზე მიამაგრეს ნაღმი, რომელიც დაახლოებით დილის ხუთის ნახევარზე, მაშინ, როცა ყველას ეძინა, შორიდან ნასროლი ტყვიით ააფეთქეს. აფეთქების შედეგად ნაღმის ნამსხვრევებმა მთელი ეზო და სახლის ფასადი დააზიანა. ადგილობრივი ექსპერტების განცხადებით, ეზოში ვინმე რომ ყოფილიყო, სასწაულიც კი ვერ გადაარჩენდა. რამდენიმე თვის წინ კი ბეჟან გუნავას სამეგრელოში უბატონოდ ხმის გაცემას ვერავინ უბედავდა, არათუ ტერაქტს. მხარეში მოქალაქეთა კავშირის უცვლელმა ლიდერმა პოლიტიკურ ძალაუფლებას შარშან ზაფხულიდან ეკონომიკური ძალაუფლებაც შემატა, როცა ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციის უფროსად დაინიშნა. თითქოს მის კეთილდღეობას არაფერი ემუქრებოდა, — ცენტრალური ხელისუფლებისაგან, ჟვანია-სააკაშვილის გუნდის სახით, მუდმივი მხარდაჭერა გარანტირებული ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჟვანია-სააკაშვილის გუნდისა და პრეზიდენტის გზა სამუდამოდ გაიყარა, უსიამოვნებებიც დაიწყო.

პირველი გამაფრთხილებელი სიგნალი ბეჟან გუნავასათვის მაშინ გაისმა, როცა ოქტომბერში საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში კოლეგიის სხდომაზე 9 თვის შედეგების შეჯამებისას მისი გათავისუფლების საკითხი დაისვა, საგეგმო პარამეტრების შეუსრულებლობის გამო.

**ბეჟან გუნავა:** „იმთავითვე თვალში საცემი იყო, რომ სამეგრელოს რეგიონალური საგადასახადო სტრუქტურის მუშაობას არაობიექტურად აფასებდნენ. აშკარა იყო, მინისტრი ლევან ძნელაძე პოლიტიკურ შეკვეთას ასრულებდა. როცა მინისტრს ჩემი სიმართლე დავუმტკიცე (ან დასამტკიცებელი რა მქონდა, ძნელაძეს მონაცემები წინ ელაგა), მითხრა, გეგმის შესრულებაზე არასწორი ინფორმაცია ვილაცებმა შემომაპარეს და რადგან თქვენი გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია უკვე გავრცელებულია მასმედიის საშუალებებით, უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩამაყენებთ და მხოლოდ ფორმალურ შენიშვნას მოგცემთო. რა თქმა უნდა, ვიუარე. მიუხედავად ამისა, ლევან ძნელაძემ თავისი №765/3 19 ოქტომბრის ბრძანებით სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებისათვის, „შენიშვნა" მომცა.

ამასობაში ოქტომბრის გეგმის შესრულების საკითხიც დადგა დღის წესრიგში. თუ გავითვალისწინებთ, რომ რეგიონის ცენტრალური და ადგილობრივი საბიუჯეტო პარამეტრები განისაზღვრება ცენტრალიზებულად, ადგილობრივ ხელისუფლებასა და შესაბამისი რეგიონალური სტრუქტურებიდან თუნდაც ფორმალური კონსულტაციების გარეშე, სამეგრელოში არსებული საგადასახადო ბაზის საფუძველზე ხშირად შეუძლებელია იმ გეგმების შესრულება, რომელსაც ჩვენთან შეუთანხმებლად გეგმავს ცენტრი. აქედან გამომდინარე, ყოველივე ეს კორუფციისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის, ვინაიდან გეგმის შედგენა ხდება გეგმის შემდგენის ამა თუ იმ რეგიონალური ინსპექციის მიმართ პირადი დამოკიდებულებიდან გამომდინარე. ამით იმის თქმა მინდა, რომ საგადასახადო დეპარტამენტი სამინისტროსთან ერთად ზოგიერთ რეგიონს ან რაიონს შეგნებულად, ყოვლად გაუმართლებლად უმცირებს გეგმას, ხოლო გეგმის ზემოთ აკრეფილ ფულს ცენტრის და რეგიონის ხელმძღვანელობა, სხვადასხვა ფინანსური მაქინაციით, პროპორციით 60:40 ინაწილებს. შეიძლება ესეც გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი ჩემზე არასამართლებრივი ზეწოლისა. სწორედ ამის თაობაზე ოქტომბრის დასაწყისში წერილობით მივმართე სამინისტროს და დეპარტამენტის ხელმძღვანელობასაც. წერილში ვამტკიცებდი, რომ ოქტომბერ-ნოემბრის გეგმები ხელოვნურად, დაუსაბუთებლად იყო გაზრდილი 330 ათასი ლარით და მოვითხოვდი მათ კორექტირებას."

როგორც ჩვენ მიერ მოძიებული მასალებიდან ირკვევა, ამ მოთხოვნას საგადასახადო დეპარტამენტი დაეთანხმა, მაგრამ ბეჟან გუნავას თქმით, ოქტომბრის თვის მეორე ნახევარში, ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფის ჩარევის შემდეგ, გეგმა კორექტირების ნაცვლად, 25%-ით გაზარდეს, რასაც ბუნებრივია გასული წლის ოქტომბერ-ნოემბრის გეგმის შეუსრულებლობა მოჰყვა. დეპარტამენტს ისღა დარჩენოდა, სამინისტროსათვის გუნავას გათავისუფლება მოეთხოვა. მაგრამ მოთხოვნის არასრულფასოვნების გამო სამინისტრომ დეპარტამენტის ეს წინადადება არ დააკმაყოფილა.

**ბეჟან გუნავა:** „გასული წლის დეკემბრის თვეში, როდესაც ყველა საგადასახადო სტრუქტურა მუშაობის საგანგებო რეჟიმზე იყო გადასული, ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციამ შეუძლებელი შეძლო. ფირმა „მარტინ ბაუერმა", რომელიც ოქტომბრიდან 100 ათასი ლარს გვპირდებოდა, თანხის გადახდაზე უარი განგვიცხადა. მიუხედავად ამისა, ცენტრალური ბიუჯეტი მაინც დიდი გადაჭარბებით შევასრულეთ. რაც შეეხება სოციალურ ფონდებს, წლიური გეგმა ჯერ კიდევ ნოემბერში გვქონდა შესრულებული. იანვარში, მაშინ როდესაც საავადმყოფო ფურცელზე ვიმყოფებოდი და არ ვესწრებოდი სამინისტროში გაფართოებულ თათბირს, დეპარტამენტის თავმჯდომარემ ლევან ჩრდილელმა კვლავ გააკეთა წარდგინება ჩემი გათავისუფლების თაობაზე. ყოველივე ამას დაუმატეთ ის ფაქტებიც, რომ სამინისტროს დაქვემდებარებულმა, ან მის ხელმძღვანელობასთან დაახლოებულმა ზოგიერთი ორგანიზაციის და სტრუქტურის შეფებმა ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციის კუთვნილი თანხები შეგნებულად „შეაყოვნეს" ბანკებში და ამიტომაც ზუგდიდის საგადასახადო ინსპექციის თანხები ვერ გატარდა ცენტრალურ ბიუჯეტში. აშკარაა, რომ მინისტრ ლევან ძნელაძეს და მის გარემოცვას აინტერესებთ არა სამეგრელოში ბიუჯეტის შესრულება, არამედ იმ პოლიტიკური შეკვეთის შესრულება, რომელიც დაკავშირებულია ჩემს მოღვაწეობასთან. გარდა ამისა, ხელთ მაქვს სხვა უამრავი ფაქტი და დოკუმენტური მასალა, რითაც დასტურდება ეჭვი ხელმძღვანელობის მხრიდან ჩემზე პოლიტიკური ზეწოლისა და საგადასახადო სისტემაში გამეფებული კორუფციის შესახებ. სისტემაში გამეფებული კორუფციის მხილება რომ დავიწყე, სწორედ მაშინ მომიწყვეს ტერაქტი, რომელიც მკაცრი გაფრთხილება იყო, რათა ენაზე კბილი დამეჭირა."

ბეჟან გუნავას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით და ჩვენ მიერ წარმოებული ჟურნალისტური გამოძიებით გაირკვა, რომ მას შემთხვევით ხელთ ჩაუვარდა ორი ინდივიდუალური მეწარმის, ვინმე ანდრონიკე ბუკიასა და მალხაზ ჭითანავას მიერ 5 ნოემბერს შევსებული დღგ-ის დეკლარაციები, რომლის მიხედვითაც პირველს ინსპექციაში, აგვისტო-სექტემბერში გამოწერილ 17 ანგარიშფაქტურაზე ერიცხებოდა 76 ათას ლარზე მეტი დამატებითი ღირებულების გადასახადი, ხოლო მეორე ინდმეწარმეს 19 ანგარიშფაქტურით, რომლებიც ამავე თვეებში იყო გამოწერილი, 61 ათასი ლარის დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდა ევალებოდა. გუნავას უფიქრია, ახლა კი მეშველაო და ბუკია და ჭითანავა სასწრაფოდ გამოუძახებია. „როცა კაბინეტში დახეულჩექმებიანი და კალოშებიანი ორი გლეხი შემოიყვანეს, თვალებს არ დავუჯერე. ეს ხალხი როგორ ატრიალებს ათასობით ლარს, როცა ფეხსაცმელიც კი ვერ უყიდიათ-მეთქი", — იხსენებს გუნავა. როგორც გუნავას გაურკვევია, ბუკია და ჭითანავა კომერციული საქმიანობით არასოდეს ყოფილან დაკავებულები. მეტიც, არ იციან ანგარიშფაქტურის გამოწერა და არც დეკლარაციის შევსება. ბუნებრივია, ყოველივე ამის შესახებ ჯერ კიდევ ოქტომბერში საოლქო-საგადასახადო ინსპექციის უფროსი საგადასახადო დეპარტამენტის ხელმძღვანელს №1357 წერილით აცნობებს: „გაცნობებთ, რომ ინდსაწარმო „ანდრონიკე ბუკია"-ს და ინდსაწარმო „მალხაზ ჭითანავას" 5 ნოემბერს შევსებული დღგ-ის დეკლარაციები ჩემი მხრიდან იწვევს მთელ რიგ სერიოზულ ეჭვებს მათი სამეწარმეო საქმიანობის თაობაზე. კონკრეტულად, ზემოთ აღნიშნული პიროვნებები პირადად არ გატარებულან რეგისტრაციაში საგადასახადო ინსპექციაში. მათი სახელების უკან სხვა პიროვნებები დგანან, რომლებმაც ბუკიას და ჭითანავას პასპორტები გამოიყენეს რეგისტრაციაში გასატარებლად და ჩაატარეს უსაქონლო ოპერაცია. ამ და სხვა ობიექტური მომენტებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია წარმოდგენილ დეკლარაციებზე და თანდართულ ანგარიშფაქტურებზე დაყრდნობით ჩათვლის გაკეთება, პირიქით, ჩემი აზრით, საქმე გვაქვს სერიოზული სამართალდარღვევის ფაქტთან. გთხოვთ, პირად კონტროლზე აიყვანოთ აღნიშნული საკითხი და მიიღოთ შესაბამისი ზომები". ეს წერილი რომ დეპარტამენტმა ჯერ კიდევ 29 ოქტომბერს მიიღო, ამას კანცელარიის №3914-იც ადასტურებს. მაგრამ არ ყოფილა რეაგირება. ამასობაში კი ბუკიას და ჭითანავას ამოფარებული ხალხი უსაქონლო ოპერაციებს აწარმოებს, ანგარიშფაქტურებს წერენ, ხოლო ამ ფაქტურების მიმღები საწარმოები ინსპექციას დღგ-ის ჩათვლებს სთხოვენ და სახელმწიფო ბიუჯეტს დიდ თანხებს აკლებენ. ზუგდიდის რაიონის სასამართლო თავისი №341 წერილით აცხადებს, რომ ანდრონიკე ბუკიას და მალხაზ ჭითანავას მათთვის საწარმოების შექმნის თაობაზე არასოდეს მიუმართავთ. ამ წერილიდან გამომდინარე, გამოდის, რომ სასამართლოს ინდსაწარმოების შექმნის თაობაზე დადგენილებები არ გამოუტანია და არც რეგისტრაციაში გაუტარებია, ანუ ინდსაწარმო „ანდრონიკე ბუკიას" სასამართლო რეგისტრაციის №აა-4200/2-240 და ინდსაწარმოს „მალხაზ ჭითანავას" რეგისტრაცია №აა-4200/2-250 ყალბია, რასაც მოსამართლის თანაშემწე ჯეირან მორგოშიაც გვიდასტურებს.

ახლა მოვუსმინოთ **ანდრონიკე ბუკიას:** „როგორც მახსოვს, 1998 წლის ივლისში სამხარეო ეკოპოლიციის თანამშრომელმა, რომელიც სოფელში „07" მარკის თეთრი „ჟიგულით" ჩამოვიდა, ოქმი შემიდგინა რამდენიმე კუბური მეტრი შეშის უკანონო მოჭრისთვის და 32 ლარი ჯარიმის გადახდა დამაკისრა. ამდენი ფული არ მქონდა. მან ჩემი პასპორტი დაიტოვა და მის დაბრუნებას მას შემდეგ შემპირდა, როცა ჯარიმას გადავიხდიდი. პასპორტი რაში მჭირდებოდა, 32 ლარი რისთვის მიმეცა? ამიტომ ეკოპოლიციაში მას შემდეგ არც მივსულვარ. გლეხი ვარ და ოჯახს მიწაზე მუშაობით ვარჩენ, არასოდეს კომერციული საქმიანობით დაკავებული არ ვყოფილვარ." დაახლოებით მსგავს ისტორიას გვიყვება მალხაზ ჭითანავაც. ყალბი სასამართლო დადგენილებით და ყალბი სასამართლო რეგისტრაციით შენიღბული უცნობი პირები ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციაში სხვისი პასპორტებით მიდიან და როგორც ინდსაწარმოები, განცხადებით აღრიცხვაზე აყვანას ითხოვენ. საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილე მერაბ თოდუა, რომელიც მანამდე ინსპექციის უფროსი იყო, მის ადგილზე ორიოდე დღის დანიშნულ ბეჟან გუნავას გარეშე განცხადებას მსვლელობას აძლევს და ამ ინდსაწარმოებს საიდენტიფიკაციო ნომრებსაც ანიჭებს. ბეჟან გუნავას ვარაუდით, „მერაბ თოდუა მათი რეგისტრაციით ორი კურდღლის დაჭერას ფიქრობს. პირველი — ისეთ ნაღმს მიდებს, ნებისმიერ დროს რომ შეუძლია იფეთქოს და დამნაშავედ მე გამომიყვანოს და მეორეც — შესაძლოა ამ ინდსაწარმოებით ჯიბეს ისქელებს".

როდესაც გუნავამ საგადასახადო დეპარტამენტს აღნიშნული ფაქტის შეახებ შეატყობინა და დეპარტამენტიც იძულებული შეიქნა, საეჭვო ანგარიშფაქტურებზე დღგ-ის ჩათვლები არ ეწარმოებინა, გუნავას ავადმყოფობის პერიოდში, კერძოდ კი 8-9 იანვარს, ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციიდან საგადასახადო დეპარტამენტში გაიგზავნა ცნობები №№134/2, 128/1, 131/1, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ ინდსაწარმო „მალხაზ ჭითანავას" და ინდსაწარმო „ანდრონიკე ბუკიას", ბიუჯეტთან ანგარიშსწორება მოუხდენიათ და ამიტომ მათ მიერ სხვადასხვა საწარმოზე გამოწერილი ანგარიშფაქტურით მათ პარტნიორებს დამატებითი ღირებულების გადასახადი უნდა ჩაეთვალოთ. ამ ცნობებზე ბეჭედიც დარტყმულია და გუნავას ხელმოწერაცაა. გუნავა თავის ხელმოწერას გაყალბებულად მიიჩნევს. საკითხავია, მაშინ ვინ დასვა ცნობებზე ბეჭედი?!

> გეგმის შესრულებაზე არასწორი ინფორმაცია ვილაცებმა შემომაპარეს და რადგან თქვენი გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია უკვე გავრცელებულია მასმედიის საშუალებებით, უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩამაყენებთ და მხოლოდ ფორმალურ შენიშვნას მოგცემთო.

***წერილი — №1-11/791***

*საქართველოს საგადასახადო შემოსავლების მინისტრს, ბატონ ლევან ძნელაძეს*

*ბატონო, ლევან, მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 1 და 7 თებერვალს დიდუბე-ჩუღურეთის საოლქო-საგადასახადო ინსპექციიდან მიღებული იქნა №05-01/37 და №05-01/41 წერილები, რომელთა მიხედვით შპს „ელდასო" (საიდენტიფიკაციო ნომერი 201953644) და შპს „ფინანსების კომერციული ცენტრი" (საიდენტიფიკაციო ნომერი 202062908) ითხოვდნენ ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული ი.მ. „მალხაზ ჭითანავას" და ი.მ. „ანდრონიკე ბუკიას" მიერ გამოწერილი საგადასახადო ანგარიშფაქტურებით ჩვენს მიერ გაუქმებული ჩათვლების აღდგენას. ორივე წერილს თან ერთვოდა ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის მიერ მიმდინარე წლის 8 და 9 იანვარს გაცემული ცნობები (№128/1, №131/1), რომელთა მიხედვითაც ი.მ. „მალხაზ ჭითანავას" და ი.მ. „ანდრონიკე ბუკიას" ბიუჯეტთან ანგარიშსწორება მოხდენილი ჰქონდათ (იხ. დანართი). ორივე ცნობაზე ხელმომწერად ფიქსირდება ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის ყოფილი უფროსი ბ. გუნავა.*

*აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ:*

*1. 2002 წლის 3 იანვრიდან ზუგდიდის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსი ბ. გუნავა იმყოფებოდა ბიულეტენზე, გამომდინარე ჩვენში ეჭვს იწვევს გაცემული ცნობების რეალობა.*

*2. მიმდინარე წლის 25 იანვარს ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციიდან მიღებული იქნა ინფორმაცია (№95), რომლის მიხედვითაც ი.მ. „მალხაზ ჭითანავა" და „ანდრონიკე ბუკია" საგადასახადო ინსპექციაში ადგენენ დღგ-ის დეკლარაციებს ანგარიშფაქტურების შესაბამის ეგზემპლარებთან ერთად, მაგრამ ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას არ აწარმოებენ (იხ. დანართი). გამომდინარე, 2002 წლის 8 და 9 იანვარს გაცემული ცნობები და 25 იანვარს მიღებული ინფორმაცია ერთმანეთთან შეუსაბამობაშია.*

*3. საგადასახადო ანგარიშფაქტურებისა და აღრიცხვის სხვა ბლანკების მონიტორინგის სამმართველოს ბაზაში არსებული ინფორმაციით, მიმდინარე წლის 1 თებერვლის მდგომარეობით ი.მ. „ანდრონიკე ბუკიას" მიერ გაწერილი ანგარიშფაქტურებით ქვეყანაში განხორციელებულია დღგ-ის ჩათვლები თანხით 180214 ლარზე, ხოლო ი.მ. „მალხაზ ჭითანავას" გაწერილი ანგარიშფაქტურებით — 162170 ლარზე (იხ. დანართი). ჩვენს ხელთ არსებული ოპერატიული მონაცემებით კი ზემოაღნიშნულ მეწარმეებს სახელმწიფო ბიუჯეტში ერთი თეთრიც არა აქვთ შეტანილი.*

*გთხოვთ თქვენს რეაგირებას.*

***დანართი 20 ფურცელზე თან ერთვის.***

***ლ. ჩრდილელი***

საინტერესოა ისიც, რომ 14 თებერვლის მინისტრის 96/ა ბრძანებაში ბეჟან გუნავას გათავისუფლების შესახებ ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ ზემოთ აღნიშნული წერილია მითითებული.

გუნავა მოხსნეს, მისი ადგილი მერაბ თოდუამ დაიკავა და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იანვრისა და თებერვლის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ როგორ...

2002 წლის 31 იანვარს სადაზღვევო კომპანიამ ზუგდიდის რეგიონალურ საავადმყოფოს გამოუგზავნა 31 ათასი ლარი. ზუგდიდის რეგიონალური ტუბსაავადმყოფოს დირექტორი **ზაზა დგებუაძე:** „ეს თანხა საავადმყოფოს სამედიცინო პერსონალის კუთვნილი ხელფასებია, რომელიც გაუგებარი მიზეზის გარეშე ჩამოგვაჭრა საგადასახადო ინსპექციამ. თითქოს საავადმყოფოს საშემოსავლო ნაწილში 15 ათასი ლარი და სოციალური გადასახადის სახით 16 ათასი ლარი დავალიანება ჰქონდა, რაც არასწორია. უკანონოდ ჩამოჭრილი თანხის დაბრუნება ვითხოვეთ, მაგრამ ამაოდ. ეს თანხა გეგმის შესასრულებლად წავიდა."

აი, ასე ასრულებდა გეგმებს ბეჟან გუნავას ავადმყოფობის დროს მერაბ თოდუა.

**ბეჟან გუნავას** კატეგორიული განცხადებით, „ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრომ 2002 წლის იანვარ-თებერვლის გეგმები გადაჭარბებით შეასრულა, სინამდვილეს არ შეესაბამება. სინამდვილეში, შემოსავლების სამინისტრომ ერთ-ერთი ბანკში 10 მილიონი ლარი კრედიტი აიღო და ამ ვალით მოახერხა როგორც საგადასახადო, ასევე საბაჟო დეპარტამენტების გარღვევის დაფარვა. ხოლო საგადასახადო დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ამ პოსტზე იმიტომ დაინიშნა, რომ მისი ძმა გიორგი ჩრდილელი იმ ბანკის მმართველია და როცა გეგმების შესრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, ძმა ძმას რამდენიმე ათეული მილიონის სესხებაზე უარს როგორ ეტყვის".

ჩვენ აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით ინტერვიუ ვთხოვეთ საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეს **ლევან ჩრდილელს**.

**— იქნებ თქვენ გაგვიმხილოთ ბეჟან გუნავას თანამდებობიდან გათავისუფლების ნამდვილი მიზეზი, ხომ არ ედო მის გათავისუფლებას პოლიტიკური სარჩული?**

— არავითარი პიროვნული, მით უმეტეს, პოლიტიკური დაპირისპირება ბეჟან გუნავასთან არ მქონია და იმედია, მომავალშიც არ მექნება. დაკავებული თანამდებობიდან კი იმიტომ გაათავისუფლეს, რომ სამეგრელოს რეგიონში გეგმები სისტემატურად არ სრულდებოდა. მაგალითად, გუნავამ გეგმა ვერ შეასრულა გასული წლის ვერც ოქტომბერში, ვერც ნოემბერსა და ვერც დეკემბერში. არც წლიური პარამეტრები შეუსრულებია. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი მისი დათხოვნისა.

**— გუნავა ამტკიცებს, რომ დეკემბრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა...**

— გეგმის შესრულება მხოლოდ ცენტრალური ბიუჯეტის შესრულებას არ ითვალისწინებს. გეგმა შესრულებულად მხოლოდ მას შემდეგ ითვლება, როცა მისი ყველა პარამეტრი შესრულებულია, მათ შორის ადგილობრივი ბიუჯეტისაც. ეს მაჩვენებელი სამეგრელომ არა მარტო დეკემბერში, არამედ მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ შეასრულა და იმ დროსაც გუნავა არ გახლდათ ინსპექციის უფროსი. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას სოცუზრუნველყოფის ფონდზე.

**— ყოფილი ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციის უფროსი გეგმების ჩავარდნას მიაწერს მათ არასწორ დაგეგმვას და ბრალად სდებს ზემდგომ სტრუქტურებს, მათ შორის საგადასახადო დეპარტამენტს, რომ ოლქებს და რაიონებს გეგმები პირადი შეხედულებისამებრ უნაწილდებათ, რაც კორუფციის წყარო ხდება.**

— აბსურდული, ყოველგვარ დოკუმენტურ მტკიცებას მოკლებული განცხადებაა. გეგმები ყველგან პროპორციულად იზრდება, გამონაკლისების გარეშე. ბოლოს და ბოლოს, რა ტრაგედიაა გუნავას გათავისუფლება, როცა სწორედ გეგმების შეუსრულებლობის გამო ზედიზედ ოთხი დეპარტამენტის თავმჯდომარე გაათავისუფლეს, ჩემი წინამორბედიც მხოლოდ თვე-ნახევარი იყო თავმჯდომარედ, მასაც არ აპატიეს გეგმის შეუსრულებლობა.

***(გაგრძელება იხ. გვ. 11)***

# ქართული ძიძგილაობა ანუ ვინ უფრო მეტს „დაითრევს...

*დღევანდელმა ვითარებამ საქართველო ახალი რეალობის წინაშე დააყენა — გვეძლევა დამოუკიდებელი, ძლიერი სახელმწიფოს აშენების შანსი. მაგრამ ამ საქმეს სახელმწიფოებრივი აზროვნება სჭირდება. დღეს, როგორც არასდროს, გვმართებს თითოეული ნაბიჯის გათვლა და ყოველი სიტყვის აწონა, პირადული ამბიციების დავიწყება, ზრუნვა საზოგადო საქმისათვის... მაგრამ ქართულ პოლიტიკურ არენაზე გამართული ძიძგილაობა, სამწუხაროდ, სწორედ სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტზე მიგვანიშნებს: პარლამენტსა და პრეზიდენტ-სახელმწიფო მინისტრს შორის მოსალოდნელი კონფლიქტის კონტურები უკვე იკვეთება (პარლამენტს მინისტრთა კაბინეტი უნდა). ოდესღაც მონოლითურ ძლიერ მმართველ პარტიაში მუშტი-კრივია გაჩაღებული — ერთმანეთს ბრალს სდებენ, — შენ ჩემზე მეტი მოიპარეო. ოპოზიციონერები სახელისუფლებო ძალებს ულრენენ და პარალელურად ერთმანეთის დისკრედიტაციასა და ჩაძირვაზე მუშაობენ — „ნაციონალისტები" „აღორძინებას" ურტყამენ, „ლეიბორისტები" სააკაშვილს იდეების მოპარვას აყვედრიან. აჭარის ლიდერს ასლან აბაშიძეს ცენტრალურ სტრუქტურებში დაგეგმილი ტერაქტები უკარგავს მოსვენებას. ზოგს ამერიკელების მოსვლა უხარია, ზოგიც რუსეთს ვერ შელევია — და რა ვუშველოთ ქვეყანას, სადაც ყველა ყველას მოწინააღმდეგეა? ამ ურთიერთქიშპსა და სიძულვილში ვერც შევნიშნეთ, რომ დამოუკიდებელმა საქართველომ პირველად შეძლო თავისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის ღირსეულად დაცვა მრისხანე, დიდ მეზობელთან დიალოგისას — ათასგზის ნაკრიტიკებმა პრეზიდენტმა ამჯერად ფხა გამოიჩინა. საქართველო თავის შვილებს თანადგომას სთხოვს. დღეს მაინც ვიღოთ ყურად ეს მოწოდება!*

*ვესაუბრებით ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილ თავმჯდომარეს* ***ირაკლი შენგელაიას:***



**როგორც ჩანს, ჯერჯერობით ვერ ხედავენ ისეთ პიროვნებებს, რომელიც შევარდნაძეს ჩაანაცვლებდა. ამ მოსაზრებით უჭერს დასავლეთი მხარს შევარდნაძეს და არა იმიტომ, რომ მოსწონთ მისი პოლიტიკა.**

— სამწუხაროდ, დღესაც მოიძებნებიან უსინდისო ჩინოვნიკები, რომლებიც საკუთარი ინტერესების გამო ჯაშუშებივით მოქმედებენ და ყველაფერზე მიდიან.

რუსები პანკისში წესრიგის დასამყარებლად რომ შემოსულიყვნენ, ძალიან პრიმიტიული მოდელი ამოქმედდებოდა. — „ფსბ"-ს გაწვრთნილი ჩეჩენი ან სხვა ეროვნების ადამიანი მოკლავდა რუს ჯარისკაცს და ამას რა პროცესებიც მოჰყვებოდა, ადვილი გასათვლელია. აფხაზეთსა და ცხინვალშიც ამ მოდელმა იმუშავა. ამაზე რთული კომბინაციებისთვის რუსებს გონება არ ჰყოფნით. მათ რომ სათანადო მენტალიტეტი არ გააჩნიათ, ივანოვების — ორი „ივანუშკას" მაგალითზეც კარგად ჩანს — ამხელა თანამდებობის პირები იმას ლაპარაკობენ, რაც ენაზე მოადგებათ. გავიხსენოთ რუსეთის გენერალიტეტის განცხადებები და თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის შეფის მანილოვის ნათქვამი — საქართველოში ყველა აზიმუტით შევალთო. ეს ხომ სრულ ოკუპაციას ნიშნავს. ასეთი ჭკუა-გონების ხალხთან, ბუნებრივია, რთულია ურთიერთობა. დღეს პუტინი იმავეს აკეთებს, რასაც ადრე გორბაჩოვი აკეთებდა. გორბაჩოვს საბჭოთა კავშირის გადარჩენა უნდოდა და ამიტომ დასავლეთთან ნებისმიერ დათმობაზე მიდიოდა. იმავე მდგომარეობაშია პუტინი. პრობლემები რუსეთსაც აქვს. საქართველოში სეპარატიზმი ძირითადად ეთნიკურად არაქართულ რეგიონებშია. რუსეთში კი რუსული რეგიონები აზროვნებენ სეპარატისტულად. არსებობს რამდენიმე რუსული სახელმწიფოს იდეა, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში გაჟღერდა. საუბრობდნენ ციმბირის რესპუბლიკაზე — და ეს იდეა კვლავაც ცოცხალია. ამ პრობლემის გადაჭრა რუსეთს დასავლეთის გარეშე არ შეუძლია. პუტინი პრაგმატული აზროვნების კაცი აღმოჩნდა. მან დაინახა ის, რისი დანახვაც ელცინმა ვერ შეძლო. რუსებმა რაც აფხაზეთში დაგვმართეს, ბუმერანგივით მოუტრიალდათ ჩეჩნეთში... ამიტომ რუსი პოლიტიკოსების ისტერიული ჩოჩქოლი იმ სიტუაციის დანახვაა, რაც რეალურად არსებობს.

რუსეთის გენერალიტეტისთვის აუცილებელია გამუდმებული არეულობა საქართველოში, რომ გამართლებული იყოს მათი აქ ყოფნა. ისინი ვერ ეგუებიან, რომ საქართველოში საქმე მათ გარეშე კეთდება. მაგრამ ნურას უკაცრავად, — საქართველო თავად მიხედავს თავის საქმეს.

— **მაგრამ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში გარკვეული წინააღმდეგობები არსებობს, რაც ბუნებრივია, ხელს შეუშლის ქვეყნის სასიკეთო განვითარებას...**

— ამიტომ პოლიტიკაში ისეთი ადამიანები უნდა იყვნენ, რომელთაც ქართული ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება სურთ. როგორც იქნა, დაიწყო საუბარი აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმაზე. ის მოდელი, რაც ანტიკორუფციულმა საბჭომ წამოაყენა — 10-12 სამინისტრო არსებულების ნაცვლად — მისაღებია. მინისტრების, მათი მოადგილეებისა და აპარატის მოხელეთა რიცხვი უნდა შემცირდეს, რადგან ქვეყანაში უკვე ჩინოვნიკური წარღვნაა. მაგრამ თქვენ ნახავთ, რომ ამ რეფორმის წინააღმდეგ აღმასრულებლების გარდა, რომელთაც სავარძლის დაკარგვის ეშინიათ, პარლამენტშიც გაილაშქრებენ.

— **რა მოტივაციით? აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმა, წესით, საკანონმდებლოს ნაკლებად უნდა შეეხოს.**

— ახალი სისტემის თანახმად, ხელისუფლება პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანოდ გადაიქცევა. აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქცია შემცირდება, პარლამენტის უფლებამოსილება კი გაიზრდება. ბიუჯეტის მიღება პარლამენტის პრეროგატივა იქნება და არა კანცელარიის. ამის გამო უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ის პარლამენტარები, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად კორუფციაში არიან გასვრილი.

— **კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— ხომ ცნობილია, რომ პარლამენტსა და კანცელარიას შორის ხდებოდა გარიგებები ნებისმიერ საკითხზე, წესდებოდა საგადასახადო შეღავათები, ხდებოდა იმ კანონპროექტების ლობირება, რომლითაც აღმასრულებელი ხელისუფლება შედიოდა პარლამენტში. ზოგ კანონპროექტში ისეთი ცვლილებები შეჰქონდათ, რაზეც ხალხმა არაფერი იცოდა. პარლამენტსა და კანცელარიას შორის კანონპროექტების გადაგზავნა-გადმოგზავნაში იმართება ვაჭრობა იმაზე, ვის რომელ კრედიტს მისცემენ ბიუჯეტის ხარჯზე, ვინ რამდენ თანხას გადარიცხავს თავის უწყებრივი მიმართულებით, ვინ რამდენ გრანტს დაითრევს და ა.შ. ეს სისტემა უნდა დაინგრეს. ეს არის პრობლემა და არა ის, რომ ქვეყანას პრემიერ-მინისტრი ჰყავს თუ არა. 10 მინისტრს სახელმწიფო მინისტრიც თავისუფლად მოერევა. მაგრამ სწორედ ამის წინააღმდეგ ილაშქრებს პოლიტიკური სპექტრი. ზოგიერთებს, რომელთაც თავიანთი სხეულის ერთი ნაწილი უკვე მოარგეს პრემიერ-მინისტრის სავარძელს, მუცლის გვრემა აქვთ. მერწმუნეთ, პოლიტიკური პარტიების ლიდერების 70%-ს თავი პრემიერ-მინისტრად წარმოუდგენია და აბა ეს ხალხი როგორ მიიღებს ამ რეფორმებს. მაგრამ გადამწყვეტი იქნება პრეზიდენტის პოზიცია. თუ მან დაიწყო ლავირება აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის, ყველაფერი ჩაფლავდება. სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხმა აღმასრულებელი ხელისუფლების რეფორმას უნდა დაუჭიროს მხარი, არ უნდა მიიღონ გარიგება, რომელიც წამოტივტივდა — ადგილობრივი არჩევნები რაიონებში უნდა ჩატარდეს, სოფლის გამგებლები კი რაიონიდან დაინიშნონ და არ უნდა იყვნენ არჩეულებიო. წარმოიდგინეთ, რა ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება პარტია, რომლის წარმომადგენელიც რაიონის გამგებლად გავა. ხედავთ, წინასწარ როგორ ინაწილებენ რაიონებს?

— **ალბათ ჩვენი დასავლელი მეგობრები ფიქრობენ საქართველოს ხელისუფლების მომავალზე, ანუ მომავალ პრეზიდენტზეც...**

— ბუნებრივია დასავლეთში ფიქრობენ როგორი პრეზიდენტი ეყოლება მომავალში საქართველოსა და რამდენად დაუპირისპირდება ის რუსეთს, ანუ რამდენად შეძლებს გამკლავებას მის პოლიტიკასთან. გამორიცხულია აქცენტის გაკეთება ისეთ პიროვნებაზე, რომელიც რუსეთს ლუკაშენკოსავით გაჰყვება. როგორც ჩანს, ჯერჯერობით ვერ ხედავენ ისეთ პიროვნებებს, რომელიც შევარდნაძეს ჩაანაცვლებდა. ამ მოსაზრებით უჭერს დასავლეთი მხარს შევარდნაძეს და არა იმიტომ, რომ მოსწონთ მისი პოლიტიკა.

დღეს არ არის იმაზე საუბარი, ამერიკის ქვეშევრდომები გავხდებით თუ რუსეთის. ამჟამად მხოლოდ არჩევანი კეთდება ტოტალიტარულ და თავისუფალ სისტემებს თუ ღირებულებებს შორის. თუ დასავლურ პრინციპებსა და ღირებულებებს მივიღებთ, ეს სულაც არ ნიშნავს ეროვნული ინტერესების შელახვას. თუნდაც ის ფაქტი, როგორ მიიღო დასავლეთმა ქართული ფოლკლორი, ხომ იმის მაჩვენებელია, რომ ეს სისტემა მსოფლიო კულტურათა ურთიერთობის და თავისუფლების მომხრეა.

საქართველო უფსკრულში გადაჩეხას გადაურჩა და ამას განგების ნებად მივიჩნევ. საქართველო მარტო ჩვენ არ ვართ, საქართველო ის გზაც არის, რაც ჩვენ გამოვიარეთ. დღევანდელზე უფრო უჭკუო ხელისუფალნიც ჰყოლია საქართველოს, მაგრამ ღვთის მადლით გადარჩენილა. თანადგომა და თანაარსებობა უნდა ვისწავლოთ ქართველებმა... ბეწვის ხიდი უკვე გავიარეთ, ამჟამად ბილიკს ვადგავართ, რომელმაც უეჭველად ფართო გზაზე უნდა გაგვიყვანოს.

***მარი ზანდუკელი***

კრიმინალი
CRIME NEWS
სპეციალური გამოშვება
SPECIAL EDITION
ფასი 50 თეთრი
გამოდის ყოველ ხუთშაბათს
გაზეთ „კრიმინალის" 7 მარტის სპეციალურ გამოშვებაში თქვენ იხილავთ შემდეგ მასალებს:
• წელიწადში საშუალოდ 50 ქართველ პოლიციელს კლავენ;
• ექვემიტანილს დაკითხვაზე 4 კბილი ამოუღეს, შემდეგ კი ცოცხლად დამარხეს;
• სად და როდის დაიგეგმა ხაბეიშვილის, ჭანტურიასა და გულუას მკვლელობები;
• რატომ ვერ გაამართლეს გამოცდაგავლილმა მოსამართლეებმა;
• რა ხდება ლილოს ტერმინალში;
• როგორ რყვნიან ქართველ გოგონებს საზღვარგარეთ;
• ლინჩის სასამართლო ქართულად: გაავთრებულმა ბრბომ მესაფლავე დაასამარა.

# ვინ ვის დაბომბავს
## —თბილისი ბაღდადს თუ პირიქით?

საქართველოში, კერძოდ კი პანკისის ხეობაში, შესაძლო ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყების პარალელურად, ქართულ მასმედიაში ვრცელდება მოსაზრებები, რომ შესაძლოა ამერიკელებმა ქართული აეროდრომებიდან საჰაერო დარტყმები მიაყენონ ერაყის ტერიტორიას.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ თეთრ სახლს მოსვენებას არ აძლევს ერაყის ლიდერი სადამ ჰუსეინი. აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშ-უფროსს დღემდე ვერ უპატიებია თავისი თავისთვის, რომ 11 წლის წინ, სპარსეთის ყურეში დაწყებული ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი" არ დაასრულა და ერაყის ხელისუფლებას არ მოაცილა სადამ ჰუსეინი.

დღეს მამას შვილის — პრეზიდენტ ჯორჯ ბუში-უმცროსის იმედი აქვს. თეთრი სახლი საბაბს ეძებს ერაყში არსებული წყობის ძალისმიერი გზით შესაცვლელად; გაეროში რამდენიმე დღის წინ ბაღდადს ბრალდებად წაუყენა — რატომ გადააკეთეს ერაყელებმა რუსეთიდან იმპორტირებული სატვირთო „ურალები" სარაკეტო დანადგარების განსათავსებლადო.

ყველაფერი იმისკენ მიდის, რომ ზემოხსენებული (სიმართლე რომ ითქვას, არც ისე დიდმნიშვნელოვანი) თუ



ერაყული „სკადები" თბილისს ვერ დაემუქრება

უფრო სერიოზული, ანტიტერორისტული ოპერაციის მიზეზით პენტაგონმა დაიწყოს საშუალო მასშტაბების საბრძოლო მოქმედებები ერაყის მიმართ.

მაგრამ გამოიყენებს კი პენტაგონი ამისთვის ქართული აეროდრომებს? სტატიის ავტორის აზრით, ეს მეტად საეჭვოა.

ჯერ ერთი, ყველა ქართულ ან ყოფილ საბჭოთა სამხედრო აეროდრომებს აუცილებლად სჭირდება აღდგენა. თანამედროვე საბრძოლო ავიაციისთვის გამოსადეგად საქართველოს ტერიტორიაზე შეიძლება დასახელდეს სენაკის, კოპიტნარის, ვაზიანის, მარნეულისა და დიდი შირაქის აეროდრომები.

ისინი დღეისათვის საკმაოდ სავალალო მდგომარეობაში არიან. ბევრგან აყრილი და მოპარულია ასაფრენ-დასაფრენი ზოლის ბეტონის ფილები, მოჭრილია ელექტროგადამცემი კაბელები და ა.შ. მარნეულის აეროდრომი მართალია, თურქეთმა გაარემონტა, მაგრამ დღემდე არ არის დამონტაჟებული ახლო და შორეული სანავიგაციო სისტემები, არც განათების სისტემა ამუშავებულა. ასე რომ, მარნეულიდან საბრძოლო გაფრენების განხორციელება რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში და ისიც ღამით, დღეისათვის შეუძლებელია.

არადა, არც ერთი ნორმალური ქვეყნის სამხედრო-საავიაციო მეთაურობა (მით უმეტეს ამერიკელები) ისე არ დაგეგმავს საბრძოლო ოპერაციას, რომ მისი ყველა წვრილმანი არ გაითვალისწინოს.

მეორე მხრივ, ამერიკელებს თუ დასჭირდათ, არ გაუჭირდებათ ქართული აეროდრომების (ერთი-ორი მაინც) ორიოდ თვეში სრულ წესრიგში მოყვანა. ამის საუკეთესო მაგალითია ტაჯიკეთის, უზბეკეთისა თუ ყაზახეთის რამდენიმე სამხედრო აეროდრომი. როდესაც პენტაგონმა სასწრაფოდ მოინდომა ავღანეთში საჰაერო ოპერაციის დაწყება, ზემოხსენებულ აეროდრომებზე სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით თვალის დახამხამებაში გადაისროლეს აეროდრომების საველე მოწყობილობები (მობილური რადიოლოკატორები, ელექტროგენერატორები, აერონავიგაციის სისტემები, საწვავგამწყობები და ა.შ.).

ბუნებრივია, ანალოგიურის გაკეთება თეთრ სახლს საქართველოშიც შეუძლია, მით უმეტეს, რომ მისი ხელმძღვანელობა სიხარულით შეხვდება ამერიკელების ამ წინადადებას.

მაგრამ უღირს კი აშშ-ს საქართველოდან დაბომბოს ერაყი? რა თქმა უნდა, არა. ამ საქმისთვის ის ხშირად იყენებს თურქეთის, ინჯირლიყის სამხედრო-საჰაერო ბაზას.

სწორედ ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის" დროს ინჯირლიყში დამატებით გადაისროლეს აშშ-ის დამრტყმელი ავიაციის ნაწილები, რომლებიც მას შემდეგ ამ აეროდრომზე ბაზირებენ. ისინი სისტემატურად აკონტროლებენ ერაყის იმ საჰაერო სივრცეს ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც გაეროს დადგენილებით, სადამ ჰუსეინის „არწივებს" აკრძალული აქვთ ფრენა.

**ჩვენი დოსიე: თურქეთის სამხრეთით, ინჯირლიყის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე დგას საერთაშორისო ოპერატიული რეაგირების შერეული შენაერთი. ფრანგების 150-კაციანი ჯგუფი 5 გამანადგურებელ ბომბდამშენს JAGUAR-სა და ერთ საჰაერო ტანკერ KC-135-ს ემსახურება. 260 ინგლისელი სპეციალისტი 6 საფრონტო ბომბდამშენ TORNADO-სა და 2 საჰაერო ტანკერ VC-10-ს ამზადებს ერაყისკენ გასაფრენად. ყველაზე მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი ინჯირლიყში ამერიკელებს ჰყავთ — 2.900 კაცი. მათი 50-მდე სამხედრო თვითმფრინავიდან აუცილებლად გამოსაყოფია 18 ცალი F-16 და 6 — F-15C გამანადგურებელი, 3 EF-111 რადიოელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავები და რა თქმა უნდა, არანაკლებ სამი E-3 — საჰაერო სივრცის კონტროლის მფრინავი პუნქტი.**

არსებობს მოსაზრება, პენტაგონს იმიტომ შეიძლება სურდეს საქართველოდან და არა ინჯირლიყიდან დაბომბოს ერაყი, რომ სადამ ჰუსეინის საპასუხო სარაკეტო დარტყმები თურქეთში განთავსებულ ბაზას მისწვდება, ქართულ აეროდრომებს კი არაო.

სინამდვილეში სადამ ჰუსეინს თითქმის აღარ დარჩა ის მობილური სარაკეტო დანადგარები, რომლებითაც „უდაბნოს ქარიშხლის" დროს რამდენიმე სარაკეტო დარტყმა მიაყენა ისრაელს.

ბაღდადს 12 წლის წინ ჰქონდა ძირითადად ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების რამდენიმე ათეული SCUD-B, სარაკეტო დანადგარი, უნდა ითქვას, საბჭოთა P-17-ის ანალოგი. თავის დროზე ასეთი სარაკეტო დანადგარები იმ ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო ბრიგადებსაც გააჩნდათ, რომლებიც საბჭოთა პერიოდში სამხრეთ კავკასიაში — შაუმიანსა და პერეკიშკიულსში იყო დისლოცირებული (სხვადასხვა ინფორმაციით, სწორედ აქედან დარჩა სომხეთის არმიის „სკადის" 8 დანადგარი).



პენტაგონს ერაყის საქართველოდან დაბომბვა არ სჭირდება — ამის განხორციელება ავიამზიდებიდან უფრო მოსახერხებელია

ერაყული SCUD-B-ის მოქმედების რადიუსი 300 კმ-ს არ აღემატება და ამიტომ იმის თეორიული დაშვებაც, რომ სადამ ჰუსეინს შეუძლია ამერიკელებს საპასუხო დარტყმა საქართველოს ტერიტორიაზე მიაყენოს, არ არის მართებული, რადგან ერაყის უკიდურესი ჩრდილოეთი საზღვრიდან საქართველოს სამხრეთ საზღვრამდე არანაკლებ 450 კმ-ია.

მაგრამ, არის ერთი გამონაკლისიც — გადაუმოწმებელი ინფორმაციის მიხედვით, ჩრდილოეთ კორეის კომუნისტმა კონსტრუქტორებმა სრულყვეს მოძველებული საბჭოთა P-17 და ერაყელებს მოდერნიზებული SCUD-C მიაწოდეს. ამ უკანასკნელის (მას „მოფერებით" „ალ-ჰუსეინს" ეძახიან) მოქმედების რადიუსი 600 კმ-მდეა გაზრდილი.

*(გაგრძელება იხ. გვ. 9)*



# SOF-ი მთელ მსოფლიოს „მოედო“

### რას წარმოადგენენ ამერიკული „სპეციალური ოპერაციების ძალები“?

ქვეყნებს, რომლებსაც მსოფლიო ბატონობაზე აქვთ კონკრეტული პრეტენზია, უსათუოდ სჭირდებათ ათასობით კმ-ით დაშორებულ რეგიონებში გადაისროლონ სამხედრო ძალები იქ არსებული კრიზისული მდგომარეობის მოსაგვარებლად.

სწორედ ამ შესაძლებლობამ აქცია თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ პირველ ქვეყნებად აშშ და საბჭოთა კავშირი, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ჯარების ოპერატიულ გადასროლას შორ მანძილზე.

ამ ფუნქციას უმთავრესად ასრულებდნენ ორივე ქვეყნის საჰაერო-სადესანტო ჯარები, რომელთა დანაყოფებს სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები მოწინააღმდეგის ზურგში გადაისროდნენ.

დროთა განმავლობაში ამოცანათა სია მკვეთრად გაიზარდა და მხოლოდ მედესანტეებს გაუჭირდებოდათ მათი განხორციელება. მეორე მსოფლიო ომის და განსაკუთრებით ვიეტნამის ომის დროს აშშ-ში ფართოდ გავრცელდა „სპეციალური დანიშნულების ჯარები“ — მათ ასე ეწოდებოდათ გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებამდე, მაგრამ 1985 წელს დაერქვა, სპეციალური ოპერაციების ძალები“ (SPECIAL OPERATIONS FORCES).

მათ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა აშშ-ის სასიცოცხლო გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებისას მთელ მსოფლიოში. 1987 წლიდან აშშ-ის თავდაცვის მინისტრის აპარატში შეიქმნა „სპეციალური ოპერაციებისა და მცირე ინტენსივობის კონფლიქტების“ განყოფილება, რამაც უფრო გაზარდა „სპეციალური ოპერაციების ძალების“ მნიშვნელობა. გარდა ამისა, აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ჩამოყალიბდა „„სპეციალური ოპერაციების გაერთიანებული მეთაურობა“. ორივე ეს საშტაბო სტრუქტურა მართავს „სპეციალური ოპერაციების ძალების“ მოქმედებას მთელ მსოფლიოში.

1991 წელს „სპეციალური ოპერაციების ძალები“ მსოფლიოს 92 ქვეყანაში ასრულებდა დავალებას, 2000 წელს კი ამ ქვეყნების რიცხვი 152-მდე გაიზარდა.

ანალოგიური დასახელების სტრუქტურაში გაერთიანებულ ქართულ სპეცრაზმებს სწორედ აშშ-ის ამ ძალებიდან გამოგზავნილი ინსტრუქტორები მოამზადებენ.

საგულისხმოა, რომ „სპეციალური ოპერაციების ძალები“ არის შეიარაღებული ძალების სამივე სახეობაში — სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო დანაყოფებში. მათი საერთო რიცხოვნობა 45 ათას კაცს აჭარბებს.

მათ განკარგულებაშია სპეციალური დანიშნულების იარაღი — მაყუჩიანი პისტოლეტები და ავტომატური შაშხანები, მსხვილკალიბრიანი სნაიპერული შაშხანები, მიმართული მოქმედების ნაღმები, ღამის ხედვის აპარატურა, სპეციალური, მართვადი პარაშუტები, აკვალანგები, წყალქვეშა სროლის პისტოლეტები, პორტატიული რადიოგადამცემი და მრავალი სხვა.

„სპეციალური ოპერაციების ძალების“ მებრძოლების გადასროლას ახორციელებენ საამისოდ გადაკეთებული MC-130, AC-130 სატრანსპორტო თვითმფრინავები და MH-53, MH-60 ტიპის შვეულმფრენები.

თუკი ამ ტიპის საფრენი აპარატები საქართველოს საჰაერო სივრცეში გამოჩნდება, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ ამერიკული „სპეციალური ოპერაციების ძალების“ მებრძოლები „სტუმრად“ გვეწვივნენ.

# ვინ ვის დაბომბავს — თბილისი ბაღდადს თუ პირიქით?

*(დასაწყისი იხ გვ. 8)*

თუმცა საქართველოს მოქალაქეებს სანაღვლო არაფერი აქვთ — „სკადების“ უდიდესი ნაწილი ერაყელებს აშშ-ის სპეციალური ოპერაციების მებრძოლებმა (სწორედ მათნაირთა გამოგზავნას აპირებს ვაშინგტონი საქართველოში) თავის დროზე გაუნადგურეს.

და კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც პენტაგონმა შეიძლება თავი შეიკავოს ერაყზე საჰაერო თავდასხმების საქართველოს ტერიტორიიდან განხორციელების დაგეგმვაზე. უმოკლესი საჰაერო მარშრუტი ერაყისკენ ვაზიანისა თუ მარნეულის აეროდრომებიდან ან უშუალოდ სომხეთის თავზე გადადის, ანდა მისი დასავლეთი საზღვრის სიახლოვეს ჩაივლის. სომხეთში კი რუსეთის საჯარისო ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის C-300B ტიპის სისტემის ბატარეა დგას, რომლის რადიოლოკატორი არანაკლებ 100 კმ-ის რადიუსში აღმოაჩენს ყველა მფრინავ ობიექტს (მაგალითად, გიუმრის რუსული 137-ე სამხედრო ბაზის ტერიტორიიდან C-300B-ს შეუძლია ვაზიანისა და მარნეულის აეროდრომებიდან აფრენილი თვითმფრინავების დროული დაფიქსირება).

მოსკოვი კი, ჯერ კიდევ 11 წლის წინ, „უდაბნოს ქარიშხლის“ დროს აწვდიდა სადამ ჰუსეინს ინფორმაციას, თუ საიდან იყო მოსალოდნელი მრავალეროვნული ძალების ავიაციის თავდასხმა. არ არის გამორიცხული, ეს პრაქტიკა გაგრძელდეს. პენტაგონს კი სულაც არ აძლევს ხელს მისი რომელიმე კონკრეტული საბრძოლო ოპერაცია „მიზანმა“ დროზე ადრე შეიტყოს.

თუკი თეთრმა სახლმა მაინც დაიწყო საბრძოლო ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ, უნდა ველოდოთ, რომ საჰაერო შეტევები კვლავ ინჯირლიყიდან, საუდის არაბეთის ამერიკული ბაზებიდან, სპარსეთის ყურეში მცურავი ავიამზიდებიდან და ატომური წყალქვეშა ნავებიდან განხორციელდება. ვაშინგტონს, რომელსაც შეუძლია თავისივე ტერიტორიიდან 24 სთ-ის განმავლობაში საჰაერო თავდასხმა მიაყენოს დედამიწის ნებისმიერ რაიონს (მისურის შტატიდან აფრენილი ამერიკული B-2 SPIRIT-ი 12 ათასი კმ-ის ძირდაუშვებლად ფრენის შემდეგ, ჰაერში საწვავით რამდენჯერმე გაწყობით, ბომბავდა ავღანეთს), ჯერჯერობით, ნაკლებად სჭირდება ქართული აეროდრომები სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ. თუმცა, ყველაფერი რადიკალურად შეიცვლება, თუკი მათი „სამიზნე“ მკვეთრად ჩრდილოეთით გადაინაცვლებს.

P.S. ჯერჯერობით კი ხმების გავრცელება, დაბომბავს თუ არა ამერიკა საქართველოდან ერაყს, დაახლოებით იმას გვაგონებს, თუ როგორ გვსაყვედურობდნენ ჩეჩნები ვაზიანიდან რუსული მოერიშეებით ჩეჩნური სოფლებისა და ქალაქების დაბომბვას. ამ სტატიის ავტორს გროზნოში ყოფნისას ხშირად უწევდა იმის მტკიცება და განმარტება, რომ ეს ბრალდება უსაფუძვლო იყო, რადგან, ჯერ ერთი, ვაზიანში რუსებს საბრძოლო თვითმფრინავები არ გააჩნდათ და მეორეც, ჩეჩნეთის საჰაერო დაბომბვა მოზდოკის აეროდრომიდან ხდებოდა.

# პანკისში ანტიტერორისტული ოპერაცია აღარ ჩატარდება?

### — ეს მხოლოდ მიზეზი იყო აშშ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის დასაჩქარებლად

თავს უფლებას მივცემთ, გამოვთქვათ ერთი მნიშვნელოვანი მოსაზრება — შეიძლება პანკისის ხეობაში არავითარი ანტიტერორისტული ოპერაცია არ განხორციელდეს, მით უმეტეს ამერიკელი რეინჯერების დახმარებით. უბრალოდ, პანკისის პრობლემის საერთაშორისო რანგში აყვანით პენტაგონს საბაბი მიეცა დაეჩქარებინა სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაცია საქართველოში.

არათუ სამი თვის შემდეგ, როდესაც ამერიკელი ინსტრუქტორები მორჩებიან ქართული სპეცრაზმების გაწვრთნას, უკვე დღეისათვის პანკისის ხეობაში თავშეფარებული უცხო ტომის მებრძოლები — ჩეჩნები, არაბები თუ ავღანელები ნელ-ნელა „გაიწოვებიან“ ამ ხეობიდან.

სამაგიეროდ, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ საერთაშორისო ტერორისტების წინააღმდეგ ასევე საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაცია სხვა „თეთრ ლაქაში“, თუნდაც სეპარატისტულ აფხაზეთში, განხორციელდეს.

ბოლო დღეებში სწორედ ამას მიანიშნებენ ოფიციალური თბილისის წარმომადგენლები. თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბ-ნი ბეჟუაშვილი ინგლისური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს, — პანკისის ხეობაში ტერორისტები აღარ დარჩნენ, მათ დატოვეს ეს რაიონიო. გასულ კვირას პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძეც სატელევიზიო გამოსვლაში აცხადებს — მიმდინარეობს კონსულტაციები სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებთან, მათ შორის რუსეთთანაც, იმის თაობაზე, თუ როგორ გადავწყვიტოთ პანკისს შეფარებული თითოეული შეიარაღებულის ბედი მშვიდობიანი გზითო.

ასე რომ, ფაქტობრივად მართლდება „კვირის პალიტრის“ ორი კვირის წინანდელი ვარაუდი — „ეგებ ხეობაში თავშეყრილი თუ უცხოელი მებრძოლები დასავლეთთან შეიარაღებულ დაპირისპირებაზე არ წასულიყვნენ და ისე ჩაებარებინათ იარაღი. შემდგომში საერთაშორისო გარანტიებით შეიძლებოდა მათი გადანაცვლება და განაწილება — ზოგი ახლო აღმოსავლეთში, საკუთარ სამშობლოში დაბრუნდება, ჩეჩნები კი თავიანთ დიასპორას შეაფარებდნენ თავს საზღვარგარეთ და პანკისიც ნელ-ნელა დაიცლებოდა ლტოლვილებისგან“.

პირველ რიგში, ყოველივე ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესშიც შედის — თუკი შეიარაღებული რაზმები მთლიანად დატოვებენ პანკისის ხეობას, იქ დარჩენილი რამდენიმე ათეული დამნაშავის ხელში ჩაგდება ბევრად უფრო ადვილი იქნება, რაც, საბოლოოდ, იმედია, პანკისს მოუხსნის ყველაზე კრიმინალური რაიონის სახელს. ანტიკრიმინალური სპეცოპერაციის განხორციელებას თავდაცვის სამინისტროს „რეინჯერები“ ნამდვილად არ დასჭირდება და ძირითადად შსს-ს სპეცრაზმების დახმარებით ჩატარდება.

# რუსეთის გენერალიტეტი ერთმანეთში საქმეს არჩევს

მაშინ, როდესაც საქართველოს თავისი პრობლემები თავზე საყრელად აქვს და მთავარი ყურადღება იმაზეა გადატანილი — ემანდ, კიდევ რაიმე არ დაგვაბრალონო, ჩრდილში რჩება ის კულუარული მოვლენები, რომლებიც მეზობელი ქვეყნების სახელისუფლო სტრუქტურებში მიმდინარეობს.

არადა ამ მოვლენების შედეგები აუცილებლად ითამაშებს გარკვეულ როლს საქართველოს მომავალზე.

ამჯერად ყურადღებას რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბს შორის არსებულ დაპირისპირებაზე გავამახვილებთ.

რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი პრეზიდენტ პუტინის პროტეჟეა. პრეზიდენტმა იგი ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის თანამდებობიდან თავდაცვის მინისტრის პოსტზე გადაიყვანა რუსულ სამხედრო ელიტაში თავისი გავლენის გასაძლიერებლად.

რაღა დასამალია, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან КГБ და ГРУ ერთმანეთს თვალებს უბრიალებდნენ. „კომიტეტელები“ სამხედრო მზვერავებს სოლდაფონებად მიიჩნევდნენ, ეს უკანასკნელნი კი, „პარტიული მამიკოების გაქსუებულ ნაშიერებს“ უწოდებდნენ მათ.

პუტინი, როგორც КГБ-ს პირველი მთავარი სამმართველოს — ПГУ-ს (დაზვერვა) აღზრდილი, სამხედროებში დიდი სიყვარულით არასოდეს სარგებლობდა. მისი პროტეჟეს თავდაცვის მინისტრად დანიშვნა ორთოდოქსმა რუსმა გენერლებმა დიდ შეურაცხყოფად მიიჩნიეს და შეძლებისამებრ ერთგვარ საბოტაჟს უწევენ მას.

შეიძლება ამიტომაცაა, რომ რუსეთის არმიაში დისციპლინის, საბრძოლო მომზადებისა და ტექნიკის ხარისხი სავალალოა. ყოველივე ამას ემატება თავად სერგეი ივანოვისა და მისი მცირერიცხოვანი ჯგუფის სისუსტე სამხედრო საქმის ცოდნაში, რასაც უკვე თავად პრეზიდენტიც ამჩნევს.

რუსეთის შეიარაღებულ ძალებში რეალურ ძალაუფლებას გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ანატოლი კვაშნინი ფლობს. იგი თავის დროზე ხელმძღვანელობდა ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქს — СКВО-ს და კოორდინაციას უწევდა ჩეჩნეთში მებრძოლ რუსეთის ფედერალურ ძალებს. მას არც წინა მინისტრთან — გენერალ იგორ სერგეევთან ჰქონდა სრული თანხმობა. მათი კულისებს მიღმა ორთაბრძოლა რამდენიმე წელი მიმდინარეობდა. ბოლოს, კვაშნინმა გაიმარჯვა, რადგან პუტინმა სერგეევი პენსიაში გაუშვა და თავის მრჩევლად დანიშნა სტრატეგიული შეიარაღების საკითხებში.

რუსი სამხედრო ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ძალიან მალე შეიძლება მისი ბედი გაიზიაროს ახლანდელმა მინისტრმა სერგეი ივანოვმაც და პრეზიდენტმა იგი ისევ უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტზე დააბრუნოს, რადგან ამ ადგილზე ამჟამად მომუშავე ყოფილი შს მინისტრი რუშაილო, როგორც ამბობენ, საქმეს თავს ვერ ართმევს.

რუსეთის ახალი თავდაცვის მინისტრი კი ალბათ ანატოლი კვაშნინი გახდება — სერგეი ივანოვის ფონზე პრეზიდენტმა ის ნამდვილ პროფესიონალად აღიქვა.

სამაგიეროდ, კვაშნინზე კბილებს ილესავს რუსეთის გენერალიტეტის კიდევ ერთი ფრთა, რომელიც მას რუსეთის სტრატეგიული ინტერესების გაყიდვას აბრალებს. მათი მტკიცებით, გენშტაბის უფროსმა კვაშნინმა შეცდომაში შეიყვანა პრეზიდენტი პუტინი და ხელი მოაწერინა კუბიდან ლურდესის რადიოელექტრონული დაზვერვის ცენტრისა და ვიეტნამიდან კამრანის სამხედრო ბაზის გამოყვანაზე. ორთოდოქსი რუსი გენერლები უკიდურესად გააცოფა ანატოლი კვაშნინის იმ საიდუმლო ბრძანებამ, რომელიც საქართველოს დედაქალაქიდან ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების — ГРВЗ-ს შტაბის გაყვანას ითვალისწინებდა. კვაშნინმა მტკიცე უარი განაცხადა ასეთი ბრძანების არსებობის შესახებ.

თუკი კვაშნინი მაინც გახდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი, მის ადგილზე — გენშტაბის უფროსად შეიძლება მისი პირველი მოადგილე იური ბალუევსკი დაინიშნოს. ეს სწორედ ის ბალუევსკია, რომელიც წლების განმავლობაში ГРВЗ-ში ერთ-ერთ ხელმძღვანელ პოსტზე მსახურობდა და გარკვეული ღვაწლი მიუძღვის საქართველოს უახლესი ისტორიის მოვლენებში. თუმცა მის პროფესიონალიზმს თავად რუსი ექსპერტები ძალიან კრიტიკულად აფასებენ — მათი თქმით, ბალუევსკიმ ისე მიაღწია ასეთ დიდ თანამდებობას, რომ არ უმეთაურია არც პოლკისთვის, არც დივიზიისთვის და არც არმიისთვის და არ გააჩნია ჯარების მართვის პრაქტიკული გამოცდილება.

მეზობელი ქვეყნების არმიებში მიმდინარე საკადრო ცვლილებებისა თუ კულისებში მომხდარი დაპირისპირების შესახებ ანალიზს საქართველოს ხელისუფლება ყოველთვის უნდა აკეთებდეს, მით უმეტეს, თუ ეს ეხება იმ მეზობელს, რომლის სამხედრო ბაზები ჯერ კიდევ ჩვენს ტერიტორიაზეა.

მხოლოდ ერთს დავამატებთ — ორიოდე კვირის წინ რუსეთმა მთავარი აქცენტი ატომური წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების შემდგომ სრულყოფაზე გადაიტანა — ამ წმინდა ტექნიკურ საკითხს თითქოს დიდი მნიშვნელობა მხოლოდ ამერიკელებისთვის აქვს, რადგან ეს რაკეტები უმთავრესად ჩრდილო ამერიკის კონტინენტს უმიზნებს.

მაგრამ ეს ერთი შეხედვით. ამ ბირთვულქობინიან P-29A ტიპის ბალისტიკურ რაკეტებს, ბუნებრივია, ატომური წყალქვეშა ნავებიც სჭირდება გასაშვებად, მაგრამ მათი დროული რემონტი უსახსრობის გამო ძალზე უჭირს რუსეთს, რომ არაფერი ვთქვათ ახლების აგებაზე. ატომური წყალქვეშა ნავების უმეტესობა პირსთანაა მიბმული და ღია ზღვასა და ოკეანეში საპატრულოდ ვერ გადის. ისე, მათ ადგილიდანაც შეუძლიათ ესროლონ ბალისტიკური რაკეტები ნიუ-იორკსა და ვაშინგტონს, მაგრამ უმოძრაოდ მდგარნი ასევე საუკეთესო სამიზნეებს წარმოადგენენ.



**სანამ რუსი გენერლები ერთმანეთში ქიშპობენ, მძიმე საბრძოლო ტექნიკა სიძველის გამო მწყობრიდან გამოდის**

არადა მერაკეტე იგორ სერგეევის მინისტრობის დროს მთავარი აქცენტი მობილურ Тополь-M2-ებზე გაკეთდა — შვიდღერძიან, მძლავრ დანადგარს რაკეტა რუსეთის უკიდეგანო ტყეებში დაჰქონდა და ამერიკულ სადაზვერვო თანამგზავრებს უჭირდათ მისი აღმოჩენა. სხვათა შორის, ეს თანამედროვე რაკეტა, ისევე, როგორც მისი წინამორბედები Темп-ი და Пионер-ი ჩვენი თანამემამულის, ცნობილი კონსტრუქტორის, ალექსანდრე ნადირაძის თაოსნობით შეიქმნა.

ზემოხსენებული ცვლილებით, რომელშიც, როგორც სავარაუდოა, მთავარი როლი ანატოლი კვაშნინს მიუძღვის (შეიძლება იგორ სერგეევის ჯინაზეც), ჩვენი აზრით, რუსეთის სტრატეგიული შეიარაღება მოგებული ნამდვილად არ დარჩება, რითაც ამერიკელებმა კარგი საჩუქარი მიიღეს.

***გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# როგორ დააპატიმრა ქართველმა გენერალმა ამერიკელი მფრინავები...

1961 წლის გაზაფხული. საბჭოთა ადამიანების ერთადერთი გასართობი ისევ კინოა. მართალია, ტელევიზია ამოქმედდა, მაგრამ მისი პროგრამები ჯერჯერობით ძალზე უფერულია. კინო კი... მოგეცათ ლხენა. განსაკუთრებით ქართული კინო და... რიგები, რიგები, რიგები. მოსკოვში მეტრო „მაიაკოვსკიდან“ თბილისელი ახალგაზრდა ამოდის მეგობარ რუს გოგონასთან ერთად. ორივენი მანქანათმშენებლობის სამინისტროში მიიჩქარიან, რომელიც აქედან ერთი ხელის გაწვდენაზეა. თუმცა მეტროს პირდაპირ ჯერ კინოთეატრი „მოსკოვია“, სადაც ყოველთვის ახალ-ახალ ფილმებს აჩვენებენ. ვაჟმა უზარმაზარ სარეკლამო დაფაზე საკუთარი გამოსახულება დალანდა და შეცბა. ქალი შემოაბრუნა და ააჩქარა, ისედაც შუადღეა, გვაგვიანდებაო. თუმცა ყოველდღიურ რიგებს მიჩვეულმა მოსკოველმა ქალიშვილმა, რაკი კინოთეატრის სალაროსთან გრძელი რიგი შენიშნა, ფეხი აღარ მოიცვალა, როგორც ჩანს, კარგი ფილმი გადის და ბარემ ვნახოთ, დღეს მაინც დავაგვიანეთო და ვაჟის წინააღმდეგობის მიუხედავად, ქუჩის მეორე მხარისაკენ გაიწია და ... ერთბაშად გაშეშდა.

— ოთარ, ეს შენა ხარ? ამას მიმალავდი?

ვაჟს იმდენად არ უნდოდა თავის გამჟღავნება, წამით ისიც კი იფიქრა, ვიტყვი, ეს მსახიობი ალბათ მგავს, ეს არის და ესო. მაგრამ, როცა სარეკლამო დაფაზე მსხვილი შრიფტით მიწერილი თავისი გვარი და სახელი ამოიკითხა, სხვა გზა აღარ ჰქონდა, გამოტყდა...

— აი, შე მატყუარა, ე. ი. მსახიობი ხარ! წამოდი ახლავე ბილეთები ავიღოთ, — დაუჟინა ქალმა.

— კარგი, აგრე იყოს, ოღონდ ერთი პირობით, სამინისტროში სიტყვა არ დაგცდეს ამის შესახებ...

ვაჟს მიაჩნდა, რომ მსახიობობას მეტიჩრობაში ჩაუთვლიდნენ. ის კი ინჟინერი იყო, მოწოდებით ინჟინერი. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ეგონა მაშინ, ბედმა კი სულ სხვაგვარად განსაზღვრა ყველაფერი. თუმცა ამაზე ქვემოთ. ჯერ ბილეთები უნდა ავიღოთ.

როგორც გაირკვა, რიგი მომდევნო სეანსის ბილეთებზე იდგა. ამ სეანსზე კი, რომელიც წუთი-წუთზე უნდა დაწყებულიყო, ბილეთები აღარ იყო და ისინი, რომლებიც ფილმის უნახავად წასვლას არ აპირებდნენ, ადმინისტრატორს შემოხვეოდნენ ირგვლივ. ეს ქალბატონი კი, როგორც საზოგადოდ მისი თანამდებობის ხალხს სჩვევია, გაკაპასებული ერთსა და იმავეს იმეორებდა: Нет билетов! ქალი სულ გადაირია, როცა ბილეთის მთხოვნელთა შორის, ვიღაც უცნობი, მართალია, მორიდებით, მაგრამ კავკასიური აქცენტით ითხოვდა ორ ბილეთს — Вы что, глухой, вы не слыхали: Нет билетов! — შეუტია აბეზარ კინომოყვარულს, მაგრამ უეცრად გაოცებისაგან თვალები დააჭყიტა, მთხოვნელს დაჟინებით დააშტერდა და... Бог ты мои!-ო წამოიკნავლა, წამოიკნავლა და სავარძელში ჩაეშვა. ოთარმა დრო იხელთა და ქალს სულმოუთქმელად მიაყარა — Да, да, вы не ошиблись: Это я! ადმინისტრატორი დირექტორთან გავარდა: — წამოდით, სემიონ პავლოვიჩ, ნახეთ ფილმის მთავარი გმირის როლის შემსრულებელი ოთარ ხატიაშვილი თავისი ფეხით გვესტუმრაო...

— ინჟინერ-მექანიკოსი, კინომსახიობი, ჩეკისტი... იყო კიდევ ერთი პროფესია, რომელიც ოთარ ხატიაშვილს, მიუხედავად მისადმი დიდი სიყვარულისა, ძირითად საქმიანობად არ გაუხდია. როგორ მოხდა, ბატონო ოთარ, თქვენ რომ პროფესიონალი მუსიკოსი არ გახდით. იქნებ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ. ამბობენ, ბიძინა კვერნაძეს ღირსეულ მეტოქეობას უწევდაო?

— მართალია და თან სასაცილოა, არა? მაგრამ ნამდვილად ასე იყო და რა ვქნა. ეს იყო შორეულ 1945 წელს. სიღნაღის საშუალო სკოლის მეათე კლასში ვსწავლობდით მაშინ მე და ბიძინა. ერთ კლასში, ერთ მერხზე ვისხედით ორივენი. კონსერვატორიიდან გვეწვივნენ სტუმრები — მუსიკალური მონაცემების მქონე ნიჭიერ ბავშვებს ეძებდნენ. მე და ბიძინაც გაგვსინჯეს. მე, რომ იტყვიან, თადარიგში ჩამწერეს, ბიძინა კი დაიწუნეს.

იმ დროს მე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მუსიკალურ განათლებას ვიღებდი. საკმაოდ კარგი სმენა მქონდა — უშეცდომოდ შემეძლო მოსმენილი მელოდიის გამეორება. ნოტებით ხომ ვუკრავდი და ვუკრავდი. სხვათა შორის, ბიძინა ამ მხრივ ჩამომრჩებოდა, ნოტების კითხვა არ იცოდა, მაგრამ დედამისის გენმა მაინც თავისი ქნა და საქართველოს მოევლინა ერთ-ერთი უნიჭიერესი კომპოზიტორი...

მეათე კლასში ფილტვების ანთებით გავხდი ავად. ეს მაშინ იმდენად საშიში დაავადება იყო, რომ ჩემი გადარჩენა სასწაულს მიაწერეს. რამდენიმე თვე ვიწექი, მშობლებმა აკადემიური ამიღეს და ამხანაგებს ჩამოვრჩი. მომდევნო წელს ისევ მეათე კლასში დამსვეს და ამას ძალიან განვიცდიდი. ცოტა ხანში ახალი „სიურპრიზი“ მელოდა — იმ წელს ათწლედი თერთმეტიანად გადაკეთდა და ისე გამოვიდა, რომ იგივე პროგრამა სამ წელიწადს ვღეჭე. სამაგიეროდ, ისე საფუძვლიანად შევისწავლე ყველა საგანი, რომ სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იოლად ჩავაბარე მისაღები გამოცდები. არ მახსოვს ზუსტად, მგონი თორმეტი თუ თოთხმეტი საგანი ბარდებოდა მაშინ. სამწუხაროდ, კონსერვატორიაში აღარ მივედი, ვიფიქრე, სამი წლის შემდეგ ვინლა გამიხსენებს-მეთქი. სხვათა შორის, სწორედ მისაღები გამოცდების ჩაბარებისას იყო, პირველად რომ კინოსინჯები გადამიღეს, მაგრამ მაშინ ეტყობა თვალში არ მოვუვედი რეჟისორებს... არც მინანია. თორმეტი წლის შემდეგ, როცა უკვე გორის კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის კვლევითი ინსტიტუტის ჯერ წამყვანი სპეციალისტი, შემდეგ კი დირექტორის მოადგილე გახლდით, ორგზის მიმიწვიეს ქართულ ფილმებში მთავარ როლებზე და ჩემი უარის მიუხედავად (ზემდგომის დავალებით), ზედიზედ შეიქმნა ორი ფილმი, სადაც მთავარ როლებს ვასრულებდი. იმავდროულად, ინსტიტუტშიც ვმუშაობდი. მერე ცოტა ხანს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილებაში ვიმუშავე, იქიდან კი სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში გადამიყვანეს.

## სადაურსა სად წაიყვან...

რა ვიცოდი, ან რატომ უნდა მცოდნოდა, რა იყო უშიშროება, არადა კონტრდაზვერვის უფროსის მოადგილედ დამნიშნეს. რამდენიმე თვე არქივებში ვიქექებოდი. მერე მოსკოვში გამატარეს ექვსთვიანი კურსები. გავიდა ხანი და ისე მოვერგე სამსახურს, რომ სულ მალე ინაურის მოადგილედ დამაწინაურეს კადრების დარგში. 70-იანი წლების მიწურულს კამჩატკაზე გადამიყვანეს ისევ მოადგილედ. იქ გადასვლას იმიტომ დავთანხმდი, რომ შორეულში გატარებული ერთი წელიწადი ორად მეთვლებოდა, რაც მოგვიანებით, საპენსიო ასაკის დადგომისას აუცილებლად გამომადგებოდა. ჩემი იქაური შეფი ხშირად ავადმყოფობდა და ერთთავად მოსკოვში იყო სამკურნალოდ. ასე რომ, მისი მოვალეობის შესრულება მე მიწევდა და თანამშრომლებიც შეეჩვივნენ ამას. იმდენად კეთილგანწყობილ გარემოში აღმოვჩნდი, რომ არც მინაღვლია საქართველოდან წასვლა. ოღონდ ის იყო, რომ ქართველს ძნელად თუ შევხვდებოდი. ჩემი სამსახურის წყალობით მაინც დავადგინე, რომ სადღაც, ზღვის სანაპირო ზოლში, ერთ-ერთი გემთმშენებელი ქარხნის დირექტორი ქართველი ყოფილა. უნდა გითხრათ, რომ მეც კი, იქაური კგბ-ს შეფს, გენერალს გამიჭირდა ამ კაცის პოვნა. თურმე გურამ პირველი წყალქვეშა ატომური გემების შემკეთებელი იმ დროს ერთადერთი ქარხნის დირექტორი ყოფილა. ქარხნის ადგილსამყოფელი არც ერთ რუკაზე არ იყო დატანილი. ეს გახლდათ დახურული ზონა, ფაქტობრივად, დიდი სოფელი, რომელსაც პირობითად პეტროპავლოვსკ-50 ეწოდებოდა. გურამთან შეხვედრის შემდეგ, როცა ჩვენი ოჯახებიც დაუახლოვდნენ ერთმანეთს, სამშობლოსგან ასე შორს ყოფნა კიდევ უფრო გამიადვილდა და მიუხედავად იმისა, რომ კამჩატკა ძალზე აქტიურია სეისმურად (მას მუდმივი მიწისძვრების მხარესაც ეძახიან), ცხოვრებით მაინც კმაყოფილი ვიყავი. თუმცა, როცა ერთ მშვენიერ დღეს პეტროპავლოვსკიდან დაახლოებით ასი კილომეტრის დაშორებით, ვულკანი ამოიფრქვა, ცოტა კი შევშინდი, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, ეს მოვლენა (ვულკანის ამოფრქვევა) გეოფიზიკოსებმა წინასწარ დაადგინეს — მოსახლეობაც გაფრთხილებული იყო და მასობრივ პანიკას ადგილი არ ჰქონია. მერე და მერე იმ ადგილას, რამდენიმე თვეში, ვეებერთელა მთა ამოიზარდა. ასე რომ, ხმელეთიდან ვულკანი, ზღვიდან კი რადიაცია გვიტევდა. იქაური ფლოტი ხომ, ძირითადად, ატომურია. ამიტომაცაა, რომ იქ გატარებული ყოველი დღე ორად ითვლება.

ნახევარკუნძულის საზღვაო აკვატორიაში, განუწყვეტლივ დაცურავდნენ როგორც საბჭოთა, ისე ამერიკისა და იაპონიის ატომური წყალქვეშა გემები, რომლებიც ერთმანეთის შესახებ კარგად იყვნენ ინფორმირებულნი. ჩვენ ამას შეგუებულები ვიყავით. უცხოური ხომალდების მოვალეობაში შედიოდა წყალზედა მცურავი ფლოტის შემადგენლობისა და საქმიანობის განსაზღვრა და საერთოდ აკვატორიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ თავისი მხარისათვის ინფორმაციის გადაცემა, რაც იმ დროს ასე კეთდებოდა: ამერიკის მხრიდან მოფრინდებოდა „ავაქსის“ ტიპის მზვერავი თვითმფრინავი და იმ მომენტში, როცა ვერტიკალურად გაუსწორდებოდა წყალქვეშა ხომალდს, ეს უკანასკნელი ეგრეთ წოდებულ „ბუიოკით“ წყლის სიღრმიდან წამის განმავლობაში გადასცემდა ელექტრონულ ინფორმაციას, რომელსაც ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ ვიჭერდით. სამაგიეროდ, თვითმფრინავზე მთელი ლაბორატორია მუშაობდა — ცამეტი კაცი, მათგან მხოლოდ ორი იყო მფრინავი, დანარჩენები მიღებულ ინფორმაციებს ამუშავებდნენ და შემდეგ გადასცემდნენ დანიშნულების ადგილზე...

## ნაბრძანებია, დაასწროთ იაპონელებს

ახლა ისეთ ისტორიას გიამბობ, რაც ჯერჯერობით არსად გამოქვეყნებულა. ყოველივეს უპირველესი აღმსრულებელი მე გახლდით და დღეს პირველად ვყვები ამის შესახებ. 1977 წელს ოკეანის ნეიტრალურ წყლებში ჩამოვარდა აი, ის ზემონახსენები მზვერავი თვითმფრინავი, რომელსაც რუსი მეთევზეების თვალწინ გაუჩნდა ცეცხლი და წყალში ჩავარდა. მეთევზეებმა, როგორც წესი, ამის შესახებ ჩვენ გვაცნობეს. დაუყოვნებლივ მოვახსენე მოსკოვს, საიდანაც მივიღე ბრძანება — რადაც არ უნდა დამჯდომოდა, დამესწრო იაპონელებისათვის თვითმფრინავის ეკიპაჟის აყვანა. მათი თევზსაჭერი სეინერები ხომ მრავლად იყვნენ ნეიტრალურ წყლებში...

გენერალმა ამ ამბის დაწვრილებით მოთხრობისაგან თავი შეიკავა. ამიტომ თავს უფლებას მივცემ და მკითხველს ჩემეულ ვერსიას შევთავაზებ:

— ის იყო, მეთევზეების სეინერებზე რადარებმა თევზის მოზრდილ ქარავანთან მიახლოება დააფიქსირეს და ტრალიც მოისროლეს ზღვაში, რომ ვიღაცამ იყვირა — ჰაერი, ჰაერიო და პირდაღებულმა მგზავრებმა ცეცხლმოდებულ თვითმფრინავს მოჰკრეს თვალი, რომელიც ნელ-ნელა კარგავდა სიმაღლეს და მალე მათგან აღმოსავლეთით, ჰორიზონტის გასწვრივ ჩავარდა ოკეანეში. მეთევზეები შეჩვეული იყვნენ ამ ტიპის თვითმფრინავების ხილვას ნეიტრალური წყლების აკვატორიაში, ისიც იცოდნენ, რომ ისინი ამერიკულ დაზვერვას ემსახურებოდნენ. თვითმფრინავი მასზე განლაგებული ოთხი ხრახნიანი ძრავით საკმაოდ შთამბეჭდავი სანახავი იყო. სეინერების ბრიგადირი სასწრაფოდ დაუკავშირდა პეტროპავლოვსკს, უშიშროების სამსახურის მორიგემ კი იგი პირდაპირ გენერალ ხატიაშვილთან დააკავშირა:

— მისმინეთ, ბრიგადირო, ჩემი თხოვნაა ყურმილი არ დაკიდოთ და ახლავე დაელოდოთ განკარგულებებს, რომელსაც თქვენი ხელმძღვანელობიდანაც მიიღებთ ჩემთან საუბრის შემდეგ.

გენერალმა აპარატი დროებით გამორთო და მეორე აპარატს დასწვდა.

— მოსკოვი გისმენთ!

ოთარმა კგბ-ს გენერალ-პოლკოვნიკს მომხდარის შესახებ მოახსენა და შემდგომი მოქმედების ინსტრუქცია ითხოვა — დამელოდეთ, — იყო პასუხი.



ორი წუთის შემდეგ სხვა ხმა გაისმა ყურმილში. ოთარი მიხვდა, შეფი ელაპარაკებოდა. თუმცა მოსაუბრეს თავისი ვინაობა არ დაუსახელებია.

— თქვენ გევალებათ, დაასწროთ იაპონელებს და ეკიპაჟის გადარჩენილი წევრები პეტროპავლოვსკში გადმოიყვანოთ. საჭიროების შემთხვევაში, იმოქმედეთ პოლიტბიუროს სახელით. დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ გვაცნობეთ ყოველ საათში ერთხელ.

ოთარი ისევ პირველ აპარატს დასწვდა:

— ბრიგადირო, ორიოდ წუთში თქვენ თევსაჭერის სამმართველოდანაც დაგიკავშირდებიან, მანამდე კი, აი, რა უნდა გააკეთოთ: დაუყოვნებლივ აიღეთ გეზი თქვენი თორმეტივე სეინერით თვითმფრინავის ჩამოვარდნის ადგილისაკენ. რვა გემმა პირდაპირი სვლით იმოძრაოს ტრაგედიის ადგილის მიმართულებით. ორ-ორი გემი თქვენგან მარცხნივ და მარჯვნივ, იმავე მიმართულებით იმოძრავებს, მაგრამ არა ცენტრისაკენ, ეს გემები საგრძნობლად უნდა ჩამოგრჩნენ და აკონტროლონ მათ ირგვლივ სივრცე იმ შემთხვევისათვის, თუ იქ იაპონელები გამოჩნდებიან, გასაგებია?

— გასაგებია, ამხანაგო გენერალო, მაგრამ რა ვუყო ტრალებს, რომლებიც ხუთი წუთის წინ ჩავყარეთ ოკეანეში, მათ ამოღებას ხომ დრო დასჭირდება?

— დაუყოვნებლივ გადაჭერით ბაგირები. პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ და საერთოდ, იმოქმედეთ პრინციპით — ყველაფერი მიზნის მისაღწევად. ამ წუთიდან თქვენ თევზსაჭერი ბრიგადა კი არა, მებრძოლი ესკადრილია ხართ. თქვენთან ერთად ამ ოპერაციაში ჩართულია აკვატორიაში მოცურავე ყველა საბჭოთა გემი...

იმავე წუთებში იაპონიის კუნძულ კაძანიდან ამერიკის თხოვნით ბრძანება გაიცა ოკეანეში მოცურავე ყველა იაპონური გემის მისამართით, რათა ყველაფერი ეღონათ თვითმფრინავის ეკიპაჟის ასაყვანად რუსების მოსვლამდე. მხოლოდ წყალქვეშა ხომალდებს, მათ შორის, არც ამერიკელებისას არ მიუღიათ ასეთი ბრძანება. არც ერთ ქვეყანას არ სურდა იმის აღიარება, რომ ჯაშუშურ მოქმედებებს ახორციელებდნენ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ.

ამასობაში კი ოკეანის ცივ წყალში ჭყუმპალაობდა თვითმფრინავის ცამეტკაციანი ეკიპაჟიდან გადარჩენილი რვა კაცი, — ისინი თვითმფრინავის ჩამოვარდნამდე გადმოხტნენ. მათი კომბინეზონები, კოსმონავტის ჩაცმულობას რომ მოგაგონებდათ, სწორედ ამგვარი პირობებისათვის იყო გამიზნული. არც მოტივტივე კამერა იყო საჭირო, არც საჰაერო ბალიში და არც სიცივე იგრძნობოდა შიგნით. დანარჩენები ალბათ იმიტომ დაიღუპნენ, შესაკრავების ბოლომდე დახურვა ვერ მოასწრესო, იტყვიან მოგვიანებით. ახლა კი გადარჩენილები ამ უკიდეგანო სივრცეში ერთმანეთს ეძებენ და მხსნელის მოლოდინში ღმერთს ევედრებიან. თითოეულმა იცის, რომ მათ უკვე ეძებენ, ისიც იციან, რომ მხარეები ერთმანეთს შეეცილებიან პირველობაში. ნამდვილად არ უნდათ რუსების ხელში ჩავარდნა — ნეტავ იაპონელებმა დაასწრონო, ფიქრობენ გულში და ენერგიას ზოგავენ საჭირო წამისათვის. ამ ოკეანეს წყნარი კი ჰქვია, მაგრამ ყოველ წუთს შეიძლება ისე აქაფდეს, რომ კაცი კი არა, ხომალდი ჩაყლაპოს.

საბჭოთა მხარემ დაადგინა, რომ ავარიის აკვატორიაში მყოფი გემებიდან ყველაზე ახლოს გადარჩენილებთან მეთევზეები იმყოფებიან. იაპონელებმა კი გამოთვალეს, რომ ამ საქმეს ყველაზე სწრაფად სასაზღვრო ფრეგატი გააკეთებდა, რადგან შემთხვევის ადგილიდან ყველაზე ახლოს ის დრეიფობდა.

სეინერების სიჩქარე დიდად ჩამოუვარდება სასაზღვრო ფრეგატებისას. შეღამებისათვის ავარიის ადგილამდე მხოლოდ რამდენიმე ათეული მილიღა რჩება. განაპირა სეინერებმა იაპონური ფრეგატი შენიშნეს. ის ისეთი სიჩქარით მიისწრაფვის, რომ ეჭვი არაა, პირველობას არავის დაუთმობს, მაშასადამე, რბოლა წავაგეთ, მის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს.

— თქვენი ნებართვით, უკან დავბრუნდებით, ამხანაგო გენერალო. ჩვენი გემებით სამხედრო ფრეგატთან ჭიდილი უაზრობა იქნება და მეტი არაფერი.

— არსადაც არ დავბრუნდებით, ბრიგადირო. ჩვენთან უკვე დაღამდა. ალბათ თქვენთანაც შებინდებული იქნება ახლა. ჰოდა, ცოტაც აცალეთ და ფრეგატის მხარეს, ანუ თქვენგან მარცხნივ მყოფმა სეინერებმა ერთმანეთთან შეჯახება და განგაში გამოაცხადონ, ეთერში კი კოდირებული რაციით, იაპონელების გასაგონად ჩვენ მოგვახსენეთ, — ეკიპაჟის ერთი წევრი გემების კატასტროფის რაიონში უკვე ვნახეთ და წყლიდან მისი ამოყვანის დროს ჩვენი გემები შეეჯახნენ ერთმანეთს-თქო. შეუდექით დავალების შესრულებას!

ამის თქმა იყო და ეთერში SOS-ის ისეთი სიგნალი წამოვიდა, ოთარმა ისიც კი იფიქრა, ნამდვილი ხომ არ იქნებაო, მაგრამ როცა ცოტა ხნის შემდეგ რადიოგრამაც დაუდეს წინ, ამერიკელის გადარჩენისას ჩვენი სეინერები ერთმანეთს შეეჯახნენო, ეჭვიც გაეფანტა და ცოტა იმედიც მიეცა. წამოეგებიან კი იაპონელები ამ ანკესზე?.. — ფიქრობდა გენერალი.

— იაპონურმა ფრეგატმა კურსი შეცვალა და სეინერების შეჯახების ადგილისაკენ აიღო გეზი! — გაისმა უეცრად რაციაში. ოთარმა შვებით ამოისუნთქა. ახლა გაახსენდა, რომ დილიდან ხემსი არ ჩასვლია პირში. კაცმა რომ თქვას, არც შიოდა, ახლა ვახშმობის დრო არ იყო.

გათენებამდე იწრიალა უკან დახეულმა იაპონურმა ფრეგატმა „სეინერების ავარიის“ რაიონში. ოკეანე ღელავდა და გემებთან ახლოს მისვლა სახიფათო იყო. გამთენიისას ოკეანე დაწყნარდა და თავის შეცდომას მიხვდნენ იაპონელი მეზღვაურები, მაგრამ უკვე გვიანი იყო, — რუსული სეინერები უკვე შემთხვევის ადგილზე იყვნენ. პეტროპავლოვსკიდან გაგზავნილი ვერტმფრენებიდან კი სამაშველო სამსახურის ინსტრუქტორები და საჭირო მოწყობილობა ინაცვლებდა მათ ბორტზე.

კამჩატკიდან სიშორის გამო, ოთხი დღე-ღამე გრძელდებოდა აღნიშნული ოპერაცია. ოთხი დღე-ღამე არ უძინია გენერალ ოთარ ხატიაშვილს. მას შემდეგ, რაც გადარჩენილები საბჭოთა სეინერზე დაიგულა და ისიც აცნობეს, რომ სეინერს რუსული სამხედრო ხომალდები მიაცილებდნენ, გადარჩენილების პეტროპავლოვსკში ჩამოყვანამდე ადგილობრივ საავადმყოფოში ამერიკელებისათვის ისეთი ლუქსები მოაწყო, ლას-ვეგასის კაზინო გეგონებოდათ. ბუნებრივია, ყველა საწოლზე მოსასმენი „ჟუჩოკი“ იყო მიმაგრებული (აბა, როგორ?). ამერიკელებს ყველა სურვილს უსრულებდნენ. მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო და გადარჩენილები დღეში რამდენჯერმე აგზავნიდნენ თავისიანებთან ტელეგრამას, რომელსაც „რედაქტირებას“ გენერალი ხატიაშვილი უკეთებდა.

ორკვირიანი მკურნალობის შემდეგ ამერიკელები ოთარის ბრძანებით წყალქვეშა მეზღვაურების უმაღლესი ხარისხის ტყავის კამუფლიაჟებში გამოაწყვეს და სამშობლოსკენ დაულოცეს გზა. ერთი ცალი მათი კომბინეზონი კი, როგორც გითხარით, კოსმონავტის სკაფანდრს რომ მოგაგონებდათ, „შემთხვევით დაიკარგა“ საავადმყოფოში. იგი საბჭოთა მეცნიერებს სჭირდებოდათ ანალოგიური სამოსლის შესაქმნელად.

**P.S.** მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა დაზვერვამ გადარჩენილი ამერიკელები სამ საბჭოთა მზვერავზე გაცვალა, რომლებიც პენტაგონს ჰყავდა დაკავებული და თუმცა გენერალმა არ დამიდასტურა, მაგრამ ჩემი სარწმუნო ინფორმაციით, ერთი მზვერავი ქართველი იყო. როგორც ჩანს, ხატიაშვილს მისი ვინაობის გამხელა არ სურდა.

***ვაჟა გავაშელი***

# შევარდნაძე ისე ლაპარაკობდა, თითქოს 2-მილიონიანი არმია უმაგრებდა ზურგს...

გასულ კვირას ევროსაბჭოს პოლიტიკურ კულუარებში დაგეგმილ ერთ ავანტიურას აეხადა ფარდა (ანუ მისი შინაარსი ცნობილი გახდა ქართული მასმედიისთვის). ე.წ. „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“, რომელიც, ფაქტობრივად, ამიერკავკასიის დესტაბილიზაციის საფუძველი შეიძლებოდა გამხდარიყო, ამერიკელების გაცხადებული თანადგომის შემდგომ ალბათ აღარ ამოქმედდება.

2001 წლის მაისში რომში გამართულ ევროსაბჭოს პოლიტიკური სკოლის სასწავლო შეკრებაზე ქართულ დელეგაციას სტაბილურობის პაქტი წარუდგინეს, რომლის განხილვას დიდი პოლემიკა, ვნებათაღელვა და მიკროფონების გამორთვა მოჰყვა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ევროსაბჭო გვთავაზობდა სამხრეთ კავკასიის თანამეგობრობის შექმნას, რომლის მთავარ დომინანტებად საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის გარდა აფხაზეთი და მთიანი ყარაბაღიც მოიაზრებოდა. „პაქტის“ ქვეტექსტებში იკითხებოდა შეფარული სურვილიც, რომ დამოუკიდებელ ერთეულებად ჩამოყალიბების შანსი მისცემოდათ აჭარას, ჯავახეთსა და სამაჩაბლოსაც.



**ჯონდი ბაღათურია:** როდესაც რომში დოკუმენტს გავეცანი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მასზე რუსულმა სპეცსამსახურებმა იმუშავეს. პროექტის ავტორს მაიკლ ენტერსონს, როგორც შემდეგ გავიგე, რუსი მეუღლე ჰყოლია. ალბათ ამანაც იმოქმედა დოკუმენტის შინაარსზე. ფაქტობრივად, ეს იყო სამხრეთ კავკასიის და საქართველოს დაშლის სქემა. ამიტომაც პაქტის წინააღმდეგ გამოვიდნენ ოპოზიციაც და ხელისუფლების წარმომადგენლებიც. ყველამ ერთხმად ვთქვით, რომ ამ დოკუმენტით ხდებოდა პროვოცირება — მთელი კავკასია ჩართულიყო საომარ მოქმედებებში. ევროპელი ექსპერტების დიდი ნაწილი ამ პაქტს აშკარად ლობირებდა, მაგრამ ამერიკელებმა მხარი ჩვენ დაგვიჭირეს, როდესაც ჩვენი არგუმენტები მოისმინეს, ოვაციაც კი გაგვიმართეს. ამერიკელთა მხარდაჭერამ სხდომის მონაწილეებზე დიდი გავლენა მოახდინა. ამერიკის პოზიცია ნათელია — მას ძლიერი და სტაბილური კავკასია სჭირდება, ამიტომ დაგვიჭირა მხარი მაშინაც და ახლაც.

ევროსაბჭოს სესიაზე ამ დოკუმენტის გამოტანა, ჩვენთვის კბილის მოსინჯვა იყო. აინტერესებდათ, მივიღებდით თუ არა ისეთ უმსგავსობას, ხოლო როცა განვაცხადე, — მთავრობას, რომელიც ამ დოკუმენტზე ხელს მოგიწერთ, ორ დღეში დაამხობენ-მეთქი, მიკროფონი გამომირთეს.

ვფიქრობ, დადგა დრო, კავკასიის სახელმწიფოებმა იზრუნონ კოლექტიური უსაფრთხოების მექანიზმის დასანერგად. ვგულისხმობ კავკასიის უსაფრთხოების საბჭოს შექმნას. ამ პროცესის განვითარების გარკვეულ ეტაპზე დასაშვებად მიმაჩნია კავკასიის პარლამენტის შექმნის იდეაც. ამერიკა დაინტერესებულია მოსპოს ტერორიზმის კერები. ნარკოტიკების სატრანზიტო დერეფანი ტერორისტებისთვის ფინანსური კვების წყაროა. ამიტომ ბუნებრივია აშშ გააკონტროლებს იმ დერეფანს, რომელიც საქართველოზე გადის. ამერიკა ეცდება შეუქმნას ევროპას რუსეთის ენერგეტიკული წყაროს ალტერნატივა და ამით რუსეთს წაართვას პოლიტიკური ბერკეტი. ამერიკას, როგორც არასდროს, ხელს აძლევს ძლიერი ქართული სახელმწიფო და ეს უნიკალური შანსი უნდა გამოვიყენოთ. ამერიკელი სამხედროების ჩამოსვლით ჩვენ წაგებული თამაში შემოვაბრუნეთ.

**მამუკა არეშიძე** — ამერიკელების პროგრამაში დევს ნარკოტრასების შეზღუდვისა და განადგურების საკითხიც. ამ კუთხით პანკისში უკვე მიმდინარეობს ოპერაცია... ვთვლი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ და დიპლომატიამ უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა. ამიტომ ვაქებ მათ და მზად ვარ, ოსანაც ვუმღერო! საქართველოს მხრიდან რაიმე დათმობაზე აღარ არის ლაპარაკი. თუ ალმა-ათაში არ დათმო შევარდნაძემ, მით უმეტეს ზემოხსენებულ საკითხში აღარ არის დასათმობი. შევარდნაძე სამიტზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს დიდი ქვეყნის პრეზიდენტი იყო და 2-მილიონიანი არმია უმაგრებდა ზურგს.

ამერიკელების შემოსვლას ის მნიშვნელობა აქვს, რომ მოწინააღმდეგე იგრძნობს ჩვენს ზურგს უკან მოკავშირეს. მაგრამ ისიც მინდა ვთქვა, რომ ნებისმიერი ოპერაციის ჩატარება რუსეთთან კონსულტაციით უნდა განხორციელდეს. არ მინდა, ერთ დღეს გაბრაზებულმა რუსებმა ჩაკეტონ საზღვარი და ჩვენი მეწარმეები და გლეხობა შიმშილით დაიხოცონ.

P.S. ალბათ ბევრს გაუკვირდა საკრებულოს ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატის“ თავმჯდომარის საგარეო პოლიტიკით დაინტერესება. ამის მიზეზი ბაღათურიას ბოლოდროინდელი ამერიკული კავშირები გამხდარა. როგორც ამბობენ, ჯონდი ბაღათურია და ციხიდან ახლად განთავისუფლებული დიპლომატი გიგა მახარაძე ახალ პარტიას ქმნიან. გიგა მახარაძეს ამერიკაში საკმაოდ გავლენიანი ნაცნობობა ჰყავს და უშიშროების საბჭოს ახალი მდივნის თედო ჯაფარიძის გუნდშიც მოიაზრება. ასე რომ, ბაღათურიამ გიგა მახარაძის სახით საკმაოდ საინტერესო და საჭირო მოკავშირე იპოვა.

***იზო რიკაძე***

# „ილიასეული ტრიადა — ენა, მამული, სარწმუნოება საფრთხეშია“

*კანონპროექტი „ქართული ენის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში ჯერ კიდევ შარშან შევიდა, მაგრამ ქართულის სახელმწიფო ენად გამოცხადება ჯერჯერობით რატომღაც „ვერ ხერხდება“. ამ გაჭიანურების მიზეზად პარლამენტარი გურამ შარაძე ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანებსა და სახელმწიფო მოხელეებს მიიჩნევს. ამ შემთხვევაში შარაძის ბრალდებების ადრესატები პარლამენტარი ვან ბაიბურთი და ლევან ბერძენიშვილი აღმოჩნდნენ.*



**გურამ შარაძე:** საქართველოს პარლამენტში ბევრი კანონპროექტი ჭიანურდება, განსაკუთრებით თვალში საცემია სამი კანონპროექტის შეგნებულად დაბლოკვა. ეს არის კანონპროექტი ეროვნების რეკვიზიტის აღდგენის შესახებ, კანონი რელიგიის შესახებ და კანონი სახელმწიფო ენის, ანუ ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ. ხედავთ, ილიასეული ტრიადა — ენა, მამული, სარწმუნოება საფრთხის ქვეშ დგას.

კონსტიტუციის მე-8 მუხლით ქართული ენა გამოცხადებულია სახელმწიფო ენად, მაგრამ ვერ მოხერხდა, რომ ამისთვის, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შექმნილიყო. ამ კანონპროექტის დამბლოკავები აშანტაჟებენ პრეზიდენტს. ჩემამდე მოაღწია ხმამ, რომ ისინი სთხოვდნენ პრეზიდენტს, უკან გაეტანა ეს კანონპროექტი, რადგან იგი ვითომ გამოიწვევდა ეროვნული უმცირესობების — სომხებისა და აზერბაიჯანელების გაღიზიანებას. როგორც კი ამას მოვკარი ყური, პრეზიდენტს ვეახლე და მოვახსენე — თუ ეროვნული უმცირესობების გაღიზიანების გამო თქვენი „ერთგული“ დეპუტატები კანონპროექტის უკან გატანას გიქადაგებენ, 4-5 მილიონი ქართველის გაღიზიანებას რატომ არ ერიდებით-მეთქი... ბ-ნმა პრეზიდენტმა აღარ გაიტანა უკან ეს კანონპროექტი, მაგრამ მისი მიღება ჭიანურდება. ამიტომაც ეროვნული უმცირესობები, რომელთაც კანონი არ ავალდებულებს სახელმწიფო ენის შესწავლას, არ სწავლობენ ქართულს.

საქართველოს პარლამენტის წევრმა ვან ბაიბურთმა ქართულ სააგენტოს, მედიანიუსს განუცხადა, — ქართული ენა არ უნდა დაკანონდეს, ეს გამოიწვევს პრობლემებსო, რატომ? სომხეთში სომხური ენა რომ სახელმწიფო ენად არის გამოცხადებული, ქართველები უქმნიან მათ პრობლემებს? მაგრამ რად უნდა გაგვიკვირდეს სომეხი ეროვნების დეპუტატისაგან ასეთი განცხადება, როცა ქართველი პოლიტიკოსი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი და ნაციონალური მოძრაობის თანათავმჯდომარე აცხადებს — „ქართული ენის კანონი“ დრაკონულიაო.

ბერძენიშვილი საუბრობს იმაზეც, რომ ქართველი ერი არშემდგარი ერია. ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი იქამდეც მიდის, რომ აცხადებს — ჩვენი დიდი და სახელოვანი ეროვნული მოღვაწეებიდან ეთნიკური სისუფთავე არც ერთს არა აქვსო. ე.ი. გალაკტიონი არ ყოფილა ქართველი. უნდა ვივარაუდოთ, რომ თურმე ჭყვიშში არაბები და სომხები ჩასულან. ვაჟა ფშაველასაც ჩარგალში არ ჰყოლია ეთნიკურად სუფთა ქართველი წინაპრები, მაგრამ ყველაფერს აჭარბებს დაკონკრეტება, — თვით ილია ჭავჭავაძის წინაპრებიც კი სომხები იყვნენო. ილიას დედა მარიამ ბებურიშვილი სომეხი ტერტერას მიერ იყო მონათლული და სომხად ამიტომ ჩაწერეს საეკლესიო წიგნში. როგორც კი გათხოვდა გრიგოლ ჭავჭავაძეზე, მარიამ ბებურიშვილი იმ დღესვე მოინათლა ქართულად და დაიბრუნა თავისი სარწმუნოება. შეიძლება ასეთი განცხადებების კეთება ჩვენს წინაპრებზე? ამის მერე რატომ გიკვირთ, რომ ვან ბაიბურთი გვიბედავს, — ქართული არ გვინდაო. შეიძლება არაფრანგმა საფრანგეთში (ან სხვა ქვეყნებში) თქვას, — არ მინდა ფრანგული ენაო? რატომ უნდა მოხდეს საქართველოში ყველაფერი უცნაური?

კომენტარისათვის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, **ლევან ბერძენიშვილსაც** მივმართეთ.

**— ბ-ნო ლევან, რატომ მონათლეთ დრაკონულად კანონი ქართული ენის შესახებ?**

— ეტყობა ბ-ნმა გურამ შარაძემ ვერ გაიგო, რა ვთქვი.

***(გაგრძელება იხ. გვ. 13)***

# ექსპოლიციელის მიერ წართმეული პასპორტებით სახელმწიფომ 300 ათას ლარზე მეტი იზარალა

***(დასაწყისი იხ. გვ. 7)***

**— ამბობენ, რომ თქვენი ძმა იმ ბანკის მმართველია, რომლიდან ნასესხები ფულითაც თქვენ გეგმა შეასრულეთ...**

— ჩემი ძმა გიორგი ჩრდილელი მართლაც არის ერთ-ერთი ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, მაგრამ ის ვერ დამეხმარება, — ვერ მასესხებს ფულს გეგმის შესასრულებლად, რადგან იგი არის მხოლოდ ბანკის გამგეობის თავმჯდომარე და არა ბანკის მფლობელი. ასეთი რამ სხვა დროსაც მსმენია, ამიტომ გეტყვით, არც ისეთი მიამიტი ვარ, გეგმების გადაჭარბებით შესასრულებლად ბანკიდან ავიღო კრედიტი.

**— გუნავას განცხადებით, ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციის უფროსის ფუნქციების დროებით შესრულების დროს მერაბ თოდუამ ზუგდიდის რეგიონალურ ტუბსაავადმყოფოს 2002 წლის 31 იანვარს ჩამოაჭრა 31 ათასი ლარი, რომელიც ხელფასებად უნდა დარიგებულიყო.**

— თუ მართლაც ასე იყო, მომაწოდეთ ამ საავადმყოფოების ხელმძღვანელთა განცხადებები და მერაბ თოდუას დავსჯი, ოღონდ ჯერ სათანადო მოკვლევებს ჩავატარებ. ასეთი რამ კრიმინალური ხასიათის დანაშაულია.

დაბოლოს, **მერაბ თოდუას** ზუგდიდში თავის კაბინეტში ვესტუმრეთ და რამდენიმე კითხვაც დავუსვით:

**— ბატონო მერაბ, ყველა დოკუმენტზე, რომლებითაც ფიქტიური ინდსაწარმოები „ანდრონიკე ბუკია“ და „მალხაზ ჭითანავა“ ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრაციაში გატარდნენ, თქვენი ხელმოწერებია. ასევე თქვენი ხელმოწერებია ანგარიშფაქტურების გაცემაზე, რატომ?**

— არ ვიცოდი, თუ ისინი ფიქტიური საწარმოები იყვნენ. ეს რომ წინასწარ მცოდნოდა, აუცილებლად ვამხელდი. მერე გაიშიფრა, თუ სინამდვილეში ვინ იყვნენ და რით იყვნენ დაკავებულები და პროკურატურაში საქმე აღიძრა. რაც შეეხება იმას, რომ მათი ანგარიშფაქტურები და დეკლარაციები ჩემი ხელით არის შევსებული, სინამდვილეს არ შეესაბამება. შეიძლება ხელწერა იყოს მიმსგავსებული.

**— მაშ, ვინ დგას ამ ფიქტიური საწარმოების უკან?**

— გამოძიებამ დაადგინა, რომ ეს იყო ვინმე ელგუჯა ხორავა. ყოველივე მისი მოფიქრებულია, დანარჩენსაც გამოძიება დაადგენს — თუ როგორ გააყალბეს და ვინ უწყობდა ხელს ჩვენს ინსპექციაში. გუნავა კი ამ დოკუმენტებს იმიტომ არ აწერდა ხელს, რომ ჩვენ უფლება-მოვალეობები განაწილებული გვქონდა. ჩემი საქმე სწორედ ახალი საწარმოების რეგისტრაცია იყო. ამასთან, ეს ის პერიოდია, როცა ბეჟან გუნავა ახალი დანიშნული იყო უწყებაში და მხოლოდ თათბირებით და გეგმების შესრულებით იყო დაკავებული. ამიტომ ყველა ჩემთან მოდიოდა. მაგრამ როგორც გითხარით, ამაში ჩემი ხელი არ გარეულა.

**— რამდენად კანონიერად ჩამოაჭერით ზუგდიდის რეგიონალურ საავადმყოფოს 2002 წლის 31 იანვარს ხელფასების თანხა, რომელიც გეგმაშია შეტანილი.?**

— ჩვენ ახლა ვარკვევთ, ჰქონდა თუ არა ამ დაწესებულებას სახელმწიფოს მიმართ დავალიანება. როგორც კი ყველაფერი გაირკვევა, თანხა უკლებლივ დაბრუნდება...

ზემოხსენებულ ბანკში კი ინკოგნიტო წყარომ დაგვიდასტურა, რომ საქართველოს შემოსავლების სამინისტროს მართლაც გამოუტანია კრედიტი (თანხის რაოდენობა ვერ დავადგინეთ. — ზ. ჩ.), საიდანაც საბაჟო დეპარტამენტმა თანხის 40% მიიღო, ხოლო 60% — საგადასახადო დეპარტამენტს ერგო. ჩვენ ბანკის მმართველსაც დავუკავშირდით. **გიორგი ჩრდილელის** განცხადებით, „საბიუჯეტო ორგანიზაციებს, მათ შორის, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს უფლება არ აქვს კრედიტი აიღოს ბანკებიდან. ასეთ ფინანსურ ოპერაციას კანონი კრძალავს. ამიტომ განცხადება, რომ ბანკის კრედიტის მეშვეობით სამინისტრომ გეგმა შეასრულა, აბსურდია. თუ ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენს მომსახურებაში მყოფი ზოგიერთი კომერციული ორგანიზაცია ბანკიდან კრედიტს იღებს და შემდგომ რიცხავენ საბიუჯეტო დაწესებულებებში იმპორტირებული საქონლის განსაბაჟებლად, ან დამატებითი ღირებულების გადასახადის გადახდისთვის, ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა. მათთვის ჩვენ გახსნილი გვაქვს საკრედიტო ხაზები და ისინი აღებულ კრედიტს თავიანთი შეხედულებისამებრ გამოიყენებენ“.

P. S. გასულ კვირას, მთავრობის სხდომაზე. ლევან ძნელაძე, რომელიც შექებას მოელოდა პრეზიდენტისგან, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს და ერთიც, კვირის ბოლოს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ განაცხადა, რომ საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებული კორუფცია ყოველწლიურად დაახლოებით 70 მლნ ლარს „ჭამს“.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# დეპუტატებს „მძიმე სენი“ შეჰყრიათ...

საქართველოს პარლამენტის წევრებს კიდევ ერთი, მეტად „მძიმე სენი“ დაუდგინეს — ცეცხლსასროლი იარაღისადმი ლტოლვა. ამ სენს, სხვათა შორის, სწორედ ის კანონი არეგულირებს, რომელიც, რამდენიმე წლის წინ პარლამენტმა თვითონვე დაამტკიცა, თუმცა კანონშემოქმედი დეპუტატები არცთუ კანონმორჩილნი აღმოჩნდნენ. რამდენიმე დღის წინ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა სახელმწიფო დაცვის სამსახურისგან მამხილებელი წერილი მიიღო, რომელშიც წერია: „ბატონო როსტომ... უკანასკნელ პერიოდში პარლამენტის დაცვის თანამშრომელთა მოთხოვნას სისტემატურად არღვევს საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი ბორის კაკუბავა. იგი კატეგორიულ უარს აცხადებს კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღის პარლამენტის შესასვლელში არსებულ სპეციალურ სათავსოში დატოვება-შენახვაზე“.

კომიტეტი, ცხადია, ვალდებული იყო შესაბამისი ღონისძიება გაეტარებინა და... საკომიტეტო მოსმენაზე პარლამენტში შეიარაღებულმა და შეუიარაღებელმა დეპუტატებმა ერთმანეთს შეუტიეს. თავმჯდომარის მოადგილემ ხათუნა ხოფერიამ კაკუბავას ზემოხსენებული წერილი გააცნო, კანონები წაუკითხა და პატარა დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი გაკვეთილიც ჩაუტარა — ბატონო ბორის, რას ჰგავს თქვენი საქციელი, როგორ შეიძლება პარლამენტში დეპუტატი შეიარაღებული დადიოდესო. ხოფერიას დამრიგებლურ ტონს გურამ შარაძის რეპლიკა მოჰყვა — ემანდ, ცოტა ფრთხილად ილაპარაკეთ, იქნებ იარაღი ახლაც ჯიბეში აქვსო. კაკუბავას სანდრო ბრეგაძე გამოესარჩლა — რას გადაეკიდეთ ამ კაცს, მეც მაქვს იარაღი, აი, ახლაც შეიარაღებული ვზივარ... კარგი ბიჭია ვინმე, მოვიდეს და ჩამომართვასო. ერთი სიტყვით, აირია მონასტერი. შემდგომი სპექტაკლი კი უკვე ასე წარიმართა:

**კაკუბავა:** დიახ, მე შემოვდივარ იარაღით და შემოვალ კიდეც მანამ, სანამ პარლამენტში შეიარაღებული ხალხი ივლის.

**ხოფერია:** ბატონო ბორის, ასე არ შეიძლება...

**ბრეგაძე:** რა არ შეიძლება? აბა, ის არის კარგი, პარლამენტში შეიარაღებული ბანდები რომ დათარეშობენ? კაკუბავა ისედაც თვალში ჰყავთ ამოღებული. ხომ შეიძლება, რამე პროვოკაცია ან ტერორი მოუწყონ.

**ხოფერია:** ფაქტის შემდეგ ვილაპარაკოთ, ბატონო სანდრო...

**კაკუბავა:** ფაქტის შემდეგ ხომ? (წამოხტა) მე თქვენ გაჩვენებთ... ფაქტის შემდეგ, ხომ?

**ხოფერია:** ვიხუმრე, ბატონო ბორის...

**კაკუბავა:** მაინცდამაინც გინდათ, რომ გამაღიზიანოთ, არა?

**ხოფერია:** ვიხუმრე, ბატონო, აქ ყველა მიხვდა, რომ ვიხუმრე.

**კაკუბავა:** იცით, თქვენ რას ცდილობთ? რომ ჟურნალისტებს დაანახვოთ — აი, კაკუბავა რა ემოციური კაციაო.

**ხოფერია:** ბატონო ბორის, ვიხუმრე-მეთქი...

**ბრეგაძე:** სხვათა შორის, როსტომ დოლიძეც ხშირად დამინახავს შეიარაღებული („იხუმრა“)!!!

მადლობა ღმერთს, საქმე იარაღის ჟღარუნამდე არ მისულა. სხვათა შორის, პარლამენტში ერთმანეთის ლანძღვა-გინებას რომ თავი დავანებოთ, არცთუ იშვიათად გაწევ-გამოწევა და სერიოზული მუშტი-კრივიც იმართება. ამასთან, ამდენი შეიარაღებული დეპუტატის ემოციებსაც თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მართლა გავარდეს „ფიშტო“...

***ნინო ნიშნიანიძე***




# გულუბრყვილობის 201 წელი

## რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა რაუნდები

დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან ქართველები ლამის თავპირს ვამტვრევთ ერთმანეთს და მაინც ვერ ვთანხმდებით, ვინ გადაგვარჩენს — ამერიკა თუ რუსეთი. დღეს, როდესაც აშშ-ის დაინტერესებას პანკისის პრობლემით რუსეთის მძაფრი, ისტერიული რეაქცია მოჰყვა, ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური და საკამათო გახდა. გადავხედოთ საქართველოს ისტორიას. აქ არც ისე ბევრი ნათელი წერტილია. თუ არის, იმ შემთხვევაში, როცა ხელისუფალმა საგარეო პოლიტიკური კურსი კარგად გააზრებულ და მკაცრად (ზოგჯერ სასტიკად) გატარებულ შინაპოლიტიკაზე დააყრდნო. მაგრამ რატომღაც გვავიწყდება, რომ ისტორია მხოლოდ იმისთვის არ იწერება, მისმა წაკითხვამ ესთეტიკური სიამოვნება მოგვანიჭოს — ისტორია პირველ რიგში ჭკუის სასწავლებელია...



**მარიკა ლორთქიფანიძე:** ამის შესახებ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი აღნიშნავდა, მაგრამ საქართველოს ისტორიის კვლევისას, სამწუხაროდ, არასოდეს შემიმჩნევია, რომ ქართველებს თავისი წარსულიდან რაიმე გაეთვალისწინებინათ... გაჭირვების ჟამს ქართველი მეფეები ხსნას ყოველთვის ქვეყნის გარეთ, ერთმორწმუნე სახელმწიფოებთან ეძებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამას საქართველოსთვის მხოლოდ ზიანი მოჰქონდა — ასე ხდებოდა ბიზანტიელი კეისრების დროს და შემდეგაც, როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე რუსი იმპერატორები გამოჩნდნენ. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, ანუ მას შემდეგ, რაც სახელმწიფოთაშორის დონეზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს ჩაეყარა საფუძველი, ამ უკანასკნელს არც ერთი ვალდებულება არ შეუსრულებია.

### რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გარიჟრაჟზე:

1722 წელი. ვახტანგ VI-ს რუსეთიდან ელჩი ეახლება. იმპერატორის სახელით სთხოვს, ქართული ჯარით სპარსეთს შეესიოს და იქ მოიცადოს, სანამ რუსეთის იმპერატორი აცნობებს, სად შეუერთდეს მის ლაშქარს. ვახტანგ მეფემ სიხარულით შეყარა ჯარი, განჯისკენ გაილაშქრა და რუსეთის არმიის მოლოდინში შამქორში დაბანაკდა. ეს ამბავი პეტრე იმპერატორს დარუბანდში, 1722 წლის 6 ენკენისთვეს შეატყობინეს. 7 ენკენისთვეს კი მან ჯარები დაძრა და წავიდა. მაგრამ არა საქართველოს ჯართან შესაერთებლად, არამედ შინ, ასტრახანისაკენ. ვახტანგ VI კარგა ხანს გულუბრყვილოდ უცდიდა რუსის ჯარს, საქართველოს კი ჯერ მისი ქმედებით განრისხებულმა ოსმალებმა გადაუარეს, შემდეგ სპარსელებმა. რაც გადარჩა, მათგან წაქეზებულმა ლეკებმა მოუთავეს ხელი. უფრო მეტიც — მოგვიანებით, 1724 წლის 12 ივნისს ოსმალეთთან დადებული საზავო ხელშეკრულების პირველივე მუხლში რუსეთმა მთელი აღმოსავლეთ საქართველო ოსმალეთს დაუთმო(!).

**— მიუხედავად ყველაფრისა, რატომ ჰქონდათ ქართველ მეფეებს მუდმივად რუსეთის იმედი?**

— პირველ რიგში, ალბათ იმიტომ, რომ საქართველო თავისი მენტალიტეტით არც აზიური ქვეყანა იყო და ბუნებრივია, არც მაჰმადიანური. მის გარშემო კი სწორედ ეს კულტურა დომინირებდა. ქართველი მეფეები რუსეთში ევროპული ცივილიზაციისკენ სავალ გზას ხედავდნენ და გარკვეულწილად, ეს ასეც იყო. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე, ქართველებს ერთმორწმუნე, ძლიერი სახელმწიფოსგან მტკნარი სიცრუე ვერ წარმოედგინათ. სხვა საქმეა, რამდენად ამართლებდნენ ამ იმედებს რუსი მონარქები... პირიქით, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, რომ ისედაც დასუსტებულ საქართველოს სულის მოთქმის საშუალება არ ჰქონოდა და რუსეთს თავადვე შეხვეწნოდა ქვეშევრდომობას. მიუხედავად ამისა, ასეთი მოქმედების ლოგიკურ ფინალში საქართველოს შესაერთებლად რუსეთს მაინც ძალის გამოყენება დასჭირდა...

### რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის I რაუნდი:

1768 წელი. ამჯერად საქართველოს წასაქეზებლად მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება არ იკმარებდა და ერეკლე მეფეს ბატალიონი გამოუგზავნეს გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. მას თან გრაფ პანინის საიდუმლო ინსტრუქცია ჩამოაქვს, რომლის მიხედვითაც ნაბრძანები აქვს ისე მოიქცეს, რომ კავკასიაში ოსმალებთან ომის დროს „სული რუსული იყოს, სხეული კი ქართული“. დავალება წარმატებით შესრულდა — მან ერეკლე მეფე აწყურის ციხესთან ზუსტად ბრძოლის დაწყების წინ მიატოვა და უკან, თბილისში გამობრუნდა. სანამ პატარა კახი რუსის წაქეზებით წამხდარ საქმეს ქართული ხმლით ასწორებდა, ტოტლებენი სოფელ-სოფელ დადიოდა და ქართველობას იარაღის ძალით რუსეთის ერთგულებაზე აფიცებდა. მოგვიანებით, იგი იმერეთში გადავიდა. რაც ერეკლე მეფეს დამართა, არც სოლომონისთვის დაუკლია. ცოტა ხნის შემდეგ კი ჯარი აყარა და რუსეთში გაემგზავრა, რადგან ეს უკანასკნელი ისევ დაზავდა ოსმალეთთან. საქართველო?! — რუსის მხარდაჭერით განრისხებულნი, ერთი მხრივ კვლავ ოსმალები წამოვიდნენ, მეორე მხრივ — სპარსები. ორივე ერთად კი ლეკებს გვიმხედრებდა. ერეკლემ და სოლომონმა უდიდესი დიპლომატია და მხედრული თავდადება გამოიჩინეს, რომ საქართველო ურჯულოთა აგრესიას არ გაესრისა და რეგიონში კვლავ ძველი გავლენა მოეპოვებინათ.

**მარიკა ლორთქიფანიძე:** როგორც ჩანს, ერეკლეს საკუთარი გამოცდილებაც ახსოვდა და წინამორბედი მეფეებისაც, რადგან როდესაც ქვეყანამ სული მოითქვა, რუსეთთან ტრაქტატის გაფორმებამდე ევროპაში ორჯერ გაგზავნა ელჩობა. იგი რომის იმპერატორს სესხს სთხოვდა ლაშქრის დასაქირავებლად. ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება ამ ხარჯს აანაზღაურებდა, მას მხოლოდ დროებითი დახმარება სჭირდებოდა. პირველი ელჩი გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა, პასუხი არც მეორე ელჩობის შემდეგ მიუღია. ერთადერთი გამოსავალი კვლავ რუსეთის სახით რჩებოდა...

### რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის II რაუნდი:

საქართველო კვლავ რუსეთის გეგმებში ხვდება. იმპერატორი ეკატერინე ერეკლე მეფის კარზე მყოფ გერმანელ დოქტორს, რაინეგსს იბარებს და უკან საიდუმლო დავალებით უშვებს: მან უნდა ჩააგონოს ქართველ მეფეს, რომ რუსეთის იმპერიას ოფიციალურად სთხოვოს მფარველობა. იქნებ იმის გამოც, რომ რუსეთთან მხოლოდ ურთიერთობის ეს ფორმა არ ჰქონდა მოსინჯული, ერეკლე დათანხმდა და 1783 წელს რუსეთთან მოკავშირეობის ტრაქტატს მოაწერა ხელი.



გეორგიევსკის ამ ტრაქტატის ძალით „ნებაყოფლობით“ დაესვა წერტილი საქართველოს სახელმწიფოებრიობას...

ხელშეკრულების თანახმად, საქართველოში ორი რუსული ბატალიონი შემოვიდა. მაგრამ რეგიონში რუსეთის ოფიციალურ მოკავშირედ შემოსვლამ საქართველოს უწინდელი მოყვარენი მტრებად აქცია, მტრები კი უსაზღვროდ განარისხა და გააერთიანა. ერეკლე მეფე არ შედრკა და მტერი უკუაქცია. მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში გენერალმა ბურნშევმა ერეკლეს თხოვნისა და მუდარის მიუხედავად — ლაშქრობის ბოლომდე მაინც დარჩიო(!), ჯარი იმ დღესვე აყარა და რუსეთში დაბრუნდა. საქართველო ბრძოლის ველზე მიტოვებული აღმოჩნდა — კვლავ დაიძრნენ ოსმალოთა და სპარსთა ურდოები. ლეკებმაც თავი წამოყვეს...

**მარიკა ლორთქიფანიძე:** 1783 წლის ტრაქტატი რუსეთის გავლენას ითვალისწინებდა და არა ქვეშევრდომობას. მის მიხედვით, საქართველოს საშინაო საქმეებში რუსეთი არ უნდა ჩარეულიყო. მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთს ბევრად უფრო შორს მიმავალი ზრახვები ჰქონდა და მათ განსახორციელებლად საქართველოს დაჩოქება იყო საჭირო...

### რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის III რაუნდი:

1790-იანი წლების დასაწყისში სპარსეთში აღა მაჰმად ხანი გაძლიერდა. მან ერეკლე მეფეს არაერთხელ შესთავაზა რუსეთის მფარველობის უარყოფა — წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ასაოხრებლად დიდძალი ლაშქრის შეგროვებით იმუქრებოდა. ერეკლემ თავის მხრივ, რუსეთს მიმართა და ტრაქტატის პირობა შეახსენა. რუსეთის იმპერატორის პასუხი ლაკონიური და ცივი იყო: „საქართველოში ჯარის გამოგზავნა ამჟამად საჭიროდ არ არის ცნობილი“. უფრო მეტიც, ზოგიერთი წყაროთი დასტურდება, რომ რუსეთი ფულისა და ირიბი დიპლომატიის საშუალებით ყველანაირად ცდილობდა აღა მაჰმად ხანს საქართველოზე გაელაშქრა. ასეც მოხდა. 80 წელს მიტანებული მეფის, ერეკლეს თავდადებული ბრძოლის მიუხედავად, სპარსებმა თბილისი აიღეს, სამეფო სასახლეც გაძარცვეს და ქალაქი გადაწვეს. შაჰის ჯარმა საშინელი სიმხეცე გამოიჩინა. თბილისის მიდამოებიც კი მოკლული მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების გვამებით იყო მოფენილი. საქართველოს საფუძვლიან აოხრებაში რომ დარწმუნდა, რუსეთმა სპარსეთს ომი გამოუცხადა. ეკატერინე II მანიფესტში ომის მიზეზად საქართველოს აოხრებასაც ასახელებდა. მაგრამ ცოტა ხანში ეკატერინე გარდაიცვალა და რუსეთის მთავარსარდლობამ ჯარები უკან გაიწვია. არა მხოლოდ ერეკლე, ახლა უკვე მთელი კავკასია აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში, რადგან რუსეთის ჯარების შემოსვლით დაიმედებულნი, ადგილობრივი მმართველები აღა მაჰმად ხანს განუდგნენ. ამ უკანასკნელმა ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა და კვლავ საქართველოსკენ დაიძრა. გადაწყვეტილი ჰქონდა, შაჰ აბასის დარად მთელი ქართველობა აეყარა და სპარსეთში გადაესახლებინა, საქართველოს ტერიტორიაზე კი სპარსეთის ახალშენი შეექმნა. უდიდეს საფრთხეს კვლავ განგების ძალამ და ქართულმა თავდადებამ გადაგვარჩინა — საქართველოში შემოჭრამდე რამდენიმე დღით ადრე, მძინარე შაჰს ერთ-ერთმა მსახურმა (გასპარსებულმა ქართველმა) თავი მოჰკვეთა.

**მარიკა ლორთქიფანიძე:** საუკუნეების მანძილზე საქართველოს მრავალი დამპყრობელი უნახავს. მაგრამ რუსეთის შემთხვევაში ტრაგიკული იყო ერთმორწმუნე სახელმწიფოს ღალატი, რომელიც, მიუხედავად ამ უკანასკნელის მცდელობისა, არცთუ დელიკატურად წარმოჩინდა...

### რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ბოლო რაუნდი:

გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, მისი პირობების შეცვლა მხოლოდ ორივე სახელმწიფოს ნებართვით შეიძლებოდა. რუსეთს რაიმე საბუთი უნდა ჰქონოდა იმის დასამტკიცებლად, რომ თვით საქართველოს სურდა თავისი სახელმწიფოებრიობის მოსპობა და რუსეთის განუყოფელ ნაწილად ქცევა. ამ მიზნით, 1800 წლის 18 დეკემბერს პავლე იმპერატორმა ხელი მოაწერა მანიფესტს, საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ, რომელიც შემდეგ გიორგი მეფეს გამოუგზავნეს ხელმოსაწერად. მასში თითქოს თვით გიორგი მეფე ითხოვდა, საქართველო რუსეთის შემადგენელ ნაწილად გამოცხადებულიყო. მაგრამ მთელი ეს შეთხზული გეგმა ჩაიფუშა, რადგან 22 დეკემბერს გიორგი მეფე გარდაიცვალა. მოგეხსენებათ, მაშინ საჰაერო ტრანსპორტი არ არსებობდა. სახმელეთოთი კი, არათუ მე-18 საუკუნის ბოლოს, დღესაც გაჭირდება 4 დღეში პეტერბურგიდან ჩამოსვლა. მიუხედავად ამისა, რუსებს ბევრი არ უფიქრიათ. რუსეთის წარმომადგენელმა საქართველოში, გენერალმა კნორინგმა წარჩინებული ქართველობა სიონში მოიწვია, ეკლესიას ზარბაზნებისა და ხიშტიანი ჯარისკაცების ალყა შემოარტყა და დამსწრე საზოგადოებას „ურჩია“, რუსეთის ერთგულება-ქვეშევრდომობაზე დაეფიცათ. მიუხედავად საშიშროებისა, ბევრმა ქართველმა ეს ულირს საქციელად ჩათვალა და ეკლესიიდან გამოვიდა. კნორინგის ბრძანებით ყველა დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს. 1801 წელი იდგა. დაბეჩავებული და გავერანებული საქართველო საბოლოოდ დაიპყრო რუსეთმა. ქართველ თავადაზნაურთა დიდ ნაწილს კი რატომღაც კიდევ სჯეროდა, რომ „საქართველო მათი სამშობლო იყო, რუსეთი კი მათი მეზობელი“, ხოლო რაც მათ თავს ხდებოდა, რუს მოხელეთა პირადი თვითნებობისა და მეტიჩრობის შედეგი იყო და არა რუსეთის ხელისუფლების ნება-სურვილი. მას შემდეგ ზუსტად 201 წელი გავიდა — ქართველთა გულუბრყვილობას კი ბოლო არ უჩანს...

***დაჩი გრძელიშვილი***



## რას გვეტყვი, მამაო?

**— რომელი ფსალმუნი უნდა ვიკითხოთ, როდესაც მძიმე ავადმყოფი გვყავს?**

— შეგიძლიათ წაიკითხოთ ნებისმიერი ფსალმუნი მოძღვართან შეთანხმებით.

**— ქალაქში შეძენილი სანთელი დავანთეთ ერთ-ერთ ეკლესიაში. მღვდელმა მოგვცა შენიშვნა, რომ გარეთ ნაყიდი სანთლის დანთება არ შეიძლებაო. არადა, იგივე სანთელი ბევრად ძვირია ეკლესიაში. რამდენად მართებულია მოძღვრის მოქმედება?**

— მოძღვრის შენიშვნა მართებულია. სანთლის შეძენას ეკლესიაში ის მნიშვნელობა აქვს, რომ ის არის მორწმუნის ნებაყოფლობითი შესაწირი ტაძრისათვის, ამიტომ მას ან ეკლესიაში ყიდულობენ ან სახლში ამზადებენ სუფთა სანთლისაგან.

**— ერთ-ერთ ციხესიმაგრესთან ტრანსპორტით გავლისას მორწმუნე კაცმა პირჯვარი გადაიწერა. რამდენად სწორი იყო მისი საქციელი?**

— როგორც წესი, ციხესიმაგრესთან ყოველთვის იყო ქრისტიანული საკულტო ნაგებობები — ტაძრები, სამლოცველოები და, უნდა ვიფიქროთ, მგზავრმა ეს იცოდა კონკრეტულ შემთხვევაში და იმიტომ გადაიწერა პირჯვარი.

**— გარდაცვალების შემდეგ შერჩებათ თუ არა თავ-თავიანთი სქესი ქალისა და მამაკაცის სულებს?**

— სულს სქესი არ გააჩნია. ადამიანების სულები იქნებიან ისე, როგორიც არიან ანგელოზები. გაგახსენებთ მაცხოვრის პასუხს სადუკეველთა შეკითხვაზე, თუ რა მოელის ქალს, რომელსაც შვიდი ქმარი ჰყავდა:

„...აღდგომას მას არცა იქორწინებოდიან, არცა განქორწინებდნენ, არამედ ანგელოზნი ღმერთისანი, იყვნენ ცათა შინა“. (მათე, 21,30)

**— შეუძლია თუ არა ქალს, რომელსაც დედათა წესი აქვს, მიიღოს სარიტუალო სუფრის მომზადებაში (ქელეხი, „ორმოცი“) მონაწილეობა?**

— ქალს ასეთ დროს არა აქვს მხოლოდ სიწმინდეების შეხების უფლება (სანთელი, ჯვარი, ხატი), სუფრის მომზადებაზე ასეთი აკრძალვა არ ვრცელდება.

**— ითვლება თუ არა ცოდვად სამედიცინო ჩვენებების მიხედვით და სამედიცინო მეთოდებით შიმშილობა?**

— ის, რაც სამედიცინო მეთოდიკაში არ ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობას და ადამიანის ჯანმრთელობის სასიკეთოდ არის მოწოდებული, ცოდვად არ ჩაგეთვლებათ.

**— მამაჩემის ავად ყოფნის დროს ღმერთს შევუთქვი, რომ მისი გადარჩენის შემთხვევაში, 30 სანთელს ავანთებდი ქაშვეთის ეკლესიაში. მამაჩემი გადარჩა. მაგრამ, რამდენჯერაც გავივლი ქაშვეთის ეკლესიასთან, რაღაც ეშმაკისეული ძალა არ მაძლევს დანაპირების შესრულების საშუალებას. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?**

— ახსენეთ ღმერთი, გადაიწერეთ პირჯვარი, შედით ეკლესიაში და დაანთეთ 30 სანთელი. თქვენი გულმხურვალე ლოცვის წინაშე ეშმაკის ძალა გაუვნებელდება.

**— რითაა სასარგებლო სეფისკვერისა და ნაკურთხი წყლის მიღება?**

— როცა კაცი სეფისკვერსა და ნაკურთხ წყალს იღებს, მას არ ეკარება არაწმინდა სული. სული და ხორცი იკურთხება, გონება ნათლდება უფლის სამსახურისათვის და ადამიანი განეწყობა მარხვისათვის, ლოცვისათვის და სხვა კეთილზნეობისათვის.

**— რა მიმართებაშია რელიგია მეცნიერებასთან?**

— ეკლესიის მამები გვასწავლიან, რომ რელიგია — სიცოცხლის ხეა, მეცნიერება — შემეცნების ხე. რელიგია ღმერთთან კავშირია, მეცნიერება — ქვეყნიერებასთან.

**— თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, რით განსხვავდებიან მართლმადიდებელი-დიოფიზიტებისგან მონოფიზიტი-გრიგორიანელები?**

— დიოფიზიტებისგან განსხვავებით, რომლებიც მაცხოვარში, ერთმანეთისგან შეურევლად და განუყოფლად, ორ ბუნებას აღიარებენ — ღვთაებრივსა და ადამიანურს, მონოფიზიტები ცნობენ ღმერთის მხოლოდ ერთბუნებოვნებას — ღვთაებრივს.

451 წლის ქალკედონის V მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაგმო მონოფიზიტობა და ძე ღმრთის შესახებ მიიღო დიოფიზიტური დოგმა. მაგრამ ამ კრების გადაწყვეტილების მიუხედავად, მონოფიზიტობის ისტორია ამით არ დამთავრებულა — ერესმა ბიზანტიის იმპერიის პერიფერიებში გადაინაცვლა და ეროვნული ეკლესიების (მათ შორის, სომხურის) იდეოლოგია გახდა.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ* *იხ. გვ. 36*

*მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები*

# „ან ორმაგი აგენტები უნდა გახდნენ და ჩვენზეც იმუშაონ ან არადა, წავიდნენ...“

ერთ დროს, ლუსტრაციის კანონს პოლიტიკოსები ერთმანეთისთვის სატყორცნ ბურთად იყენებდნენ. პოპულისტური პინგ-პონგი რამდენიმე წლის მანძილზე გაგრძელდა. გასული წლის ზაფხულში, როგორც იქნა, მომზადდა კანონპროექტი ლუსტრაციის შესახებ (თანაც არა ერთი) და პარლამენტში პირველი, საკმაოდ სკანდალური მოსმენაც შედგა, მაგრამ... ამ კანონპროექტზე დილით დაწყებული საუბარი საღამოს და მით უმეტეს მეორე დღეს აღარავის ახსოვდა...

ამჯერად უკვე პოლიტიკოსები მართალია შეპარვით, მაგრამ მაინც იწყებენ საუბარს ლუსტრაციის კანონის აუცილებლობაზე. თავის დროზე ამ კანონპროექტის საკუთარი ვარიანტი პარლამენტს „სოციალისტებმაც“ შესთავაზეს, ამიტომ „კვირის პალიტრამ“ ინტერვიუსთვის „სოციალისტთა“ ლიდერს **ვახტანგ რჩეულიშვილს** მიმართა.

— ლუსტრაციის საკითხი მე ჯერ კიდევ 1993 წელს დავაყენე. მაშინ საქართველოში „კაგებე“ თავის აგენტებს ეროვნულ მოძრაობაში ეძებდა. ეს ცნობილი თეზაა — „კაგებე“ აგენტებს პოლიტიკურ ოპონენტებში არჩევს. ამიტომაც სუკის სიების გამოქვეყნებისა ყველაზე მეტად სწორედ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს ეშინოდათ. ყველა ერთმანეთისკენ უთითებდა, ამიტომაც, სჯობდა ეს დომხალი კანონით დარეგულირებულიყო.

— **როგორც ვიცი, „სოციალისტებმა“ ამ საკითხთან დაკავშირებით კანონპროექტიც მოამზადეთ.**

— დიახ, ერთი კანონპროექტი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა მოამზადა, მეორე — ჩვენ. სხვათა შორის, „სოციალისტების“ ვარიანტი საკმაოდ კომპრომისული იყო. პარლამენტში გვყავს დეპუტატების ე.წ. ნდობის ჯგუფი, რომელიც სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებებთან „მიუშვეს“. ეს ადამიანები, როგორც წესი, გადიან უშიშროების სამსახურის სპეციალურ შემოწმებას. ჩვენ ვთავაზობთ, რომ ასევე შემოწმდეს ყველა ის პირი, რომელიც მნიშვნელოვან თანამდებობაზე ინიშნება.

— **ამ ვარიანტის „კომპრომისულობა“ რაში მდგომარეობს?**

— კომპრომისი გულისხმობს იმას, რომ ამა თუ იმ პიროვნებაზე უშიშროების მასალებისა და ინფორმაციების საქვეყნოდ გამოცხადება არ მოხდება. ნუ გავამჟღავნებთ, ხმამაღლა ნუ ვიტყვით — აი, ეს კაცი აგენტი იყოო იმიტომ, რომ ამან შესაძლოა ოჯახების დანგრევაც კი გამოიწვიოს. 37 წლის არქივებში ისეთ ხალხს აქვს ხელი მოწერილი „კაგებესთან“ თანამშრომლობაზე, რომ საქართველოს ისტორიის წაკითხვა აღარ მოგინდება. ამიტომ ასეთი პირები თანამდებობებზე არ უნდა მივუშვათ. ხომ შეიძლება, ეს მასალები რუსეთის სპეცსამსახურებსაც ჰქონდეთ და ადამიანს შანტაჟი მოუწყონ — დაემუქრონ და მათთვის სასურველი საქმეები აკეთებინონ?

— **რატომ შეჩერდა ამ კანონპროექტის განხილვა?**

— ეტყობა, ვიღაც-ვიღაცებს ეშინიათ. არადა, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა იცოდეს შევარდნაძემ, ვინ ჰყავს გარშემო? თუმცა, შევარდნაძეს ძალიან კარგად მოეხსენება ვინ აგენტია, ვინ რამდენს იპარავს, ვინ ვის კლანშია. კაცი არ ინიშნება საქართველოში შევარდნაძეს ხუთი თითივით არ ჰყავდეს შესწავლილი, მაგრამ წესია — ეს ყველაფერი კანონმა უნდა არეგულიროს.

— **რითი განსხვავდება თქვენსა და უშიშროების კომიტეტში მომზადებული კანონპროექტები ერთმანეთისგან?**

— უშიშროების კომიტეტის ინიციატივა იყო მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის აგენტების გამოაშკარავება. ჩვენ კი ვითხოვდით ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურის აგენტების გამოვლენას. იქნებ გგონიათ, რომ იმავე აზერბაიჯანს ნაკლები აგენტურა ჰყავს საქართველოში? ბატონმა ალიევმა მშვენივრად იცის, რამდენი, ვითომ საქართველოსთვის შემოტანილი საწვავით დატვირთული, ვაგონი გადის სომხეთში. ასე რომ, ყველა უნდა გამოვლინდეს. რა მნიშვნელობა აქვს ვისზე მუშაობენ, ან ორმაგი აგენტები უნდა გახდნენ და ჩვენზეც იმუშაონ, ან არადა თანამდებობიდან წავიდნენ. ადამიანი, რომელიც წლების მანძილზე აგენტად მუშაობს დროთა განმავლობაში ორმაგ აგენტად იქცევა. ეს ყველა „რაზვედჩიკმა“ მშვენივრად იცის.

— **კანონპროექტის ამოქმედების შემთხვევაში, თქვენი აზრით, ბევრი გაიშიფრება პარლამენტსა თუ კანცელარიაში?**

— გაიშიფრებიან. რამდენიმე კაცს პოლიტიკური ასპარეზის მიტოვება აუცილებლად მოუწევს.

— **ვინმეზე კონკრეტულად თუ გაქვთ ინფორმაცია?**

— იცით რა, იმ ასაკიდან გამოვედი, რომ ვინმეზე დაუსაბუთებლად ვილაპარაკო. ინფორმაცია არსებობს, მაგრამ ხშირად ეს ინფორმაცია კი არა, პროვოკაციაა, ამიტომაც მინდა, რომ სპეცსამსახურებმა შეისწავლონ. ისე, არა მგონია, ამ კანონმა ძირეულად შეცვალოს რამე. შევარდნაძეს ეს კანონი არ შეეხება. თავის დროზე ის მვდ-ის გენერალი იყო და ხომ ვერ ეტყვი, აგენტი იყავიო. ეს იგივე გამოვა, ერთხელ წერეთელმა გუმბარიძეს რომ უთხრა — „კაგებეს“ აგენტი ხარო. გუმბარიძემ უპასუხა, მე „კაგებეს“ გენერალი ვარ, ხოლო აგენტი შენა ხარო.

— **როგორ ფიქრობთ, დღევანდელი პარლამენტი მოახერხებს ამ კანონის მიღებას?**

— ეს პარლამენტი პარლამენტია საერთოდ?! რა ვიცი, აბა — მოახერხებს? თუ უმრავლესობა არ გვეყოლება, ამას კი არა, ვერავითარ კანონს ვეღარ მივიღებთ. იცით, ზოგი რას აკეთებს? რუსეთის აგენტობა რომ დაფაროს, დგას და რუსეთს აგინებს.

— **სხვათა შორის, თქვენზეც ამბობენ, რუსეთის აგენტიაო.**

— ასეთი ჭორები დიდი ხანია, აღარ მაღელვებს. ჩემს აგენტობაზე მას მერე ალაპარაკდნენ, რაც „მშვიდობის კომიტეტში“ დავიწყე მუშაობა. ეს მართლაც ის ორგანიზაცია იყო, რომელიც „კაგებესთან“ მჭიდროდ თანამშრომლობდა, მაგრამ მე ცკ-დან მივედი და ცკ-ის სტატუსი „კაგებეს“ აგენტობას აღარ საჭიროებდა. მე თავისუფალი კაცი ვარ. ჩემი შეზღუდვა ძალიან ძნელია — თუნდაც სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოებების დაცვის ჩარჩოებში. რაც შეეხება რუსეთს, არაერთხელ მითქვამს — რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება არ შეიძლება. ამის მიხვედრას რად უნდა აგენტობა?

— **არადა, ამბობენ, რუსეთს რჩეულიშვილი ყურებით ჰყავს დაჭერილი და ახლა ხელმოწერებს აგროვებინებსო.**

— რჩეულიშვილის ყურებით დაჭერა არც ისე ადვილია. მე რასაც ვამბობ და ვაკეთებ, იმას ვერც აგენტი გაბედავდა და ვერც სხვა. ახლა რომ ვიყავი მოსკოვში, მე და რუსეთის დუმის გეოპოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ, შაბანოვმა ერთმანეთზე გავიწიეთ. რაღაც „შეეშალა“ აფხაზეთთან დაკავშირებით და არ მოვუთმინე. ჩვენ ვებრძვით უწესობას. უწესო ადამიანების პოლიტიკიდან წასვლა არის ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი, ამიტომ ბოლომდე „მივაწვები“.

***ხათუნა ყვირალაშვილი***

# „ილიასეული ტრიადა — ენა, მამული, სარწმუნოება საფრთხეშია“

*(დასაწყისი იხ. გვ. 11)*

ჩემი წერილი პრესაშია დაბეჭდილი და ვინც გაეცნობა, დარწმუნდება, რომ ასეთი რამ არ მითქვამს არ ვიცი, რა ამოცანას ასრულებს ბ-ნი გურამი ამჯერად. მაგრამ მე ქართული ენის სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ხმა არ ამომიღია და ვერც ამოვიღებდი იმიტომ, რომ გურამ შარაძეზე გაცილებით ადრე მაქვს, დაწყებული ამ ენის და მისი უფლებების დაცვა.

ეს უბრალოდ ან გაუგებრობაა ან პროვოკაცია და თავს ნამდვილად არ დავიცავ... ეს ჩემი პრობლემა კი არა, შარაძის პრობლემაა, მან ვერ ან არ გაიგო რაღაც.

— **ბ-ნო ლევან, არც ის გითქვამთ, რომ ქართველი ერი არშემდგარი ერია?**

— ეს ტყუილია. ქართველი ერი შემდგარიც არის და ძალიანაც ძველიც.



და გთხოვთ, თავს ნუ მამართლებინებთ. უბრალოდ, შარაძისნაირი კაცები აყენებენ ამ საკითხს. ისე, შარაძე, რომ აკადემიკოსი იქნება, იმ ერს რაღაც პრობლემები მართლა აქვს. შარაძე არის პროვოკატორი, მას სხვა ამოცანა აქვს, ქართველი ერი არაფერ შუაშია. გურამ შარაძე იყო კომუნისტური პარტიის წევრი, უშიშროებასთან დაახლოებული პირი. რაც შეეხება ჩემს პატრიოტიზმს... ამისთვის ციხეში ვიჯექი და ჩემი ქვეყნის სიყვარულს შარაძე ვერ მასწავლის.

## როგორ დაიკლო 27 კგ ლევან ბერძენიშვილმა

P.S. რედაქციაში არცთუ იშვიათად გაისმის სატელეფონო ზარი, — იქნებ გაგვაგებინოთ ეროვნულმი ბიბლიოთეკის დირექტორის გარეგნული ცვლილების მიზეზიო. ბ-ნ ლევან ბერძენიშვილს ჩვენი მკითხველის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება ვთხოვეთ. როგორც გაირკვა, გურმანი და ქართული სამზარეულოს მოტრფიალე ლევან ბერძენიშვილი დიეტაზე ყოფილა და ამ მხრივ, მართლაც შთამბეჭდავი შედეგებისთვის მიუღწევია. ბ-ნმა ლევანმა თავისი დიეტის საიდუმლო გულახდილად გაგვიზიარა:

— **ბ-ნო ლევან რა საშუალებას მიმართეთ წონაში ასე რომ დაიკელით?**

— მე მივმართე ქალბატონ ელენე გიორგაძეს, რომელსაც ჩემ შემდეგ მიმართა ნახევარმა მსუქანმა საქართველომ. ვფიქრობ, ქ-ნ ელენეს განუზრახავს ესთეტიკურად გაამშვენიეროს ქართველი ხალხი.

— **თქვენც ესთეტიკურად გამშვენიერების მიზნით მიმართეთ მას?**

— არა, უპირველეს ყოვლისა, ჯამრთელობის მდგომარეობა მქონდა მხედველობაში.

— **დიეტა დაგინიშნათ თუ რაიმე პრეპარატებს იღებთ?**

— ყველაფერი დამინიშნა, რაც საჭირო იყო. უკვე 27 კგ მაქვს დაკლებული.

— **სანამ გახდომაზე ზრუნვას დაიწყებდით, რამდენი კილო იყავით?**

— ძალიან ბევრი.

— **რამდენ კილომდე აპირებთ ჩამოსვლას?**

— მინდა ქუჩაში ვერ მიცნონ. როცა დავინახავ, რომ ვერ მიცნეს, ჩავთვლი რომ შედეგი მიღწეულია. ნორმაზე მინდა დავდგე.

— **27 კილო რამდენ ხანში დაიკელით?**

— 1,5 თვეში.

— **რაციონში რა შეზღუდეთ, რაზე თქვით უარი?**

— უარი მე არ მითქვამს, უარი ექიმმა მათქმევინა. მე ჩემი ნებით ქართულ სამზარეულოზე უარს ვერ ვიტყოდი. ამჟამად კი ქართულ სამზარეულოზე და საერთოდ, სამზარეულოზე მაქვს ნათქვამი უარი. ჩემს რაციონში ძირითადად შედის რძის ისეთი შესანიშნავი პროდუქტები, როგორიცაა მაწონი და ხაჭო.

— **არ გიჭირთ?**

— არ მიჭირს. იმიტომ, რომ ხანდახან კიტრი და კანგაცლილი ქათმის ხორციც გამოერევა ხოლმე.

***მარი ზანდუკელი***



# სხეულის ფორმის კორექცია – რა გზა ავირჩიოთ?

ალბათ ყველა ადამიანი ოცნებობს უნაკლო და პროპორციულ სხეულზე, მაგრამ ხშირად იძულებული ხდება შეეგუოს არასასურველ ფორმებს.

ის, ვისაც საკუთარ თავზე გამოუცდია, დაგვეთანხმება რომ, სხეულის მოვლის ტრადიციული მეთოდები - მასაჟები, მექანიკური თუ ელექტროტრენაჟორები, სხეულის დამუშავების თერაპიული თუ აპარატული დამუშავება, - ხანმოკლე ეფექტს იძლევა. ამასთან, ეს მეთოდები ძირითადად მიმართულია ცელულიტის დაშლისაკენ. მიღწეული შედეგის შესანარჩუნებლად აუცილებელია პროცედურების ხშირი გამეორება, რომელთა დაუმთავრებელ სერიას ადამიანი ხშირად ნევროზამდე და სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს.

არასასურველ ადგილებზე მდებარე ცხიმოვანი ფენა, - გამოკვეთილი “გალიფე”, ნაკეცები და ცხიმგროვები მუცელზე, ბარძაყებზე, - მნიშვნელოვანი ნაკლია, რომლის გამოსწორება დიეტით, ვარჯიშით და კრემებით პრაქტიკულად შეუძლებელია.

მთელ მსოფლიოში, უკვე ყველამ აღიარა, რომ სხეულის ფორმის კორექციის გარანტირებული და სტაბილური კორექცია შესაძლებელია მხოლოდ ქირურგიული ჩარევით, რომლის ეფექტურობაც დამოკიდებულია არჩეულ ქირურგიულ მეთოდზე.

კორექციის ქირურგიული მეთოდებისთვის უპირველესი მოთხოვნებია უსაფრთხოობა, სწრაფი რეაბილიტაცია და მინიმალური კვალი სხეულზე ოპერაციული ჩარევის შემდეგ. სადღეისოდ ყველა ამ პირობას მხოლოდ ლიპოსაქცია აკმაყოფილებს, რაც ნიშნავს ზედმეტი ცხიმის მოშორებას სპეციალური ტექნიკით, კანის გაჩვხლეტით, განაკვეთების გარეშე.

მას შემდეგ, რაც **ლიპოსაქციისთვის გამოიყენება უახლესი ულტრაბგერითი აპარატურა**, ეს ოპერაცია პრაქტიკულად უსაფრთხო გახდა. აღნიშნული ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, ოპერაცია ჩატარდეს ამბულატორიულად, რამდენიმე საათის განმავლობაში, ისე, რომ ადამიანი არ გამოეთიშოს ცხოვრების ჩვეულ რითმს.

საქართველოში, ულტრაბგერითი ლიპოსაქცია პირველად დაინერგა და წარმატებით ხორციელდება სამედიცინო ცენტრში **“მედი”**. ეს უნიკალური მეთოდი უახლესი მიღწევაა კოსმეტიკურ ქირურგიაში და ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს მოწინავე კლინიკებში.

ულტრაბგერითი ლიპოსაქციის დროს, ცხიმოვანი ქსოვილი, ულტრაბგერის ზემოქმედებით იშლება, გადადის ემულგირებულ მდგომარეობაში და იმავდროულად ხდება მისი ამოტუმბვა. ამ დროს, ჩვეულებრივი ლიპოსაქციისგან განსხვავებით, არ ზიანდება სისხლძარღვები, ლიმფური სადინარები და ნერვული ბოჭკოები, რის გამოც მას გართულებები პრაქტიკულად არ ახლავს. ოპერაცია მიმდინარეობს ადგილობრივი გაუტკივარებით, ნარკოზის გარეშე, არ საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას და ადამიანი არ ეთიშება ცხოვრების ჩვეულ რიტმს. ერთადერთი, რამაც მას შეიძლება დისკომფორტი შეუქმნას, კომპრესიული თეთრეულის (ბანდაჟის) ტარებაა, რაც აუცილებელია ოპერაციის შემდეგ ერთიორი კვირის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია, რომ, ულტრაბგერითი ლიპოსაქციის დახმარებით, ერთხელ მოშორებული ცხიმოვანი უჯრედები, მომავალში აღარ ვითარდება და სხეულის სასურველი ფორმა უცვლელი რჩება წლების მანძილზე. ამასთან ერთად, ოპერაცის დროს, ცხიმების დაშლის გარდა, თავს იჩენს ულტრაბგერის კიდევ ერთი თვისება – კანის ელასტიურობის აღდგენა. რის შედეგად კანი თვითონვე იბრუნებს პირვანდელ სახეს და არ ვითარდება ნაკეცები, რომელთაც მოშორება ან მოკვეთა სჭირდება.

როდესაც ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, შეცვალოს თავისი გარეგნობა ქირურგიის საშუალებით, მან აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ მაქსიმალური შედეგის და წარმატების გარანტი მხოლოდ მაღალი კატეგორიის სოლიდური სამედიცინო ცენტრი და მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტებია.

**“მედი” კოსმეტიკური ქირურგიის მხოლოდ მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიებს გთავაზობთ.**

უცხოელი პარტნიორების დახმარებით, აპარატურა, რომელიც აქ გამოიყენება, ყოველწლიურად ახლდება და იცვლება უფრო თანამედროვე, ტექნიკურად სრულყოფილით.

2002 წელს სამედიცინო ცენტრი “მედი” დაფუძნდა ახალ ოფისში, რომელიც აღიჭურვა უახლესი დანადგარებით. განახლდა ყველა არსებული აპარატი და შეიცვალა 2001 წლის მოდელებით. ყველა ეს სიახლე აქ ჩატარებული ოპერაციების საუკეთესო შედეგებს უზრუნველყოფს.

განახლებული ოფისის მყუდრო და კომფორტული გარემო, პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და გულისხმიერება, თქვენ შეგიქმნით მკურნალობისთვის იდეალურ ატმოსფეროს.



ოპერატორი: გია გვარამია





საკუთარი მასალის დემონსტრაცია კომპიუტერული გრაფიკის გარეშე.

სამედიცინო ცენტრი
**მედი**
25-02-02 93-89-75
ალ. ყაზბეგის გამზ.№1

# შეხვედრა მტკვარზე

იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოში, მხოლოდ მამა ღმერთს შეუძლია. გააძლიერებენ თუ არა აშშ და გერმანია სამხედრო დახმარებას და რა დოზით? მიიღებენ თუ არა მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში? შევარდნაძის რეჟიმი დაემხობა თუ პირიქით — განმტკიცდება ამერიკის ხიშტების წყალობით? დაიშლება თუ არა საქართველო ფორმალურად (ფაქტობრივად დიდი ხანია აღარ არის ერთიანი)? ამ კითხვებზე ურთიერთსაწინააღმდეგო ვარაუდები არსებობს. საგულისხმოა, რომ 100%-ით სიტუაცია არავისზე არ არის დამოკიდებული — არც თეთრ სახლზე, არც კრემლზე, არც შევარდნაძესა და არც აფხაზეთზე, არც გამსახურდიას მომხრეებსა და ლტოლვილებზე ან ჩეჩენ ბოევიკებზე, მოკლედ, ყველაფერზე, ვინც და რაც კონფლიქტებს ქმნის ქართულ მიწაზე...

მაგრამ არის ზოგიერთი საკითხი, რომელიც სრულიად გარკვეულია.

***პირველი:*** აშკარაა, რომ აშშ-მა კრემლს წინასწარ შეატყობინა თავისი დესანტის შესახებ (5 მრჩევლისგან შედგება თუ 500 მეომრისგან). სამხედრო ოპერაცია რუსეთის საზღვართან ოლიმპიადაზე მსაჯობა არ გახლავთ, აქ „რუსულ გუნდთან" შეუთანხმებლობას შეიძლება დიდი სკანდალი მოჰყვეს.

***მეორე:*** თუ, როგორც ზოგიერთი ექსპერტი ირწმუნება, რუსეთმა და აშშ-მა საქართველოზე გავლენის სფერო გაინაწილეს (რაც ძალიან საეჭვოა — ის დრო წავიდა), მაინც, ყველა შემთხვევაში ლაპარაკია არა საქართველოს ლიკვიდაციაზე ან ერთიანი სახელმწიფოს დაშლაზე, არა აფხაზეთის რუსეთთან შეერთებაზე და ა.შ. ყველაფერი ეს რუსეთისთვის სულაც არ არის მომგებიანი — არ გვეყოფა ჩეჩნეთი რუსეთის შემადგენლობაში? ახლა კიდევ აფხაზეთი, თანაც ასოცირებული წევრი (ეს რაღაა?!), თავისი წვრილ-წვრილი პრობლემებით, ჯერ კიდევ ჩაუმქრალი სამოქალაქო ომით... მაგრამ ეს კიდევ არაფერია — საქართველოს დაშლა კონფლიქტებს გამოიწვევს არა მარტო თავის ტერიტორიაზე, არამედ მეზობელ სახელმწიფოებშიც. საქართველოს დანაწევრება სეპარატიზმს აღაზევებს ყველგან. მაშინ დადგება საკითხი: ან დსთ-ის ქვეყნები აღიარებენ (როგორც აქამდე იყო), რომ ყოფილი სსრკ-ის რესპუბლიკებს შორის საზღვრები ხელშეუხებელია, ან შესაძლებელი იქნება საზღვრების შეცვლა და მაშინ კი ყველა საზღვარი საეჭვო გახდება. მოკლედ, „ქართული ბომბის" აფეთქება რომ ჯანდაბაში მოისვრის დსთ-ის შიგნით ყველა საზღვარს, აშკარაა.

აქედან გამომდინარე, არავინ დაუშვებს ამ აფეთქებას. ფაქტობრივად, საქართველოს შიგნით რა ხდება — ეს მათი შინაური საქმეა. მთავარია, რადაც არ უნდა დაჯდეს, საქართველოს ფორმალური ერთიანობა შენარჩუნდეს, არა შევარდნაძის ან თავად საქართველოს, არამედ დსთ-ის ყველა ქვეყნის საკეთილდღეოდ.



**ის, რაც საქართველოს ეხება, რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ რაც ამერიკას ეხება — გაცილებით მნიშვნელოვანი.**

საქართველო — მოდელია. მის მაგალითზე მოსკოვმა დროზე უნდა გაარკვიოს თავისი პოზიციები — რუსეთი, აშშ და ნატო მოკავშირეები არიან თუ მეტოქეები?

ტრადიციული თვალსაზრისით, ნატოს დესანტის გამოჩენა რუსეთის საზღვართან (როგორც მედიის ზოგიერთი საშუალება ირწმუნება), ომის გამოცხადებას თუ არა, რაღაც ამდაგვარს მაინც ჰგავს. ყოველ შემთხვევაში, ეს რუსეთისთვის გამოწვევაა, რომელსაც სასწრაფოდ უნდა გაეცეს პასუხი — სიმეტრიული მუქარა. მაგრამ ჩვენი თავდაცვითი ცნობიერებისთვის სრულიად რევოლუციური, საპირისპირო აზრისაა პუტინი.

ამ ახალი თვალსაზრისით, რუსეთი და ნატოს ჯარისკაცები მტკვარმა კი არ გაყო, არამედ შეაერთა, როგორც ოდესღაც ელბამ. და ეს უკვე ანტიტერორისტული კავშირის საერთო დეკლარაციები და სურვილები კი არ არის, არამედ სერიოზული საქმეა: ჩვენი სამხედროები ერთობლივ საქმეს აკეთებენ, ებრძვიან საერთო მტერს — ჩეჩენ-არაბ ტერორისტებს. მნიშვნელობა აღარა აქვს, კონკრეტულად ვინ რას გააკეთებს — ეს უკვე სამხედრო ტექნიკური წვრილმანია. მთავარი და პრინციპული სხვაა: როგორ დამყარდება სამხედრო ნდობა რუსეთსა და ნატოს შორის, რუსეთსა და აშშ-ს, რუსეთსა და დასავლეთს შორის.

დრო აღარ ითმენს. სიტყვას საქმე უნდა მოჰყვეს.

***ლეონიდ რაძიხოვსკი***
***იტოგი №9***

# ხანმოკლე „ცივი ომი"

## თურმე საქართველო და აშშ სულაც არ აპირებდნენ რუსეთზე თავდასხმას

„მოსკოვის ტელეარხებიდან გადმოღვრილი ისტერია ჩვენთვის „ცივი ომის" რეციდივის ტოლფასი იყო", — აცხადებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე. „სისულელეს სისულელით არ შეიძლება ვუპასუხოთ. სერიოზულად როგორ უნდა აღიქვა აფხაზეთის რუსეთში შესვლის საკითხი? ჩვენთანაც იყო ემოციური გამოხდომები — თუ რუსეთი აფხაზეთს აღიარებს, ჩვენ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას ვცნობთო. ემოციურობა ყოველთვის როდი არის გონივრული", — ამბობს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

ახლა საქართველოში ემოციები დუღს და გადმოდუღს. საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის, ნუგზარ საჯაიას დაკრძალვაზე ხალხი ერთმანეთს ჩურჩულით გადასცემდა საჯაიას თვითმკვლელობის ვერსიებს. ისიც ითქვა, დაკრძალვაზე ჩასული რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანი რუშაილო ბევრ რამეს მოჰფენს ნათელსო. თურმე შევარდნაძის დავალებით საჯაია მოლაპარაკებას აწარმოებდა რუშაილოსთან პანკისის ხეობაში პრობლემის მოსაგვარებლად და ისინი მოსკოვში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს; სამწუხაროდ, ამ შეხვედრას შესრულება არ ეწერა — რაღაცამ ან ვიღაცამ აიძულა საჯაია, ჩახმახი გამოეკრა და ძნელად დასაჯერებელია, რომ ეს საგაზეთო სტატიებს გამოეწვია.

...ასეა თუ ისე, ალმა-ათაში ლიდერებმა დაძაბული ვითარების შერბილება სცადეს, თუმცა რაღაც მაინც დარჩა უთქმელი.

„ალბათ ბევრს არ ახსოვს, რომ პირველი ჩეჩნური კამპანიის დროს, სწორედ შევარდნაძემ დაუჭირა მხარი ელცინს სეპარატისტებთან ბრძოლაში, — იხსენებს საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე, — ორივე მხარის ხელმოწერილი დოკუმენტიც არსებობს, რომ რუსეთი საქართველოს ჰპირდება სამხედრო დახმარებას იარაღითა და სამხედრო კადრების მომზადებაში. მაგრამ ამ დოკუმენტს რეალიზება არ ღირსებია. ახლა ასეთივე პროგრამაა აშშ-სთან, ოღონდ ის შესრულდება".

მაშინაც და ახლაც, საქართველოსთვის მთავარი აფხაზეთის საკითხია.



„ვინც აფხაზეთს საქართველოს დაუბრუნებს, ის გახდება შემდეგი პრეზიდენტი, — საინტერესო განცხადებას აკეთებს ფრაქცია „ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე, — თუმცა ვიცით, რომ მოსკოვის კეთილი ნების გარეშე ეს არ მოხერხდება".

***გაზეტა Ru***

# ამერიკელები ზურგიდან გვეპარებიან?

**საქართველოში ამერიკელების სამხედრო მრჩევლების ჩასვლამ რუსეთი გააოგნა, რაც მერე ისტერიკაში გადაიზარდა. მოსკოვისა და თბილისის ურთიერთობამ დიპლომატიური ომის ზღვარს მიაღწია, ვაშინგტონთანაც ბზარი გაჩნდა.**

## ნავთობის სუნი

ზოლიან ვარსკვლავიანთა კავკასიაში გამოჩენამ ანტიდასავლურად განწყობილი სამხედროებისა და პოლიტიკოსების, ე.წ. „ისტრებების" მოთმინების ფიალა აავსო.

„ელცინის დროიდან ჩვენ უარი ვთქვით ბაზებზე კუბასა და ვიეტნამში, ახლა იწყება ექსპანსია კავკასიაში, შემდეგი ნაბიჯი იქნება ბალტიისპირეთის ნატოში მიღება. მერე ალბათ წესრიგის დამყარების საბაბით, თურქებსა და ამერიკელებს ყირიმში გადმოსვამენ", — შეშფოთებას ვერ მალავს გოსდუმის დეპუტატი ალექსეი მიტროფანოვი.

პრაგმატულმა პოლიტიკოსებმა „ქართული ინციდენტი" განიხილეს, როგორც მსოფლიოს ტოტალური გადანაწილების გაგრძელება. მათი ვერსიით, პანკისის ხეობაში ტერორისტებთან ბრძოლა მხოლოდ მდიდარ ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის საფარველია. „ამერიკელები საქართველოსა და ცენტრალურ აზიაში ეტყობა, დიდი ხნით დარჩებიან, — თვლის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრის დირექტორის მოადგილე გენადი ჩუფრინი, — მათთვის მთავარია კასპიის მდიდარი ნედლეულის კონტროლი ამ რეგიონში, რომელსაც სავარაუდოდ, მარაგის მიხედვით არაბეთის აღმოსავლეთისა და დასავლეთ ციმბირის შემდეგ მე-3 ადგილი უკავია. ეს 40-60 მლრდ ბარელი ნავთობი და 10-20 ტრლნ კუბმეტრი გაზია. კასპიის ნავთობის მსოფლიო ბაზრისთვის მისაწოდებლად კი საქართველო ყველაზე მოსახერხებელი დერეფანია".

თბილისის მოქმედებების საპასუხოდ „ისტრებებმა" სასწრაფოდ დაიწყეს აფხაზური კარტის გათამაშება... ბევრმა ეს პროვოკაციად აღიქვა. „მხოლოდ მთვრალ კაცს შეუძლია დასვას აფხაზეთის რუსეთთან მიერთების საკითხი", — ამბობს პოლიტიკური ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორის მოადგილე ბორის მაკარენკო.

აფხაზეთს ვერასოდეს შემოვიერთებთ, სახელს კი სამუდამოდ წავიხდენთ. საჭიროა არა რქებით დაჯახება, არამედ საქართველოში და ცენტრალურ აზიაში ამერიკასთან ერთობლივი მოქმედების გეგმის შემუშავება.

პანიკა მხოლოდ ალმა-ათის სამიტზე პუტინის გამოსვლის შემდეგ ჩაცხრა. პრეზიდენტმა ცალსახად მიანიშნა, რომ დსთ-ის ქვეყნების სამხრეთ ნაწილში აშშ-ის სამხედრო მონაწილეობა რუსეთს არ ემუქრება.

## საცივი „მწვანე ბერეტებისთვის"



საქვეყნოდ განთქმულ ქართულ სამზარეულოს რუსეთში ყველა იცნობს, მაგრამ საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ არაფერი სმენიათ. რუსეთის გენშტაბში ეცინებათ — იქ შეიარაღებული ძალები კი არა, შეიარაღებული სისუსტეებია — ოსეთიდან გამოიქცნენ, აფხაზეთის ომი წააგესო...

ეს მოსაზრება სადავოა — ჯერ კიდევ „ვეფხისტყაოსნის" დროიდან ქართველები მშვენიერ მეომრებად არიან ცნობილნი. მერმინდელ ეპოქაში კი, მარტო 1812 წლის სამამულო ომის გმირი, თავადი ბაგრატიონი ან მეორე მსოფლიო ომის კომანდორმი გენერალი ლესელიძეც კმარა! საქართველოს ისტორიის ბოლოდროინდელ მონაკვეთში კი ჯაბა იოსელიანის და თენგიზ კიტოვანის შეიარაღებული ძალები უფრო ოპერეტის ჯარებს მოგაგონებდათ, რომელთაც თავი ქართველ რემბოებად წარმოედგინათ. შემდეგ ქართული არმიის მეთაურობა ყოფილმა საბჭოთა გენერალმა ვარდიკო ნადიბაიძემ იკისრა. მოსკოვში, თავდაცვის სამინისტროში მისი ვიზიტების შესახებ დღემდე ლეგენდები დადის — თბილისიდან იმდენი ღვინო და კონიაკი ჩაჰქონდა, რომ ერთი კვირით გამოჰყავდა მწყობრიდან რუსეთის გენერალიტეტის თავკაცები. თურმე საქართველოს მინისტრი განსაკუთრებით ახლოს იყო პაველ გრაჩოვთან. ამბობენ, ნათელმირონობა აკავშირებთო.

რუსეთის დახმარებით ნადიბაიძემ შეძლო ბრძოლისუნარიანი არმიის ჩამოყალიბების პირველი ეტაპის დასრულება, მაგრამ შევარდნაძემ სასწრაფოდ შეცვალა რუსოფილი ვარდიკო დავით თევზაძით.

ექვსი შვილის მამა, გენერალი დავით თევზაძე სოხუმელია, სამხედრო განათლება დასავლეთში მიიღო: დაამთავრა სამი სამხედრო კოლეჯი — იტალიაში, გერმანიასა და აშშ-ში. ვფიქრობთ, ედუარდ შევარდნაძეს არ აეჭვებს გენერლის ერთგულება, მაგრამ ყოფილი ფილოსოფოსის მხედართმთავრული ნიჭისა კი რა მოგახსენოთ — საქართველოს არმია განადგურებულია. ჯარისკაცები შიმშილით რომ არ დაიხოცონ, მეთაურები შინ უშვებენ გამოსაკვებად. თუ არა და, მშიერი ბუნტია მოსალოდნელი, შარშან ხომ იყო ამის პრეცედენტი...

ამიტომაც არის, რომ საქართველო დასავლეთისგან სამადლოდ მიღებული დახმარების იმედად არის. მაგ. გერმანიამ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს 150 საბარგო მანქანა, 1.500 რადიოსადგური და 500 კომპლექტი ტანსაცმელი აჩუქა. თურქეთი აწვდის საავიაციო ნავთობს და დიზსათბობს — ჯავშანტრანსპორტისთვის. ამერიკელებმა 6 შვეულმფრენი „იროკეზი" და მანქანები მისცეს. ახლა კი შევარდნაძე და მისი მომხრეები ამერიკიდან „მწვანე ბერეტების" სპეცრაზმელებს ელიან. ამბობენ, საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციაში ჯიშიან ქათმებს და საგანგებო ნიგოზს ამზადებენ საცივისთვისო.

გფბ-ის და ცსს-ის „წყნარ ამერიკელებს" ქართველი სამხედროების მომზადების გამოცდილება აქვთ. სწორედ იქ გამოიწვრთნა შევარდნაძის პირადი გვარდია „ომეგა".

***არგუმენტი ი ფაქტი №10***

# პირადად მე მჯერა პუტინისა



***ალმა-ათიდან დაბრუნებულმა საქართველოს პრეზიდენტმა* ედუარდ შევარდნაძემ *მოკლე ინტერვიუ მისცა „მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტს.***

**— ბ-ნო პრეზიდენტო, მოსკოვში ამბობენ, საქართველო და ამერიკა რუსეთზე თავდასხმას აპირებენო?**

— ნუ მივაქცევთ ყურადღებას ზოგიერთი მოსულელო პოლიტიკანის აზრებს, რომლებიც საუბედუროდ, თქვენთანაც ბევრია და ჩვენთანაც. მაგრამ თუ გოსდუმა ხელს შეუწყობს მეზობელ ქვეყნებში აგრესიული ნაციონალიზმისა და სეპარატიზმის გაღვივებას, მაშინ ეს ჭირი თქვენვე დაგიბრუნდებათ. იმაზე აღარ ვლაპარაკობ, ამ ამბავს თუ რა ნეგატიური გამოხმაურება ექნება მთელ მსოფლიოში.

**— თუ განიხილეთ ის პოლიტიკური მექანიზმები, რომელიც გამორიცხავდა ასეთ ინციდენტებს?**

— რუსეთ-საქართველოს სტაბილური ურთიერთობის ყველაზე საიმედო გარანტია — ორივე ქვეყნის პრეზიდენტების მუდმივი გულახდილი დიალოგი, ჩვენ განვიხილეთ პირადი წარმომადგენლების დანიშვნის საკითხი.

**— როგორია თქვენი დამოკიდებულება რუსეთის პრეზიდენტთან?**

— მე ვერ გავაზვიადებ მოვლენებს და დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ სრული ნდობა გვაქვს ერთმანეთისა. მე თავად ვენდობი მას, მაგრამ ის რას ფიქრობს — არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მგონი, რომ ამ შეხვედრაზე გულწრფელი იყო. არ მაქვს უფლება, ვილაპარაკო ყველაფერზე, რაც ჩვენ შორის ითქვა, მაგრამ მერწმუნეთ, ერთად გადავწყვეტთ ყველა პრობლემას, რომელიც დღეს ხელს გვიშლის ნორმალურ ურთიერთობებში. იმედი მაქვს, მალე არა მარტო დავძლევთ ყველა სიძნელეს და ჩვენი ურთიერთობა კეთილმეზობლური გახდება, არამედ ძმურიც.

**— და მაინც, ბატონო პრეზიდენტო, კიდევ ერთხელ უფრო კონკრეტულად მიპასუხეთ: მიიღებენ თუ არა ამერიკელი ჯარისკაცები უშუალო მონაწილეობას საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებებში?**

— არა!

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №9***

# — თქვენი ეთნოსი მაშინ დაიღუპება, თუ ასე გააგრძელებთ...

აფხაზეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები საქართველოში მყოფმა გაეროს მისიამ შეაფასა, როგორც არალეგიტიმური და მოუწოდა აფხაზეთის მთავრობას, „თავი შეიკავოს ისეთი მოქმედებებისაგან, რაც ხელს შეუშლის საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირებას".

გთავაზობთ საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლის **დიტერ ბოდენისა** და „იზვესტიის" კორესპონდენტის საუბრის ამონარიდს:

**— როგორ გგონიათ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტიდან გამოსავალი არის თუ აფხაზეთი მეორე მთიან ყარაბაღად იქცევა?**

— მთიან ყარაბაღთან შედარებით, ჩვენ საკითხის გადაწყვეტის გაცილებით მეტი პერსპექტივა გვაქვს. ქართველებისა და აფხაზების მრავალსაუკუნოვანი თანაარსებობა დაუბრკოლებლად მიმდინარეობდა, თუმცა პრობლემებმა ბოლო ასი წლის წინ მაინც იჩინა თავი. ეს ხალხები დიდხანს ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ მშვიდობიანად. მათ ბევრი შერეული ქორწინება აკავშირებთ. მთავარი, რაც ახლა მათ დაკარგეს — ნდობაა. იქ გაჩაღებულ საშინელ ომში 11 ათასი ადამიანი დაიღუპა. აფხაზეთში ახლა სერიოზული პრობლემებია. დანგრეულია ეკონომიკა, კვალიფიციური ახალგაზრდობა გარბის. როცა აფხაზები მეუბნებიან: კიდევ ერთი ექსპერიმენტი საქართველოსთან და ჩვენი ეთნოსი დაიღუპებაო, მე ვპასუხობ, — თქვენ, როგორც ეთნოსი, დაიღუპებით მაშინ, თუ რაც დღეს ხდება, გაგრძელდება-მეთქი.

***იზვესტია №38***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო! კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიამბობენ

**5 წლის პაატა ხათაშვილს** თავი ასტკივდა. დედამ უთხრა, დაწექი და ტკივილი გადაგივლისო. პაატამ გაიოცა, — როგორ გადამივლის, ფეხები ხომ არა აქვს?

***

3 მარტთან დაკავშირებით ძია ირაკლიმ ოჯახის წევრ მანდილოსნებს ყვავილები მიართვა: **2 წლის თამაზიკო სანაიას** ეკითხებიან:

— თაზო, ყვავილები ვინ მოიტანა?
— იკამ.
— ვის მოუტანა?
— ვაზას, ვაზას.

***

**პატარა ლიკა სიხარულიძე** საგურამოში ისვენებს. ეზოში თამაშობს. მეზობლის ქალმა ამოიღლიავებული ქათამი გამოიყვანა და თვალის დახამხამებაში გააგდებინა თავი.

— ნინა ბებო, ქათამს თავი რატომ მოხსენი? — იკითხა ლიკამ.

***

**3 წლის ირაკლი თორთლაძემ** ლიმონათი დალია, ბოთლი და საცობი ბაბუას მიაწოდა:

— დაახურე, ბაბუა, ქუდი დაახურე.

ცოტა ხნის შემდეგ ლიმონათი ისევ მოუნდა.

— ბაბუა, აახურე ქუდი.

***

**5 წლის შაკო**, რომლის მამაც ამერიკაში მუშაობს, დედას „ქართვლის დედაზე“ ეკითხება:

— დედიკო, ეს ვინ არის?
— „ქართვლის დედა“...
— ქართვლის მამა საზღვარგარეთ მუშაობს?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ ზოლში მიიღებთ გამოტოვებულ სიტყვას შემდეგი ანდაზიდან: „არა შეჯდა .... ხესა, არა იყო გვარი მისი“.

II





იპოვე დაჭერილი თევზების ორეულები

## იპოვე 13 განსხვავება



გაავლე ხაზი ისე, რომ ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ფრინველები, ხოლო მეორეზე — მწერები





გამოიცანი, რომელ ყვავილზე დაჯდება ჩიტი



რომელი ციფრი მეორდება ყველაზე ხშირად?



გამორიცხე „ზედმეტი“ საგანი

## I რებუსი






ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო“

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

# ცხოვრებისეული კურიოზები

## თავჯირკა ბიჭი და ჯანოს ლექსი



„კვირის პალიტრის“ მკითხველი ძირითადად კურიოზების, ანეკდოტების ავტორად და ორიგინალურ ლექსიკონში „დუელანტად“ მიცნობს. მაგრამ მე პოეტი კაცი ვარ და ჩემს ქალაქში — ქუთაისში ხანდახან შეხვედრებსაც მიწყობენ. ასე იყო ამ ცოტა ხნის წინ, როცა პოეზიის საღამოზე მიმიწვია ქალაქის მე-7 საშუალო სკოლამ. ერთმანეთს ენაცვლებიან მოსწავლეები, მხატვრულად კითხულობენ ჩემს ლექსებს. ერთი ასეთი ლექსიც მაქვს „ცხენი“, წლევანდელ ცხენის წელს მივუძღვენი და თავი მომწონს კიდეც ამ ლექსით, მაგრამ რად გინდა, ყველაფერი წყალში ჩამეყარა: გამოვარდა სცენაზე ასე მე-5 კლასელი თავჯირკა ბიჭი და ომახიანად დასჭექა — ჯანო ონიანი ცხენი!.. ატყდა დარბაზში სიცილი... ცხენი მამაშენია, — ჩავიბუტბუტე ნირწამხდარმა, მაგრამ ქუთაისელებს რას გამოაპარებ... ასე რომ, გვარიანი კაფიობა გამოგვივიდა...

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## რუსული ფილმი ჩუმლაყში

კომუნისტების დროს სოფელ ჩუმლაყის კინოთეატრში მოიტანეს რუსული მხატვრული ფილმი „დუმი მატერი“. გაკვირვებულმა „ფიჩქამ“ (კინოთეატრის მექანიკოსმა) რამდენჯერმე წაიკითხა სათაური. მერე ერთი კი წაიბუზღუნა, ეს რა უბედური სათაური დაურქმევიათო და აფიშაზე დიდი ასოებით დააწერა: — ამ საღამოს, 8 სთ-ზე, ნახირის შემდეგა ნახამთ რუსულ მხატვრულ ფილმს „დედის დუმები“.

იმ საღამოს ჩუმლაყის კინოთეატრი გადაჭედილი იყო, ფიჩქა კი კინაღამ სამსახურიდან მოხსნეს ფილმის სათაურის დამახინჯებისთვის.

***მაია ციხისთავი, გურჯაანი***



## ცოცხალს არც შენ დაგტოვებო



ქუთაისში ვცხოვრობ და ერთი მეზობელი მყავს, სვანი ანზორა. ერთხელ, ჩემმა მეორე მეზობელმა, როცა გაცივებული ანზორა სვანეთში მიდიოდა, რაღაც წამალი გაატანა და თან გაეხუმრა: — მაგ წამალი სამ საათში მოგკლავსო. ანზორა გაბრაზდა და უთხრა: იცოდე, ამ წამალმა თუ მომკლა, ჩამოვალ და არც შენ დაგტოვებ ცოცხალსო.

***შოთა მანჯგალაძე, ქუთაისი***

## ოღონდ შენს ბიჭს ნუ გამატანო

ჩემს მეგობარს სიმამრი გარდაეცვალა. სამძიმრის დღეებში ფეხებში გვედებოდა მისი ბიჭი — ათი კაცი რომ ვერ დააკავებს, ისეთი გიჟი და გადარეული გოგიტა. ხან სად ამოყოფდა თავს, ხან სად, ხან ვისააყვირებდა და აახარხარებდა, ხან — ვის.

მეორე დღიდან პანაშვიდები იწყებოდა და ჩემმა მეგობარმა თავის მეჯვარეს, გოგიტას ნათლიას სთხოვა:

— ვაჟა, ეს ბიჭი თავს მომჭრის ამდენ ხალხში, წაიყვანეთ შენ და ნანამ (ვაჟას ცოლია) თქვენთან ეს დღეები...

ვაჟას სახე ჰქონდა, შემეცოდა...

— ხომ იცი, ან შენ როგორ მიყვარხარ, ან შენი ცოლი, მაგრამ თუ გინდა შენი სიმამრი გამატანე და გოგიტას ვერ წავიყვანო...

ჭირისუფალი არ დარჩენილა, ხარხარი არ დაეწყო...

***თორნიკე გვალია, თბილისი***



## რავა ყველა მოტყუებაზეა!..



ამას წინათ, საღამო ხანს „დეზერტირების“ ბაზარში შევიარე საყიდლებზე, სადაც უნებლიეთ ასეთი ამბის მომსწრე გავხდი:

— როგორ ყიდით ყველს, ქალბატონო?

— ჰკითხა ინტელიგენტური გარეგნობის მამაკაცმა ყველის გამყიდველ მანდილოსანს.

— კილოს სამ ლარად მოგართმევთ, ბატონო, სულ თუ წეიღებთ, ესღა დამრჩა... — მიუთითა დახლზე დარჩენილ ყველზე გამყიდველმა, როგორც საუბრის კილოზე შევატყვე, ზემოიმერელმა ქალმა.

აწონეთ, რაც გამოვაო, უთხრა მყიდველმა. ქალმა ჯერ ერთი თავი ყველი დადო სასწორის თეფშზე, ისარი სამასგრამიან ნიშნულს ოდნავ გადასცდა, დადო მეორე თავი ყველი — სასწორის ისარმა შვიდას გრამს „მიუკაკუნა“, მესამე თავიც რომ დაამატა, როგორც იქნა, შესრულდა ერთი კილოგრამი — ძალიან პატარა თავები იყო.

მყიდველმა სამი ლარი გაუწოდა, მაგრამ გამყიდველმა ცივი უარი სტკიცა — ამ ფასად ვერ გავყიდიო.

— კი მაგრამ, ახლა არ მითხარით, კილო ყველს სამ ლარად მოგცემთო? — გაუკვირდა მყიდველს.

— რავა ყველა მოტყუებაზეა ამ თბილისში, უყურე ამას შენე! — აღშფოთდა ყველის გამყიდველი — მე გითხარი კილო ყველს მოგცემ სამ ლარად, თვარა სამ თავ ყველს მოგცემ სამ ლარადო, მაგი კი არ მითქვამს!

***რევაზ ნიჟარაძე, თბილისი***

# მკითხველის —— —— საყვარელი ანეკდოტი



მასწავლებელი ეკითხება პატარა მიტოს:

— ამიწერე კენგურუ!

მიტო: — კენგურუ ცხოვრობს ავსტრალიაში, მუცელზე ჩანთა ჰკიდია, რომელშიც მაშინ იმალება, როცა შააშინებენ...

***კ.თ., ბორჯომი***



მიხო თანაკურსელთან ერთად პარკში სეირნობს:

— ნახე, ბიჭო! ის ლამაზი გოგო მე მიცინის!

— რა გიკვირს მერე? შენ რომ პირველად შემოხვედი აუდიტორიაში, მთელი კურსი გასკდა სიცილით...

***ნანა ტეფნაძე, თბილისი***

სვანი გააჩერა ინსპექტორმა და ეუბნება:

— აკრძალვის ნიშანს ხომ ხედავ, ამ ქუჩაზე შესვლა არ შეიძლება!

— ნიშანი არ ვიცი მე, თუ არ შეიძლება, ღობე გააკეთეთ!

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***





სეროჟა ციხიდან წერილს სწერს დედას:

— დედიკო, ბალღობაში რო მეუბნებოდი, ისეთი კაცი გაზრდილიყავი, შენ კარებთან დაცვა მდგარიყოსო, ხო შეგისრულე ნატვრა!..

***მანანა ხურციძე, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

## რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული ლექსიკონი ასევე ზოგიერთი სიტყვის განმარტებანი

ვალიდოლი — წილი ვალიდან
ზამბახი — ბახის მოადგილე
კაკალი — როგორ არის ალი?
კიტრი — ბილიარდის სამი ჯოხი
ლენტი — ზარმაცი ხარ, შენ!
მაკლერი — ლერის ყაყაჩო
მალარია — პატარა არია
პიანინო — მთვრალი ნინო
პლანეტა — ეს გეგმაა
პროკურორი — ორი ქათმის შესახებ
რადიოლა — ოლიას გულისთვის
სტარტი — ბებერი ხარ, შენ!
შარვალი — ვალი, რომლის დაბრუნებაც არ უნდათ (შარიანი ვალი)
ცარიცინი — მეფე იცინის

***იასე (სოსო) გოგოლაშვილი, თბილისი***



## ლექსიკონი, ანუ კიდევ ერთი „დუელანტი“

ბატალიონი — ბატი დილით (ალიონზე)
გაზეტა — ეს გაზია
დურაკი — ორი კიბორჩხალა
ვიდიმოსტი — ხედი ხიდიდან
ვორობეი — ქურდო, დაარტყი!
იკრა — დაიხანჯლა (ხევსური) ან დანა დაირტყა
კრასნოდარი — შეღებე ნოდარი (ან მღებავი ნოდარა)
კუზბასი — ბასას კუზი
კუზმინი — პატარა კუზი
კურსანტი — სანტა-კლაუსის ქათმები
მალატოკი — მცირე დენი
მურმანსკი — მურმანის საფუტკრე (სკები)
ორენბურგი — ორენოვანი ქალაქი
პალტო — წაიქცა, ტო!.. (თბილისურად) ანდა დაეცა, ტო!..
რუბაშკა — რუს თავი (მდინარის, ნაკადულის სათავე)
სამაკატი — შენ თვითონ ხარ კატა!
სილიოდკა — ძალა არაყშია
სუმაშედში — აუღებელი (წასული) ფული

***შალვა ჟორჟოლიანი, წყალტუბო***

C M Y K



## მერაბ კვიტაშვილი

*გამარჯობათ, მე ვარ მერაბიკო, უფრო სწორად, მერაბ ლევანის ძე კვიტაშვილი. დავიბადე ქუთაისში, 1990 წლის 14 დეკემბერს. ეროვნებით ქართველი, სარწმუნოებით მართლმადიდებელი ქრისტიანი. ზოდიაქოთი, რომლისაც არ მჯერა — მშვილდოსანი.*

*ვზივარ ოთახში. ვუყურებ ჩემი ოჯახის წევრებს და მიხარია, რომ სწორედ აქ, ამ ოჯახში გავჩნდი.*

*მე რომ დავიბადე, ერთი ჩემი დიდი ბაბუა ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ ასე მგონია, რომ ვიცნობდი, იმდენი რამე გამიგონია მასზე. მას ალექსანდრე ერქვა. ისე, ყველა საშას ეძახდა. საშა კვიტაშვილი ექიმი იყო. ჩემი დიდი ბებია, საბედნიეროდ, ახლაც ცოცხალია — ქეთევან ნიჟარაძე, თავადის ქალი. დედა ჩიჯავაძე ჰყოლია, მარო ჩიჯავაძე, რომელსაც მთავრობამ მთელი ქონება წაართვა.*

*დედაჩემის ბაბუა მსახიობი იყო — გრიშა ნაცვლიშვილი. ყველაზე ძლიერ „ცისფერი მთები“ მიყვარს, სადაც ბაბუა თამაშობს. იქ ის სეიფში კვერცხებს მალავს და სულ შვებულებაში გასვლა უნდა.*

*მოკლედ, მდიდარი კაცი ვარ. მყავს ორი დიდი ბებია, ორი ბაბუა, ორი ბებია, ორი ბიძა, ორიც ბიძაშვილი და სამი ყველაზე, ყველაზე საყვარელი ადამიანი — მამა, დედა და ძმა. ესაა ჩემი ოჯახი.*

# ს ა მ ა ი მ უ ნ ე თ ი

მაიმუნეთის დემოკრატიული რესპუბლიკა მდებარეობს დედამიწაზე. მოსახლეობა 4 მილიონ 500 ათასია. ნუ გეღიმებათ, ბატონებო, ნურც თქვენ, ქალბატონებო! ასეთი ქვეყანა ნამდვილად არსებობს! არ გჯერათ? მაშ, ყურადღებით მომისმინეთ და ყველაფერს თანამიმდევრობით მოგიყვებით... ჩემო ძვირფასებო, ბებიებო და ბაბუებო, დედებო და მამებო! მოისვით გვერდით თქვენი შვილიშვილები და შვილები, მათაც მოასმენინეთ ეს საოცარი ამბავი, რომელიც მე, თქვენს მონა-მორჩილს, ირაკლი მამაცაშვილს გადამხდა. სხვას რომ მოეყოლა, არც მე დავიჯერებდი. მაგრამ მე, მე გადამხდა და რა ვქნა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, თუ დაიჯერებთ, ხომ კარგი და თუ არ დაიჯერებთ, მაინც კარგი. ე.ი. სულ კარგი და კარგი. მაშ ასე, ვიწყებ:

ერთი შეხედვით ჩვეულებრივ დღეს, ირაკლი მამაცაშვილს, ასევე ჩვეულებრივ ბიჭს, დილით, ჩვეულებრივ დროს, 12 საათზე გამეღვიძა. არ გეგონოთ, ზარმაცი ვარ, უბრალოდ, შაბათი იყო და არსადაც არ მეჩქარებოდა. სახლში სამარისებური სიჩუმე იდგა. უცებ გამახსენდა, გუშინდელი ჩემი საქციელი და სასტიკად შემრცხვა. არა, ისეთი საშინელება კი არაფერი ჩამიდენია, — მეზობლის ფანჯარა სრულიად შემთხვევით ბურთით ჩავლეწე. კიდევ რაღაც-რაღაცები... თუმცა, ერთი რამ კარგად მახსოვს, მამაჩემმა რომ მითხრა:



— რას მაიმუნობ, ბიჭო, როგორ იქცევი!

დედაჩემმა კი უპასუხა:

— მაიმუნია და აბა, როგორ მოიქცევა!

უცებ, ზარი დაირეკა. თავი მოვიმძინარე, რადგან სასტიკად მეზარებოდა კარის გაღება. თუმცა, ზარი არა და არ ჩერდებოდა.

— ნეტა, სად წავიდა ეს ხალხი? — ბუზღუნით ვთქვი და ლოგინიდან ზლაზვნით წამოვდექი.

— დედა, მამა! — პასუხი არ იყო. ზარი რეკდა და რეკდა, — მოვდივარ, რა ამბავია, კაცო! — დავიყვირე და კარი გავაღე. შავებში ჩაცმული კაცი იდგა — შავი კოსტიუმით, შავი პალტოთი, შავი ცილინდრით, შავი ხელთათმანებით, შავი ჯოხით და უცნაურად მიღიმოდა.

— ვინ გნებავთ? — დავიბენი.

— თქვენ! — იყო პასუხი.

— მეე, — გავიკვირვე და უმალ გამახსენდა, უცხოს კარი რომ არ უნდა გავუღო.

— დიახ, თქვენ, — კვლავ უცნაურად მიღიმოდა უცნობი და ოთახში ფეხი შემოდგა.

უმალ გამახსენდა ბოლო დროს „სახელგანთქმული რუსთაველი მანიაკი“ და სხვა ჯურის ავაზაკები, რომლებიც ოდესმე საშინელებათა ფილმებში მინახავს.

— რა გნებავთ?

— მეე, მე არაფერი, — უტიფრად თქვა მანიაკმა, — აი, თქვენ რა გნებავთ, ეს მაინტერესებს.

— ვინ ბრძანდებით და რა გინდათ ბოლოს და ბოლოს! თქვენ... თქვენ, მანიაკი ხართ! — მოვიკრიბე მთელი ძალ-ღონე, მთელი გამბედაობა და პირდაპირ მივახალე, რასაც მასზე ვფიქრობდი.

— ხა, ხა, ხა!.. — გადაიხარხარა მანიაკმა, — მე მანიაკი არამც და არამც არა ვარ. მე ვარ კეთილშობილი ჯადოქარი-მაჯოქარი.

ჯადოქარი გამეგონა, მაგრამ მაჯოქარი რაღა უბედურება იყო, ვერაფრით მივხვდი...

— ჩემო პატარა მეგობარო, რატომ მაიმუნობ? — მკითხა მაჯოქარმა თუ ჯადოქარმა, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს...

— მე არ ვმაიმუნობ, მაჯ... ჯად... — ენა დამება.

— არა კი არა, კი, ზუსტადაც რომ მაიმუნობ. მთელი შენი და არა მარტო შენი, არამედ მთელი თქვენი ცხოვრება მაიმუნობაა და ამიტომაც შენ წადი იქ, სადაც ბევრი შენნაირი ცხოვრობს! — „ალან-ფულან, ალან ფულან“... — წაიბუტბუტა მან.

... ჯოხი თავბრუდამხვევადააქნია, უცებ ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა და გონება დავკარგე. აზრზე რომ მოვედი, სადღაც ტრიალ მინდორში ვეგდე. თავზე ვიღაც თუ რაღაც ბანჯგვლიანი არსება მადგა.

— რა გჭირს, ძმაო? — მკითხა მან.

— შენ ვინა ხარ?

— მე მაიმუნი ვარ, შენ?

— მეე, მე ადამიანი ვარ. სადა ვარ.... — ამოვილუღლუღე.

— სადა ხარ და სამაიმუნოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში! — სერიოზულად მიპასუხა. ხელმეორედ დავკარგე გონება.

ახლა ძალიან რომ არ დაგღალოთ ჩემი გონების დაკარგვა-აღდგენით, მოკლედ მოგიყვებით ამ ლამაზი და უჩვეულო ქვეყნის შესახებ. მთელი ჩემი იქ ყოფნის დროს გვერდიდან არ მომცილებია ის მაიმუნი, რომელმაც პირველად მიპოვა. მას დათიკუსი ერქვა, გვარი ვერ დავიმახსოვრე.

მაშ ასე, ვიწყებ:

სამაიმუნეთი ძველად ჩვეულებრივი ქვეყანა ყოფილა. იქ ჩვეულებრივი ადამიანები ცხოვრობდნენ და შრომობდნენ. ამ ქვეყანას უდიდესი ისტორია ჰქონია და სახელიც რაღაც სხვა ერქვა, თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს იქაური ხალხი შეკრებილა ქვეყნის მთავარ მოედანზე და მოუკლავთ მეფე... ახალ მეფედ კი მაიმუნი გორილა აურჩევიათ, რის შემდეგაც ნელნელა დაწყებულა ადამიანების გამაიმუნება. ხოლო მათ, ვინც არ მაიმუნობდა, კლავდნენ ან ზოოპარკში ამწყვდევდნენ. ეს, რაც შეეხება წარსულს...

დღევანდელობა კი ასეთი იყო: სამაიმუნეთში ხალხი გაჭირვებით ცხოვრობდა. არ ჰქონდათ შუქი, წყალი, საჭმელი, სასმელი (ყველაფერმა ამან ჩემი სამშობლო მომაგონა და თვალზე ცრემლი მომადგა), მაგრამ მაიმუნები მაინც იმედით უყურებდნენ მომავალს. მათ ჰყავდათ მეფე მაიმუნი გორილა, რომელსაც მთელი მსოფლიოს მაიმუნები პატივს სცემდნენ. ჰქონდათ საჯღანაო (რაც ჩვენებურ პარლამენტს წააგავდა), სადაც ძირითადად მანჭია მაიმუნები ისხდნენ, მთელი დღეები იმანჭებოდნენ და ცხოვრობდნენ ტკბილად და უზრუნველად. ერთ რამეში ძალიან გვგავდნენ ჩვენ — სტუმარი უყვარდათ ძალიან. სულ უკანასკნელი მათხოვარი მაიმუნიც კი, რომელიც ქუჩაში მხვდებოდა, სულ იმის ცდაში იყო, როგორმე პატივი ეცა ჩემთვის — ხან ბანანს და ხან ანანასს მაწვდიდნენ...

ერთხელ, ქუჩაში ასეთ რამესაც წავაწყდი. საკმაოდ ლამაზი მაიმუნი, რომელიც ნახევრად მაიმუნი იყო, ნახევრად კი ადამიანს წააგავდა, მაღალ ხეზე ჩამოკიდებული გაჰყვიროდა: „ჰეი, თქვე საცოდავებო, გაიხსენეთ ვინა ხართ: ვინ იყვნენ თქვენი ბებიები და ბაბუები, რამ გაგამაიმუნათ, ხალხნო ასე! თქვენ ხომ ადამიანები ხართ!..“ მის ირგვლივ ნელ-ნელა იკრიბებოდნენ მაიმუნები, რომლებიც პირდაღებულნი შესცქეროდნენ ამ მოულოდნელ სანახაობას.

— რაო, ვინა ხართო, რას ამბობს? — იკითხა ერთმა მაიმუნმა.

— ვინაო და ადამიანებიო, — ვუპასუხე მე.

— ვინაა ეს გიჟი, კაცო, ადამიანიც ხარ და უფრო მეტიც! ჩვენ, მაიმუნებს მაიმუნობა გვაცადოს და თავი დაგვანებოს! — აყვირდა აღშფოთებული.

ამ დროს მიწამ ზანზარი დაიწყო.

— ვაიმე, მოდის, მოდის, თავს ვუშველოთ! — აყვირდნენ შეშინებულები.

გვერდით გავიხედე და დავინახე დიდი ორანგუტანგი, რომელსაც რაღაც ჩვენებური პოლიციელის ფორმა ეცვა. მას ბევრი, შედარებით პატარა ორანგუტანგი მოჰყვებოდა.

— ვინ არის? — ვკითხე დათიკუსს, რომელიც შიშისგან გათეთრებულიყო.

— ვინ არის და წესრიგის მინისტრი, — ძლივს მიპასუხა საცოდავმა.

უცებ, მათ რაღაც ჯოხები დააძრეს და მაიმუნებს დაერივნენ. ამ დროს ყველაზე მაღალ ხეზე მეფე გორილა დავინახე, რომელიც ხარხარებდა და გაჰყვიროდა:

— დასცხეთ მაგათ. ა, ადამიანობა მოუნდათ, როგორი მაიმუნებიც ხართ, ისე მაიმუნურად უნდა იცხოვროთ. აბა, რა გეგონათ თქვენ!..

ამ დროს, რომელიღაც ორანგუტანგის მოქნეული ჯოხი თავში მომხვდა და ვინ იცის, ეს მერამდენედ დავკარგე გონება...

აზრზე რომ მოვედი, ჩემს საწოლზე ვეგდე, თავს შეშფოთებული დედ-მამა მადგა.

— რა გჭირს, შვილო? — მკითხა დედამ.

— მეე, მე არ ვიცი, ახლა კარგად ვარ, მაგრამ თქვენ, რა, ადამიანები ხართ თუ მაიმუნები? — ვიკითხე გაოგნებულმა.

— ხედავ, ეს მაიმუნობს, ჩვენ კი კინაღამ მოვკვდით ნერვიულობით, — თქვა მამამ და ოთახიდან გავიდა.

— ადექი შვილო, ჩაიცვი და ჩაი დალიე, — ეს დედამ მითხრა და ისიც მამას გაჰყვა.

როგორც იქნა, წამოვდექი და მოულოდნელად ყველაფერი გამახსენდა, გამახსენდა და გამეცინა. ეს რა უცნაური რამ მესიზმრა-მეთქი, გავიფიქრე და თავი მოვიქექე... უზარმაზარი კოპი მაჯდა! — გამახსენდა ჯოხიანი ორანგუტანგი, მოხარხარე მეფე გორილა, დამფრთხალი მაიმუნები და ტანში უსიამოვნოდ გამცრა... აი, სულ ეს იყო.

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!

**17 წლის გიორგი კეკელიძის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელის შემოქმედებას ამ ცოტა ხნის წინ ასეთი შეფასება მისცა აწ გარდაცვლილმა მწერალმა ლევან სანიკიძემ: „წავიკითხე გიორგი კეკელიძის ახალი ლექსები, პროზაული ესკიზები, აფორიზმები. წავიკითხე და ფრიად გავიხარე, რომ ამასწინანდელი ნათქვამი — გიორგი კეკელიძის სახით ქართულ სამწერლობო ასპარეზს ახალი, მაღალღირსეული ძალა მოერთვის-მეთქი — არამცთუ არ გამიწბილდა, არამედ კვლავაც და კვლავაც, უმტკიცესად დავრწმუნდი მოხსენიებული ყმაწვილის სრულიად მადლმოსილ ნიჭიერებაში.“**



## გიორგი კეკელიძე

●

მთვარე ქელთობის ცხელ გუბეში
　　　　მოიბანს ფეხებს,
ივრის ხეობას გადახედავს მერე და მერე,
შვილზედ მოზარე დედასავით ემხობა
　　　　ნისლი ჭლექიან ხევებს.
სიო ქრის ნელი, იფერფლება
　　　　ღრუბლის კანდელი
და ტრფობის ტკბობას განდეგილი
　　　　ირემი მღერის,
ნიაღვართქაფის მაჯისცემა მოისმის შორით
　　　　მძაფრი და მწველი.

### მთოვარე დილით

ქარს ვერ ენახა ღრუბელი მაშინ...
სევდამ მავნო და მანვე მათრია.
დილას აყვავდა მთოვარე ცაში,
არ ვიცი, წუხელ სად გაათია.
ატმის ნამქერში მზე გაიფანტა,
მერე ეული აღელდა ღელე...
სიო ჩავიდა ნელა... და ნელა,
კვალად და კვალად ჩასდია ხევებს.
ახლა მწუხრია... და შებინდდება.
ო, მე არ ვიცი, სადა ვარ ისევ,
სევდა მათრევს და ისვე მილეკავს
გუშლამ ამოზრდილ თაფლისფერ ფიქრებს.
მე თეთრი მთები მეუბნებიან:
წამებას შვების სიამეც ახლავს,
დაიძრებაო ზღვაური შორი
და ავბნელ დარდებს წალეკავს ტალღა.
ეს როდის, როდის? მანამდე სევდა,
დამათრევს ღვინოს შეყრილ ქარივით...
და დანგრეული სამრეკლოს პირას
ღამე ფეთქდება ალუბალივით.

### მზე
**(შემოდგომის ფილოსოფია)**

ო, ბნელა, როგორ
　　ბნელა როგორ,
　　　გახედე გორებს,
დაწყევლილი ღამე იწყება,..
　　　　შენ ნუ მოიწყენ!
თუნდ ჩამქრალ სანთლის
　　　　ფერმა დაფაროს
　　　　ყოველი კუთხე,
　　　მომეცი წიგნი,
　　　წავიდეთ ზვარში,
　　　იქ წავიკითხოთ!

### დელგმა

... წუხელ
შუაღამიჟამს
ბინდის სერობისას
მე ყველა სასმური ეშმამ წამიქცია.
ტაბლაზე გაიკვალა შარა ღვინისფერა
და ვერცხლის ნათება ნელა წაათრია.
ქარი დამცინოდა სარკმელთა მიღმიერ,
ო, როგორ მტკიოდა ძარღვების ფეთქვა,
მუხლებზე მეწყო შავი ვარდები და
უგულოდ ვფერავდი გაცრეცილ პერანგს.
სადღაა ძველებურ ყიჟინის დამცემი,
რაღა დროსიაო აწე შიმშერთ ლესვა —
ახლა ხომ, წყვდიადია ირგვლივ
　　　　　　ფეხმორთხმული
ახლა ხომ, მუხებს უღრღნის ფესვებსო
　　　　　　დელგმა?

### ზღვა

ნისლების
　　კალთიდან კრთიან კლდოვანები,
სარკმელზე
　　დაღლილი
　　　　მთვარის მოვანება,
სარკესთან
　　გაშლილია
　　　ვარდთრთვილოვანები.
ქარი...
　სანთლის ალი...
　　　უცხო ხმოვანება...
ქალი, ქალი, ქალი...
　　შორი მუსიკალი...
　　　სიმში დასილული სულის
　　　　ფრთოვანება!
ნისლების კალთიდან კრთიან კლდოვანები.
　　　　　კრთიან კლდოვანები.

### ყვავილი გაღმა
**(ანუ სიყვარული შუაღამეში)**

ბნელია ახლა...
ყორანთ ლახლახი გაისმის შორე
　　　　　　გაუსაძლისი,
გადამთვრალ ღამეს უნაბდოდ სძინავს
ღვინო დაცლილი მთვარის სასმისით.
სიო მიათრევს ფიქრს ღამე ნათევს
და სადღაც ეძებს პატარა ყვავილს...
ხარხარით კვდება ხეზე ყორანი
ტყეში კი სვავი აბერებს ხავილს.
თვალებს იტაცებს მთვარე ეული
თუ კენტ მთოვარეს მიაფრენს თვალი?
სიცარიელეს ჰყვლეფენ ლანდები,
ღრუბლის ანტლიას იყუდებს ქარი.
ცისფერ ლერწმებში გაზრდილ
　　　　　　ვარსკვლავებს
ლეზვისფერ ტბაზე უჭედენ ჯაჭვებს.
და ცეცხლის დაშნით გამოფატრული
სხეული ეძებს ყვავილის თვალებს.
და ბოლოს ვნახე... მაგრამ მიმქრალი
ძლიერ შორს იყო, კლდეებში, გაღმა.
მდინარეს ბეჭზე შეეგდო მორი
და შმაგი კვნესით მიჰქონდა მაღლა.
სული დათქერა გრძნობამ შეშლილმა
და მორევისკენ ჩავყევი ფიქრებს...
და მერე ტალღამ დამახრჩო თმებით
როგორც ტყაშმაფამ, ჭაბუკი ვინმე.
ცხელი ლაღოზა მაძგერა ზურგში
ფსკერზე მოსულმა ხრამების ღამემ
და მოჩვენებად თვალს მიეკედლა
ყვავილით ხელში მოსული მთვარე.

### მაისის ამოსვლა ვარდზე

ახლა მაისია ვარდზე ამოსული,
შიშველ მთებს ველური დათრობა ახლავს.
ოცნებას მისთხოვდა ღამე მარტოსული
და მერე ორივე გაფრინდა სადღაც...
ნისლებს უფერიათ ფერი ფერწასული
ჯაგნარში მოუკლავთ ფიქრების მთვარე,
მე დავეხეტები ვით კენტი ასიდა
და ვებრძვი ღვართქაფის ქარბუქის ალებს.
ქიმერს შელეწილი გემის მხარბეჭები
შავი თოლიების თეთრი სამარეა,
აღარ დაბრუნდება ღამის ბედაური!..
ქვედა ყანაში ხომ ავთა სამანეა.
ბინდებს ერკინება სანთელი ეული,
ციგვამს დაუსივდა მოხუცი უბე.
ჩემ წინ თვალდახრილი სულის იმედია
და უკან სიკვდილის მხრჩოლავი გუბე...
ოდეს გათენდება დილა გაზაფხულის
და როცა ამოვა მზის ია ცაში,
გულში ჩავიხუტებ ცთომილ ნათებას და
ბებერ ნავს ჩავუყვები ბობოქარ ზღვაში.

# „ვი დუმაეტე, ვი გდე?“



რამდენიმე დღის წინ მე-9 არხის ერთ-ერთ პოპულარულ ჟურნალისტს საკუთარი სახლის სადარბაზოში წაართვეს ჩანთა, რომელშიც ვიდეოკასეტაზე ჩაწერილი მზა გადაცემა, პირადი საბუთები და ნივთები ჰქონდა. შესაძლოა, ეს შემთხვევა ვინმეს პოპულარობისთვის გამოეყენებინა. დაზარალებული, გადაცემა „მთავარი თემის“ ავტორი და წამყვანი **თამუნა გოცირიძე** კი ამას ჩვეულებრივ ძარცვად მიიჩნევს. ჩემთან საუბარშიც თამუნამ თქვა:

— უბრალოდ, კურიოზია, რომ 5 წუთის განმავლობაში სადარბაზოში, ჩემი ბინის კართან (როგორც ჩანს, მელოდებოდა) დამეძგერა მძარცველი და ხმა ვერ ამოვიღე მშველელის მოსახმობად. სამწუხაროდ, ჩანთას სახელური გაუწყდა და წართმევაც ამიტომ მოახერხა. ვემუდარებოდი, შენთვის საინტერესო ჩანთაში არაფერი მაქვს-მეთქი, მაგრამ ყური არ დამიგდო. ამ ამბის მეორე დღეს პირდაპირ ეთერში გადაცემა მქონდა, მე კი გონს ძლივს მოვდიოდი, თანაც რესპონდენტებთან დაკავშირება გამიჭირდა, რადგან ჩანთაში მედო მობილური ტელეფონი და სატელეფონო წიგნაკიც, რომელშიც უმნიშვნელოვანესი ნომრები მეწერა. ის უბედური მძარცველი მას ვერ გამოიყენებს.

**— გილოცავ გადარჩენას და შენს განცდებს ვიზიარებ, ორი თვის წინ მეც შენს დღეში ვიყავი. სამწუხაროა, რომ დღეს ასეთი „წვრილმანი“ ძარცვის მსხვერპლი სწორედ ქალები ხდებიან. ეს უსიამოვნო შემთხვევა დროებით დავივიწყოთ. ფიზიკოსი და სამართალმცოდნე ტელევიზიაში როგორ მოხვდი?**

— არასდროს მიფიქრია ჟურნალისტობაზე, ტელევიზიაზე, მაგრამ ყველაფერი ბედისწერასავით მოხდა. უნივერსიტეტის ბიოფიზიკის ფაკულტეტს ვამთავრებდი. სადიპლომო თემაზე მუშაობისას ჩემი ხელმძღვანელი იყო აწ გარდაცვლილი თემურ ათანელიშვილი, რომელიც I არხზეც მუშაობდა. მან შემომთავაზა სამეცნიერო გადაცემისთვის მასალების მომზადება. ხათრით დავთანხმდი, მერე კი ტელევიზიის სენი შემეყარა და ჟურნალისტიკა ჩემი ცხოვრების მიზნად იქცა...

**— ვიცი, რომ ერთი ხანობა ყველაფრისთვის თავის დანებებას აპირებდი.**

— ზოგჯერ ალბათ ისე ხდება, რომ რაღაცისგან იღლები და უჩვეულო გადაწყვეტილების მიღებასაც კი დააპირებ. ერთხანს მეც ასე დამემართა. ამჯერად ძალიან მომწონს მე-9 არხზე მუშაობა. როცა მომდევნო გადაცემის თემას ვასახელებ, უკვე კარგა ხნის დაწყებული მაქვს მუშაობა იმაზე, თუ რა გახდის გადაცემას უფრო საინტერესოს და ლოგიკურს. სხვებიც ჩემთან ერთად ფიქრობენ.

**— შენი მოსკოვური „ოდისეიდან“ გაიხსენე რამე...**

— I არხზე მუშაობის დროს გავთხოვდი. ჩემი მეუღლე იმხანად მოსკოვში მოღვაწეობდა. ერთხელ თვითმფრინავში მკითხა — მოსკოვში რომელი ოცნების ასრულება გინდაო. მეც, რატომღაც, ვუპასუხე, — მინდა, თუნდაც ერთხელ შევდგა ფეხი ORT-ში-მეთქი. მალე ეს ოცნებაც ამისრულდა. კვლავ თემურ ათანელიშვილმა დამირეკა, I არხის საინფორმაციო პროგრამის მოსკოვის ბიუროში ჟურნალისტი გვჭირდებაო. 5 წელი ვიმუშავე იქ. ORT-ში ვამზადებდით გადაცემებს. ეს იყო ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი 5 წელი... ძალიან ცნობილ და განათლებულ ადამიანებს ვხვდებოდი.

**— რა განსხვავებაა რუს და ქართველ რესპონდენტებს შორის?**

— რუსები ზუსტად გპასუხობენ შეკითხვებზე და მოუმზადებელიც რომ მიხვიდე, ისეთ რამეს გეტყვიან, უამრავი კითხვა მზამზარეულად ჩნდება.

**— მოსკოვური პერიოდიდან ნაუცბადევად რა გაგახსენდა...**

— მეძმარიაშვილის ანტენა რომ გაუშვეს კოსმოსში... მე ამ თემაზე პირდაპირ ეთერში გადმოვცემდი სიუჟეტს. უკუკავშირი არ მქონდა, ჩემგან მოშორებით იდგა ის, ვინც თბილისს მაკავშირებდა. დამიძახა, — თამუნა, დაიწყეო. დავიწყე. შეწყვიტეო — მანიშნა. შევწყვიტე. ასე განმეორდა სამჯერ და ჩემს გაუთავებელ მისალმებებს ისმენდა და უყურებდა 5 მილიონი მაყურებელი.

**— გარეგნულად ნაზი და მშვიდი, თურმე ზოგჯერ ენაკვიმატი და ბობოქარიც ყოფილხარ.**

— იმ პერიოდში დუმაში ყოველ სამ თვეში ცვლიდნენ პრემიერ-მინისტრს. ერთ-ერთი ასეთი მოვლენის დროს, ერთმა რუსმა კოლეგამ დამიწყო დავა, — ჩემს ადგილზე დგახარო. რას ამბობ-მეთქი. დიახ, მანდ იდო ჩემი ჩანთაო. ხუმრობის გუნებაზე დავდექი: „а там уенשჩინა კურილა“-მეთქი, კინოს მიხედვით ვუპასუხე. „ვი დუმაეტე, ვი გდე?“ — მიყვირა. გამახსენდა ფილმი „გაამოთ“ და იმის მიხედვით ვუპასუხე „ვ მასკვე, დეტოჩკა, ვ მასკვე“. გაგიჟდა კაცი. მე კი გულიანად ვიცინოდი და მანაც ველარაფერი მითხრა.

*ეკა ლომიძე*











# — ჩემი ცოლი სად არის-მეთქი, ვყვიროდი და აბერ არის, ვერ ცნობო? — *ჩუმად მანიშნებდნენ...*



*არცთუ დიდი ხანია, ტელეეკრანებზე გამოჩნდა ჩაის სარეკლამო კლიპი, რომელშიც თეატრის რეჟისორი ლევან წულაძე ოჯახთან ერთად მონაწილეობს. „ჩაიმ მაგიდის ქვეშ“ მაყურებელში დიდი მოწონება დაიმსახურა და ბევრმა გვთხოვა, ჩვენი გაზეთის მეშვეობით უფრო ახლოს გაგვეცნო მათთვის სარეკლამო კლიპის გმირები. მაშ ასე, სტუმრად ვართ* **ლევან წულაძესთან.**

**— როგორ გაჩნდა კლიპის გადაღების იდეა?**

— სარეკლამო კომპანია „ქედი TV“-იმ შემოგვთავაზა კლიპში მონაწილეობა, რაც სიხარულით აიტაცა ჩვენმა ქალიშვილმა თინათინმა. ამიტომაც, მიუხედავად ჩემი შიშისა, რომ მსახიობად არ გამოვდგებოდი, მოწვევას დავთანხმდი.

**— მინდა გითხრათ, რომ შესანიშნავად ითამაშეთ...**

— ალბათ იმიტომ, რომ თეატრალურ ინსტიტუტში თავიდან სამსახიობო ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მერე გადავედი სარეჟისოროზე. მაშინ მშვენიერი ბიჭი ვიყავი, ახლა გავსუქდი...

**— ლევან, როგორც ვიცი, თქვენ ერთი ქალიშვილი გყავთ, კლიპში კი ბიჭუნაც ჩანს, რომელიც ძალიან გგავთ.**

— ბიჭი ჩემი შვილი არ არის, არადა მართლა ისე მგავს, რომ ყველას ქალვაჟის მამა ვგონივარ. მე მხოლოდ თინათინი მყავს.

**— როგორც ჩანს, დემოგრაფიული პრობლემა არ გაწუხებთ და ამიტომაც გყავთ მხოლოდ ერთი თინათინი.**

— მართალია. ჩემს ცოლს, მანანა კაზაკოვას კიდევ უნდა ერთი შვილის გაჩენა, მე კი, იქნებ ვცოდავ, მაგრამ სულ ვამბობ, ერთი შვილიც მაკმაყოფილებს-მეთქი. აი, ცოტა ხანში ახალ თეატრს ავაშენებთ და ბავშვზეც ვიფიქრებ. სხვათა შორის, როცა დავქორწინდი, წარმოდგენა არ მქონდა ოჯახურ პრობლემებზე. მეგონა, რომ ბავშვები თავისით იბადებოდნენ და იზრდებოდნენ, რომ მათ ჩემი ცხოვრების სტილის შეცვლა არ შეეძლოთ...

**— როგორ ეგუებოდა ამას თქვენი მეუღლე?**

— მანანა ექიმების ოჯახიდან არის. გაცნობის დღიდან სულ ოჯახზე მესაუბრებოდა. სიყვარულისთვის თითქოს არ გვეცალა, სამედიცინო ცოდნას ისე ვეუფლებოდი, რომ თავი ექიმი მეგონა. რომ დავქორწინდით, მანანა ერთი თვის განმავლობაში ცდილობდა ჩემი და ალკოჰოლის დაშორებას, მაგრამ ამაოდ. როცა ქორწილი სამი კვირა გრძელდება, ხომ სისულელეა ახალდაქორწინებულს სმა აუკრძალო?

**— ოჯახში ვინ არის რეჟისორი?**

— მე. ბევრ რამეში დღესაც ვერ ვერკვევი, მაგრამ ისეთი ავტორიტეტით ვსარგებლობ, რომ ყველაფერში მენდობიან. არადა, შეცდომებსაც ვუშვებ. ჩემი აზრით, როცა ადამიანი შეცდომას უშვებს, მაშინ წარმოიშობა ემოცია, რომელიც ხელოვანის აღფრთოვანებას იწვევს და ხელოვნებაც იბადება. სრულყოფილი, ოლიმპზე მდგომი ადამიანი ხელოვნების ნიმუშს ვერ შექმნის. საბედნიეროდ, ასეთი ადამიანები არ არსებობენ. რომ იყვნენ კიდევაც, ძალიან უინტერესონი იქნებოდნენ.

**— სარეკლამო კლიპს დავუბრუნდეთ. კიდევ ხომ არ გაქვთ მიწვევა?**

— არა. მეუხერხულება მსახიობის ამპლუაში ყოფნა. ჩემი თინათინი კი სიამოვნებით მიიღებს ამგვარ მიწვევებს. გიჟდება მსახიობობაზე. პრაქტიკულად თეატრში იზრდება და თუ ამ პროფესიას დაეუფლება, წარმატებებიც ექნება, თანაც რეჟისორი მამის „პროტექციაც“ დაეხმარება (იცინის). მანანა არ ფიქრობს ჩემსავით, არ მოსწონს თინათინის მსახიობობით გატაცება.

**— თბილი და ლოიალური მამა ჩანხართ...**

— სამაგიეროდ, მანანაა მკაცრი. ზოგჯერ მეც კი მეშინია მისი. შეთანხმებულები ვართ, როცა თინათინს უწყრება, მე ხმა არ უნდა ამოვიღო, ამიტომ, მეც დატუქსულივით გავდივარ ხოლმე ოთახიდან.

**— ჩაის რეკლამაში პირველი ეკრანული როლი განასახიერეთ?**

— არა, სტუდენტობის დროს საშა რეხვიაშვილმა „საფეხურებში“ გადამიღო, საინტერესო როლი უნდა მეთამაშა, მაგრამ ეპიზოდში ვჩანვარ მხოლოდ. გადაღების პროცესში მეგონა, რაც უფრო მეტად თეატრალური ვიქნებოდი, მით უკეთეს ეკრანულ სახეს შევქმნიდი. ალბათ საშა ფიქრობდა — ეს ვიღაც გიჟიაო. დამიძახა და მითხრა, — ასე ნუ იქცევით, თეატრში არა ხართო. შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი და კიდევ უფრო დავიძაბე. ამიტომაც ერთ ეპიზოდში გადამიღეს და შემდეგ ჩემი პერსონაჟი შეცვალეს. ხელმოცარული კი აღმოვჩნდი, მაგრამ საშა რეხვიაშვილის გაცნობით ძალიან ბედნიერი ვარ.

**— წელან ახალი თეატრი ახსენეთ. სად შენდება ის?**

— ვაკეში, სულხან-საბას სახელობის უნივერსიტეტის ყოფილ სპორტდარბაზში. ძალიან მაღალი დარბაზია, თუმცა ნახევრად სარდაფია. ახალ თეატრს 180 ადგილი ექნება მაყურებლისთვის და, რაც მთავარია, გვექნება დიდი სცენა. დიდი სცენა და სივრცე სილაღის მომნიჭებელია და რეჟისორის და მხატვრის ფანტაზიაც არაფრით იზღუდება.

**— უცხოეთში თუ გაქვთ მიწვევები?**

— შარშან, ოქტომბერში, პოლონეთში საკმაოდ პრესტიჟულ ფესტივალზე ვიყავით, სადაც წარმოდგენილი იყო მსოფლიოში პირველი რეჟისორის, ამერიკელი რობ უილსონის სპექტაკლი. მისი სპექტაკლების დადგმა 50 მილიონი დოლარი ჯდება. იმ ფესტივალზე „ფაუსტი“ წარვადგინეთ და მოწონებაც დავიმსახურეთ. მალე ეგვიპტეში წავალთ ისევ „ფაუსტით“. ალბათ იმ მსახიობებს, რომლებიც ამ სპექტაკლში არ არიან დაკავებულნი, სამუდამოდ შესძულდებათ იგი.

**— ძნელია მუშაობა, როცა მსახიობთა გუნდში მეუღლე გყავთ?**

— როგორც შევამჩნიე, ეს მანანასთვის არის პრობლემა, თორემ მე მას თეატრში მეუღლედ არ აღვიქვამ. რაღაცები სწყინს ჩემგან, განიცდის, რაც ხელს მიშლის მუშაობაში. განსაკუთრებით საინტერესოა ჩემთვის, როცა მანანას სხვა რეჟისორების სპექტაკლებში ვუყურებ. ჩემს სპექტაკლებში მას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ, როგორც მსახიობს და თუ შემახსენებს — ჩემთან სამუშაო გაქვსო, ნერვები მეშლება და ვჩხუბობ. ერთხელ სცენაზე, ჩემსავე სპექტაკლში ვერ ვიცანი მანანა. ისეთი საშინელი გრიმი გაეკეთებინა, ისე მახინჯი ჩანდა, რომ ვიფიქრე, სხვა მსახიობი თამაშობს-მეთქი და ჩხუბი დავიწყე, მანანა სად არის, რატომ არ ჩანს-მეთქი. ჩუმად მანიშნეს — აი, მანანაო. გავჩუმდი, ხმა აღარ ამომიღია.

**— თეატრი ოჯახში თუ გრძელდება, ან თეატრში ოჯახურ ურთიერთობებს თუ ინარჩუნებთ?**

— ყველაფერი თავის ადგილზე რჩება. ჩვენს ცხოვრებაში მაინც თეატრი უფრო დომინირებს, თუმცა როცა თეატრიდან გამოვდივართ, მაშინვე ვივიწყებთ მას. ძალიან მიყვარს ჩემი სამუშაო და ყველანაირად ვცდილობ, მსახიობები და რეჟისორი მართლა ერთი ოჯახივით ვცხოვრობდეთ.

*ეკა ლომიძე*



**თეატრსა და საახლობლოში ძველი და ახალი თაობის ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდად მიჩნეულ, სწორედაც რომ თავადურად, ძველებურად ენაწყლიან და ომახიან ბ-ნ გოგი გელოვანს 14 მარტს 79 წელი უსრულდება.**

**...ზუსტად 2 საათზე შევაღე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კარი. ბატონი გოგი მოწიწებით მეამბორა ხელზე და არცთუ მდიდრულ საგრიმიოროში მიმიწვია.**

**რომ არა ამ საკაზმულოს მფლობელის პიროვნული ხიბლი და მისგან ხორცშესხმული გმირების ფოტოები, თავი თეატრში არც კი მეგონებოდა. ან რა არის გასაკვირი, ყვარყვარიზმის დაუსრულებელ დროში საგრიმიოროების კომფორტზე ვინღა ფიქრობს...**

— ეგ არაფერი, — მეუბნება ბ-ნი გოგი, — ნეტავი სხვა არა აკლდეს ქვეყანას, ამას როგორმე ავიტანთ. მაგრამ თეატრი რომ დოდო ჭიჭინაძეს, თენგიზ არჩვაძეს, მედეა ბიბილეიშვილს... შეელევა, კარგი არ არის... მაგრამ ყველაფერი ხდება ამ დალოცვილ ქვეყანაზე, — ბრძანა დანანებით და მივხვდი, რომ უფრო მეტი სათქმელი უთქმელობით თქვა.

შინ დიდი არეულობა მაქვს და მერიდება, მაგრამ მაინც სჯობს, მეწვიოთო, — შემომთავაზა.

...შეუმჩნევლად გაილია გზა საუბარში და მის ბინას მივადექით კიდეც.

უკვე ვიცოდი, რომ ვაჟიშვილი, როგორც მრავალთაგან მრავალი, სამუშაოდ რამდენიმე წელია იტალიაშია წასული ოჯახიანად. ჰოდა, ცხოვრობს ბ-ნი გოგი თავის ლამაზ სამყაროსა და მოგონებებში ჩაძირული და ვერც კი ამჩნევს, თუ სადმე უადგილოდ რამე დევს.

მაგიდაზე უამრავი ფოტოა. ეს ბ-ნი გოგის ცხოვრებაა, შეხვედრები, ეპიზოდები სპექტაკლებიდან და კინოფილმებიდან, ექსკურსიები, დეკადის დღეები მოსკოვში. იქვე რძლის გამოგზავნილი წერილიც დევს. ფრთხილად ამოიღო ბარათი და ტყუპი შვილიშვილის — გიორგისა და ნოდარიკოს ფოტოებიც მაჩვენა. ბავშვებს მუსიკალური სმენა აღმოაჩნდათ და კარგი იქნება, თუ თქვენ მიერ მოძიებული გელოვანების საგვარეულოს მიერ შესრულებული სიმღერების ნოტებს გამომიგზავნითო, — სწერდა რძალი მედეა ცინაძე. ვაჟიშვილი გელა გელოვანი იტალიაში გამგზავრებამდე თბილისის ოპერის თეატრში მღეროდა. საკმაოდ ძლიერი ბარიტონის მქონეს, ჯერ კიდევ მესამე კურსზე შესთავაზეს იტალიაში სტაჟირებაზე წასვლა, მაგრამ ეს მაშინ უსახსრობის გამო ვერ მოხერხდა. მოგვიანებით პუჩინის „ტოსკაში" მარონეს პარტია იმღერა და იტალიაშიც გაემგზავრა, მაგრამ... როგორც ბიზნესმენი. თავდაპირველად, იქაური ოპერის თეატრის დასშიც ჩაურიცხავთ და კაპელაშიც, მაგრამ მუშაობასთან ერთად რეპეტიციებზე სიარული ვერ მოუხერხებია და საყვარელი საქმისთვის თავი მიუნებებია. თუმცა ბატონი გოგი იმედოვნებს, რომ მალე დაუბრუნდება თავის პროფესიას.

თბილისში, ვერაზე, კობის ქუჩაზე გაიზარდა ბ-ნი გოგი. მამა, ბიძინა გელოვანი, მშენებელი ინჟინერი იყო, დედა, ია ჟორდანია უაღრესად განათლებული ქალი. ძალიან ცნობილი ბიძები ჰყავდა: მსახიობი მიხეილ გელოვანი, სოციალ-ფედერალისტები — საშა და ვარლამ გელოვანები, ცნობილი მარშალი დიმიტრი გელოვანი, ხოლო დედის ბიძა გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია.

— ბავშვობა ლანჩხუთში გავატარე, — იგონებს ბ-ნი გოგი, — ჩვენ და ნოე ჟორდანიას ეზო-კარს მხოლოდ ღობე ყოფდა. მის ეზოში მერე ჩაის ფაბრიკა ააშენეს. მოგვიანებით, სტალინის ბრძანებით, ნოე ჟორდანიას დალუქული სახლი და მთელი ქონება ნათესავებს გადაეცათ, რითაც საბოლოოდ დავრწმუნდით, რომ სტალინი მართლა დიდ პატივს სცემდა ნოეს. გერმანიასთან ომის დამთავრების შემდეგ თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ილია თავაძე და მარჯანიშვილის თეატრის პარტკომი ალფეზ ხელაძე გაუგზავნია მასთან თხოვნით, ჩამოსულიყო და იქ ეცხოვრა, სადაც თავად მოისურვებდა, მაგრამ უარი მიიღო.

**— რატომ, ვერ ენდო?**

— არა, ენდო. სტალინი სიტყვის კაცი იყო და ნოემ ეს უსათუოდ იცოდა, მაგრამ მის იმედად წასული ემიგრანტები შეებრალა. ზოგი იქ მოხუცდა, ზოგი კიდევ სულ პატარა წაიყვანეს მშობლებმა, რევოლუცია არც იცოდნენ, რა იყო. მათ როგორ ვუღალატო და უცხოეთში როგორ მივატოვო, თორემ საქართველო ისე მენატრება, სული მძვრებაო, უთქვამს.

ჟორდანიების გვართან დაკავშირებით საინტერესო ამბავი მიამბო დეიდაჩემმა, რომელიც წლების მანძილზე იყო თავისი სახელოვანი ბიძის პირადი მდივანი: ფოთში გემს ვიღაც იტალიელი ჯორდანო ჩამოჰყოლია, რომელსაც გურიელთან მებაღედ დაუწყია მუშაობა. გურიელი კმაყოფილი დარჩენილა მისი ერთგულებით და იქაური ქალი მიუცია ცოლად. მერე ჯორდანოს ერთ შვილს მეგრელი ქალი შეურთავს, მარტვილში დასახლებულა და მისი შვილები ჯერ ჯორდანიებად, მერე კი ჟორდანიებად ქცეულან.



კადრი ფილმიდან „დიდოსტატის მარჯვენა". ამ ვეფხვმა დატორა გოგი-გირშელი

როგორც ჩანს, ქართველი ჟორდანიების წინაპარი გურიელს შეკედლებული იტალიელი მეზღვაური ჯორდანოა.

ალბათ ღირს იმის აღნიშვნაც, რომ ფოთი ისტორიულად გურულების ქალაქი იყო და მას შემდეგ მოხდა იქ მეგრელთა მიგრაცია, რაც ბერიამ 1924 წელს ყველა გურული დააჭერინა. გურიელის ფუძეგვარი ვარდანიძეა. ვარდანიძეები თამარის დროიდან მოკიდებული სვანეთის მთავრები ყოფილან. მერე, ბაგრატ მეხუთის დროს, ამბოხება მომხდარა სვანეთში — ვარდანიძე ბატონად არ გვინდაო. ბაგრატი დათმობაზე წასულა, სვანეთში გელოვანი დაუსვამს მთავრად, ვარდანიძისთვის კი გურია ჩაუბარებია და „გურიელი" უწოდებია.

სხვათა შორის, დადიანიც ტიტულია. „დადი" — დიდს, დიდებულს ნიშნავს. დავით აღმაშენებელმა ჩიქოვანი დასვა მთავრად სამეგრელოში და დიდი მთავარი ანუ დადიანი უწოდა. ასე რომ, დადიანები ჩიქოვანები არიან, გურიელები კი — ვარდანიძეები.

**— მამასა და მის ძმებზე რას გვეტყვით?**

— ჩემი მამა-ბიძები ლუჩხუმში დაიბადნენ. სხვათა შორის, ლა-ცხუმ სვანურად რცხილნარს ნიშნავს. სოხუმი „ცხუმ" არის, ცხუმ — რცხილაა და რადგან იგი სვანური დასახლება იყო, ამიტომაც შეარქვეს ცხუმი. ბებიაჩემი ჩიქოვანის ქალი გახლდათ, ბაბუაჩემი კი სვანეთის მთავრების შთამომავალი. მამაჩემი რუსეთსა და შუა აზიაში აგებდა შენობებს საბჭოთა მეურნეობებისათვის. ბოლოს კი თავი მოუკლავს, მიზეზი — უცნობია. ისე, როგორც ყველა გელოვანი, ისიც სოციალისტი იყო. ერთი ბიძა, მენშევიკების დროის ოფიცერი, არ მოასვენეს და 1928 წელს საზღვარგარეთ წავიდა. მეორე ბიძა, ვარლამი, სოციალ-ფედერალისტების ლიდერი იყო. ძია მიშა, უკვე ცნობილი მსახიობი, მეგობრებმა მოსკოვში წაიყვანეს და რომ არავის ეცნო, წვერმოშვებული ბორჯომის წყლის საწყობში მუშაობდა. ბოლოს, საქართველოში დაბრუნდა. მიხეილ ჭიაურელმა „უკანასკნელ მასკარადშიც" გადაიღო და სტალინის როლიც ითამაშა „დიად განთიადსა" და „ფიცში". ერთ ამბავსაც გიამბობთ მასზე: მიშა გელოვანმა „ნარინჯის ველში" იმღერა შემდგომში ძალზე პოპულარული „ორთავ თვალის სინათლევ", ბიძაჩემს იგი ბაიათების შემსრულებელ ვინმე გლახოსგან მოუსმენია, რომელსაც ჟურნალისტ აგული დადიანისთვის ისიც უთქვამს, — იმდენად მომეწონა მიშასეული ვარიანტი, მერე მის შესრულებაზე ხელი ავიღეო.



*სტუმრად ვერიკო ანჯაფარიძის ოჯახში. მარცხნიდან: თემურ ანჯაფარიძე (ვერიკოს ძმისწული), ზურაბ ლეჟავა, გოგი გელოვანი და იაკობ ტრიპოლსკი*

სხვათა შორის, კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდია ამ სიმღერასთან დაკავშირებული: როცა მუნჯი ფილმის „სამი სიცოცხლის" გახმოვანებაზე მუშაობდნენ, კომპოზიტორმა არჩილ კერესელიძემ გადაწყვიტა, რომ ბახვა (მიხეილ გელოვანი) ესმას (ნატო ვაჩნაძე) სწორედ ამ სიმღერას უმღერებდა. შესრულება მე დამევალა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფილმში სულ სხვა რიტმია, სულ სხვა არტიკულაცია. აშკარაა, რომ სულ სხვა რამეს მღერის გმირი. ტუხა (ასე ვეძახდით არჩილ კერესელიძეს) გაგიჟდა — ამდენი ხარჯია გაწეული გაორკესტრებაზე, მოგვკლავს საშა ლორთქიფანიძე (ფილმის დირექტორი), არიქა, მიშველე, არ დამღუპოო, — შემეხვეწა ყელგამოწვდილი. დილიდან საღამომდე ვმუშაობდი და, როგორც იქნა, მიზანს მივაღწიე.

მშვენიერი, ახოვანი, გრუზათმიანი, დარდიმანდი — აი, როგორია ბ-ნი გოგი გელოვანის მიერ შექმნილი თეატრისა თუ კინოგმირები. რად ღირს თუნდაც გირშელი „დიდოსტატის მარჯვენიდან", სადაც ვეფხვებზე ნადირობის სცენაში, რამდენიმე დუბლის გადაღების შემდეგ, ვეფხვს ტორი დაუკრავს მისთვის მხარზე.

— კამეჩის ტყავის სანადირო კოსტიუმი მეცვა. ბრჭყალებმა ტყავი გაგლიჯა და ბეჭისთავი დამიზიანა, — მიამბობს ბ-ნი გოგი. ფოტოსაც მაჩვენებს — მედდა ჭრილობას უმუშავებს სპირტით, — დავით რონდელის „მწვერვალთა დამპყრობნი" დიდი რისკის ფასად გადავიღეთ, მთებში, თოვლიან მწვერვალებზე მთამსვლელებივით მივიკვლევდით გზას. დასანანია, რომ ეს ფილმი ფირის სიძველის გამო თაროზე დევს. მის აღსადგენად საჭირო თანხებს ვერ ვშოულობთ.

„დავით გურამიშვილში" ვახტანგ მეექვსის უმცროს ვაჟს, გიორგის ვასახიერებდი. „ჯურღაის ფარში" მეგრულ სიმღერას ვმღეროდი, ნოკო ხურციამ მასწავლა. „მაცი ხვიტია", „მოიტაცეს თამარ ქალი", „ქეთო და კოტე", რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო... „ქეთო და კოტეს" გადაღება ხომ ერთი დაუსრულებელი დღესასწაული იყო. საოცარი მსახიობები თამაშობდნენ.

იცით, რა ხელფასები გვქონდა? 3 ათასი მანეთი ჩვენ, 4 და 5 ათასი — მთავარი როლების შემსრულებლებს... ეს მაშინ ძალიან დიდი თანხა იყო. მერე როგორი საოპერო მომღერლები ჰყავდათ მოწვეულნი! პეტრე ამირანაშვილის და ბათუ კრავეიშვილის სიმღერა რომ მახსენდება, ახლაც ჟრუანტელი მივლის, ეს რა ხმები ჰქონდათ... აი, ეს იყო სიმღერა, თუ იყო.

ფილმში ვიქტორ დოლიძის მუსიკაა გამოყენებული, თუმცა ზოგიერთი სიმღერა, მათ შორის „ერთხელ გიხილე" და ყარაჩოხელების სიმღერა არჩილ კერესელიძეს ეკუთვნის. ტუხა უნიჭიერესი, მაგრამ ზარმაცი კაცი იყო. მოლხენა უყვარდა ძალიან. ამიტომ ვახტანგს სულ ჰქონდა მისთვის ღვინო, პატარ-პატარა ქეიფებს უმართავდა და ისე ამუშავებდა. ერთ-ერთი ლხინის დროს დაიწერა „ერთხელ გიხილე". მე და ზურაბ ლეჟავას გვამღერებდა, თან იქვე ნოტებს წერდა. მერე ვალსის რიტმი მისცა და საუკეთესო ნომრად აქცია. იმ პერიოდში მოდაში იყო ქალაქური სიმღერა „მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი, ძმობილო", რომელსაც სიამოვნებით ვმღეროდით ხოლმე მე და ზურა. ტუხამ თავისებური ინტერპრეტაცია მისცა ამ მელოდიას და არაჩვეულებრივი სიმღერა მივიღეთ.

**— ფილმში თქვენ ორ ეპიზოდში თამაშობთ და ორივეგან მღერით.**

— დიახ, ლევანის მეგობრები — ახალგაზრდა თავადები — „ალავერდსა" და „მრავალჟამიერს" ვასრულებთ. შემდეგ გადაწყვიტეს, ყარაჩოხელთა სიმღერაც ჩვენ შეგვესრულებინა. ოპერის სოლისტების გვერდით სიმღერა დიდი პატივი და პასუხისმგებლობაც იყო. ამიტომ მე და ზურამ (ეს ის ზურაბ ლეჟავაა, ცნობილი ქართველი მხატვარი, გიორგი სააკაძის ვაჟი, ავთანდილი რომ განასახიერა, „არსენაში" კი პატარა ზურიკო, რომელიც ფარსადანს კლავს) ჩვენი მამების მეგობრებს, „სამტრესტის" ღვინის ქარხნის გუნდის წევრებს მივმართეთ დასახმარებლად. კოწია ლორთქიფანიძის (ლორთქიას — გურამ ლორთქიფანიძის მამა), ტუპია იაშვილის, ჭიჭიკო გერსამიას, ნოდარ უნაფქოშვილის მოსმენისას ოპერის მომღერლებიც ვერ ფარავდნენ აღტაცებას. „გინდ მეძინოს" კი მართლა შესანიშნავი გამოვიდა.

**— მსახიობობა როგორ გადაწყვიტეთ?**

— მე-10 კლასში ჩვენი რუსულის მასწავლებელმა ნინა მიქელაძემ გოგოლის „ქორწინება" დადგა, სადაც ერთ-ერთი საქმროს როლი იძულებით მათამაშა, მაგრამ ხალხს ისე მოეწონა ჩემი გმირი, რომ მსახიობობა გადავწყვიტე და 1942 წელს, აკაკი ხორავას რექტორობის დროს, ჩავირიცხე თეატრალურ ინსტიტუტში. შესანიშნავი პედაგოგები მყავდა. ჯგუფს დოდო ალექსიძე ხელმძღვანელობდა. ომი და გაჭირვება არც მაშინ გვაკლდა, მაგრამ ჩემმა თაობამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ერის ცხოვრებაში.

**— სიმღერა გეხმარებათ?**

— ოო, ძალიან მიყვარს! კარგ მომღერლებში რომ მოვხვდები, უარყოფითი ენერგიისგან ვთავისუფლდები. მიხარია, რომ ქართული ხალხური სიმღერები ახალგაზრდა თაობასაც უყვარს. ზაზა იაქაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ვასიკო ძოწენიძე, გია ბურჯანაძე, გურამ ჯაში გელოვანებისეული ვარიანტებითაც დაინტერესდნენ და სიამოვნებით სწავლობენ მათ.

**— ლხინი ხშირად გიწევთ?**

— რასაკვირველია. მაგრამ, სამწუხაროდ, ველარ ვიტან სასმელს, არადა თუ არ დალიე, არ გამოდის. თანაც თუ თამადობაც დაერთო, მით უფრო მაშინ.

**— გამორჩეულად რომელი სადღეგრძელო გიყვართ?**

— საქართველოში მეგობრობა იციან ფასდაუდებელი. მე მყავდა და მყავს საუკეთესო მეგობრები, ამიტომ ამ სადღეგრძლოს განსაკუთრებულ პატივს ვცემ.

**— სიყვარულზე რას იტყვით?**

— „სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეჟვანნი ამას ჟღერენ", „უსიყვარულოდ მზეც არ სუფევს ცის კამარაზე" — ამაზე მეტი ან უკეთესი რა უნდა თქვას კაცმა სიყვარულზე?

**— არადა ოჯახი, სიყვარულზე დაფუძნებული, მაინც ვერ შექმენით!**

— ჩვენი დიდი სახლი, კობის ქუჩაზე, ჩამოგვართვეს. ერთი პატარა ოთახი და სამზარეულო დაგვიტოვეს. ამიტომაც დავრჩი უცოლოდ. თავმოყვარე ბიჭი ვიყავი, აბა, დედასთან, ერთ ოთახში როგორ მომეყვანა ცოლი? ასეა თუ ისე, შევეგუე მარტოობას და ვახერხებ ვიცხოვრო ასე. დეიდაშვილი მყავს ერთი, იმის ხშირი სტუმარი ვარ. იქ ვსადილობ ხოლმე, აქვე ცხოვრობს, კობის ქუჩაზე, სადაც მე გავიზარდე და ამადაც მიყვარს იქ ასვლა. თეატრის, მეგობრებისა და ჩემი ქვეყნის სიყვარული მატანინებს ყოველგვარ გაჭირვებას, წინააღმდეგობას...

...კიდევ ბევრი ვისაუბრეთ, აღარც სიცივე და უშუქობა გაგვხსენებია, აღარც მწირი ხელფასი და სურსათ-სანოვაგე. ხელოვნებას აქვს უნარი, ყველაფერი დაგავიწყოს, აგამაღლოს, გაგათბოს და ყოფა გაგილამაზოს.

***თამარ კაპანაძე***

**„კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულმა გინეკოლოგის აღსარებამ გამიჩინა სურვილი, ჩემი ამბავი მომეთხრო, რაც მხოლოდ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ აბორტი უდიდესი ცოდვაა და იგი ჩვეულებრივი მკვლელობის ტოლფასია...**

# არც მე მეპატია...

## გამოხმაურება წერილზე – „აღარასოდეს გავაკეთებ აბორტს!..“

70-იანი წლების ბოლოს პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავირიცხე და ორ თანაკურსელთან ერთად ქირით ვცხოვრობდი. ბევრი ლაპარაკით რომ თავი არ შეგაწყინოთ, მოკლედ გეტყვით, ოჯახის უფროსმა გასაქანი არ მომცა, მიმტკიცებდა, — მიყვარხარ და თუ დამთანხმდები, ცოლს გავეყრები და შენ შეგირთავო. არავითარი სურვილი არ მქონდა, ორი მცირეწლოვანი ბავშვისთვის მამა წამერთმია, ეგეც არ იყოს, დიასახლისიც მეცოდებოდა, რომელსაც მეორე მშობიარობისას გაყონვა მოსვლოდა ტვინში და ახალგაზრდა დაინვალიდებული ქალი უნამუსო ქმრისგან ათას დამცირებას იტანდა.

არ მინდოდა ისედაც განადგურებული ქალისთვის ტკივილი მიმეყენებინა და სხვაგან გადავედი. იქაც მომაგნო დიტომ...

...ბევრი მსაყვედურობს, — რატომ მილიციაში არ განაცხადე, რომ გავიწროებდაო. ვერ მოვიფიქრე, თან მეშინოდა, არ გავლანძღულიყავი — პატიოსან ქალს ადვილად არავინ აკადრებს რამესო. დიტოს არ გავუუპატიურებივარ, რომ ამის გამო ამეტეხა ამბავი. ჩემდა სამარცხვინოდ, როცა ეს მაინც მოხდა, ვერ გავუწიე წინააღმდეგობა, არ ან ვერ ამოვიღე ხმა. მერე კი, ხელი ჩავიქნიე — აწი მაინც დაღუპულია ჩემი საქმე-მეთქი და საერთოდ ველარ გავამხილე, რა უბედურებაც იყო ჩემს თავს...

დავფეხმძიმდი და ეს კიდევ უფრო მეტი ტრაგედია იყო ჩემთვის, სოფელში აღარ ჩამესვლებოდა, არადა ბავშვს მარტო ვერაფრით ვუპატრონებდი. ეგ კია, აბორტზე ფიქრსაც გავურბოდი. უმალ თავად მოვიკლავდი თავს, ვიდრე ბავშვს გავიმეტებდი სასიკვდილოდ.

სამი თვის ფეხმძიმე ვიყავი, დიტომ რომ გაიგო და ერთი ამბავი ამიტეხა: — ამხელა გოგოს (19 წლისა გახლდით!) ტვინი არა გაქვს, თავს როგორ ვერ მოუარეო? ჯერ სულ აღარ მომეკარა, მერე კი მოვიდა და ფული მომიყარა — სანამ სხვებსაც არ შეუმჩნევიათ ეგ შენი მუცელი და სირცხვილი, დროზე მოძებნე ექიმიო. როცა წინააღმდეგობის გაწევა ვცადე — შენი არაფერი მინდა, არც გავამხელ, რომ შენი შვილია, ოღონდ ვერ მოვკლავ-მეთქი, დამემუქრა, — მოგკლავ, დახვრეტაზე წავალ, მაგრამ ეს ბავშვი არ დაიბადებაო.

მოგვიანებით გავიგე, რომ ცოლისძმები ჰყოლია თავზეხელაღებული, ციხემოვლილი და არ აპატიებდნენ დის ღალატს.

მფარველი არავინ მყავდა და მაიძულა, თანხმობა მეთქვა... თითქმის ხუთი თვისა იყო ნაყოფი. აბორტი საიდუმლოდ, ღამით გამიკეთეს ერთ-ერთ სამშობიაროში, რის შედეგადაც სისხლდენა ამიტყდა და საკეისრო კვეთის გაკეთება გახდა საჭირო...

სანამ ნარკოზი მომერეოდა, დავინახე მომწვანო სინათლის სვეტი, რომელმაც პატარა ბავშვის ფორმა მიიღო, აი, ისეთი, ფაიფურის ანგელოზებს რომ ხატავენ ხოლმე... „მოვიდა“ — თვალზე ცრემლი მომწმინდა, რადგან აბორტისას გაუთავებლად ვტიროდი და სიკვდილს ვნატრობდი. მერე კი ფანჯრიდან გასრიალდა და გაქრა...

ამ ამბავს ნარკოზით გამოწვეულ ჰალუცინაციად ჩავთვლიდი, რომ არა შემდგომ განვითარებული მოვლენები: ნარკოზში მყოფს მხოლოდ ასეთი რამ დამამახსოვრდა — ის პატარა ანგელოზი დიმიტრის მიუახლოვდა, რომელიც მდინარეში იდგა და თევზაობდა, ხელი ჩაჰკიდა და თან გაიყოლა!..

...აბორტის შემდეგ დიტო აღარ მომკარებია და მეც იმდენად შეურაცხყოფილი ვიყავი, მისი სახელის ხსენებაც არ მინდოდა.

სამიოდე თვის შემდეგ, მდინარეზე სათევზაოდ წასულს, დინამიტი აჰფეთქებია და თუმცა მისი ჭრილობები სასიკვდილო ნამდვილად არ იყო, გარდაიცვალა.

აბა, ამ ამბავს შემთხვევითობად როგორ ჩავთვლი — ნარკოზის დროს ხომ ვიხილე, სწორედ მდინარესთან „წაიყვანა“ მოკლული ბავშვის სულმა დიმიტრი...



არც მე მეპატია... გვიან გავთხოვდი, ლამის 40-ს მიღწეული. იმედი მქონდა, ღმერთი მომცემდა შვილს, მაგრამ ასე არ მოხდა და ახლა ჩემი ქვრივი ქმრის ორ შვილს და შვილიშვილებს ვყვები თან... ყველა ნაცნობს ვუქადაგებ, რომ აბორტებზე უარი თქვან, რადგან იგი ჩვეულებრივი მკვლელობაა და ყველა მიიღებს სასჯელს, სხვადასხვა ფორმით, მაგრამ მაინც!

მკითხავთ, აბა რა ქნან ქალებმა, ვისაც არა აქვთ ბევრი ბავშვის გაჩენის და რჩენის საშუალებაო?

რას შვრებოდნენ ჩვენი ბებიები, მაშინ, როცა აბორტი არც იცოდნენ, რა იყო?!. ბუნება ყველაფერს აბალანსებს და არასოდეს მისცემს სიცოცხლეს იმას, ვინც ზედმეტია და არაფერში სჭირდება!

***ასეთი მონოლოგი მოვისმინეთ ქალბატონისაგან, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, იმ მიზეზით, რომ მისმა ახლობლებმა დღემდე არაფერი იციან მის მიერ ახალგაზრდობაში ჩადენილი შეცდომისა და შეცოდების შესახებ...***

***ინგა ჯაყელი***



ყოველ ოჯახს თავისი პრობლემა აქვს, ყოველ ადამიანს თავისი საწუხარ-სადარდებელი. ზოგს ჰგონია, რომ მისი პრობლემის იქით სხვა პრობლემა აღარ არსებობს, რომ მისი ტკივილია ყველაზე დიდი და აუტანელი. ასე ფიქრობს ქალბატონი დოდო, მაგრამ მე მინდა წერილის დასაწყისშივე ვუთხრა, რომ ავ-კარგით სავსე ცხოვრებაში უარესიც ხდება, ამიტომ არ შეიძლება მხოლოდ საკუთარი წუხილით ცხოვრება, დღენიადაგ ცუდზე ფიქრი და გაუთავებლად შიშით ყოფნა. იმედიანი თვალით თუ შეხედავთ ყველას და ყველაფერს, იგრძნობთ, რომ ცხოვრებაში ბევრი რამით შეიძლება გაიხაროთ, მაგალითად იმით, ქარიანი და ღრუბლიანი დღეების მერე რომ მშვიდი და კაშკაშა დილა გათენდება, ან იმით, ქუჩის კუთხეში ხელგამოწვდილი მოხუცებული გულით რომ დაგლოცავთ, ან იმით, ეკლესიიდან გამოსულს თაფლის სანთლის სურნელი და წმინდანთა ხატების მადლი რომ გამოგყვებათ.

ამბავი, რომელიც ქალბატონმა დოდომ მიამბო, მართლაც სულის შემძვრელია.

ქალბატონ დოდოს და მის მეუღლეს 8 წელი შვილი არ ჰყავდათ. ამის გამო უსიამოვნება არასოდეს ყოფილა ოჯახში, თუმცა ძალიან განიცდიდნენ უშვილობას. დადგინდა, რომ ქალს არ შეეძლო ბავშვის გაჩენა. ნათესავი შეუჩნდათ: ერთი ქალი ვიცი, რომელიც განსაზღვრული თანხის საფასურად შვილს აჩენს ოჯახის მამისგანო. ჭკუაში დაუჯდათ რჩევა...

— ქმარს ერთი ღამეც არ გაუთევია იმ ქალთან, არც არასოდეს ვეკითხებოდი, როდის ნახულობ-მეთქი, — მეუბნება ქალბატონი დოდო, — რასაც კარგს მოიტანდა, ორად ვყოფდი და მასთან ვატანდი. როცა მეცხრე თვე მიიწურა, მისი ნახვა მოვისურვე. ქმარმა წამიყვანა. მართალი გითხრათ, დანახვისთანავე მომეწონა. მაღალი, თხელი, წაბლისფერთმიანი და თვალებჟუჟუნა გოგო, ნახევრად ქართველი (დედა უკრაინელი ჰყოლია), ჩემზე 12 წლით უმცროსი. ათასნაირი ნუგბარი მივუტანე, მივუალერსე და ვკითხე, ხომ არ გეშინია-მეთქი. აქეთ მანუგეშა, დამშვიდდით, არაფრისაც არ მეშინია, ეს ჩემთვის მესამე ბავშვია. როგორც კი გავაჩენ, ფულს გამოგართმევთ და ლვოვში წავალ, იქ ნაცნობმეგობრები კარგ სამუშაოს მპირდებიანო. ათი დღის შემდეგ სამშობიარო ტკივილები დაეწყო. ისე ვნერვიულობდი, როგორც ქალიშვილის დედები ნერვიულობენ ხოლმე შვილის მშობიარობისას. გეფიცებით, იმ წუთებში ბავშვზე არც ვფიქრობდი, ქალი მედარდებოდა, მეშინოდა, რამე არ მოსვლოდა. როცა სანიტარი ჩამოვიდა და გვაცნობა, გოლიათი ბიჭი გააჩინა, დედაც და ბავშვიც კარგად არიანო, სიხარულისგან ტირილი ამივარდა. მედპერსონალს ბებია ვეგონე, ჩემი ქმრის „სიდედრი“, გვილოცავდნენ — მას, როგორც ქმარს და მამას, მე კი — როგორც დედას და ბებიას. ერთ კვირაში გამოწერეს. ბიჭს გიორგი დავარქვით და რა თქმა უნდა, შინ წამოვიყვანეთ, მან კი 3.000 დოლარი აიღო და დაგვემშვიდობა... გიორგი კარგი ზნის ბავშვი ალმოჩნდა. ჭამდა და ეძინა. არაფრით არ გვაწუხებდა. ჩემი ქმარი მეუბნებოდა: მაგას ვენაცვალე, მამას ჰგავს, ზუსტად ასეთი ბავშვი ვიყავიო. მართლაც, ბევრ რამეში ვამსგავსებდი, რომ წამოიზარდა, გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსა მამამისს. მზე და მთვარე ამომდიოდა ბავშვზე. ეკონომიურად არ გვიჭირდა. როგორც კი ქმარი ფულს მოიტანდა, გიორგისთან ერთად გადამყიდველებთან გავრბოდი, რათა მისთვის ყველაფერი საუკეთესო შემეძინა. ასე გავიდა 4 ბედნიერი წელი. მერე კი, უღრუბლო ცაზე მეხი გავარდა. „ის“ ჩამოვიდა, ჩემს ქმარს დაუკავშირდა და სთხოვა: — ცოტა ხნით ვარ ჩამოსული, ბავშვი მაჩვენე, ვნახავ და მალე მოგშორდებითო. შევშფოთდი, მაგრამ ქმარმა დამამშვიდა: სანერვიულო არაფერი გაქვს, ერთ თვეში ისევ ლვოვში ბრუნდება. მხეცები ხომ არა ვართ, რომ ბავშვის ნახვა დავუშალოთო. მე სულელმა, გამოვპრანჭე ჩემი გიორგი და ისე გავუშვი. ასე გაგრძელდა ერთი თვე. „ის“ მოისურვებდა თუ არა ბავშვის ნახვას, ჩემს ქმარს უსიტყვოდ მიჰყავდა მასთან. არ მსიამოვნებდა, მაგრამ წინააღმდეგობას ვერ ვუწევდი, ბედს მივენდე.

ერთხელ საეჭვოდ დააგვიანდათ. დავურეკე. უცნობმა ქალმა მიპასუხა: ასეთს არ ვიცნობ, ალბათ ჩემამდე ცხოვრობდაო. თავზარი დამეცა, მაგრამ ყველაზე საშინელება ჯერ კიდევ წინ მელოდა: გვიან ღამით, ჩვენი მეზობელი, ქურთი ახმედა მოვიდა და წერილი გადმომცა. მიწა გამერღვა ფეხქვეშ. ხელის კანკალით გადავშალე ბარათი: „დოდო, გიორგის გარეშე სიცოცხლე არ შემიძლია, უნდა გამიგო, გადავწყვიტე „მასთან“ ერთად წავიდე, გიორგიც მიმყავს. იქნებ ყველაფერი ისე შეტრიალდეს, რომ კვლავ დავბრუნდე... თავგზა მაქვს არეული და გთხოვ, ნუ გამკიცხავ. ალბათ ასე აჯობებს ბავშვისთვისაც“.

თითქოს ვგრძნობდი, რომ ასეთი წუთები ადრე თუ გვიან, დამიდგებოდა. აკი, გამართლდა კიდეც. კაცმა ყველაფერი დათმო: ჩემი სიყვარულიც, სამსახურიც, სამეგობროც და იმ ქალს გაეკიდა, მაგრამ ალბათ შეშინდა, გიორგი არ წამართვასო და იმიტომაც გადაწყვიტა ასე. საშინლად მტკივა გული, როცა განვლილ წლებს ვიხსენებ... რა ბედნიერები ვიყავით მაშინ — სამნი ერთად... უნდა ვაღიარო, რომ გიორგი ღირდა ამდენ მსხვერპლად.

ხუთი წელი მარტოობაში ვიცხოვრე. ხან ძმისშვილს მოვიყვანდი... სად არ დამყავდა, ვასეირნებდი, ყველა სურვილს ვუსრულებდი, მაგრამ როგორც კი დედის ხმას გაიგონებდა, მაშინვე ტირილს იწყებდა, — დედასთან მინდაო. ერთი სიტყვით, გიორგისგან დატოვებული სიცარიელე ვერავინ შემივსო. მივხვდი, ასე რომ გაგრძელებულიყო, უთუოდ გავგიჟდებოდი. მეგობრების რჩევით, გოგონა ვიშვილე; დედაჩემის სახელი — თამარი დავარქვი. ის ახლა ხუთი წლისაა და ჩვენ ერთმანეთის სიყვარულში ვათენ-ვაღამებთ. ჩემმა ქმარყოფილმა როცა გაიგო ჩემი ცხოვრების განახლების შესახებ, მერელა გაბედა და შემეხმიანა, მომიკითხა და მითხრა: მიხარია, რომ ხელახლა აიწყვე ცხოვრებაო. ისე მელაპარაკებოდა, როგორც ვინმე კეთილისმყოფელი, რომლისგანაც მხოლოდ კარგის მეტი არაფერი გახსოვს... არადა, მისმა საქციელმა კინაღამ საიქიოს გამისტუმრა. არავინ იცის, რა დღეები გადავიტანე.

ახლა ჩემს თამუნასთან ერთად ვცხოვრობ. მის გაზრდაში დაც მეხმარება და რძალიც (ძმის მეუღლე). ვმუშაობ, საკმაოდ მაღალი ხელფასი მაქვს, ჩემს გოგონას ერთი შეხედვით, არაფერი აკლია, მაგრამ ის ვერასდროს იტრაბახებს, რომ მისი მამიკო კარგი კაცია, რომ მამიკომ საჩუქრებით აავსო, სასეირნოდ წაიყვანა...

სულში სამუდამოდ დამრჩა იარა. მე ხომ მწარედ მოტყუებული, იმედგაცრუებული ქალი ვარ! ყველაფერი რომ იქით იყოს, ვერაფრით ვივიწყებ იმ პირველ და უზარმაზარ სიყვარულს, რომელიც პატარა გიორგიმ მაგრძნობინა; ვერაფრით დავძლიე მონატრების გრძნობა, რომელიც დღითი დღე მემატება... როცა ქუჩაში ან სკვერში ვსეირნობთ მე და თამუნა, თვალებით ვეალერსები პატარა ბიჭებს. თუმცა ახლა გიორგი უკვე დიდი ბიჭი იქნება, 15 წლისა. რომ მოხდეს სასწაული და მამამისმა ჩამოიყვანოს თბილისში, ნეტავ თუ მიცნობს, თუ გაახსენდება რაიმე?..

**— გოგონასთვის არაფერი მოგიყოლიათ ძმისა და მამის შესახებ?**

— კი. ვუთხარი, რომ ჰყავდა კარგი მამიკო და ძმა — გიორგი, რომლებიც ახლა ზეცაში, ღმერთთან არიან... ეს ტყუილი ათას ვარიანტს შორის გამოვარჩიე. არ მინდა, თამუნას ჩემსავით სულში ბზარი შეეპაროს და ადამიანების მიმართ ნდობა დაკარგოს. მეც მეყოფა ამხელა დარდი, თამუნა კი ლაღად უნდა გაიზარდოს. ღმერთი მაპატიებს ამ უცოდველ ტყუილს...

***მარინა ბაბუნაშვილი***



ხშირად ვყიდულობთ ფეხსაცმელს, მერე გული გვწყდება, რატომ გადავყარეთ ამდენი ფულიო. არადა მაღაზიაშივე შეგვიძლია განვსაზღვროთ მისი ხარისხი.

უპირველესად კარგად მოვიფიქროთ — სად შევიძინოთ ფეხსაცმელი, მაღაზიაში თუ ქუჩაში?

მეორე — ფეხსაცმელი უნდა იყოს მოქნილი და მსუბუქი. ყურადღება მიაქციეთ ტყავის ხარისხს, ლანჩას და სარჩულს.

მოგწონთ მაღალი ქუსლი? დააკვირდით მდგრადობას. დადეთ ფეხსაცმელი სიბრტყეზე. ქუსლი მჭიდროდ უნდა ებჯინებოდეს იატაკს. ცხვირი 5-7 მმ-ით უნდა იყოს აწეული და სიარულის დროს არ უნდა ეხებოდეს მიწას. ნახეთ, არის თუ არა კარგად დაწებებული ფეხსაცმელი, შეამოწმეთ მისი პერიმეტრი — ხომ არა აქვს ნაოჭები ლანჩასა და პირს შორის.

სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია ფეხსაცმლის დამზადების ეტალონი. ჩრდილოელებს ფეხის ტერფი ფართო აქვთ. აზიის ქვეყნებში პატარა, მაგრამ მსუქანი. ამერიკელებს ვიწრო ტერფი აქვთ. ამიტომ მათი ფეხსაცმელი ყოველთვის არ ერგება ჩვენს ქალებს. ფეხსაცმლის მწარმოებლები ძირითადად შინაური ცხოველების ტყავს იყენებენ. ღორის ტყავს ხაოიანი ზედაპირი აქვს, ძროხისა უფრო სრიალაა. ყველაზე გამძლეა ქრომის დათრიმლული ტყავი. ყველაზე ელეგანტურია ნატი, მაგრამ ნაკლებგამძლეა.

პოლირეფექტიანი ტყავი ლაქივით ბრწყინავს, მაგრამ ეს ლაქი კი არა, წყალსაწინააღმდეგო აფსკია. ის კარგად იცავს ფეხსაცმელს. გარდა ამისა, ასეთი ფეხსაცმელი გაცილებით დიდხანს მოგემსახურებათ, ვიდრე მქრქალზედაპირიანი ტყავისა.

მთავარია, რომ საღებავის ზედა ფენა, ლაქი ანდა ნებისმიერი სხვა საფარი მჭიდროდ ეკვროდეს ტყავს.

## სილამაზის საიდუმლო



იაპონელი ლამაზმანების მშვენიერების უძველესი „საიდუმლო იარაღია“ ბრინჯის ფქვილი. ის ჭიმავს კანს, ხელს უწყობს მის განახლებას: ათქვიფეთ გრეიპფრუტის წვენი, 1 ს/კ ბრინჯის ფქვილი და ამდენივე მაწონი. ეს ნიღაბი სწრაფად ასწორებს წვრილ-წვრილ ნაოჭებს.

ათი წუთით ხელებზე წაისვით 4 ს/კ ბრინჯის ფქვილისა და ცოტა რძის ნარევი. 10 წუთის შემდეგ დაიბანეთ თბილი წყლით. ეს საუკეთესო მკვებავი ნიღაბია.

## ფილე ყვავილოვანი კომბოსტოთი



1 თავი ყვავილოვანი კომბოსტო დაშალეთ. 250 გ ჭყინტი ლობიო დაჭერით და 10 წთ ხარშეთ მარილიან წყალში. ქათმის ფილე დაჭერით, წაუსვით მარილი და შეწვით ცხიმში. 250 გ სტაფილო დაჭერით წვრილ ღეროებად და 2 კონა დაკეპილ მწვანე ხახვთან ერთად მოხრაკეთ ხორცის შენაწვავ ცხიმში. დაუმატეთ კომბოსტო და ლობიო, შუშეთ 5 წთ. როცა მზად იქნება, შეურიეთ შემწვარი ქათმის ფილე, ალყა-ალყა დაჭრილი 1 თავი ხახვი, მოაყარეთ დაკეპილი კამა და ქინძი, მოასხით 1 ს/კ ზეითუნის ზეთი და ამდენივე დაფქული ნუში.

# საქართველომ დაკარგა თავისი უპირველესი მაესტრო...

## (ადამიანებმა დამღალეს...)

**ჯანსუღ კახიძის გენიამ მიატოვა ცხოვრებისეული პროზა და სულთა სამეფოში გადასახლდა...**

ჯანსუღ კახიძე — სწორედ ამ სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. ადამიანი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სიმბოლოდ, მუსიკალურ დესპანად იქცა მსოფლიოში, დღეს აღარ გვყავს. მას სიკეთის კეთების უფლებისათვის ხშირად უწევდა ბრძოლა და უმეტესწილად გამარჯვებულიც გამოდიოდა ისევ და ისევ საქართველოს სასარგებლოდ. სამწუხაროა, რომ მისი ძალების დიდი ნაწილი სწორედ ამ კუთხით იხარჯებოდა, მას ბევრჯერ ატკინეს გული და... სწორედ გულმა ველარ გაუძლო 65 წლის მუსიკოსს...

უმძიმეს წლებში, როდესაც ჯერ კიდევ არ ვიყავით სამოქალაქო ომის ქარცეცხლიდან გამორკვეულები, ბატონი ჯანსუღი მუსიკით გვაიმედებდა, მისი ყოველი კონცერტი იყო ჭეშმარიტი ხელოვნების ზეიმი.

30 იანვარს, კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ჯანსუღ კახიძემ ახალგაზრდა მუსიკოსს ვიაჩესლავ გრიაზნოვს (თბილისური აუდიტორიის სიმპათია) დაულოცა პროფესიული გზა, თითქოს ერთგვარი მუსიკალური ნათლობაც კი შედგა... ბატონმა ჯანსუღმა განსაკუთრებული საღამო გვაჩუქა მაშინ და... რას წარმოვიდგენდით, რომ ეს მისი უკანასკნელი კონცერტი იქნებოდა!

გაოგნებულია სრულიად საქართველო...

**ედუარდ შევარდნაძე:** — ჩვენ არ ვიცით, ვინ და რა დავკარგეთ, ჯერ არ გვაქვს გაცნობიერებული უდიდესი ტრაგედია. ჯანსუღ კახიძე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკოსი იყო...

**ანზორ ერქომაიშვილი:** — ჩვენ დავობლდით, მე არ ვიცი, რომელ საუკუნეში კიდევ ვინ დაიბადება, მაგრამ მისი ადგილი მუდამ ცარიელი იქნება.

**ეკა მამალაძე:** — მას უზარმაზარი ენერგია ჰქონდა და ამ ენერგიას დაუზოგავად ხარჯავდა, არ იცოდა საკუთარი თავის გაფრთხილება...

ჩვენს რედაქციას დიდი ხანია სურდა ბატონ ჯანსუღთან ვრცელი ინტერვიუს დაბეჭდვა. შეთანხმებული ვიყავით კიდეც, მაგრამ... ისღა დაგვრჩენია, დიდი მაესტროს წინა ინტერვიუებში დაფიქსირებული აზრები შემოგთავაზოთ:

„...ბებია-ბაბუებიდან მოყოლებული, მთელი ოჯახი — დედა, მამა, ძმა — ყველანი ვმღეროდით, ოღონდ ხალხურ სიმღერებს. პროფესიულ მუსიკას მხოლოდ მე გავყევი. იყო ერთი ასეთი მოხეტიალე მუსიკოსი ქურხული, რომელიც ეზო-ეზო დადიოდა თავისი სტვირით და ხალხურ სიმღერებს ავრცელებდა, ერთხელ, ჩვენთანაც მოსულა. ჩემთვის რომ მოუსმენია„ დედაჩემისთვის უთხოვია, სასწავლებლად გამატანეო. დედა ჩემს თავს ვინმეს დაუთმობდა? იმის შემდეგ ჩემი მუსიკალური განათლება დედამ ითავა.. მახსოვს, მთელი წელი მუხლჩაუხრელად იმუშავა, რა ვიცი, რა არ გაყიდა, რომ იტყვიან, ნემსის ყუნწში გაძვრა და... როიალი მიყიდა! პირველად რომ დავინახე როიალი, კუბო მეგონა, მაშინ 13 წლის ვიყავი. ერთ წელიწადში უკვე დიდი წარმატებები მქონდა, ისეთი ინტერესი გამიჩნდა, რომ ველარ მაჩერებდნენ...



პირველი ადამიანი, რომელმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, იყო იტალიელი დირიჟორი ვილი ფერერო. მაშინ გადავწყვიტე, გავმხდარიყავი პროფესიონალი დირიჟორი.

პიანისტი უკვე ვიყავი. კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე ვსწავლობდი. ამ დროს რიგიდან ქორმაისტერი იან დუმინი ჩამოიყვანეს. სწორედ მან დამაყენა გზაზე და მითხრა, — შენ მარტო გუნდით არ უნდა დაკმაყოფილდე, წინ უნდა წახვიდეო!

როცა დირიჟორობა საბოლოოდ გადავწყვიტე, ლენინგრადში დავაპირე სწავლის გაგრძელება, ვინაიდან ჩვენთან ასეთი სპეციალური ფაკულტეტი არ არსებობდა. კულტურის მაშინდელმა მინისტრმა, დავით ჩხიკვიშვილმა, თქვა, — რაღა იმ სიშორეზე გავუშვათ, აგერ არა გვყავს ოდისეი დიმიტრიადი, გავხსნათ სადირიჟორო ფაკულტეტი და აქ ისწავლოსო. ასე გავხდი ოდისეის პირველი სტუდენტი. იგი ხშირად ამბობს — ვამაყობ, რომ პირველი პედაგოგი ვიყავი, ვინც ჯანო დააყენა პულტთანო.

...ახალგაზრდობის წლებში ოპერაში ფორმალურად დავდიოდი, ძირითადად გოგოებს ვახლდი, ვერ ვიგებდი, ასე რა მოსწონდა ხალხს. მხოლოდ ვახტანგ ჭაბუკიანის „ოტელოს“ შემდეგ მივხვდი, რა არის მუსიკალური დრამის ჟანრი და რამხელა შესაძლებლობები აქვს.

...რომ ვთქვა, იმდენი მაქვს წაკითხული, რომ ციტატები გადმოვაფრქვიო, ტყუილი იქნება, მაგრამ ქართული ლიტერატურა ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით კონსტანტინე გამსახურდია — მისი აზრებისა და სიტყვების ჭიდილი, რომელშიც თითქოს თავად მუსიკის ძიებაა. იყო დრო, როცა ილია და აკაკი არ უნდა გვყვარებოდა. ილიასთან იმდენი სიბრძნეა, ყოველი მისი სიტყვა ისეთი ღრმაა და ამავე დროს ისეთი ცხოვრებისეული, სულ მგონია, რომ ჩემს სათქმელს ამბობს და... ვნანობ ხოლმე, ეს ხომ ჩემი სათქმელი იყო, რატომ დამასწრო-მეთქი. ვგიჟდები გალაკტიონზე — მისი პოეზია თავად მუსიკაა!

...ძალიან მიყვარს ქართველი მსმენელი. განსაკუთრებით კი მისი მოხიბვლის პროცესი — კარგ ქალს რომ გაეარშიყები, გინდა მოხიბლო, ლამაზ ოცნებებში გახვიო, ისე... ვერ ვიტან, როცა დარბაზში ხმაურია. თუ აუდიტორია ჩუმადაა, მე მას ვიპყრობ!

...საერთოდ, ჩვენი პროფესიის ადამიანს უამრავ ხალხთან უხდება ურთიერთობა, ყველას უნდა უშველო, თუ ვერ უშველე, გამოდის, რომ ხელს უშლი. სწორედ ამან ჩამომიყალიბა უკარება კაცის ნიღაბი, რომელიც საკმაოდ კარგად მოვირგე და იცით, რატომ? ადამიანებმა დამღალეს, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც არაფრად ღირან...



...მე საოცრად უბრალო ქართველი ვარ, უსაზღვროდ მიყვარს ჩემი ქვეყანა და ყველაფერი, რაც მასთან კავშირშია, ვარგა თუ არ ვარგა!!!

...ჩემს კოლეგას, ვინც მომავალში შემცვლის, ვუსურვებ, რომ იყოს ძლიერი, მობილიზებული, განსწავლული, მტკიცე ხასიათის, ღრმა პროფესიონალი, თავისი საქმისადმი ფანატიკურად ერთგული და... თუ ის ასეთი იქნება, მაშინ ჩემი სული მის გვერდით იტრიალებს.

წელს ბატონი ჯანსუღი 8 თებერვლიდან 2 მარტამდე იტალიაში იყო გასტროლებზე. ვერდის ქალაქ ბუსეტოში გაიმართა ფესტივალი. ფრანკო ძეფირელის მიერ განხორციელებულ „ტრავიატას“ პრემიერაზე ჯანო კახიძემ პლასიდო დომინგო გაიცნო. იფიქრა, არ შევაწუხოო და მეორე დღეს თავის კონცერტზე არ დაპატიჟა (ბატონი ჯანო ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიას დირიჟორობდა). ძალიან გაუკვირდა ბატონ ჯანსუღს, როცა კონცერტის შემდეგ პლასიდო მასთან მისალოცად მივიდა. მოგეხსენებათ, პლასიდო დომინგო დირიჟორიცაა, მან რამდენიმე პროფესიული კითხვაც კი დაუსვა ქართველ მეტრს — რატომ ითვლიდით ორ-მეოთხედზე და არა ოთხ-მეოთხედზეო? ბატონმა ჯანომ პლასიდო დომინგო საქართველოში მოიწვია. ასეთ მომღერალს არ შეიძლება საქართველო ნანახი არ ჰქონდეთო.

3 მარტს ზურაბ ანჯაფარიძის ხსოვნის საღამოდან, კონსერვატორიიდან გამოსულ მაესტროს ავტომანქანის მუხრუჭმა უმტყუნა და შემთხვევით იქვე მდგომ მანქანას ოდნავ გაკრა. უმალ გადმოვიდა მანქანიდან. მიტროფანე ლაღიძის სახლიდან გამოსულმა ავტომანქანის მფლობელმა (ალბათ მიტროფანეს შვილიშვილი იყო) ასე დაამშვიდა ბატონი ჯანსუღი — ამაზე მეტი და უარესი არაფერი მოხდეს თქვენს ცხოვრებაშიო! ჯანო კახიძე ოდნავ კი დამშვიდებულა, მაგრამ... ჯიბიდან წამალი ამოუღია და დაულევია.

შეუძლებელია არ ასახულიყო მის ჯანმრთელობაზე ცხოვრების გაუგონარი, უმკაცრესი რიტმის რეჟიმი — ჩამოსული არ იყო გასტროლებიდან, რომ უკვე რეპეტიციებს გეგმავდა, მეორე-მესამე დღეს კი კონცერტებს მართავდა... წელს ფესტივალ „შემოდგომის თბილისის“ მეათე საიუბილეო წელია. განზრახული იყო ყველა სოლისტის მოწვევა, ვისაც კი მიუღია წინა ცხრა ფესტივალში მონაწილეობა. ფესტივალი ალბათ მაინც ჩატარდება, მაგრამ...

4 მარტს, დილის 11 საათზე ბატონი ჯანსუღი რეპეტიციაზე აღარ მივიდა. 8 მარტს ოპერაში დაგეგმილი იყო მასკანის „სოფლის პატიოსნება“, ამაზეც უარი უთქვამს. ასეთი რამ აქამდე არ მომხდარა.

7 მარტს, საღამოს 9 საათზე გულის ტკივილმა შეაწუხა და... აღესრულა...

P.S. *„კვირის პალიტრა“ სამძიმარს უცხადებს კახიძეების ოჯახს და ყველას, ვისაც ჯანსუღ კახიძის გენიასთან შეხება ჰქონია.*

*თბილისის სიმფონიური მუსიკის ცენტრიდან დიდ მუსიკოსს სამშაბათს გაასვენებენ საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.*

***ალექსანდრე ბერიძე***

# აწ უკვე სულად ქცეული ჩვენი ნათელი ბიჭი

მარტის თვეო, მარტის თვე...

გული სევდით აგვივსე...

სევდა არ ჰქვია ამას, ამას ჰქვია მოვარდნილი ელდა, გამეხება, ტკივილით სულის ავსება, გაყინული მზერა, სიჩუმეზე მეტი რომ არის, ისეთი სიჩუმე (ხომ გაგიგიათ, სიჩუმე ხმაურობსო)... ასეთი იყო ის მოსაღამოვებული ხუთშაბათი, 7 მარტი, ჩვენს რედაქციაში...



ექვსი წლის წინ მოხვედი „კვირის პალიტრის“ რედაქციაში, გიო. ამ ხნის მანძილზე შენეულ გაზეთს, შენეულ „კვირის პალიტრას“ კითხულობდა მკითხველი — ფაქიზად გაფორმებული, დახვეწილი დიზაინით, ცინცხალი იუმორით დახატული პერსონაჟები აცოცხლებდა და ალამაზებდა გაზეთის გვერდებს...

გიხაროდა სიცოცხლე, გიყვარდა ყველა, ყველას ეფერებოდი — შენ შემოგევლეო... დამრიგებელიც იყავი, მრჩეველიც, ცხოვრებას ასწავლიდი უმცროსებს, რადგან ტკივილმა სიცოცხლის ფასი გასწავლა. დროს უფრთხილდებოდი, თითოეული წუთი ძვირად გიღირდა. ერთხელ წამოგცდა, — ნეტა იმ დროს თუ მოვესწრები, ჩემი ანი სკოლაში შევიყვანოო — ამ სექტემბერს უნდა შეგეყვანა...

ერთად ვიყავით ამ ექვსი წლის მანძილზე, ერთად ვათევდით ღამეებს, ერთად ვფიქრობდით...

სიყვარულს სიცოცხლეშიც არ ვიშურებდით შენთვის, უბრალოდ, შენსავე სიყვარულს ვპასუხობდით.

ღიმილი, რომელიც მუდამ თან ახლდა შენს შემოსვლას, ვერ გააფერმკრთალა იმ დღეებმა, როცა საწოლს მიჯაჭვული სიკვდილს ებრძოდი — ღიმილიანი გვახსოვდი და ასეთი დარჩები ჩვენს წარმოდგენაში, ჩვენო გიო! ყოველთვის იმედით აღსავსეს არასოდეს დაგიჩივლია შენს ტკივილზე, თუმცა ვიცოდით, როგორ გიღრღნიდა სულსა და სხეულს საშინელი სენი.

და მაინც იმედი წაგყვა იმქვეყნად — შენ ხომ ორი მშვენიერი პატარა სიცოცხლე დატოვე აქ. გჯეროდა და გწამდა ღვთისა. სწორედ ღვთის იმედითა და რწმენით აღვსებული ანდობდი სულს უფალს...

და დამთავრდა გიორგის ამქვეყნიური სტუმრობა, გალია თავისი მოკლე წუთისოფელი... მოკლე, რომელიც ისეთი სულგრძელობით, თვალებში ჩამდგარი იმდენი სიკეთით და მოყვასისთვის შეშველებული საოცრად მიგნებული კეთილი სიტყვით ისე შეაჯერა და აავსო, ზოგთა მრავალი წლის სისავსეც რომ ვერ დაიტევს.

და წარდგა უფლის წინაშე ჩვენი გიორგი. იცის უფალმა, სად მიაგებს განსასვენებელს, ოღონდ ეგ არის, ლოცვად ვუდგავართ ახლა უკვე სულად ქცეულ ჩვენს ნათელ ბიჭს — აცხონე, უფალო...



# ქართული გაგებით...

## კრიმინალური „საჩუქარი“

ქართულმა საძმოებმა რუსეთში 70-იან წლებში სერიოზული მუშაობა დაიწყეს. ამას ხელი შეუწყო საკავშირო შსს-ს თანხმობამ, „საკუთარ აგარაკებზე“ მიეღო საქართველოს ტერიტორიაზე გასამართლებულ დამნაშავეთა ლიდერები. ამ უკანასკნელებმა, რა თქმა უნდა, გამოიყენეს შექმნილი მდგომარეობა ციხეებში და დაამყარეს კრიმინალური კავშირები. სამხრეთელ დამნაშავეთა ნაწილი მოკალათდა მოსკოვსა და ლენინგრადში, საითაც მიედინებოდა საქართველოს ჩრდილოვანი პროდუქცია. იქაური იატაქვეშელი ბიზნესმენები გადასახადს უხდიდნენ „კანონიერ ქურდებს“, ისინი კი სამაგიეროდ, მათ ნორმალური მუშაობის საშუალებას აძლევდნენ.



ალსანიშნავია, რომ ქართველმა საძმოებმა დროს გაუსწრეს. რა იყო რეკეტი, „პერესტროიკამდე“ კარგა ხნით ადრე ბევრმა არც კი იცოდა, ქართველთა ბრიგადები კი გამოძალვის ოსტატები გახდნენ და ფცქვნიდნენ მშობლიურ „ცეხოვიკებს“ და ქორვაჭრებს. არც მდიდარი ქართველების გატაცებაზე ამბობდნენ უარს, შემდგომი გამოსყიდვის მიზნით.

ეს გახლდათ ძველი ფორმაციის „კანონიერი ქურდების“ ოქროს ხანა. ქურდული კანონები შეუვალი იყო. ქართველმა კანონიერებმა პირველებმა შეავსეს ახალი ყაიდის ქურდული სალარო. უზარმაზარ თანხებს, რომელიც თავს „ობშჩიაკში“ იყრიდა, აბანდებდნენ შედარებით ლეგალურ ბიზნესში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთისკენ წამოვიდნენ ერთ დროს აყვავებული საქართველოს მოქალაქეები. რუსეთში გამოჩნდნენ ახალი ავტორიტეტებიც. „დევნილი-დამნაშავეების“ ძირითადი მასა ჩამოვიდა თბილისიდან, ქუთაისიდან და მათი მეზობელი რაიონებიდან. იქაურმა „კანონიერებმა“ (16 ქუთაისელი, 10 თბილისელი, 16 სოხუმელი) ჩამოაყალიბეს ბანდები და ხელმძღვანელობდნენ მათ.



განსაკუთრებული ავტორიტეტით გამოირჩეოდნენ: კიმო, ონიანი, შაქრო-მოლოდოი, რობინზონი, მუხა, ჰასანი, ბორია სოხუმელი.

## „თეთრი ძვალი“

ვინაიდან „ექსპორტიორ“ დამნაშავეთა შორის უამრავი „კანონიერი ქურდი“ იყო, ქართველები კრიმინალური ელიტის როლში გამოდიოდნენ. „კანონიერი ქურდები“ ცდილობდნენ, თვითონ არ ჩაედინათ დანაშაული. ისინი იყვნენ ორგანიზატორები, იდეოლოგები და კურირებდნენ დაჯგუფებებსა და კლანებს. ქართველები დღესაც მოსკოვის კრიმინალიტეტის ყველაზე მდიდარი წევრები არიან.

კრიმინალურ გაერთიანებაში რამდენიმე შტო არსებობდა — თბილისური, სოხუმური, ქურთული, ქუთაისური. „პახანებს“ შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ანდრეი მუკობა. მუკობას მეტსახელები იყო „ხაჯარადი“ და „ვაჯახედი“. სწორედ მუკობა გახლდათ პროტოტიპი გმირისა ფილმში „კანონიერი ქურდები“. მაგრამ რეალურ ცხოვრებაში დაუნდობლობითა და განუკითხაობით ისე გაითქვა სახელი, რომ ქურდებმა იგი „ნაძირალად“ და „ჩამშვებად“ გამოაცხადეს.

ერთხელ მუკობამ შინ სტუმრად მიიტყუა ძველი ქურდი კუხა და მოკლა, რაც არა მარტო კავკასიური, არამედ საყოველთაო გაგებით. ყოვლად მიუღებელი იყო. მოკლა თავისი თანამოაზრე და შემდეგ, თითქოს არაფერი მომხდარიყო, მის პანაშვიდზეც მივიდა. მოგვიანებით ქურდებმა მოინდომეს მისი დასჯა.

როცა 80-იან წლებში თბილისის ციხეში არეულობა დაიწყო, პატიმრებმა ამწის საშუალებით იზოლატორის კედელი გაანგრიეს და მუკობა გამოათრიეს, მაგრამ ის მაშინ სასწაულებრივად გადარჩა.

მერე იყო მოსკოვი. 1993 წელს მუკობა რუსეთის დედაქალაქში დააპატიმრეს. მისი ბინიდან უამრავი იარაღი — ავტომატები და ტყვიამფრქვევები ამოიღეს. მაგრამ „მსოფლიოში ყველაზე ჰუმანურმა“ სასამართლომ ქურდთა წრის მიერ გაყიდულ და დაწყევლილ ანდრეი მუკობას მხოლოდ ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯა. ის ერთი წელიც არ მჯდარა ციხეში. აფხაზეთის ლიდერის შუამდგომლობით მუკობა, რომელმაც თავი გამოიჩინა საქართველო-აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს, გაათავისუფლეს.

გავლენის ხარისხით ვაჯახედს არ ჩამოუვარდებიან დათო ტაშკენტსკი, რობინზონი, შაქრო-უმცროსი. მყარი პოზიცია აქვს ჯემალსაც, რომელიც სოლნცევოს საძმოსთან თანამშრომლობს.

ამიერკავკასიელ „კანონიერ ქურდთა“ შორის ყველაზე დიდ ავტორიტეტად ჰასან პაპა მიიჩნეოდა. ის ჯიბის ქურდი იყო და რეკეტერობა ჯერ კიდევ 50-იან წლებში დაიწყო თბილისში.

ძველი ფორმაციის ქართველი კანონიერებიდან აღსანიშნავია გაბრიელ ოტანი, მეტსახელად „ევროპელი“. ის სამართალდამცავებს საფრანგეთში ემალებოდა.

დაღუპულთა შორის გამოირჩეოდა აგარ ალაძე, რომელიც 1993 წელს თბილისში ფულთან დაკავშირებული საკითხის გასარკვევად ჩამოვიდა და იქვე მოკლეს.

## ქურდული წესების დაცემა

ადრე არსებობდა ქურდების კატეგორია, რომელსაც თავისი პოსტულატები და კანონები ჰქონდა. ის ცდილობდა არ ჩამორჩენოდა საყოველთაოდ მიღებულ საზოგადოებრივ ნორმებს. პატივს სცემდა პატიოსან სამართალდამცავებს, არც მათთან კონტაქტს ერიდებოდა, თუმცა საკუთარ მიზნებსაც არ ივიწყებდა. თუკი ამ კატეგორიის ქურდი სამართალდამცავებს პატიოსან სიტყვას მისცემდა, არ გატეხდა.

კაპიტალისტურმა წყობამ ქურდული სამყაროც გარყვნა: კავკასიელებს შორის გაჩნდნენ „კანონიერები“, რომლებიც არასდროს მსხდარან ციხეში და ეს ტიტული ნაყიდი ჰქონდათ. ასეთთა შორის იყო სილიძე, რომელიც 1994 წელს დააპატიმრეს „კანონიერი ქურდის“, მეტსახელად გდემოს ბიჭის მკვლელობისთვის. სწორედ ამ უკანასკნელმა მონათლა ქურდად სილიძე, მან კი „ნათლიას“ ასეთი ღირსეული საქციელით გადაუხადა — ცხრა ტყვია დაახალა და გააგორა.

ადრე ღირსებად მიიჩნეოდა, თუკი ქურდი ერთ წელს მაინც გაატარებდა თავისუფლებაში და კვლავ მშობლიურ სამყაროში დაბრუნდებოდა. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა. „კანონიერები“ ყველაფერს კადრულობენ — მოქრთამვას, შანტაჟს, ცილისწამებას, ოღონდაც კი გისოსებს მიღმა არ ამოყონ თავი.

## ერთი ხის ტოტები

რუსეთში ყველაზე ძლიერად ყოველთვის „ქუთაისის დაჯგუფება“ მიიჩნეოდა. მონაცემების თანახმად, დაჯგუფებაში ხუთასამდე აქტიური მებრძოლი იყო გაერთიანებული.

სამართალდამცავი ორგანოების ცნობით, ამჟამად მოსკოვში 16 ქუთაისელი „კანონიერი ქურდი“ ცხოვრობს. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილი ლიდერები არიან — ჩიჟი, რობინზონი, პეწო, მანაგო, შაქრო, ჯემალი, სტურუა.

„თბილისურ დაჯგუფებას“ დაახლოებით ორასამდე კაცი ჰყავს. ერთ-ერთის ხელმძღვანელია II ჯგუფის ინვალიდი, ავტორიტეტი, მეტსახელად პაატა-დიდი. მის გარდა არიან ჰასანი, გულა, რეზო თბილისელი, რომელიც ნარკოტიკების შენახვისთვის 6 თვით იყო დაპატიმრებული.

ტრადიციულად ძლიერია „სოხუმის დაჯგუფება“, რომელშიც შედის 16 ავტორიტეტი და სამასამდე აქტიური წევრი.

ნაკლები გავლენით სარგებლობენ დასავლეთ საქართველოდან და აფხაზეთიდან გამოსული დამნაშავეები, რომლებიც გაერთიანებულნი არიან „სამეგრელოს დაჯგუფებაში“. ეს არის ორასკაციანი ე.წ. „მეგრული დაჯგუფება“.

დიდი სახელით სარგებლობდა კანონიერი ქურდი, მეტსახელად შაქრო-უფროსი. მას ფართო კავშირები ჰქონდა დამყარებული რუსეთის სამთავრობო წრეებთან და მეგობრობდა სხვა ქართულ დაჯგუფებებთან. მას იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ ქურდული გარჩევების დროს მოსამართლის როლსაც ასრულებდა.

ტრადიციული ქართული დაჯგუფებების გარდა რუსეთში გამოჩნდა რამდენიმე დამოუკიდებელი კრიმინალური ფორმირება, რომლებსაც ხელმძღვანელობენ დამნაშავე ავტორიტეტები. ისინი ძირითადად დაკვეთილ მკვლელობებს ასრულებენ, იტაცებენ ნარკოტიკებს, ქურდულ „ობშჩიაკში“ ფულს არ დებენ, მაგრამ ცდილობენ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეთ „კანონიერებთან“. ეს ფორმირებები მცირერიცხოვანია, მაგრამ ძალიან კარგად შეიარაღებულნი, გამოირჩევიან სისასტიკით, რადგან მათმა არაერთმა ბოევიკმა კარგი სკოლა გაიარა ჩეჩენი სეპარატისტების მხარდამხარ ბრძოლის დროს.

## შემოსავლის წყარო

ქართულ დამნაშავეთა დაჯგუფებების ინტერესი მრავალფეროვანია და რომელიმე ერთი მიმართულების გამოყოფა საკმაოდ რთულია. ქართული დაჯგუფების ერთ-ერთ ძირითად მოღვაწეობას წარმოადგენს ადამიანების გატაცება, ასევე — ავტოსალონებზე და მანქანების ყიდვა-გაყიდვაზე კონტროლი. მოსკოვში ქართული მაფია აკონტროლებდა შვიდ კომერციულ ბანკს, ეროვნული სახელწოდებების მქონე რესტორნებს, ტანსაცმლისა და პროდუქტის ბაზრებს. მასმედიის მონაცემებით, 1996 წელს ქართული სათვისტომო მოსკოვში ფლობდა ხუთ კაზინოს, აკონტროლებდა რამდენიმე სასტუმროს, ყველა სამხრეთკორეულ რესტორანს.

დღესდღეობით, დიდი დანაშაულის ჩადენა წარმოუდგენელია საერთაშორისო კავშირების გარეშე. კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის ფარქვეშ ხდება იმ კრიმინალური ლიდერების შეხვედრა, რომლებიც უკვე დიდი ხანია წარმატებულ ბიზნესმენებად გადაიქცნენ. ქართული კრიმინალური დიასპორა გამონაკლისი არ გახლავთ. თავისი თანამემამულეების წყალობით მათ კავშირი დაამყარეს გერმანიასთან, ავსტრიასთან, ბელგიასთან; მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ოკეანისგაღმელ და ისრაელელ კოლეგებთან.

უკანასკნელ წლებში ქართული დაჯგუფებები სულ უფრო ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა ფინანსურ აფერებში, აარსებენ კომერციულ ფირმებს, სააქციო საზოგადოებებს, ბანკებს. შეიმჩნევა მათი გავლენა ნავთობის, ხეტყისა და ფერადი ლითონების ექსპორტზე. მსხვილი ბიზნესისადმი ინტერესმაც ვერ აალებინა ხელი მათ „ტრადიციულ საქმიანობაზე“, როგორიცაა: ადამიანების გატაცება, გამოძალვა, ძარცვა, თაღლითობა. საყურადღებოა, რომ კრიმინალური კლანები ცდილობენ თავიანთ სამშობლოში არ იაქტიურონ. საქართველო პატარა ქვეყანაა და აქ ბევრი რამ პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. მათი მოქმედების მთავარი ასპარეზი უკიდეგანო რუსეთია...



## დრონი იცვლებიან

90-იანი წლების დასასრულიდან ქართულ დაჯგუფებებს რუს საძმოებთან გაუჩნდათ დაბრკოლებები. ამ უკანასკნელებმა კავკასიური ექსპანსიის წინააღმდეგ ნამდვილი ომი გააჩაღეს. არაერთი ქართველი ლიდერი დაიღუპა. საკმარისია გავიხსენოთ „კანონიერი ქურდი“ კვეჟო ანდა სოჭში დახვრეტილი სამი ქართველი ქურდი, თავდასხმა შაქროს ოჯახზე, ავტორიტეტ გამცილაძის მკვლელობა მოსკოვში...

დაიწყო ახალი ათასწლეული. ორგანიზებული დამნაშავეებიც შეიცვალნენ. დაჯგუფებების ლიდერები ხელისუფლებისკენ მიილტვიან და ხშირად რეგიონებში პოლიტიკასაც განსაზღვრავენ.

ურთიერთობა მოგვარდა კავკასიელებსა და სლავებს შორისაც.

საქმეების მოგვარებას და ქონების გადანაწილებას ისინი მშვიდობიანი გზით ცდილობენ.

ქართული მაფიის ფენომენის განხილვა შეუძლებელია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების გარეშე. ქურდულ სამყაროშიც მოხდა დაყოფა. ქართული დაჯგუფებების ლიდერებს შორისაც დაიწყო შიგა გარჩევები, რომლის მსხვერპლნი გახდნენ არა მარტო რიგითი წევრები, არამედ სერიოზული ავტორიტეტები.

სამართალდამცავი ორგანოები სულ უფრო ხშირად გამოდიან სტატისტების როლში. მილიციას, როგორც წესი, მხოლოდ რიგითი შემსრულებლები უვარდებიან, რომლებიც „პოდოგრევის“ გამო თავს ზონაშიც მშვენივრად გრძნობენ თავს და ვადაზე ადრეც თავისუფლდებიან. ლიდერები კი იშვიათად „ვარდებიან“ და თუ მაინც გაასამართლეს, უმნიშვნელო ვადას უსჯიან.

***კალეიდოსკოპი №10***
***(გვარ-სახელები შეცვლილია რუსული სტატიის ავტორის მიერ)***




# ვიტამინოლოგიის ანთოლოგია

**_მედიკოსები მიიჩნევენ, რომ ვიტამინები არა მხოლოდ უზრუნველყოფს ორგანიზმის ნორმალურ მუშაობას, არამედ წარმოადგენს განსაკუთრებულად ეფექტურ წამალსაც, ამასთან, ყოველგვარი უკუჩვენებების გარეშე. ამის მიზეზი თურმე ის ყოფილა, რომ ვიტამინები, წამლებისგან განსხვავებით, ორგანიზმისთვის უცხო კი არა, „თავისიანია“, და სასიცოცხლო ფუნქციას ასრულებს._**



## საშიში დეფიციტი

არ შეიძლება სხვადასხვა ვიტამინის მთავარ და მეორეხარისხოვნად დაყოფა. რომელიმე მათგანის დეფიციტი უბრალოდ მომაკვდინებელია, უკმარისობა კი ჯანმრთელობას აზიანებს. ვიტამინების ნაკლებობის შემთხვევაში ფეხმძიმე ქალების გარდა, რისკის ჯგუფში ხვდებიან იმუნიტეტდაქვეითებული ადამიანები.

თუ თქვენ ცოტა ხილსა და ბოსტნეულს მიირთმევთ, ეწევით და რეგულარულად სვამთ ერთ სირჩაზე მეტ ალკოჰოლს, ამასთან თუ 50 წელზე მეტის ხართ, ხშირად იცავთ დიეტას, რეგულარულად იღებთ წამლებს და ხშირად იმყოფებით სტრესულ მდგომარეობაში, თუ ხარჯავთ დიდ ენერგიას და ცხოვრობთ წარმოება-დაწესებულებებით სავსე დიდ ქალაქში, იცოდეთ, უვიტამინოდ თქვენი საქმე წასულია...

## ყურადღება: ვიტამინომანია!

ცნობილია, რომ გავრცელებული ჰიპო — და ავიტამინოზის გვერდით არსებობს ჰიპერვიტამინოზიც, რასაც ვიტამინების ზედმეტი და უზომო გამოყენება იწვევს. გაფრთხილებთ — ისიც ისევე საშიშია, როგორც ვიტამინების ნაკლებობა. რადგან ძირითად საკვებ ნივთიერებებთან (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები და მინერალური მარილები) შედარებით, ორგანიზმს სჭირდება ვიტამინების სულ უმნიშვნელო რაოდენობა — დღეღამეში 100მგ. რაც სრულიად საკმარისია ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის, ნივთიერებათა ცვლის ნორმალური წარმართვისათვის, საერთო მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სქესობრივი ფუნქციის აღსადგენად. ეს დოზა ხელს უშლის სხვადასხვა დაავადებების განვითარებას.

ვიტამინების უზომოდ მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლა, უძილობა და მადის დაკარგვა, კრუნჩხვები, თავის ტკივილი, პირღებინება.

თუ გადაწყვიტეთ, იმკურნალოთ ვიტამინებით, დაიცავით ზომიერება, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება ბავშვს, ისარგებლეთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ცხრილით:

**ჰიპოვიტამინოზის ნიშნები: A (რეტინოლი).** მხედველობის დაქვეითება, სწრაფი დაღლილობა, კანის სიმშრალე, ფრჩხილების მსხვრევა.

**დოზა (დღეში)** 0,8-1,0 მგ.

**ბუნებრივი წყაროები:** ღვიძლი, კვერცხი, კარაქი, არაჟანი, ნარინჯისფერი, ყვითელი და წითელი ფერის ხილი და ბოსტნეული, მწვანილი.

**ჰიპოვიტამინოზის ნიშნები:** $B_1$ **(თიამინი):** თავის ტკივილი, გაღიზიანება, მეხსიერების დაქვეითება, ტაქიკარდია, საჭმლის მონელების დარღვევა, კუნთების სისუსტე.

ბუნებრივი წყაროები: საფუარი, ბურახი, წიწიბურას და ქერის ბურღულეული, სიმინდი, პარკოსნები, ღვიძლი, უცხიმო ღორის ხორცი, არაქისი, თხილი, კაკალი.

**დოზა (დღეში)** 1,5 — 2 მგ.

**ჰიპოვიტამინოზის ნიშნები:** $B_2$ **(რიბოფლავინი):** კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოშლა, ტუჩების სიმშრალე, თვალების ქავილი ან ჭრა, ულონობა, თმის ცვენა.

**ბუნებრივი წყაროები:** მაწონი, კეფირი, ყველი, ღვიძლი, კვერცხის გული, სტაფილო, ატამი, ჭარხალი, სოკო, ყვავილოვანი კომბოსტო.

**დოზა (დღეში)** 1,5 — 2 მგ.

**ჰიპოვიტამინოზის ნიშნები:** $B_6$ **(პირიდოქსინი).** მოთენთილობა, გაღიზიანებულობა, მადის დაკარგვა, სტომატიტი, კონიუნქტივიტი.

**დოზები (დღეში)** 1,5 — 2 მგ.

**ბუნებრივი წყაროები:** ქერი, ფეტვი, სიმინდი, მუხუდო, კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი, ძროხის, ქათმისა და ცხვრის ხორცი, კვერცხი, რძე.

**ჰიპოვიტამინოზის ნიშნები: C (ასკორბინის მჟავა).** მოთენთილობა, სწრაფი დაღლა, იმუნიტეტის დაქვეითება, ღრძილებიდან სისხლის დენა, ჭრილობების გაძნელებული შეხორცება.

**დოზა (დღეში)** 70-80 მგ.

**ბუნებრივი წყაროები:** მცენარის მწვანე ნაწილები, ბოსტნეული (განსაკუთრებით, წითელი წიწაკა), ხილი (განსაკუთრებით, ლიმონი და კივი), ასკილი, შავი მოცხარი.

**ჰიპოვიტამინოზის ნიშნები: D (კალცი-ფეროლი).** იმუნიტეტის დაქვეითება, კარიესი, პატარა ბავშვებში რაქიტი, ოსტეოპოროზი (უფროსებში).

**დოზა (დღეში)** 100 მგ — 500მგ (ფეხმძიმეთათვის).

**ბუნებრივი წყაროები:** ვირთევზა, ორაგული, ვირთევზას ღვიძლი, კარაქი, რძე, კვერცხის გული, ხიზილალა.

***ვერსია №5***

# საღეჭი რეზინი საშიშია ჯანმრთელობისთვის




საღეჭი რეზინი, რომელიც ხშირად გადასცდებათ ხოლმე ბავშვებს, ძალზე საშიშია. ამერიკელ ექიმებს აღწერილი აქვთ ორი მძიმე შემთხვევა: ბავშვებს დაეწყოთ გაუვალობა. გაშუქებისას ერთ გოგონას სწორი ნაწლავის დიდი ნაწილი საღეჭი რეზინით ჰქონდა ამოვსებული. საჭირო გახდა ნარკოზის გამოყენება და სწორი ნაწლავის კედლებიდან რეზინის ხელით მოცილება. განსაკუთრებით საშიშია ეს ისეთი ბავშვებისათვის, რომელთაც გაუვალობა ხშირად აქვთ და ამის გამო ნაწლავები მოდუნებულია. რეზინი შესაძლოა მიეწებოს ნაწლავთა კედლებს და ძალზე რთული შედეგები გამოიწვიოს. იყო შემთხვევა, როცა ბავშვი სასწრაფოდ მიიყვანეს საავადმყოფოში — მას ძლიერ ახველებდა, გამოყოფდა ნერწყვს დიდი რაოდენობით, უჭირდა ყლაპვა. გაშუქებისას საყლაპავ მილში აღმოჩნდა ერთმანეთზე დაწებებული საღეჭი რეზინის ზოლი. ამერიკელი ექიმების აზრით, მშობლებმა მკაცრად უნდა აუკრძალონ ბავშვებს ამ საყვარელი „გასართობის“ ღეჭვა მანამ, სანამ ისინი არ გააცნობიერებენ, რომ მისი გადაყლაპვა ძალზე სახიფათოა ჯანმრთელობისათვის.

***მირ ნოვოსტეი №8***

# დეპრესია გიჰს იწვევს

ჯონ ჰოპკინსის სამედიცინო სკოლის თანამშრომლების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ დაადგინა, რომ სხვადასხვა დაავადების აღმოცენების საფუძველია — დეპრესია. თურმე, დეპრესიულ ან სტრესულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის სისხლში წარმოიქმნება საგრძნობლად ნაკლები სისხლის თეთრი სხეულაკები, რომლებიც განსაზღვრავს ინფექციის მიმართ ორგანიზმის წინააღმდეგობის დონეს. მეცნიერების აზრით, ეს ძირეულად ცვლის წარმოდგენას იმის შესახებ, რას და როგორ უნდა უმკურნალონ სურდოდან დაწყებული უმძიმესი გრიპით დამთავრებული. ამიტომ გირჩევთ, გაიღიმოთ, ნუ იქნებით პირქუში და სენი იოლად ვეღარ მოგერევათ.

***სობესედნიკი №7***

# მოიქოროთ ცუდი აზრები

ოპტიმიზმი ხელს უშლის გულის დაავადებების წარმოქმნას — ამ დასკვნამდე მივიდა მეცნიერთა ჯგუფი ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორის დაიანა ბეკერის ხელმძღვანელობით.

ექიმები 5-12 წლის მანძილზე აკვირდებოდნენ იმ ადამიანებს, ვინც არ იყო გულით დაავადებული — სულ მონაწილეობდა 30-დან 59 წლამდე 586 ადამიანი. გაირკვა, რომ ისინი, ვინც დადებითად იყვნენ განწყობილნი ცხოვრების მიმართ 2-ჯერ ნაკლებად იყვნენ დაავადებულნი გულ-სისხლძარღვთა დაავადებით, ვიდრე პესიმისტები. „შესაძლოა, ოპტიმისტების ორგანიზმში გამომუშავდება სტრესის ჰორმონების ნაკლები რაოდენობა, რაც ხელს უწყობს მათ დაიცვან თავი გულის დაავადებებისაგან“ — ამბობს დაიანა ბეკერი.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ოპტიმისტებს შორის ნაკლებად არიან მწეველი ადამიანები.

***ეხო პლანეტი №8***

# ჯარაექიმის რჩევები

**გაცივებას და ხველებას შველის:**

**1.** შეურიეთ ერთმანეთს 4-4 გ კრაზანა, ფარსმანდუკი, ანისულის თესლი, ტუხტის ფესვები, მრავალძარღვას ფოთლები, 2-2 გ ბეგქონდარა და სალბი, 1 გ ევკალიპტი და 150 გ ჩვეულებრივი შავი ჩაი. 1/2 ჩ/კ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, 20 წუთის შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ ნაყენი ჭამის წინ ან შემდეგ. მკურნალობის კურსია თვენახევარი.

**2.** შეურიეთ ერთმანეთს ფარსმანდუკი, თავშავა, გვირილის ყვავილი, კრაზანა, მრავალძარღვას ფოთოლი და ასკილი შემდეგი პროპორციით: 2:1:2:1:2:4. 2 ს/კ ნარევს დაასხით 200 გ მდუღარე, დაახურეთ და 15 წუთი გააჩერეთ წყლის ორთქლზე, გადმოდგით და 40 წუთის შემდეგ გაწურეთ, დაამატეთ 200 გ ანადუღარი წყალი და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ თბილი ნაყენი 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე.

**3.** 2 ს/კ ძირტკბილას დაქუცმაცებულ ფესვებს დაასხით 300 გ მდუღარე. 20 წუთის შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ ნაყენის 1/2, ნახევარი საათის შემდეგ კი დარჩენილი 1/2. საღამოს გაიმეორეთ იმავე სქემით.

**უძილობას და ნერვულ დაძაბულობას შველის:** შეურიეთ ერთმანეთს 2-2 წილი ბალის პიტნა და წყლის სამყურა, 1-1 წილი სვიის გირჩა და კატაბალახას ფესვები. 2 ს/კ ნარევს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე და 20 წუთის შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 1 ჩ/ჭ ნაყენი დილას და საღამოს.

**თირკმლებიდან კენჭებს გამოდევნის:** 1 ს/კ სტაფილოს თესლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე, შეფუთეთ და 12 საათის შემდეგ გაწურეთ. მიიღეთ 0,5 ჩ/ჭ თბილი ნაყენი 5-6-ჯერ დღეში, ჭამამდე. ეს ნაყენი კენჭებს სილად გადააქცევს და თანდათანობით გამოდევნის ორგანიზმიდან.

# სასწაულმოქმედი მზისფერი ფორთოხალი



ციტრუსებს შორის, განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც ჩვენი ორგანიზმი ვიტამინების ნაკლებობას განიცდის, ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს ფორთოხალი. მართლაც, ფორთოხალი მდიდარია ორგანიზმის მიერ ადვილად ამთვისებელი გლუკოზით, ფრუქტოზითა და C ვიტამინით. გლუკოზა ნერვული ქსოვილების ენერგიის წყაროს წარმოადგენს, ფრუქტოზას კი ითვისებს ინსულინის გარეშე, რაც ასე მნიშვნელოვანია ორგანიზმისთვის. C ვიტამინი, რომელიც აძლიერებს იმუნურ სისტემას, გვიცავს გაცივებისა და სხვა დაავადებებისგან. C ვიტამინი ხელს უწყობს კოლაგენის ცილის წარმოქმნას (რაც ასე საჭიროა კანისათვის), რომელიც ამაგრებს ძარღვების უჯრედებს, ძვლის ქსოვილსა და აჩქარებს ჭრილობების შეხორცებას.

გარდა ამისა, ასკორბინის მჟავას სხვა თვისებებიც ახასიათებს. ცდებით დაამტკიცეს, რომ ამ უნივერსალურ ვიტამინს აქვს კიბოს საწინააღმდეგო თვისებები. ის ასუსტებს უჯრედებისათვის მავნე თავისუფალ რადიკალებს, რითაც ხელს უშლის ავთვისებიანი კიბოს წარმოქმნასა და განვითარებას. ამავე დროს, გააუვნებლებს კანცეროგენულ ნივთიერებას, რომელსაც შეიცავს მარილიანი და ცხიმიანი საკვები. 180 გ ფორთოხალი შეიცავს 70 გ C ვიტამინს, რაც ადამიანის დღეღამურ ნორმას შეესაბამება — იმ პირობებში, თუ სტრესს არ განიცდით. C ვიტამინთან ერთად ფორთოხალი შეიცავს P ვიტამინს (ანუ რუტინს), რომელიც აძლიერებს ასკორბინის მჟავას ზემოქმედებას, კაპილარების გამძლეობას, ხელს უწყობს ქსოვილის სუნთქვას, ენდოკრინული ჯირკვლების მუშაობას.

ფორთოხალი მდიდარია $B_1$ (თიამინი), $B_2$ (რიბოფლავინი), A (კაროტინი) ვიტამინებით და პექტინებით, რომელთაც შესწევს უნარი შთანთქას ტოქსიკური ნივთიერებები და ქოლესტერინი და ორგანიზმიდან გამოდევნოს მავნე უცხო ქიმიური ნივთიერებები. გარდა ამისა, ფორთოხალი შეიცავს მინერალურ ნივთიერებებს — კალიუმს, კალციუმსა და მაგნიუმს. კალიუმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ორგანიზმში ნივთიერებათა და უჯრედების ცვლაში, უზრუნველყოფს კუნთების ნორმალურ მუშაობას (ნაწილობრივ გულისასაც).

კალციუმი აუცილებელია ქალებისთვის: ამაგრებს ფრჩხილებს და ხელს უშლის ოსტეოპოროზის წარმოქმნას, ამაგრებს კბილებს და იცავს პაროდონტოზისაგან. სხვათა შორის, კალციუმი განსაკუთრებით სჭირდებათ ფეხმძიმე და მეძუძურ დედებს. მაგნიუმი ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, ხელს უშლის თირკმლებში კენჭების წარმოქმნას, ამშვიდებს ნერვულ სისტემას, აწესრიგებს ძილს.

ამ მზისფერ ნაყოფში შედის ეთეროვანი ზეთები (ყველაზე მეტი მის კანშია — 0,33-2,1%), რომელიც ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, ასუფთავებს ორგანიზმს მავნე ნივთიერებებისა და მიკრობებისაგან.

ამერიკელმა ბიოქიმიკოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ალბერტ სენტ-დერდიმ აღმოაჩინა, რომ ფორთოხლის თეთრი კანი შეიცავს ე.წ. მაღალი კონცენტრატის ბიოფლავონოიდებს, რომელიც თავისი მოქმედებით უფრო ძლიერია, ვიდრე თირკმელზედა კორტიზონის ჰორმონები, ამცირებს სისხლის მაღალ წნევასა და ქოლესტერინის დონეს — რისკის ორ ისეთ ფაქტორს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ თრომბი, ინფარქტი, მიოკარდი და ინსულტი. არ დაგავიწყდეთ, გამოწურავთ თუ არა მაშინვე დალიეთ და არ დატოვოთ გაჭრილი ფორთოხალი, მზის სინათლის ზეგავლენით მასში იკარგება C ვიტამინი. გირჩევთ, დილა დაიწყოთ ფორთოხლის ახალგამოწურული წვენით (ჩვევად აქციეთ), თუ გსურთ მთელი დღე კარგ გუნებაგანწყობილებაზე იყოთ და მომხიბვლელად გამოიყურებოდეთ.

***ლიზა №51***

# შეკითხვა ექიმს



**გაცივების დროს თვალები მიწითლდება და მეცრემლება. თუ არის ცნობილი თვალის ანთების საწინააღმდეგო რაიმე ხალხური საშუალება?**

***ზვიად ქორთუა***

თვალის ანთების დროს ძალიან ეფექტურია თაფლი. უფრო საიმედო საშუალება არ არსებობს. სინჯეთ ასეთი რეცეპტი: 1 ჩ/კ ნატურალური თაფლი ადუღეთ 2 წუთი 200 გ წყალში. როცა თაფლიანი წყალი გაგრილდება, დაიდეთ კომპრესი ქუთუთოებზე 20-20 წუთით დილა-საღამოს და თვალში ჩაიწვეთეთ 2-3 წვეთი 2-ჯერ დღეში. ანთება გაივლის 1-3 დღის შემდეგ, მაგრამ კიდევ 2 დღე ნუ შეწყვეტთ მკურნალობას.

**ენის წვერი მაქვს დახეთქილი და მეწვის. ხშირად ვკითხულობ თქვენს გაზეთში, რომ იძლევით რჩევებს და გავბედე თქვენი შეწუხება. იქნებ მირჩიოთ რამე?**

***ჟუჟუნა ძიძიგური***
***სამამულო ომის ვეტერანი***

მკითხველი საკმაოდ მწირ ინფორმაციას გვაწვდის თავისი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობაზე და ასახელებს მხოლოდ ერთ ჩივილს — ენის წვას. ეს სიმპტომი მეტად დამახასიათებელია ანემიის (სისხლნაკლებობის) ერთ-ერთი ფორმისათვის, რომელსაც მეგალობლასტური ანუ ვიტამინ $B_{12}$-ის დეფიციტით გამოწვეული ანემია ეწოდება. $B_{12}$ ვიტამინი აუცილებელი ფაქტორია სისხლის წითელი ბურთულების (ერითროციტების) ნორმალური წარმოქმნის უზრუნველსაყოფად. ამ დაავადების დროს კი დარღვეულია კუჭში $B_{12}$ ვიტამინის შეწოვის პროცესი, რაც ნორმალური სისხლწარმოქმნის მოშლას იწვევს. დაავადება უმეტესად გვხვდება 40 წლის ასაკს გადაცილებულ ქალებში, უფრო იშვიათად — მამაკაცებში. დასაწყისში ავადმყოფს აწუხებს საერთო სისუსტე, ფეხების დაბუჟება, ტკივილი. კანი და ლორწოვანები მკრთალია, მოყვითალო-ლიმონისფერი. ვითარდება გლოსიტი (ენის ანთება): ენა წითელია, ანთებადი, ნახეთქებითა და წყლულებით წვერსა და ნაპირებზე. შემდეგში ენის დვრილები ატროფირდება (დაპატარავდება) და ენა გაკრიალებული ჩანს. აღინიშნება კუჭის ანთების (გასტრიტის) მოვლენები. სიმძიმის შეგრძნება და ტკივილი კუჭის არეში, ზოგჯერ — გულისრევა და პირღებინება.

დიაგნოზის დადასტურება შეგიძლიათ სისხლის ანალიზის აღებით. მეგალობლასტური ანემიის დროს სისხლში შემცირებულია ჰემოგლობინი და ერითროციტების რაოდენობა, ხოლო ფერადობის მაჩვენებელი 1,5 და უფრო მეტია (მომატებულია). ამ დროს ამბობენ, რომ ანემია ჰიპერქრომულია. სპეციფიკურია სისხლში დიდი ზომის ერითროციტების — მეგალობლასტების აღმოჩენა.

დაავადების მიმდინარეობა და პროგნოზი დროულ მკურნალობაზეა დამოკიდებული, ამიტომ შეკითხვის ავტორს ვურჩევთ, დროულად გაიკეთოს სისხლის საერთო ანალიზი და დიაგნოზის დადასტურების შემთხვევაში, ჩაიტაროს სათანადო მკურნალობა ექიმის დანიშნულების შესაბამისად.

დაავადების სამკურნალო საშუალებაა ვიტამინ $B_{12}$-ის შეშხაპუნება კუნთებში (200 მიკროგრამი ყოველდღე ან დღეგამოშვებით). ეფექტი ძლიერ სწრაფია. ორკვირიანი მკურნალობის შემდეგ ავადმყოფის საერთო მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება, რის შემდეგაც ინიექციები კეთდება კვირაში ორჯერ, ხოლო შემდგომ, შედეგის შესანარჩუნებლად საკმარისია 1-2 ინიექცია თვეში. ასე უნდა გაგრძელდეს წლების განმავლობაში, რადგან ვიტამინის შეწყვეტა დაავადების რეციდივის მიზეზი გახდება. ვიტამინ $B_{12}$-თან ერთად ავადმყოფს ენიშნება ფოლიუმის მჟავა.

***თამარ მამაცაშვილი***

## ტესტი — იცით, როგორ მოიქცეთ?

**ხალხმრავალ ადგილას თქვენ გვერდით მყოფ ადამიანს წაუვიდა გული, იცით, როგორ მოიქცეთ?**

**1. სასრაფოდ გავაღებინებ პირს და ჩავუდებ ნიტროგლიცერინის აბს;**
**2. ყველანაირად ვეცდები, რომ ფეხზე დადგეს, ხელს შევაშველებ და არ მივცემ დაწოლის საშუალებას;**
**3. დავაწვენ ისე, რომ თავი დაბლა ჰქონდეს, ფეხები ოდნავ მაღლა, გავუხსნი ტანსაცმელს, ვასუნთქებ სუფთა ჰაერს, ნიშადურს, ძმარს, დავუზელ ხელ-ფეხს;**
**4. ჩავუტარებ ხელოვნურ სუნთქვას და გულის გარეგან მასაჟს.**

*სწორი პასუხი გახლდათ მე-3. ახლა კი განვმარტოთ, რატომაა მართებული მხოლოდ მე-3 ქმედება და დანარჩენი ქმედებები — მცდარი. რა გართულებები შეიძლება მოჰყვეს თქვენს არასწორ „დახმარებას“ ასეთ დროს.*

გულის წასვლა გრძნობის უეცარი და ხანმოკლე დაკარგვაა, რომელსაც იწვევს სხვადასხვა მიზეზი: მღელვარება, მძიმე სანახაობა, შიში, ტკივილი, მზეზე ყოფნა, სხეულის გადახურება. იგი უფრო ხშირად ვითარდება სუსტი ნერვული სისტემის მქონე ქალებში. ადამიანს უეცრად თვალთ უბნელდება. ცნობიერება ებინდება, გრძნობას კარგავს. ამ დროს პირისახე ფერმკრთალდება, პულსი შესუსტებულია ან სრულიად არ ისინჯება, არტერიული სისხლის წნევა დაქვეითებულია. დახმარების მთავარი პრინციპი გულის წასვლის დროს მდგომარეობს ჟანგბადით მდიდარი ჰაერის მიწოდებაში ავადმყოფისათვის და მისი ტვინის სისხლმომარაგების გაუმჯობესებაში, რასაც ადამიანის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში (ფეხების ოდნავ მაღლა დაწყობით) მოთავსება უზრუნველყოფს.

თუ გულწასულ ადამიანს ნიტროგლიცერინს ჩაუდებთ, ეს გამოიწვევს არტერიული სისხლის წნევის კიდევ უფრო დაცემას (ნიტროგლიცერინი სისხლის წნევას მომენტალურად დაბლა სწევს 10-12%-ით), რამაც შესაძლოა მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულოს. გარდა ამისა, ადვილი შესაძლებელია, რომ ასეთ მდგომარეობაში ადამიანს აბი გადასცდეს სასუნთქ გზებში, რაც ასევე, არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანს.

თუ თქვენ გულწასულ ადამიანს არ მისცემთ საშუალებას მიიღოს ჰორიზონტალური მდგომარეობა, ამით მხოლოდ ხელს შეუშლით მას, დროულად დაუბრუნდეს გონი.

რაც შეეხება „დახმარების“ მე-4 ვარიანტს — ხელოვნური სუნთქვა ტარდება სუნთქვის შეწყვეტის ან მისი ძლიერი დათრგუნვის დროს. ხელოვნურ სუნთქვას გულის მასაჟთან ერთად მიმართავენ ხოლმე კლინიკური სიკვდილის პერიოდში, ელექტროტრავმის, მოწამვლის, წყალში დახრჩობის ტრავმის შედეგად განვითარებული ტერმინალური მდგომარეობის დროს. გულის წასვლას ცალკეულ ორგანოთა და სისტემათა ფუნქციის ასეთი ღრმა დარღვევები არ ახლავს თან და ამდენად არც მსგავს სერიოზულ ჩარევას საჭიროებს.

თუ უგონო მდგომარეობა მე-3 პასუხში მითითებული ქმედების მიუხედავად, რამდენიმე წუთზე მეტხანს გაგრძელდა, საჭიროა სასწრაფო დახმარების გამოძახება.

***ჟენსკიე დელა №10***

## ელენთა და ძვლის ტვინი

ელენთა და ძვლის ტვინი — ორგანოებია, რომლებიც ასრულებენ სისხლწარმოქმნისა და იმუნურ (დამცველობით) ფუნქციებს. ელენთა ბიოლოგიური ფილტვის ფუნქციას ასრულებს. ელენთა მარცხენა ფერდქვეშა არეში, დიაფრაგმის ქვემოთ მდებარეობს, ის მუქი წითელი შეფერილობისაა. მისი ზემოთა მხარე ებჯინება დიაფრაგმას, გვერდითი — კუჭს. ელენთა შემაერთებელქსოვილოვანი კაფსულით არის დაფარული, საიდანაც სიღრმეში მიემართება ბოჭკოები. ის ელენთას განცალკევებულ ნაწილებად ყოფს. ელენთაში განარჩევენ თეთრ და წითელ პულპას (რბილი ქსოვილი). **თეთრი პულპა** წარმოდგენილია ლიმფოიდური კვანძებით, რომელთაც ოვალური ან მრგვალი ფორმა აქვს. აქ ვითარდებიან ლიმფოციტები, რომელიც ორგანიზმის დამცველობით ფუნქციას ახორციელებს. **წითელი პულპა**: მის წილზე მოდის ელენთის უმეტესი ნაწილი. ის ძალიან მდიდარია სისხლძარღვებით და უჯრედებით. ელენთის სისხლმომარაგება და მასში არსებული სისხლძარღვოვანი ქსელი მთლიანად შეესაბამება მის სისხლის წარმომქმნელ ფუნქციას. ელენთის არტერია ორგანოში შეღწევისთანავე იყოფა და უმცირეს კაპილარებს წარმოქმნის, საიდანაც სისხლი გაფართოებულ სინუსოიდურ სისხლძარღვებში — სინუსებში აღწევს. სინუსების კედლები ძალზე სპეციფიკურია.

სინუსები დიდი რაოდენობით ვენურ სისხლს შეიცავენ, რითაც ელენთის მადეპონირებელ (მარაგის) ფუნქციას ასრულებს. ეს ვენებიც თავისებურებებით გამოირჩევა. მათი კედლები საერთოდ არ შეიცავს კუნთოვან შრეს. ელენთიდან გამოსვლის შემდეგ ელენთის ვენა უერთდება კარის ვენას, რომელსაც სისხლი ღვიძლში მიაქვს.

ელენთაში არსებული სისხლძარღვებით ხდება ელენთის სისხლმომარაგების, სისხლსავსეობის რეგულირება. სისხლძარღვების კედლების გამავლობის გაზრდისას ელენთის პულპაში ხდება სისხლის პლაზმისა და სისხლის უჯრედების გადასვლა. იქ ხდება დაავადების გამომწვევი მიკროორგანიზმების, უცხო სხეულების, ერითროციტების დაშლის პროდუქტების, ლეიკოციტების გაუვნებელყოფა. ზოგიერთი სასარგებლო დაშლის პროდუქტი არ იკარგება (მაგ. ჰემოგლობინი დაშლის შედეგად წარმოქმნის რკინას) და მას ორგანიზმი მოიხმარს. **წითელი ძვლის ტვინით** ამოვსებულია თავის ქალის, მკერდის ძვლის, ხერხემლის, ლავიწის, მენჯის, ნეკნების და სხვა ძვლების ღრუბლოვანი ქსოვილი. წითელი ძვლის ტვინი ძირითადად რეტიკულური ქსოვილით არის წარმოდგენილი. მასში განლაგებულია სისხლის ღეროვანი უჯრედები, საიდანაც დასაბამს იღებს სისხლში არსებული ყველა მოფუნქციონირე უჯრედული ელემენტი (ერითროციტი, ლიმფოციტი, ლეიკოციტი, მონოციტი, თრომბოციტი და ა.შ.).

ძვლის ტვინიც ძლიერ არის სისხლძარღვებით დაქსელილი, ზოგიერთი მათგანი ქმნის გაფართოებებს, რომელთაც სინუსოიდები ეწოდება. სინუსოიდების კედლები გამავალია სისხლის ყველა უჯრედისთვის. სინუსოიდებში შეღწეული სისხლის წითელი და თეთრი ბურთულები მწიფდება, შემდეგ კი სისხლის ნაკადი მათ თანდათანობით გაიტანს, ძვლის ტვინის ვენის საშუალებით ისინი საერთო სისხლის მიმოქცევაში ხვდება.

წითელი ძვლის ტვინის გარდა არსებობს ყვითელი ძვლის ტვინი. ის ძირითადად ცხიმოვანი ქსოვილით არის წარმოდგენილი. ძვლის ყვითელი ტვინი ლულოვანი ძვლების ღრუში არის მოთავსებული (დაახლოებით შუაში). ასაკის მატებასთან ერთად ძვლის ყვითელი ტვინი ჩაანაცვლებს ძვლის წითელ ტვინს, რის გამოც მცირდება მისი სისხლის წარმოქმნის შესაძლებლობა.

ერთი ხანობა ფიქრობდნენ, რომ „ელენთის წვენი“ განაპირობებს ადამიანის ცუდ გუნება-განწყობას. შემდეგ შეამჩნიეს, რომ გახანგრძლივებული სირბილის დროს, იქ სადაც ელენთა მდებარეობს, ვითარდებოდა სპასტიური ტკივილი, მაშინ დაასკვნეს, რომ ეს ორგანო ხელს გვიშლიდა... შემდეგ გაირკვა, რომ ეს ტკივილი ელენთის რეფლექტორული შეკუმშვის შედეგია, რაც ძლიერი ფიზიკური დატვირთვით არის განპირობებული. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ორგანიზმის სასიკეთოდ დატვირთვასთან შესაგუებლად ხდება. ელენთა — თავისებური რეზერვუარია. მას შეუძლია 300 მლლ სისხლის შენახვა და საჭიროების შემთხვევაში, როდესაც გაზრდილია ორგანოებისა და ქსოვილების ჟანგბადით სისხლმომარაგების მოთხოვნილება, ელენთა გადმოისვრის საჭირო რაოდენობის სისხლს. ელენთა აქტიურად გასცემს შეგროვილ სისხლს სისხლის დენის დროსაც. შემჩნეულია, რომ ტრავმებისა და ოპერაციული ჩარევების დროს ის გაცილებით ინტენსიურად იკუმშება. ამით ხელს უწყობს ორგანიზმის არტერიული წნევის განსაზღვრულ დონეზე შენარჩუნებას. სისხლის გადასვრის შემდეგ ელენთა კვლავ აგროვებს სისხლს. ის ფართოვდება და მატულობს ზომებში.



ელენთა სისხლის დეპონირების გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკონტროლებს სისხლში უჯრედების შემცველობასაც. ის სისხლს დაზიანებული, ფუნქციადაკარგული ერთეულებისაგან ათავისუფლებს. ყველა სისხლის უჯრედს თავისი სიცოცხლის ხანგრძლივობა აქვს. მაგ. ერითროციტები — დაახლოებით 100 დღე ცოცხლობენ, ლეიკოციტები — 10 დღემდე, თრომბოციტები — 5 დღე. ყოველდღიურად ორგანიზმში მილიარდობით უჯრედი კვდება, რომელთაგან განთავისუფლებაში ელენთას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. შემთხვევითი სულაც არ არის, რომ ელენთას — ერითროციტების სასაფლაოს უწოდებენ. ელენთაში ფუნქციადაკარგული უჯრედების განადგურება ე.წ. მაკროფაგებით წარმოებს. დღესაც გაურკვეველია, როგორ ცნობს მაკროფაგი დაზიანებულ უჯრედებს! გარდა ამისა, დამტკიცებულია, რომ ელენთაში სისხლის დიდი ხნით დაყოვნება „ჯანმრთელი“ ერითროციტების დაღუპვას განაპირობებს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი და სასარგებლო ზომიერი ფიზიკური დატვირთვა.

***მაია მუხიგული***

## ისევ ყავის შესახებ...

ერთნი ამტკიცებენ, ყავა ენერგიით ავსებს ადამიანსო, მეორენი კი, პირიქით, მიიჩნევენ, რომ ყავას ბევრი უსიამოვნება მოაქვს ჯანმრთელობისათვის. ფაქტები კი სხვას ასაბუთებენ: ყავის არომატულ მარცვალში ბევრი ორგანული მჟავაა — ვაშლის, ყავის, ლიმონის, ძმრის და სხვ. ასევე შეიცავს ქლორმჟავას, რომელიც სხვა მცენარეებში თითქმის არ გვხვდება. ეს მჟავები კი აუმჯობესებს საკვების ათვისების პროცესს.

***ოტდოხნი! №9***

## თუ მოკლე ფეხები გაქვთ, მიხედეთ გულს

გასაკვირია პირდაპირ, როგორ არის ყველაფერი დაკავშირებული ერთმანეთთან ჩვენს ორგანიზმში. თითქოს სასაცილოა იმის მტკიცება, რომ გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისკენ მიდრეკილება ფეხის სიგრძეზეა დამოკიდებული. მაგრამ მეცნიერები ამ საკითხს ძალზე სერიოზულად მიუდგნენ და გამაოგნებელი დასკვნა გააკეთეს: რაც უფრო გრძელი კიდურები აქვს ადამიანს და კერძოდ ფეხები, მით ნაკლებია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების საშიშროება. ამის დასამტკიცებლად ბრიტანელმა ექიმებმა 15 წლის მანძილზე გამოიკვლიეს 2.512 პაციენტი. მათ გრძელფეხება ადამიანების კატეგორიაში შეიყვანეს არა მარტო სუპერმოდელები — რისკ-ჯგუფში სპეციალისტების აზრით, შედიან არაპროპორციულ კიდურებიანებიც. დაკვირვების შედეგად მათ აღმოაჩინდათ სისხლში ლიპიდების არასასურველი მაჩვენებელი. აგრეთვე დიდი რაოდენობით ფიბრი ნოგენი, რომელიც წარმოქმნის თრომბს. და სხვათა შორის, გული არ არის მათი ერთადერთი სუსტი წერტილი — ყოველი მეოთხე ამჟღავნებდა ტოლერანტულობას ინსულტის მიმართ, რასაც საერთო ჯამში მოჰყვება შაქრის დიაბეტის წარმოქმნა.

არაპროპორციულად მოკლე ფეხები არის ბავშვობაში ორგანიზმის განვითარების შეჩერების შედეგი, თვლის გამოკვლევების ავტორი. ფეხის სიგრძე დამოკიდებულია ბავშვობაში კვების ხარისხზე, ეკოლოგიურ პირობებზე.

***ეხო პლანეტი №8***

## აკუპუნქტურა — ნარკომანიის წინააღმდეგ

ჩინელმა მედიკოსებმა შეიმუშავეს ნარკომანიის წინააღმდეგ აკუპუნქტურით მკურნალობის მეთოდი. იგი უკვე ინერგება პრაქტიკაში ქვეყნის კლინიკებში. ყოველი მეათე ნარკომანი უკვე ერთი წელია აღარ მიჰკარებია ნარკოტიკს.

როგორც ვიცით, აკუპუნქტურა ოდითგანვე ფართოდ გამოიყენებოდა ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში. ის არის ძალზე ეფექტური საშუალება სიმსუქნესთან საბრძოლველადაც.

***დენგი №8***


ვმკურნალობთ
**ქრონიკულ პროსტატიტს**
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან). 10-14 სთ.**



**სისხლში შაქრის საზომი აპარატები**
სერტიფიცირებულია
კომპლექტი 95ლ
შარდის საერთო ანალიზის ტესტები, 100ც. — 50 ლ.
შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55

ჰომეოპათიური მკურნალობა
ჰომეოპათიური აკადემიის პრორექტორი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი
თორნიკე ალაშვილი
აწარმოებს მიღებას წინასწარი ჩაწერით (ტ. 98 64 86)
ალ. ჭავჭავაძეს ქ.№2
№13 პოლიკლინიკა
სწავლების თაობაზე დარეკეთ: 29 43 65

Frenkiel Diagnostics
ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი“
გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.
მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა
☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

SGS – მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS – თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS – მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS – განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS – აბსოლუტური ანონიმურობა
ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!
**ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.**
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.
ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

MEDI მედი

უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით
ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია
კონტურული მაკიაჟი
თვალებზე, ტუჩებზე, წარბებზე
სახის კანის გაახალგაზრდავება.ნაოჭების გასწორება
ოქროს ძაფებით, ბოტოქსის ინექციებით
ალ. ყაზბეგის გამზ. №1 25-02-02 93 89 75

## რუგოვა პრეზიდენტად აირჩიეს

კოსოვოს დემოკრატიული კავშირის ლიდერი იბრაჰიმ რუგოვა ამ მხარის პრეზიდენტად აირჩიეს. მას კოსოვოს პარლამენტის 119 დეპუტატიდან ხმა მისცა 88-მ. პრემიერი კი გახდა კოსოვოს დემოკრატიული პარტიის ლიდერი ბაირამ რეჯები. ამრიგად, ამბოხებულმა პროვინციამ, რომელიც ოფიციალურად შედის იუგოსლავიის შემადგენლობაში, დამოუკიდებლობისაკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა — საკუთარი აღმასრულებელი ხელისუფლება ჩამოაყალიბა. არავის ეეჭვება, რომ ეს იქნება ალბა-



ნური ხელისუფლება. ახალ მთავრობაში პორტფელი სერბთა უმცირესობის მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა მიიღო.

*შტერნი*

## მუსლიმანებისა და ინდუსების შეტაკება გრძელდება

ინდოეთის 22 ისლამური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ცენტრალურ ხელისუფლებას მოსთხოვეს, რომ არმიამ დაამყაროს წესრიგი გუჯარათის შტატში, რომელიც ინდუსებისა და მუსლიმანების შეჯახების ცენტრად იქცა. ისლამური ორგანიზაციების წარმომადგენლების მტკიცებით, მომხდარზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს გუჯარათის ხელისუფლებას, რომლის სათავეში დგას „ბჰარტა ჯანატა პარტი“. შტატის ხელმძღვანელობას ბრალი ედება იმაში, რომ სიმპათიით იყო განწყობილი ინდუს მეამბოხეთა მიმართ და შეგნებულად არ იღებდა ზომებს მუსლიმანური უმცირესობის უსაფრთხოებისათვის. შეტაკების მსხვერპლთა უმრავლესობა მუსლიმანები იყვნენ, რომლებსაც ცოცხლად წვავდნენ ინდუსები. ამ დროს პოლიცია თითქმის არაფერში ჩარეულა.

ოფიციალური მონაცემებით, დაიღუპა ხუთასი კაცი. ოპოზიციური პარტიის ლიდერი სონია განდი ირწმუნება, რომ დაღუპულია 800-ზე მეტი ადამიანი.

დამკვირვებლები შეშფოთებით ლაპარაკობენ ხელისუფლების უძლურებაზე. ქვეყნის მთავრობა ტრაგიკულ მოვლენებზე აშკარა დაგვიანებით რეაგირებს და უმეტეს შემთხვევაში ვერ აკონტროლებს სიტუაციას.

— დარწმუნებულნი ვართ, რომ გუჯარათის მთავარ მინისტრს არ სურს შტატში მშვიდობის აღდგენა, მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ, — განაცხადა დელის მთავარი მეჩეთის იმამმა ჯამა მასჯიდ აჰმედ ბუჰარიმ, თუმცა არ დაუზუსტებია, რა საპასუხო აქციებს აპირებენ ისლამური ორგანიზაციები.

*კომერსანტი №39*

## ბლერის იმიჯი ბრიტანელთა თვალში ეცემა...

სააგენტო MORI-მ თითქმის ორი ათას ბრიტანელს გამოჰკითხა — რა აზრის ხართ პრემიერ-



მინისტრ ტონი ბლერზეო. შედეგები, შეიძლება ითქვას, მოულოდნელი აღმოჩნდა. გამოკითხულთა 46%-ს არ მოსწონს ლეიბორისტთა მმართველი პარტიისა და მისი ლიდერის პოლიტიკა. აღსანიშნავია, რომ ტონი ბლერის პოლიტიკის უკმაყოფილოთა რაოდენობა ორიოდე თვის წინ გაცილებით ნაკლები იყო — 39%. თუმცა შარშან, ოქტომბერში დიდი პრიტანეთის ყველა საინფორმაციო სააგენტო ერთხმად აცხადებდა, — ბლერის რეიტინგმა მეორე მსოფლიო ომის წლებში მაშინდელი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის რეიტინგს გადააჭარბა და უკან ჩამოიტოვა თავის დროზე მარგარეტ ტეტჩერის უდიდესი პოპულარობის მაჩვენებლებიო. ნისლიანი ალბიონის მცხოვრებთა 80%-ს შარშან მიაჩნდა, რომ ბლერი „არა მარტო კარგად, არამედ ძალიან კარგად ხელმძღვანელობდა ქვეყანას“. ბრიტანელთა უმეტესობამ მხარი დაუჭირა ავღანეთში დიდი ბრიტანეთის სამხედრო აქციას.

მართალია, ბლერისა და მისი თანაპარტიელების რეიტინგი ძალიან ეცემა, მაგრამ ეს არაფერს მატებს მათ ოპონენტკონსერვატორებს.

*იზვესტია №38*

## ევროპის შეერთებული შტატები

ბრიუსელში თავისი პირველი შეხვედრა გამართა კონვენტმა — ახალმა ევროპულმა ორგანომ, რომელსაც ეკისრება ძველი სამყაროს მომავალი კონტურების განსაზღვრა. კონვენტის წევრები არიან ევროკავშირში შემავალი სახელმწიფოებისა და აგრეთვე 13 ქვეყანა-კანდიდატის (ბალტიისპირეთისა და თურქეთის ჩათვლით) წარმომადგენლები. ანალიტიკოსები პარალელს ავლებენ დღევანდელ კონვენტსა და ფილადელფიაში 1787 წელს გამართულ ისტორიულ შეხვედრას შორის, რომელზეც მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია — ბევრი პოლიტიკოსი დარწმუნებულია, რომ საქმე ევროპის შეერთებული შტატების შექმნისკენ მიდის და მას საკუთარი ერთიანი კონსტიტუცია ექნება. კონვენტმა უნდა მოამზადოს ევროკავშირში განსახორციელებელი რეფორმები და შექმნას ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც ხელს შეუწყობენ შემდგომ ინტეგრაციას და 2004 წლისთვის ევროკავშირში 10 ახალი წევრის მიღებას. მოსალოდნელ სიახლეთა შორისაა არსებული სტრუქტურების რეფორმები, ევროპარლამენტის როლის გაძლიერება, ევროკომისიის თავკაცის არჩევა.



ყველა სახელმწიფოს მეთაური არ ემხრობა ევროკავშირის როლის გაძლიერებას საკუთარი ქვეყნების სუვერენიტეტის ნაწილის დათმობის ხარჯზე. ასეა თუ ისე, მაინც ყველა იმ აზრისაა, რომ ევროკავშირი დღეს უკვე ძნელი სამართავია და როცა ახალი წევრები შეემატება, ცხადია, ეს უფრო გართულდება. ეს განსაკუთრებით ეხება გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმს, რომელიც კონსენსუსის პრინციპით მოქმედებს და ევრომშენებლობას ხელს უშლის. ევროკავშირში შემავალი განვითარებული ქვეყნების ჯგუფი (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია) ლიდერის როლს ითამაშებს და სწრაფად გადალახავს ბარიერებს ინტეგრაციის გზაზე. დანარჩენები მას მიჰყვებიან შესაძლებლობის ფარგლებში.

*ნოვიე იზვესტია №42*

## შვეიცარიელებმა ნეიტრალიტეტი ფულზე გაცვალეს



გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე, რუსეთის წარმომადგენელი ს. ორჯონიკიძე (მარცხნივ) ულოცავს შვეიცარიელებს რეფერენდუმის შედეგებს.

ამიერიდან ვატიკანი მარტოა. ახლა პაპის სახელმწიფო პლანეტაზე უკანასკნელია, რომელიც არ არის გაეროს წევრთა შორის. გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციის დაარსებიდან 57 წლის შემდეგ შვეიცარიამ გადაწყვიტა მასში შესვლა.

მართალია, საერთოეროვნული რეფერენდუმის წინ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ალპური რესპუბლიკის მცხოვრებნი მზად არიან გაეროში შესასვლელად, მაგრამ პოლიტიკოსებს ბოლო წუთამდე ეჭვი ღრღნიდათ, კარგად ახსოვდათ, რომ 1986 წელს შვეიცარიელების 75%-მა გაეროზე უარი თქვა, მაშინ 23 კანტონიდან გაეროში შესვლაზე მხოლოდ ერთი იყო თანახმა. შვეიცარიის კონსტიტუციის მიხედვით კი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა კონფედერაციის წევრთა ნახევრის თანხმობა. ამჯერად გაეროში შესვლას 54,6%-მა მისცა ხმა.

მართალია, შვეიცარია ფორმალურად არ შედის გაეროს შემადგენლობაში, მაგრამ მონაწილეობს თითქმის მის ყველა სპეციალიზებულ ორგანიზაციაში. ამ სტრუქტურების ბიუჯეტში ბერნს ყოველწლიურად თითქმის 340 მლნ ევრო შეაქვს. ახლა ეს თანხა მხოლოდ 40 მლნ ევროთი გაიზრდება. სამაგიეროდ, ქვეყანა დიდ მოგებას ნახავს. საერთაშორისო სიტუაცია იცვლება. ადრე ნეიტრალიტეტი ქვეყნის საუკეთესო დამცველი მექანიზმი იყო, მაგრამ ახლა შვეიცარიის უსაფრთხოებას არაფერი ემუქრება და ამიტომაც ნეიტრალიტეტს ფული ამჯობინა.

*იზვესტია №52*

## მიზანში სადამი ჰყავს ამოღებული

„ეძებენ ერაყელ გენერალს, რომელიც დაკავშირებული არ არის საიდუმლო პოლიციასთან, წინააღმდეგია სადამ ჰუსეინის და ერთნაირად მისაღები — ქურთებისა და სხვადასხვა აღმსარებლობის ერაყის მოქალაქეებისთვის. მას უნდა შეეძლოს ძალაუფლების რკინის ხელში მოქცევა, მაგრამ უნდა ჰქონდეს დემოკრატიული ინსტინქტებიც, არ არღვევდეს ადამიანის უფლებებს“. შესაძლოა სწორედ ეს აზრი უტრიალებდეს თავში ბევრს თეთრ სახლში. არც ის არის გამორიცხული, რომ ბუშის ადმინისტრაცია ემზადებოდეს ბაღდადელი დიქტატორის დასამხობად. პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველი აცხადებს: „დრო არ ითმენს, სადამს არ უნდა ვაცალოთ ატომური ბომბის შექმნა“. მთავარი კითხვა კი ის არის, თუ როგორ უნდა მოხდეს ჰუსეინის რეჟიმის შეცვლა. ნაწილი ანალიტიკოსებისა, თვლის, რომ ამისთვის საჭიროა ე.წ. „ავღანური ვარიანტის“ განმეორება ანუ ერაყში იმ ძალების შერჩევა, ვინც ამერიკელ ბომბდამშენთა მხარდაჭერით შეძლებს ამბოხის მოწყობასა და სადამ ჰუსეინის რეჟიმის გადაგდებას. თუკი ერაყში რევოლუცია დაიწყება და ციდან ამერიკული ბომბები ჩამოიყრება, ის ერაყელები, ვისაც არ მოსწონს ბაღდადის ამჟამინდელი რეჟიმი, იარაღს აიღებს ხელში. ამავე სცენარით, ჰუსეინს მისი ერთგული გვარდიაც განუდგება. მაგრამ თუ ხალხი არ აბუნტდა და არც გვარდიამ დატოვა ყაზარმები, მაშინ საქმეში ამერიკელი ჯარისკაცები უნდა ჩაერიონ.

ექსპერტების ვარაუდით, ამერიკელ სამხედროებს შესაძლოა დაახლოებით ამგვარი გეგმა ჰქონდეთ. ამბობენ, რომ მათი სავარაუდო კანდიდატია ყოფილი ლონდონელი ბანკირი აჰმედ ჩალაბი. ის ბაღდადის ოპოზიციური დაჯგუფების „ერაყის ნაციონალური კონგრესის“ ლიდერია და ქვეყანაში უამრავი მხარდამჭერი ჰყავს. დაუდასტურებელი ცნობებით, „თავის კანდიდატს“ ეძებს ცსს-ც — „მათი კაცი“ ბაღდადში თეთრ ცხენზე ამხედრებული უნდა შევიდეს. ხელისუფლების შეცვლის გამოცდილება კი ცსს-ს ნამდვილად აქვს. ვაშინგტონში დიდი ხანია ლაპარაკობენ სადამ ჰუსეინის დამხობის აუცილებლობაზე, მაგრამ ეს საკითხი დღემდე ერთგვარად ჩრდილში იყო მოქცეული. დღეს კი ცნობილი ხდება, რომ ბუშმა განკარგულება გასცა, რათა მისმა მრჩევლებმა პრაქტიკული გეგმა შეიმუშაონ რეჟიმის შესაცვლელად.

*ნიუ ზუიქი*

## მოკლედ

**ავღანეთის** აღმოსავლეთ ნაწილში „ალ-ქაიდას“ 5 ათასი ბოევიკის სალიკვიდაციოდ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განხორციელებული ოპერაციის დროს დაიღუპა და დაიჭრა 40-ზე მეტი ჯარისკაცი. ამერიკელებმა პირველად გამოიყენეს ნაღმები, რომლებიც განკუთვნილია მიწისქვეშეთში ცოცხალი ძალის გასანადგურებლად.

**ირანის** თავდაცვის მინისტრმა ალ შამჰანმა უკმაყოფილება გამოთქვა საქართველოში ამერიკელ სამხედროთა ყოფნის გამო. მან განაცხადა, — თეირანი ყოველთვის წინააღმდეგი იყო იმისა, რომ უცხოელებს გადაეჭრათ ირანის მეზობელი ქვეყნების შინაური საქმეებიო.

## ბერეზოვსკი კვლავ ადანაშაულებს რუსეთის სპეცსამსახურებს...

ლონდონის სამთავრობო კვარტალში — უაიტ-ჰოლში ჩატარდა ბორის ბერეზოვსკის პრესკონფერენცია.

პრესკონფერენციაზე ბორის აბრამოვიჩმა მოსკოვიდან მრავალრიცხოვანი დელეგაცია მიიწვია, რომელშიც შედიოდნენ: გოსდუმის ორი დეპუტატი, აფეთქებების დარგის სპეციალისტები, ჟურნალისტები და სხვ.

ბერეზოვსკი, მისი თქმით, თავად იკვლევდა მოსკოვსა და ვოლგოდონსკში მომხდარ ტერაქტებს და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აფეთქება რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მოწყობილი იყო.

ოლიგარქმა პრესკონფერენციის მონაწილეებს წარუდგინა „საიდუმლო მოწმე“, ვინმე ნიკიტა ჩიკულინი, რომელიც თურმე 2000 წელს უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა ტერორიზმთან ბრძოლის დარგში დეპარტამენტის აგენტად აიყვანა და ამ გზით ხელში ჩაუვარდა საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ უფს-ის თანამშრომლებმა სამხედრო საწყობებიდან გაიტაცეს ასაფეთქებელი ნივთიერებები. ჩიკულინის განცხადება არანაირი საბუთით არ იყო გამტკიცებული. შემდეგ ჟურნალისტებს აჩვენეს 9-წუთიანი ნაწყვეტი ფრანგი ჟურნალისტის მიერ მოსკოვის ტერაქტებზე გადაღებული ფილმიდან; მართალია, ეს კადრები ვერ ადასტურებენ ტერაქტებში უშიშროების სამსახურის მონაწილეობას, მაგრამ ბერეზოვსკიმ განაცხადა, მათზე დაყრდნობით ვაპირებ სარჩელის შეტანას ევროპის სასამართლოშიო. ბრიტანელ ჟურნალისტებს დიდი ენთუზიაზმი არ გამოუჩენიათ ბერეზოვსკის ვერსიის მიმართ, ის კი შეახსენეს — ამაზე ლაპარაკი მას შემდეგ დაიწყეთ, რაც ტვ-6-თან დაკავშირებით თავად თქვენ შეგექმნათ სიძნელეებიო.

ბი-ბი-სი-ს კომენტატორმა კი ოლიგარქის მიერ წარმოდგენილ მასალებს საეჭვო უწოდა.

*ტრუდ-7, №9*

## იყო კი კოსოვოში «ალ-ქაიდა»?

ჰააგაში, სასამართლო პროცესზე, მილოშევიჩმა წარადგინა საბუთის ასლი, რომელიც, მისი თქმით, ამტკიცებს ტერორისტული ორგანიზაცია „ალ-ქაიდას“ კავშირს კოსოვოს ალბანელ სეპარატისტებთან. მილოშევიჩის თქმით, „ალ-ქაიდა“ ეხმარებოდა კოსოვოელ, ბოსნიელ და ჩეჩენ ბოევიკებს. პროცესზე გამოსულმა ერთ-ერთმა მოწმემ, სამოქალაქო უფლებებისთვის მებრძოლმა კოსოვოელმა საბიტ კადრემ განაცხადა, — ეს ყოფილი იუგოსლავიელი ლიდერის ავადმყოფური მონაჩმახიაო. მილოშევიჩი ირწმუნება, რომ მის ხელთ არსებული დოკუმენტი 11 სექტემბრის მოვლენების შემდგომ მომხდარ ფაქტს ადასტურებს. სასამართლო ჰააგაში მეხუთე კვირაა, გრძელდება.

*ბი-ბი-სი*

## CNN-ის მხსნელი

მსახიობი ანდრეა თომფსონი ის ხავსია, რომელსაც წყალწაღებული სი-ენ-ენ-ი მოეჭიდა. სწორედ ანდრეამ უნდა აუწყოს ამ ტელეარხის მაყურებელს მსოფლიოს ახალი ამბები. ეტყობა, სი-ენ-ენ-ის გენერალურმა მენეჯერმა უოლტერ ისააქსონმა გადაწყვიტა, რომ კინომსახიობის



მშვენიერი გარეგნობა (მას მაყურებელი იცნობს ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტზე შექმნილი სერიალიდან) გაცილებით ძლიერი იარაღია მაყურებლის შესანარჩუნებლად, ვიდრე მსოფლიოს საერთაშორისო მდგომარეობის მოსაბეზრებელი და გაუთავებელი განხილვა.

*კომსომოლსკაია პრავდა №39*

CMYK



## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია

*ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.*

*მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.*

*ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...*

## ნათურებით პურის ფულს ვშოულობ...

ჩემი გმირი შუახნის ასაკისაა და დაღლილი, სევდიანი სახე აქვს. ვარკეთილის მეტროსადგურთან გავიცანი იანვრის თბილ დღეს. გვერდით მედგა, შემომხედა და მოულოდნელად მითხრა: „ახლა ამ თბილ ამინდებს ცივი შეცვლის და რა მეშველება, ღვიძლი მაწუხებსო...“

თანაგრძნობა გამიჩნდა და ვკითხე: რა დაგემართა, რატომ გტკივა, რისი ბრალია-მეთქი... — ვისი და მამაჩემისო — მიპასუხა. გაოცებულმა შევხედე, ვიფიქრე, დაავადება მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული მამისაგან და ამიტომაც ბრაზობდა. მან თავი გადაიქნია და ლაპარაკი დაიწყო: მისმა უგუნურობამ დამღუპა — სამი წლის ვყოფილვარ, სტუმრებთან ჩემი „გამოჩენა“ მოუნდომებია — თურმე სკამზე დამაყენა და ერთი ჭიქა ღვინო თითქმის ძალით ჩამასხა პირში. აქაოდა, ნახეთ, რა შვილი მყავსო. ასე ხშირად აკეთებდა თურმე. აქედან დაიწყო ღვინისადმი ჩემი სიყვარული. მერე და მერე ვიპარავდი და ვსვამდი... მალე შევატყვე, ძალა მეკარგებოდა. სისუსტე, უმადობა და სიმძიმის შეგრძნება დამეწყო. მუცლის მარჯვენა მხარეს ტკივილი დამჩემდა...

წამლებისთვის ფული არ მყოფნის. ამიტომ მცენარეული ნაყენების სმა დავიწყე. წარმოიდგინეთ, ფეხზე დავდექი. ბალახების შესახებ „სალახო მედიცინაში“ წავიკითხე... ეწერა, ღვიძლის ტკივილს ნეგა (უკვდავა) შველისო... თვითონ შევაგროვე, გავახმე და ახლა ორ თვეში ერთხელ მკურნალობის კურსს ვიტარებ. 10 გ ბალახს 1 ჩ/ჭ წყალში ვხარშავ და დღეში 2-3-ჯერ ვსვამ... როგორც ხედავთ, სხვისი მოსავლელი არ ვარ ავადმყოფი კაცი. ვცდილობ, თავი შევინახო... ალბათ იცით, ჩემნაირებს როგორ უმძიმთ ცხოვრება — მე არც ფიზიკური შრომა შემიძლია, არც სიმძიმის აწევა, ამიტომ ყოველ სამშაბათს ვარკეთილის ავტობაზრობაზე ერთკონტაქტიან ნათურებს ვყიდულობ სამარშრუტო ტაქსებისთვის და მათ გასასაღებლად მთელ ქალაქში დავდივარ. „მარშრუტკების“ მძღოლები ამ ნათურებს სწრაფად ცვლიან (რადგან მალე გამოდის მწყობრიდან) და მეც სამუშაო მაქვს. გაჩერებებზე კარგად ვვაჭრობ. ბაზრობაზე 20-30 თეთრად ვყიდულობ თითოს, გაყიდვით კი, 50 თეთრად ვყიდი... ეს არის ჩემი პურის ფული. როცა გამოვითვალე ქალაქში სამარშრუტო ტაქსების რაოდენობა და ამ ნათურების ხარისხი, მივხვდი, რომ სამუშაო დიდხანს მექნება...

ნუ გამამტყუნებთ, ყველა ისე ცხოვრობს, როგორც შეუძლია...

***ნიკო გორგი***

**P.S. ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.**

## რუსი ტელეწამყვანი ქართულ საწებელს ყიდის

**საბჭოთა პერიოდის ბავშვებს კარგად ახსოვთ ცენტრალური ტელევიზიის გადაცემა „ძილი ნებისა, პატარებო“ და მისი მშვენიერი წამყვანი ტატიანა ვედენეევა, რომელიც კარგა ხანია, ტელეეკრანზე აღარ ჩანს. გაზეთმა „სობესედნიკმა“ სარვამარტო ინტერვიუ ჩამოართვა ტატიანას. გთავაზობთ ამონარიდს ამ ინტერვიუდან. ვფიქრობთ, რომ საინტერესო იქნება. ეგებ მას ვინმემ მიბაძოს და ჩვენი გასაკეთებელი საქმე ჩვენვე გავაკეთოთ.**

**— ტატიანა, ტელეეკრანზე დაბრუნებას არ აპირებთ?**

— იულია მენშოვას ტელეპროექტში ერთხელ მივიღე მონაწილეობა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ამგვარ ფიზიკურ დატვირთვას ვეღარ გავუძლებ. სადღეისოდ ჩემი მთავარი საქმეა მუშაობა „ტრესტ ბ“-ში — აღმოსავლეთ ევროპის ფილიალის აღმასრულებელი დირექტორი ვარ.

**— თურმე რაღაცა ქართულ საწებელს ამზადებთ.**

— რაღაცას კი არა, საუკეთესოს. წლინახევრის განმავლობაში სურსათის საერთაშორისო გამოფენებზე 6 მედალი მივიღეთ. არნახული წარმატებაა! ჩვენი მთავარი სიახლე ტყემლის საწებელია. ტყემალი მარტო საქართველოში ხარობს. წინათ გასტრონომიის სამყაროში ეს საწებელი მაინცდამაინც გავრცელებული არ იყო, დღეს კი დეფიციტური სურსათის ნუსხაშია მოხვედრილი. 15 ქვეყანა, ფინეთიდან დაწყებული ტაივანითა და ქუვეითით დამთავრებული, დაინტერესებულია ჩვენი ტყემლით.

თავიდან არც ერთი ჩემი ნაცნობი, ქმარიც კი, სერიოზულად არ მოჰკიდებია ჩემს იდეას: — ტყემალმა რა შემოსავალი უნდა მოგიტანოს, კავკასიაში ხომ გაუთავებელი ომიაო. იური (ვედენეევას მეუღლე) მეუბნებოდა — თუ ასე მოგწონს ეგ რაღაც ტყემალი, ვთხოვ და კიდევ ჩამოგვიტანენ საჩუქრადო. ვუჩიჩინებდი, — რას მიქვია ერთი-ორი ბოთლი! მე თვითონ მინდა გამოვუშვა და ნახავ, რა ბიზნესი დავატრიალო-მეთქი.

**— რატომ ჰქვია თქვენს კომპანიას „ტრესტი ბ“? თქვენი გვარის პირველი ასო მაინც ყოფილიყო — „ტრესტი ვ“.**

— უნდა გითხრათ, რომ სწორედ ჩემი გვარის პირველი ასოა ბ. პასპორტით ბეგალოვა ვარ. გარდა ამისა, რეგისტრაცია შვეიცარიაში გავიარე. ისინი კი ძალიან მკაცრად ადევნებენ თვალს იმას, რომ სახელწოდება არ განმეორდეს. რამდენიმე სახელი გვქონდა შერჩეული, მაგრამ ყველას გვიწუნებდნენ. ასე გაგრძელდა 8 თვე, ვიდრე არ მოვიფიქრე „ტრესტი ბ“.



**ტატიანა და იური**

**— ცხადია, რომ თქვენმა საწებელმა მარტო გემოს კი არა, თქვენი პოპულარობის გამოც გაითქვა სახელი.**

— მთლად ვერ დაგეთანხმებით. ბევრს ვახსოვარ, ვუყვარვარ, რაც მთავარია, მენდობიან. ადამიანებს, რომლებსაც ახსოვთ, რომ ეკრანიდან მხოლოდ სიმართლეს ვამბობდი, ახლაც სჯერათ, ვედენეევა საწებლის ნაცვლად, ლამაზად გაფორმებულ სისაძაგლეს არ შესთავაზებს მათ. ჩვენ მიზნად დავისახეთ საუკეთესო ხარისხი. ყველაფერს ვაქცევდით ყურადღებას — ქილას, სახურავს, წარწერას. ბიზნესში ცოტა ვერკვევი — პლასტიკატის ქილებში ჩასხმული იაფფასიანი კეტჩუპი შემეძლო 15 რუბლად გამეყიდა და გავმდიდრებულიყავი, მაგრამ მარტო ფულზე არ მიფიქრია, მთავარია პატიოსანი სახელი.

***სობესედნიკი №9***



## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

### ნოტარიუსი და მისი უფლებები

**— გთხოვთ განმიმარტოთ, აქვს თუ არა ნოტარიუსს სხვა ნოტარიუსის მოვალეობის შესრულების და მისი ბეჭდის გამოყენების უფლება. აგრეთვე, შეუძლია თუ არა თავისი რაიონის ფარგლებს გარეთ მინდობილობის დამოწმება?**

***ლ. მუმლაძე***

— ნოტარიუსს ეკრძალება თავისი ბეჭდის სხვა პირისათვის გადაცემა. ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს თავის სანოტარო ბიუროში. ამასთანავე, ნოტარიუსს შეუძლია კლიენტის მოთხოვნით, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, შეასრულოს სანოტარო მოქმედება სანოტარო ბიუროს ფარგლებს გარეთ.

***ნოტარიუსი ლალი კუპრეიშვილი***

### კითხვები ახალგაზრდა იურისტებსაც აქვთ...

**— როგორ ხდება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში გაწევრება?**

***ირმა ბეგანიშვილი, კასპი***

— წევრობის კანდიდატი უნდა იცნობდეს ასოციაციის წესდებას, იყოს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ან შესაბამისად იურიდიული განათლების მქონე 40 წლამდე ასაკის პირი. უნდა ფლობდეს ასოციაციის 2 წევრის რეკომენდაციას. მისი გაწევრება სათანადო საბუთების წარდგენის შემდეგ მოხდება გამგეობის მიერ.

***ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია***

### ვის ეკუთვნის სამხედრო სამსახურში გაწვევა?

**— მე და ჩემს მეუღლეს გვყავს ერთი საერთო შვილი, რადგანაც ჩვენი ქორწინება ორივესთვის არის მეორე. პირველი ქორწინებიდან ორივეს გვყავს შვილები, რომლებთანაც არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს. მეორე ქორწინების დროს შეძენილი შვილი ითვლება თუ არა დედისერთად და ეკუთვნის თუ არა მას სამხედრო სამსახურში გაწვევა?**

— იმ შემთხვევაში, თუ ქალს ჰყავს შვილი პირველი ქორწინებიდან, მეორე ქორწინების დროს შეძენილი ვაჟი დედისერთად არ ჩაითვლება და შესაბამისად, მას ეკუთვნის სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა.

**— ვარ 23 წლის. მყავს ფეხმძიმე მეუღლე. მაინტერესებს, მეკუთვნის თუ არა ჯარში გაწვევა. გადავადების შემთხვევაში, რა საბუთები უნდა წარვადგინო სამხედრო კომისარიატში?**

***მკითხველი***

— მეუღლის ფეხმძიმობის შემთხვევაში სამხედრო კომისარიატში უნდა წარადგინოთ: ქორწინების მოწმობის ასლი და მეუღლის ჯანმრთელობის დაცვის პოლისის ასლი, ორივე დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. თუ თქვენი მეუღლე 20 კვირაზე მეტი ხნის ფეხმძიმეა, თქვენ მოგეცემათ გადავადება ბავშვის დაბადებამდე, ხოლო შემდგომ წარადგენთ ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს.

***ისანი-სამგორის რაიონის სამხედრო კომისარიატი***

### საბერძნეთი — ოლიმპიადის სამშობლო

**— საიდან იღებს სათავეს ოლიმპიური თამაშები?**

***შოთა ტყეშელაშვილი, ქუთაისი***

— პირველი ოლიმპიადა ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე 776 წელს გაიმართა ძველ საბერძნეთში. ოლიმპიური თამაშები 394 წლამდე ტარდებოდა, მერე კი რომის იმპერატორმა თეოდოს -მა აკრძალა. მეორედ დაბადებას ოლიმპიადა ფრანგ პიერ დე კუბერტენს უნდა უმადლოდეს. 1894 წელს პარიზის კონგრესმა ოლიმპიური თამაშების აღდგენის გადაწყვეტილება მიიღო. მე-20 საუკუნეში ოლიმპიური დროშა პირველად 1920 წელს აფრიალდა. პიერ დე კუბერტენმა დაამუშავა თამაშების წესები, მოიგონა ემბლემა — 5 რგოლი, რომელიც 5 კონტინენტის სიმბოლოა, და დროშა. მასვე ეკუთვნის იდეა ოლიმპიური ცეცხლის საბერძნეთში ანთებისა.

***ვოკრუგ სვეტა***

### სოიის კერძები — ქვეყნის სავიზიტო ბარათი

**— შეიძლება თუ არა ხორცი შევცვალოთ სოიით?**

***პენსიონერი სილოვან მამალაძე***

— სოია ჩვ. წ. აღ-მდე მე-11 საუკუნეში აღმოაჩინეს ჩინეთში. ჩვ. წ. აღ-ის მე-15 საუკუნიდან კი სოიის კერძები აზიური ქვეყნების სავიზიტო ბარათად იქცა. ევროპელებმა ეს ძვირფასი მარცვლეული ჰოლანდიელი ექიმის ენგელბერტ კამპფერის წიგნის გამოსვლის შემდეგ გაიცნეს. პირველად ევროპაში სოიის საწებელი დამკვიდრდა.

დღეს პლანეტის მცხოვრებთა დიდი ნაწილი სოიის პროდუქტებით იკვებება. სოიის ზეთი მდიდარია F, D, $D_2$ ვიტამინებით, ლეციტინით, რაც აუცილებელია ნერვული უჯრედების საკვებად. ხორცის პროდუქტების შეცვლა სოიით კარგი პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალებაა დიაბეტის, გულ-სისხლძარღვთა, ნაღველ და თირკმელკენჭოვანი, ენდოკრინული დაავადებებისას, წონის კორექციისათვის. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სოიაში შემავალი გენისტეინი ამუხრუჭებს ონკოლოგიურ სიმსივნეთა ზრდასა და განვითარებას.

***„კვირის პალიტრა“***

### ვინ მოიგონა რებუსი

**— რას ნიშნავს სიტყვა რებუსი და ვინ მოიგონა თამაში — რებუსი?**

***გაგა სანაძე, თბილისი***

— ნახატი გამოცანების ისტორია დედამიწაზე უხსოვარი დროიდან იწყება — ეს არის კლდეზე მხატვრობა, ეგვიპტური იეროგლიფები და სხვ. ლიტერატურული რებუსი კი XV საუკუნეში გაჩნდა. მისი სამშობლო პიკარდია (საფრანგეთი), სადაც კარნავალებსა და მასკარადებზე მახვილგონივრულ და მხიარულ ამბებს ნახატებით აუწყებდნენ. „დე რებუს დუაე დერუნტუმ“ — „ამბები, რომლებიც ირგვლივ ხდება“ — ასეთი განმარტება ჰქონდა ამ თამაშებს. შემდგომ მხოლოდ სიტყვა რებუსი დარჩა, რაც ლათინურად ნიშნავს — „საგნების დახმარებით“. რებუსების პირველი კრებული 1582 წელს შეადგინა და გამოსცა ვინმე ეტიენ ტაბურომ და მას შემდეგ ამ სახალისო გასართობმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა.

***„კვირის პალიტრა“***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 9 მარტიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2290 |
| ევრო | 1,9410 |
| ინგლ. ფუნტი | 3,1681 |
| რუსული რუბლი | 0,0718 |
| თურქული ლირა (10.000) | 1,6176 |

ნდობის ტელეფონი
822-009044
დღე-ღამის განმავლობაში
(18 წლიდან)

ბეჭდები, შტამპები, ფლექსოგრაფიული ფორმა, სავიზიტო ბარათები, წებოვანი ეტიკეტები
გამსახურდიას 17ა (შესასვლელი საბურთალოს ქუჩიდან)
☎ 23 26 25; 38 34 17

საუკეთესო ასლგადამღები აპარატები
გარანტიით, ფასდაკლებით
შესაძლებელია: განვადება
ლიზინგი (იჯარა)

საუკეთესო ქსეროასლები
შავ-თეთრი
2 თეთრიდან 5 თეთრამდე
ტირაჟის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი — 1 ლარი
ფერადი და შავ-თეთრი ქსეროასლების ბეჭდვა კომპიუტერიდან

თბილისი, აღმაშენებლის 99/1, მოზარდ მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქუჩის მხრიდან. ტ: 96 32 89

„ელოზავტოისის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუქი მუხა...
ჩვენი პროფილი — 3 კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 34-49-40; 61-32-37 (საღამოს);
899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი“

აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8
(საპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02



## თარაზულად:

5

პორტუგალიის დედაქალაქი


6
შეჯიბრება სპეციალური, ძალიან პატარა ავტომობილებით


9
საქართველოს უდიდესი მდინარე


10
გერმანელი თოფმოდელი


11
ძველი დოკუმენტების საცავი

15

სამახსოვრო ხელმოწერა

17

ხილი, რომელსაც ადარებენ ხავერდოვან კანს


18
სსრკ-ის მარშალი

19

საღებავების შესაზავებელი ფიცარი


20
კუდიანი ამფიბია

24

დასარგავად განკუთვნილი ნორჩი მრავალწლოვანი მცენარე

25

მაღალი ხარისხის მინა

26

ყველაზე ძვირფასი ქვა

29

კვამლში გამოყვანილი თართის გვერდის ანაჭერი

32

საგანი, რომლითაც არაერთ თაობას უთამაშია

33

შენობის ნაწილი, რომელიც პირველი სართულის ქვემოთ, მიწის დონეზე დაბლა მდებარეობს


34
პიგმენტაციის არმქონე

35

იტალიური ხალხური კომედიის ტრადიციული პერსონაჟი — ტაკიმასხარა მსახური

## შვეულად:


1
პატარა მფრინავი ძუძუმწოვარი ცხოველი

2

მტაცებელი


3
მეტად მჭრელი

4

მუსიკალური წყობა ნაღვლიანი ელფერით

5
ძალიან პატარა ტანის ადამიანი

7


ახალი წარმონაქმნი, ახალი მოვლენა ენაში


8
კასრზე ჩამოცმული სალტე

12

ოპერის მუსიკალური შესავალი

13

მიმტანი რესტორანში

14
აკრძალვა სახელმწიფოში საქონლის შეტანაზე

16

პატარა საზღვაო თევზსაჭერი გემი


21
ინდოეთის ოლქი, რომლის სახელსაც ატარებს პიროტექნიკური ნაკეთობა


22
მატარებლის მომსახურე პერსონალი


23
რუკის სატარებელი ჩანთა

27

მეტყველების შეზღუდვა ბავშვებში

28

თავის ერთი მხარის დროგამოშვებით ტკივილი

30

ფალიაშვილის ოპერა


31
გეომეტრიული სხეული

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №9 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. პაემანი; 6. საჰაერო; 9. ჟელე; 10. კონიაკი; 11. ილია; 14. ომეგა; 15. კუპრი; 17. დუეტი; 18. ბარათი; 19. ვარძია; 23. ჰაერი; 24. ათენა; 25. კნოპი; 28. თასი; 30. ბუკლეტი; 31. ტიტა; 32. იაგუნდი; 33. ჩიჩახვი.

**შვეულად:** 1. პელე; 2. ანტონ; 3. სარკე; 4. წელი; 5. პლენუმი; 7. „ორიენტი“; 8. ფილიპე; 12. მგზავრი; 13. ბულიონი; 15. კათხა; 16. იტაკა; 20. ფანქარი; 21. ქერტლი; 22. სპექტრი; 26. ხურდა; 27. ატრია; 29. იოგა; 34. ტახი.

## მილოცვა

**რუსიკო დარცმელიძეს და ნიკა ბუსქანძეს!**



ჩვენო გვრიტებო! გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდეთ საქართველოს სასახელო ქალ-ვაჟი. იყავით დღეგრძელები, ბედნიერები, ჯანმრთელები.

*გკოცნით თქვენი ლია ბებია და ჯანიკო ბაბუა*

**ნელი შოშიაშვილს** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ბედნიერებას მეუღლესთან, შვილებთან და პატარა შვილიშვილებთან ერთად. ძალიან გვიყვარხარ, ნელიკო.

*მაიკო და ალეკო ტატიშვილები*

დედის დღეს ვულოცავ თბილისის რკინიგზის ტუბდისპანსერის ექიმებს: **ნუნუ (მანანა) ექიმს** – რენტგენოლოგს; **ლალი ექიმს** – განყოფილების გამგეს; **ნინო ექიმს** – მკურნალ ექიმს (მე-16 პალატა) – რომლებმაც არაფერი არ დაიშურეს ჩემი ქმრის გამოსაჯანმრთელებლად.

*დიდი სიყვარულითა და პატივისცემით, თინა.* (თბილისი)

## მადლობა

**შვილო გიორგი!**



3 წლის დაშორების შემდეგ, მე და თორნიკე, გერმანიის მიწაზე შევხვდით. ჩვენი ბედნიერება უსაზღვრო იყო, მაგრამ სევდაც ახლდა – 3 თვეში უნდა დავშორებოდით.

გიორგი, შენ ახლა საქართველოში ხარ, ჩვენ – ყველანი, გერმანიაში. ჩემო პატარა გიორგი, მინდა აქედან გითხრა ორიოდ სიტყვა: უსაზღვროა დედის სიყვარული და მას ყველა შვილი ერთნაირად უყვარს, მაგრამ, როცა ერთს საფრთხე ემუქრება, თითქოს სასწორი (სიყვარულის კი არა, მზრუნველობის) მისკენ იხრება. შენ რომ ეს არ გეგრძნო, არც მოითმენდი ამდენს და ასე ვაჟკაცურად, ასეთი პატარა. გმადლობ, შვილო, ყველაფრისათვის, იმ თანადგომისათვის, რომელიც შენ გამოიჩინე დედისა და შენი ძმის მიმართ. ჩვენ მალე შევხვდებით ერთმანეთს.

*დედა მეგი ნონეშვილი*

## ბინები

ან იცვლება თბილისში, ნებისმიერ უბანში აგარაკი ბურიანიდან (კოტორაანთკარზე გადაბმული), საგურამოდან 10 კმ-ში, ულამაზეს ადგილას, დაწყებული მშენებლობით, I სართული – ამოყვანილი კედლებით, II სართულის იატაკი – დასხმული, 800 კვმ მიწით. ფასი 1500$. ტელ: 23-07-65

## ქირავდება

3-ოთახიანი, გარემონტებული ბინა, ლოჯიით, 3(8), გამსახურდიას გამზირზე, მ. „პოლიტექნიკურთან", ბ/აირით, ცხელი წყლით, ტელეფონით, ავეჯით. ტელ: 98-79-68; 93-25-77

## გთავაზობთ სამუშაოს

ორგანიზაცია სთავაზობს 18-25 წლამდე გოგონებს გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში – 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 96-07-81; 7-74-79 (ქუთაისი)

გთავაზობთ საოფისე სამსახურს. გვჭირდება თანამშრომლები 17 წლიდან – განათლებული, ენერგიული, სალად მოაზროვნე. გამომუშავება 100-200 ლარი. მის: მ. „რუსთაველი", ჭოვლიძის ქ. №2. IV სართ. №13. ტელ: 93-18-84; 899 50-68-25. ქალბატონი ელისო

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯები). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი მიხეილი

საოფისე ავეჯის კომპანია აცხადებს კონკურსს დიზაინერ-კონსტრუქტორის თანამდებობაზე. აუცილებელი მოთხოვნაა კომპიუტერული გრაფიკის ცოდნა. დაინტერესებულმა პირებმა მოიტანონ რეზიუმე (CV) შემდეგ მისამართზე: ვაჟა-ფშაველას №45 (მ. „დელისთან"), სოფმშენის შენობა, მე-15 სართ. ავეჯის საწარმო „მოდულორი". ტელ: 32-98-59

## მომსახურება

გეპატიჟებით ბავშვთა სადღესასწაულო ცენტრი „ჩიპოლინო"!. საუკეთესო მენიუ, გართობა და დაბალი ფასები. მის: გამსახურდიას (ყოფ. პეკინის) გამზირი, №33ა. ყოველდღე, 10-19 სთ. ტელ: 38-00-03; 33-76-50; 96-88-82; 899 58-67-29; 877 49-44-35

ფირმა „ალმაშენებელი 96" გთავაზობთ ნებისმიერ მშენებლობას, კაპიტალურ შეკეთებას, ხარისხიანად და შეღავათიან ფასებში. ურთიერთანგარიშსწორება – ნაღდი და გადარიცხვით. ტელ: 93-45-84; 877 41-94-30; 877 42-65-83

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას (აღდგენა-განახლება); კარადებსა დახ მაგიდებზე, სკამებზე, ნებისმიერ საწოლზე, ლეიბებსა და სამეულებზე შალითების გადაკვრა-დარბილებას სრული გარანტიით. ტელ: 69-45-18. გიორგი

ვაწარმოებ ნებისმიერი ავეჯის რესტავრაციას, სამეულებზე შალითების შეცვლა-აღდგენა-განახლებას, მატრასების, სკამების აღდგენას. ვღებავ გერმანულ ტყავის სამეულებს. ტელ. 94-08-10. ვალერი

ანტიკვარული და გამოყენებითი ხელოვნების საექსპერტო ცენტრის სპეციალისტები, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებს მოგემსახურებათ სურათების, ფაიფურის (სერვიზები-სამშვენისები), ორდენების, ხალიჩა-ფარდაგების, იარაღის (თოფი, დამბაჩა, ხანჯალი, ხმალი) და სხვა სახის ძველი ნივთის ფასის დადგენაში, კონსულტაცია-ექსპერტიზასა და რეალიზაციაში. მის: საქართველოს სახ. მუზეუმი, ფურცელაძის ქ. №1/3. ტელ: 899 54-01-59; 52-89-71 (საღამოს)

ვთარგმნით ნებისმიერი სირთულის ტექსტს ქართულიდან რუსულად და ინგლისურად და პირიქით – სწრაფად და რეალურ ფასად, კომპიუტერზე ტექსტის აკრეფით. ტელ: 52-44-47

აგიწყობთ და დაგიკაბადონებთ წიგნებს, ბუკლეტებს, ბროშურებს, გაზეთებს; ყველა სირთულის მათემატიკურ ტექსტს; ნოტებს – რეალურ ფასად. ტელ: 61-51-17

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

„ფესვები", ყურადღება! კარგად გაკეთებული ეპილაცია ნამდვილად მოარჩენს ნაპარს და გაუხეშებულ თმას. მის უკვალოდ მორჩენას კი სჭირდება კარგი სპეციალისტი. 1 სთ – 12 ლარი. განსაზღვრულია ინდივიდუალური ნემსი. ეპილაციის შესწავლა – 200$. მის: იოსებიძის 53, I სად, I სართ, ბინა 3. ტელ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. ნინო ჭელიძე

ეპილაცია ვოლფრამის ან პლატინის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველივე სეანსზე. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

## მკურნალობა

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების (პაპილომები, კონდილომები, მოლუსკები) მოცილება სახეზე, თვალებზე, კისერზე, იღლიის ქვეშ, სასქესო ორგანოებზე, უმტკივნეულოდ და ნაკვალევის გარეშე. მიღება ექიმ რუსუდან საყვარელიძესთან. ტელ: 95-83-54 (სამს); 39-00-70; 39-25-57 (ბინა); 899 56-96-61

ფსიქოლოგი უახლესი მეთოდით, ყველა ასაკში აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების ყველა დარღვევას – ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას. მის: ოზურგეთი, გაგარინის №12. ტ: 899 17-91-26; 6-33-70. მაიკო კომახიძე

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, საშწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, მოკლე დროში, უახლესი მეთოდით, აღმდგენი აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით, მუშაობის დიდი გამოცდილებით, ყველა ასაკში აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას; მოვიხსნით ხვრინვას, სახისა და ხელ-ფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას. ტ: 899 55-05-75

პატივცემულო მამაკაცებო! ქრონიკული პროსტატიტის, ადენომის, ხშირი შარდვის, დაქვეითებული პოტენციის, უშვილობის, ანთებების მკურნალობა, პროსტატის ჯირკვლის გაწმენდა ოპერაციული ჩარევის, უსიამოვნო მასაჟებისა და ნემსების გარეშე – ძალზე ეფექტური, უნიკალური ბალახებით. ანონიმურობის სრული გარანტიით. ტელ: 96-62-58

ახალი მიმართულება ციროზის, ჰეპატიტების, განგრენის მკურნალობაში, უნიკალური ბალახებით. ტელ: 96-62-58

ლომთათიძესთან საზღვარგარეთიდან მოწვეული ექიმები მკურნალობენ: მკერდის ზედა როკების, მენჯ-ბარძაყის ანთებებს; ხერხემლის გამრუდებას, რადიკულიტს, თავბრუს ხვევას, თმის ცვენას, სებორეას, ფსორიაზს, ბუასილს, ტროფიკულ წყლულს; გინეკოლოგიაში – ეროზიას, კლიმაქტერიულ სინდრომს, ფიბრომიომას, კისტას, უშვილობას, ციკლის დარღვევას. მკურნალობის კურსი 10 დღიანია. ხდება სწრაფი დიაგნოსტიკა. მის: ალმაშენებლის 113, კაბ. №17. ახალი პოლიკლინიკა. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29 (სამს); 77-68-50 (ბინა)

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ევგენია ლოლაძე*. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, საშწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ევგენია ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

არტერიული ჰიპერტონიის არაფარმაკოლოგიური (აპარატ „ელექტროევექტორის" საშუალებით) და ფარმაკოლოგიური (მედიკამენტების გაცემა უფასოა) მკურნალობა სამედიცინო უნივერსიტეტის ცენტრალურ კლინიკაში. მის: ვაჟა-ფშაველას №29, მე-4 სართ. გასტროენტეროლოგიური განყოფილება, ოთ. №481. მიღება 10-12 სთ. წინასწარი ჩაწერა: 66-04-67

ხალხური მედიცინის მაქსიმალური შედეგები! ჩიყვის, კისტის, ფიბრომის, მასტოპათიის, ბუასილის, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის მკურნალობა უოპერაციოდ, მცენარეული პრეპარატებით! დ. აღმაშენებლის ქ. №112 (შესახვევი ჩოდრიშვილის №10). ხალხური მედიცინის სამკურნალო ცენტრი „კოლხი მედეა". ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. ტელ: 94-00-27 (სამს); 897 58-29-18

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

პირველად საქართველოში! მთლიანი ორგანიზმის კომპიუტერული დიაგნოსტიკა. გულისა და თავის ტვინის ტელემეტრული ბიორიტმების საშუალებით ხდება ორგანიზმის დაზიანების ადრეული კერების აღმოჩენა, განსაკუთრებით ონკოლოგიაში! შესაბამისად ინიშნება მკურნალობის კომპლექსური კურსი მცენარეული პრეპარატებით. შედეგი მყარია და გარანტირებული. ფასები შეღავათიანია. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №112 ჩოდრიშვილის შეს. №10, ეზოში, მარჯვნივ, I სართ. ექიმი ტასო ელიზბარაშვილი. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტელ: 94-00-27 (სამს); 897 58-29-18

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## მასწავლი

მოვამზადებ აბიტურიენტებს ისტორიასა და გეოგრაფიაში. ტელ: 22-78-56

ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად; ხოლო სანაპიროსდაცვის თანამშრომლებს უფასოდ (სიდის გარემოს დაცვის ფონდი), მ. „მარჯანიშვილთან". ტელ: 95-32-12

შეგასწავლით კომპიუტერის საოფისე პროგრამებს (Windows 98, Word, Internet), WEB-გვერდის შექმნას; გამუშავებთ ინტერნეტში ლარად, მოგიძიებთ ინფორმაციას ინტერნეტში და გადაგითარგმნით, მათ შორის სამეცნიერო სტატიებს; შეგიქმნით WEB-გვერდს, გაგიხსნით ელფოსტას. ტელ: 63-37-40 (საღამოს); 893 30-49-42. თამუნა

ნაძალადევის კულტურის სასახლე აცხადებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე. შეისწავლება: კანის ანატომია, დეფექტები; კრემები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: „ნაძალადევი", მ. „ვაგზლის მოედანი", დადიანის ქ. №26. ტელ: 69-09-19; 66-53-56; 893 33-09-66

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი კომპიუტერი", გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფემმსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

## იყიდება

კომერციული ფართი, 100 კვმ, ახალი ევრორემონტით, პატარა საწყობით, სიგნალიზაციით, ჟალუზით, რკინის კარით, ტელეფონით, ბახტრიონის ქუჩაზე. ფასი $30.000. ტელ: 25-14-14; 37-65-66

ანტიკვარული თოფი „ლებო", ძალიან კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი $2.500. ტელ: 34-56-65

კომპიუტერი IBM-486, ოპერატიული მეხსიერება 32 MB, თავისი მოდემით, სრული პროგრამული გამართვით. Windows-95, Ms office-97, Internet explorer 5.0, Outlook express, სურათები, თამაშები და გასართობი პროგრამები. მოჰყვება აგრეთვე CD-ROM და დისკები. ფასი $180. ტელ: 893 34-27-09

იაფად, კომპიუტერის ახალი მაგიდა, კომპიუტერი IBM, და ფაქსი Schneider, ავტომოპასუხით. ტელ: 58-68-88

იყიდება ჩაის და სადილის კობალტის სერვიზი – ლურჯი, „რაკუშკა" – 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-09-35; 96-19-40 ლეილა

ძველებური, გერმანული ვიტრინა, ზედა ნაწილი – სამმხრივი ბროლის მინით, ქვემოთ – 2 კარიანი. $200. ტელ: 23-07-65

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.




სამედიცინო ცენტრი

„ექიმი ბილი"

სექსუალური პრობლემების მოგვარება

პროსტატიტის მკურნალობა

ექიმი კონსულტანტი ისრაელიდან

ჩ. ფალიაშვილის ქ. 44 ტელ: 25-27-09; 29-05-25

უფასო განცხადებების გაზეთი

სიტყვა და საქმე

33-10-03 33-10-05 36-30-04

40 გვერდზე

ფასიანი განცხადება ჩარჩოში – ტელ: 822-009-003





ყოველ ნომერში: 7000-მდე განცხადება,

დღის ახალი ამბები და დასვენების გვერდი

მეუღლე დინა ანთელავა, შვილები ანა და მიშიკო ჯიბლაძეები, და რუსიკო, ძმა ბორისი, დისშვილი გიორგი, სიდედრი ვანდა, ცოლისდა ნატო მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი გივის ძე ჯიბლაძე**

პანაშვიდი ორშაბათს, 11 მარტს, 17 სთ.

გამოსვენება სამშაბათს, 12 მარტს, 14 სთ.
მის: ამაღლების ქ. №43 (ყოფილი დავითაშვილის ქ.)

„კვირის პალიტრა" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთის მხატვარ-დიზაინერი

**გიორგი გივის ძე ჯიბლაძე**

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს

## კახა გოჩიტაშვილის ხსოვნას



გასული ზაფხულის იმ შავბედით 6 ივლისს ავტოკატასტროფაში შენმა მოულოდნელმა ტრაგიკულმა აღსასრულმა თავზარი დაგვცა, ცა დამძიმდა და თავს დაგვემხო!!! შენმა სულიერმა მოძღვარმა მამა ნიკოლოზმა ილოცა შენი სულისათვის „შენდობად შეცოდებათა შენთა".

ფერისცვალების ეკლესიიდან სულთათანას გალობით მიგაცილეთ 33 წლის ვაჟკაცი უკანასკნელ გზაზე... კიდევ და კიდევ ცრემლითა და ყვავილებით შენს საფლავთან, მაგრამ ამჯერად პირველად და უჩვეულოდ მოგაგებთ პატივს, სიყვარულს, ნათელ ხსოვნას.

8 მარტს, ღირსეულ შვილსა და შვილიშვილს, საყვარელ ძმასა და უანგარო, ხალას მეგობარს, შენს ძმათა პატარა შვილების საყვარელ კახას, 34 წელი შეგისრულდებოდა.

სინანულითა და გულისტკივილით დამწუხრებულნი დავყურებთ შენს საფლავს და ვხედავთ ჩვენს გულებში აღბეჭდილ შენს მოღიმარ ნათელ ხატებას.

როგორ იტევდი ამდენ სიყვარულს, სითბოს და სიკეთეს, რასაც ასე უშურველად გასცემდი. მოგვენატრა შენი გულითადი შეხვედრები, შენი ცოცხალი და უწყინარი იუმორნარევი, შენეული ღიმილით მიმზიდველი საუბრები.

ჩვენო საყვარელო კახა, წახვედი ჩვენგან და ვინ იცის, რამდენი აუხდენელი ოცნება, ჩანაფიქრი და ზრუნვა მომავალზე, თვით გულის სწორი ვოგონას სიყვარულიც გულში ჩაიკალი... შენმა ლამაზმა, მაგრამ ხანმოკლე სიცოცხლემ — შენი კაცობის, სინდისის და ერთგულების უტყუარმა დადასტურებამ, მეტეორივით გაიელვა და დიდ ტკივილთან ერთად, შენი გულის სითბო, სიყვარული და ნათელი ხსოვნა დაგვიტოვა.

გულმხურვალედ შევთხოვთ უფალსა ჩვენსა, ნათელყოს შენი ლამაზი სული, უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

*მშობლები, ნათესავები, მეგობრები*

## მარიეტა ფარცხალაძის ხსოვნას!



10 მარტი შენი დაბადების დღეა. გილოცავთ ზეციურ სასუფეველში და გვჯერა, რომ ნათელშია შენი მშვიდი და კეთილი სული. ორი თვეა, წახვედი ჩვენგან და დაუტოვე გაუნელებელი ტკივილი შენს ოჯახს, მეგობრებს — ყველას, ვინც გიცნობდა. პატარა ანამაც „მარი ბებოს" გარეშე აღნიშნა ახლახან ორი წლის შესრულება. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისათვის, რათა დაიმკვიდრო საუკუნო განსასვენებელი.

*მანანა სვიმუა, ახიკო, ქორა ხალარაძე*

## თენგიზ მარამიძის ხსოვნას!



15 მარტს 40 დღე სრულდება, რაც ზეციურ ბილიკს აუყევი. დაგვიტოვე ცრემლიანი და გულისტკივილიანი სიცარიელე. მე და დედა ამჯერად უძლურნი აღმოვჩნდით უფლის ნების წინაშე. სიკეთითა და სიყვარულით სავსე ვაჟკაცო, ძალიან გვენატრები! როგორ გწყუროდა სიცოცხლე, მაგრამ შენსავით ავადმყოფობით გატანჯულ შენს დას შეგახვედრა ღმერთმა. ჩემო ლამაზო მამიკო! ღმერთს შევთხოვთ — ამქვეყნად შენგან დათესილმა სიკეთემ და ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს მარადიულ სასუფეველში მიმავალი გზა, რათა იქ დაიმკვიდრო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი პატარა ოჯახი*

## ბაკუნა ცქიფურიშვილის ხსოვნას!



პირველად ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ, ჩემო ბაკუნა.

11 მარტს შენ ხომ 21 წლის გახდებოდი, ჩემო ვაჟკაცო ბიჭო. გაუსაძლისია ეს ცხოვრება უშენოდ, ბაკო. შენი მშობლები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ შენი სული ნათელში იყოს. შენ ყოველთვის ჩვენ გვერდით იქნები.

*შენი ვარდო*

## ნორა (კუკუნია) ჯიბლაძე-დოლიძის მონატრება



უკვე ერთი წელი გავიდა, ჩემო დაიკო, რაც შენ დაგვტოვე. არ დაგინდო სიკვდილმა. ყველას დაეტყო შენი არყოფნა — შვილებს, შვილიშვილებს, დედმამიშვილებს. გაუსაძლისი გამოდგა ეს წელი ჩვენთვის.

ნეტავ იცოდე, როგორ გვენატრები ყველას. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, შენს საფიცარ შვილთან, საყვარელ სიძესთან, მეუღლესთან და მშობლებთან ერთად.

*შენი და ლია*

## შალვა ფალავას ხსოვნას!



უკვე ოთხი წელი სრულდება, რაც ჩვენ შორის აღარა ხარ. 9 მარტს სამოცდათოთხმეტი წელი შეგისრულდებოდა. ძალიან გვიმძიმს უშენობა. ჩვენ მარტო მამაშვილობა კი არა, დიდი მეგობრობა გვაკავშირებდა. მეამაყება, რომ კაცურკაცობის სიმბოლოდ დარჩი. მიუხედავად აუტანელი ტკივილისა, მე უზომოდ ბედნიერი ვარ, როდესაც შენი ცხოვრების ნაკვალევს გადავყურებ, სადაც სითბოს, სიყვარულის და თანაგრძნობის გარდა, სხვა არაფერი მხვდება. გული მწყდება, რომ საკმარისად ვერ მოგეფერე, ვერ გაგიფრთხილდი. პირობას გაძლევ, შენს წმინდა სახელს მოწიწებით გავუფრთხილდები და ვეცდები, შვილები შენნაირ ადამიანებად აღვზარდო.

*კარლო ფალავა*

## იმედა ნარსიას გახსენება



დადგა გაზაფხული, მოვიდა ჭირვეული მარტი, რომლის მოსვლა ორივეს ძალიან გვიხაროდა. ჩვენ გაზაფხულის პირველ თვეს — 8 მარტს შევუღლდით. შეგვაუღლა იმ ღვთიურმა ძალამ, რომელსაც სიყვარული ჰქვია.

გუგულის ბუდეს ჰგავდა ჩვენი ლამაზი, პატარა ოჯახი, მაგრამ ამ ბედნიერებამ სრულად 3 წელიწადსაც ვერ გასტანა. ალბათ ვცოდავ, მაგრამ ღმერთმა არ ისურვა ჩვენი ერთად ყოფნა და როგორც რჩეული, თავისთან წაგიყვანა.

იმედა! შენი მონატრება ძალიან გაიწელა და უსასრულობას დაემსგავსა. პატარა მარი ყოველ საღამოს გელოდება. იგი ხომ მართლა პატარაა იმისთვის, რომ ობლობის ტვირთი ზიდოს.

ჩვენი ცხოვრება საცალფეხო ბილიკს დაემსგავსა, რომელიც იმედს უტოვებს უშენობით გამწარებულ დედას, რომ შენამდე მოიყვანს. გაუსაძლისია უშენობა.

ხშირად ვეკითხები საკუთარ თავს: „უიმედოდ რაღა მაცოცხლებს-მეთქი?", მაგრამ სულსა და გულს გააპობს ორი წლის მარის სიტყვები: „დედიკო, მიყვარხარ". შენგან ნუგეშად მხოლოდ მარი დამრჩა. მარი, რომელიც ყველაფერია: ნაყოფი ჩვენი სიყვარულისა, სიცოცხლის გაგრძელებისა; მარი, რომელშიც იმედა — შენ მეორდები.

27 წელი 27 წამის ტოლი აღმოჩნდა. ტოლი იმ წამისა, რომელიც წამზე უმოკლესია. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, რომელიც მეგობრებმა მუჭებით მოგაყარეს. ტკივილამდე მიყვარხარ და მენატრები!

*მეუღლე შორენა გვარამია*

## ლია ქორჩილავა-კაჭარავას მონატრება



ჩვენო საყვარელო ლია, უშენოდ მეორედ ვხვდებით 8 მარტს შენი მეგობრები. შარშან, 7 მარტს აღესრულა შენი სპეტაკი სული ამ ქვეყნიდან.

ძნელია უშენობა, ძალიან ძნელი — შენი ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის. თუმცა, არც ერთი დღე ამ ერთი წლის მანძილზე არ ვყოფილვართ უშენოდ. ჩვენთან არის შენი ნათელი და საოცრად კეთილი ღიმილი, შენი სითბო, სიყვარული, რომელიც შეგეძლო უშურველად ყველასთვის გეჩუქებინა. იმ დროსაც კი, როდესაც სიკვდილს თვალებში უმზერდი.

ძალიან გვენატრები, ვინ იცის, სად აქვს ამ მონატრებას საზღვარი, ან აქვს კი, საერთოდ?

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი წმინდა სული.

*აბაშის განათლების განყოფილების თანამშრომლები*

## ლევან ალავიძის მონატრება



24 თებერვალს, შვილო, შენს საფლავთან შევიკრიბეთ ახლობლები, მეგობრები და თვალცრემლიანებმა დანთებული სანთლებით, ყვავილებით მოგილოცეთ დაბადების დღე, რაც უშენოდ გაუსაძლისი ტკივილი იყო. ოჰ, როგორ გწყუროდა სიცოცხლე, მაგრამ არაკაცებმა მარტის იმ საბედისწერო ცივ დღეს, სახლიდან ვერაგულად გაგიყვანეს და სასიკვდილოდ გაგწირეს. მჯერა, ნაძირალებს მწარედ გადაეხდებათ.

ძალიან მენატრები. გვაკლიხარ არა მარტო ოჯახს, არამედ ყველას, ვისაც კი შენეულ სითბოს, ღიმილს უნაწილებდი. დიდსა თუ პატარას სამეგობროდ განაწყობდი. შენ ხომ უანგარო სიკეთისთვის იყავი გაჩენილი. არ დაგცალდა, ბოლომდე დახარჯულიყავი. არც ერთ დღეს შენი მოგონების გარეშე არ ჩაუვლია. ყოველი დღე შენს ლოდინში მიღამდება. დაგეძებ და ყველგან შენი ლამაზი სახე მესახება. თბილისში გაზრდილმა, მცხეთაზე და სვეტიცხოველზე უზომოდ შეყვარებულმა, აქ მიიჩინე სამარადისო ბინა. მე, სანთლებით ხელში ვილოცებ შენი ნათელი სულის სადიდებლად და მალე შენთან შესახვედრად.

*გამწარებული დედა, ოჯახი*

## ბესიკ აზმაიფარაშვილის ხსოვნას!



უკვე ორი კვირაა, რაც მიიხურე კარი და ჩუმად გაუჩინარდი. თითქმის მთელი საქართველო შეძრა იმ საშინელმა ტრაგედიამ, რაც 25 თებერვალს №115 საშუალო სკოლის VIII[1] კლასში მოხდა. ერთ წუთში შეწყდა ერთი ანგელოზის სიცოცხლე და იმ წუთიდანვე დაგვტოვა ყველა მაცად შემოსილი. 16 მარტის მოახლოება ხომ ძალიან გიხაროდა, რადგამ 14 წლის უნდა შესრულებულიყავი, მაგრამ ამაოდ... სუსხში გაიკაწრა წუთები, ჩამოჰკრეს უკანასკნელმა ზარებმა, წახვედი და წაიყოლე ყველა ოცნება. დაგვიტოვე მხოლოდ მწარე მოგონებები, რომელსაც დღეს აცრემლებულები ვიგონებთ. ჩვენთვის შენი სახელი ყოველთვის იარსებებს, მის სახელს დავიწყება არ უწერია.

დაე, უფალმა ნათელში ამყოფოს ბესოს მშვენიერი, სპეტაკი სული! ამინ!

*თანაკლასელები*

## ბესო აზმაიფარაშვილის ხსოვნას!

სიყვარული ძველია და თანაც ახალი, შენეული. ამ სიყვარულით ავსილი გულით დატოვე ეს ქალაქი. შენს მე-14 გაზაფხულს, ცრემლით გაცილებდა უცნობ-ნაცნობი უკანასკნელ გზაზე. ყველას გული ატკინე. ნათელში იყოს შენი უმანკო სული.

*რეზო ნათლია*

## ბესიკ აზმაიფარაშვილის მონატრება



25 თებერვალს მეხივით გავარდა შენი დაღუპვის ამბავი, — ბავშვებს უჩხუბიათ და მერვეკლასელი ბიჭი მოუკლავთო. ეს ბიჭი შენ იყავი, ბესიკ... ვის არ უჩხუბია ბიჭობაში, მაგრამ სასიკვდილოდ თუ გაგიმეტებდნენ, ვინ იფიქრებდა...

რამდენი სიხარული წაიყოლე თან, რამდენი აუხდენელი ოცნება, რამდენი იმედი და ვინ იცის, იქნებ პირველი სიყვარულიც...

25 თებერვალს აქეთ გაოგნებულები ვართ. რით ვანუგეშოთ შენი მშობლები, ერთი პატარა ბიჭი ადრე რომ დაეღუპათ და ის ტკივილიც ვერ მოუნელებიათ. ვერ შენს ძმას ვანუგეშებთ... ერთია, გულმხურვალედ უნდა ვილოცოთ შენი სულისათვის...

10 მარტს 14 წლისა უნდა გამხდარიყავი. 14 სანთელს დავანთებთ შენი ნათელი ხსოვნისათვის.

*ლია დეიდა და ბესიკის მეგობრები*

## მიცვალებულთა მოსახსენებელი დღეები

1. ხორციელის შაბათი — 24 თებერვალი (9 მარტი);
2. დიდი მარხვის მე–2 შაბათი — 17 (30) მარტი;
3. დიდი მარხვის მე–3 შაბათი — 24 მარტი (6 აპრილი);
4. დიდი მარხვის მე–4 შაბათი — 31 მარტი (13 აპრილი);
5. თომას კვირის სამშაბათი — 1 (14) მაისი;
6. სულთმოფენობის წინა, სულის შაბათი — 9 (22) ივნისი;
7. დიმიტრის შაბათი — 20 ოქტომბერი (2 ნოემბერი).

**წმიდათა თანა განუსვენე ქრისტე ღმერთო სულსა მონისა და მხევლისა შენისასა (სახელები), სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი.**

## სოსო კიკნაძის მონატრება



თხუთმეტ მარტს წელიწადი გასრულდება იმ ტრაგიკული დღიდან...

სიცოცხლის ბოლო დღეებში (ალბათ გრძნობდი მოახლოებულ განსაცდელს) ხშირად იმეორებდი: „სიყვარული დაფრინავს, სიყვარული არ დადის!..."

უსაზღვროდ გიყვარდა ყველა...

უსაზღვროა ტკივილი — რასაც უშენობა ჰქვია...

შენნაირი ვაჟკაცები ასე უდროოდ არ უნდა მიდიოდნენ იმქვეყნად... — ღმერთსაც კარგები უნდა! — შენ ხომ სულიერად და ფიზიკურად სიცოცხლის მშვენება იყავი. მეამაყებოდა შენი ჯიშიანი დავაჟკაცება... მარადიულია შენი მონატრება, სოსო!..

*ზურაბ მაჭავარიანი*

## ლევან ჟორდანიას გახსენება



საქართველოს ბევრი ბრწყინვალე ფეხბურთელი ჰყოლია, რომლებიც ჩვენ შორის აღარ არიან და ისინი დიდი პატივით გაგვიცილებია სამუდამო სასუფევლისაკენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება სპორტის ოსტატი, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის წევრი, დამსახურებული მღვინე, ღირსების ორდენოსანი ლევან (გოჭო) ჟორდანია.

კოლორიტული პიროვნება, რომელსაც დავიწყება არ უწერია, დააკლდა თბილისს და თავის დიდ სამეგობროს.

წახვედი ჩვენგან და დაგვიტოვე დიდი სევდა-ნაღველი, მოგონებებით სავსე ლამაზი ცხოვრება და ზღვა სიყვარული.

მუდამ მხიარული, უწყინარი, მართალი და კეთილი, დიდი სიყვარულის მატარებელი, მიმტევებელი, არაჩვეულებრივი იუმორით სავსე. მისი იუმორი არასოდეს ზღვარს არ სცილდებოდა, გულს უთბობდა დიდს და პატარას; სხვებთან ვითომ თამამი, მაგრამ მორიდებული, შვილებთან — მოკრძალებული, ყველგან სიცოცხლე და სიხალისე შეჰქონდა. ერთი შეხვედრის შემდეგაც კი, დაუვიწყარი და ლამაზი მოსაგონარი ხდებოდა ყველასთვის.

მაგრამ... მძიმე ავადმყოფობამ...

40 დღე გავიდა და უკვე გვენატრები და ენატრები ყველას, ყველას — ის მოუსვენარი, ლაღი, ვერცხლისწყალივით მოციმციმე, გულღია, მოღიმარი, სიცოცხლით სავსე, ჩვენი გოჭო, ჩვენი ლეო ჟორდანია.

შენი მოგონება არასოდეს წაიშლება და მარადიული იქნება ჩვენს გულებში.

ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი. „წმიდათა თანა, სადა იგი არ არს ჭირი, არცა მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება დაუსრულებელი".

*ვეტერან ფეხბურთელთა და ვეტერან მეღვინეთა ჯგუფი*

## ნიკა არუცევის ხსოვნას!



ჩემო უსაზღვრო სევდავ, ჩემო ნიკუში! 14 მარტს ერთი წელი გახდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. საოცრად გვენატრები. თვალწინ მიდგას შენი ლამაზი სახე, ჩემო დაუვიწყარო, ჩემო მოუშუშებელო ტკივილო.

ჩემთვის სამყარო დაპატარავდა,
ჩამოიბურა, დადგა წყვდიადი,
ჩემო პატარა, ლამაზო ბიჭო,
შენ ამ წყვდიადში გაუჩინარდი.
იმ დღიდან გეძებ, გეძახი, გნატრობ,
მკლავს შენი ნახვის უსაზღვრო სევდა.
ჩემო პატარა, ლამაზო ბიჭო,
გეძებ, გეძახი, სადა ხარ, ნეტავ!

*შენი ციცო ბებო*

## ჩვენო კოხტა!



თავზარდამცემი იყო შენი მოულოდნელი სიკვდილი. ვინ იფიქრებდა, შენს ჯანსაღ სხეულს რამე მოუვიდოდა. 40 დღის წინ გიმტყუნა გულმა, რომლითაც ვამაყობდით, რომ ასეთი გულიანი იყავი.

51 წლის ასაკში წახვედი ჩვენგან მარადიულ სასუფეველში, სადაც დიდი ტკივილით და ზღვა ყვავილებით გაგაცილეს.

*როზა მელქაძე*

## დათო ჯიმუხაძის გახსენება

„არ ვიცი, რა გითხრა, ამ წუთში არაფერი მინდა..."



ავად მოსაგონარი 11 სექტემბერი... შეწყდა შენი მოუსვენარი სიცოცხლე — დაუმშვიდობებლად... ისე წახვედი, ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწარი. იქნებ, რა გქონდა სათქმელი?! სულით ვაჟკაცი იყავი და მჯეროდა, რომ მუდამ ჩემ გვერდით იქნებოდი, მაგრამ ბედისწერის მკაცრი განაჩენით, მარადიული ახალგაზრდობა გარგუნა ღმერთმა. შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში გადაინაცვლა.

17 მარტი შენი დაბადების დღეა, რომელსაც მეორედ აღვნიშნავთ უშენოდ. ამაზე ძნელი და მძიმე ჩვენთვის არაფერია. ყველაფერი ჩაკვდა ჩემს გულში, ვერაფრით ვავსებ უშენობით გამოწვეულ სიცარიელეს. დღე შენზე ფიქრით და შენი მონატრებით მთავრდება. გაუსაძლისია ამქვეყნად შენ გარეშე სიცოცხლე, ჩემი სულისა და გულის ნაწილო. ოჰ, ღმერთო, რამხელა ტკივილი ხარ... არავითარი დრო მე შენს თავს არ დამავიწყებს — დრო, რომელმაც კიდევ უფრო გაუსაძლისი გახადა უშენოდ ყოფნა.

არ ვიცი, რით ვანუგეშო ჩვენი მშობლები. სულის კივილია ჩაბუდებული მათ ცრემლიან თვალებში. მძიმეა ყველას ტანჯვა, მაგრამ იმაზე საშინელი არაფერია, როცა დედას შვილი უკვდება.

ცხოვრება გრძელდება... არ გივიწყებენ შენი ბაჩანა და ანანო. მიუხედავად ასაკისა, ყოველთვის ემახსოვრებათ შენი ლამაზი ღიმილი, თბილი მზერა, ალერსიანი თვალები, უზომო სიყვარული... ასე გიხსენებენ: „ძიკოო". ვიცი, ილოცებ შენი პატარებისათვის — ისინი შენს სულს და გულს ავსებდნენ. ვინ იცის, იქნებ გვერდითაც ჰყავხარ და უხილავად მფარველობ მათ...

მჯერა, ღმერთსაც კარგი ჰყვარებია. უძლურია სიტყვები შენს მონატრებაზე, უსაზღვროდ შემიძლია ლაპარაკი შენზე. აფორიაქებული სულის შვება ჭეშმარიტი რწმენაა, რწმენა იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს, უფალი ჩვენს სულებსაც მიიბარებს და ისევ ერთ სამყაროში აღმოვჩნდებით. უზომოდ მიყვარხარ და მენატრები... რა კარგი იყო ერთად, რა მძიმეა განშორება, რა ულმობელია სიკვდილი...

ღმერთმა ნათელში მიმყოფოს შენი ლამაზი და უღალატო სული.

*შენი თაკო*

## დათო ესიტაშვილის მონატრება



მეორე წელია უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, ჩვენო საყვარელო დათო! შენი წასვლით განადგურებულია შენი ოჯახი. ამ ხნის მანძილზე ცრემლი და ლოცვა არ მოგკლებია. ყველას ძალიან გვენატრები და გვიყვარხარ. ჩვენი დიდი სიყვარული იყავი, მაგრამ ახლა დიდი მწუხარება ხარ. უშენოდ ძალიან გვიჭირს, ჩვენო ლამაზო დათო! უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

*მამიდაშვილები*



1992 წლის 31 აგვისტო... ყველაზე ტრაგიკული დღე და მოუშუშებელი ჭრილობა ჩემს ცხოვრებაში...

...უმოწყალოდ, ვერაგულად ჩახოცეს საკუთარ მანქანაში სრულიად უდანაშაულო მამაშვილი: **შაქრო ილიას ძე ძაძუა და ილია შაქროს ძე ძაძუა.**

ძალიან ძნელია, ერთდროულად დაკარგო ორი, ამქვეყნად ყველაზე ძვირფასი ადამიანი. თურმე, ნეტარება ტანჯვის გარეშე ძნელია და სიცოცხლეც სიკვდილის გარეშე არ არსებობს. ადამიანი სტუმარივითაა დედამიწაზე და მას ვერავითარი ღმერთი წარსულს ვერ დაუბრუნებს.

პირმშვენიერი მზეჭაბუკი ილო, ტიტანივით დააბიჯებდა ჯუჯათა შორის და ისინიც კრძალვით უჭვრეტდნენ მის სილამაზეს, მის ახოვნებას და ძლიერებას, რომელიც ჯერ კიდევ სულ მთლად ნორჩი იყო. თვალით ზომავდნენ და შეფარვით, თითქოს აკრძალული იყოო, ტკბებოდნენ მისი ფერმკრთალი სახის საუცხოო ნაკვთებით.

ნუთუ 16 წელიწადია საკმარისი იმისათვის, რომ მთელი ეს ამოუცნობი, სასწაულებით აღსავსე სამყარო აღიქვა?! ილოსათვის კი ყველაფერი ნათელი იყო, რადგანაც მან, ამ ხნის განმავლობაში მოასწრო დიდი და უსაზღვრო სიყვარულის, სიკეთის დათესვა. ის იყო ულამაზესი, სულის ხორცამდე ჭეშმარიტი, ქრისტეს ათ მცნებაზე აღზრდილი (ასე ეძახდნენ მას სკოლაში) ყმაწვილი.

გაუსაძლისია... უსასრულოა ამ ტრაგედიით გამოწვეული ტკივილი, ტანჯულია ყოველი წუთი შენი საყვარელი დედიკოსთვის...

12 მარტი შენი დაბადების დღეა საყვარელო ძამიკო. ნათელში იყოს შენი უბიწო სული.

ღვთაებრივნი იყავით მამა-შვილი. ღვთაებრივი ბუნებაც და ამ ღვთაებრივში კი მშვენიერება მშვენიერი რჩება...

*შენი ცირა*

საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძნობენ *რუსუდან ლიპარტელიანს* სიძის (ქალიშვილის მეუღლის)

**ალექსი გიორგის ძე სიმონიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ბელგიელმა არქეოლოგებმა კუნძულ კვიპროსზე აღმოაჩინეს ბროლის სარკოფაგი, რომელშიც ასვენია 30-35 წლის მშვენიერი ქალი. მის თეთრ-ყირმიზ ლოყებს სიცოცხლის სხივი დასთამაშებს, წამწამები თითქოს უთრთის და უშფოთველ ძილს მინებებულს ოდნავ ერხევა ბაგე...

მეცნიერები ირწმუნებიან — ეს მომაჯადოებელი არსება უთუოდ ბერძნული სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტეაო.

ოლიმპოს მშვენიერების დედოფალი ზღვის ქაფისგან იშვა — ურანოსის სისხლი ჩაიღვარა ზღვაში, წყალი აქაფდა და განთიადისას, როცა ვარდისფერთითება ირისმა ცას კრეტსაბმელი გადაუწია, კვიპროსის სანაპიროზე გამოვიდა მზის სხივივით თვალისმომჭრელი ასული...

აფროდიტემ მისცა საბაბი ტროას ომს, როცა პარისს წასჩურჩულა — თუ ჰერასა და ათენას სილამაზით მამჯობინებ და ოქროს ვაშლს მარგუნებ, მოკვდავთა შორის უმშვენიერესი ელენეს გულს მოგაგებინებო...

აფროდიტე ზევსისა და ჰერას ფეხებსუსტი ვაჟის, მჭედლობის მფარველ ჰეფესტოს მეუღლე იყო. იგი ქმარს ყველასთან ღალატობდა — ადამიანებთანაც და ღმერთებთანაც. ვაჭართა და მპარავთა ღვთაება ჰერმესისგან შეეძინა ჰერმაფროდიტე, რომლის არსში შერწყმული იყო დიაცისა და მამრის თვისებები, ომის ღმერთ არესს გაუჩინა მომხიბლავი ეროსი...

ერთხელ ჰეფესტომ არესთან მოალერსე მიუსწრო ცოლს და მიჯნურნი ჯაჭვით შეკრა. ძლივს დაიხსნეს თავი აფროდიტემ და არესმა და სხვადასხვა მხარეს მოკურცხლეს. მშვენიერი ქალღმერთის ნაზი ხელებიდან სისხლი წვეთ-წვეთად ეპკურებოდა დედამიწას და მეწამულ ყვავილებად ამოდიოდა.

ქალაქ პაფოსში თავისი ტაძრის ქურუმებმა სასწაულმოქმედი ზეთით დაუზილეს ნაიარევები ქალღმერთს...

კვიპროსელებმა ნელ-ნელა მიივიწყეს ოლიმპოს სილამაზის დედოფალი, აღარ უხმობენ საშველად, აღარც მსხვერპლს სწირავენ დიდი ხანია, მაგრამ ახსოვთ ის ადგილი, სადაც მან ზღვიდან ხმელეთზე ფეხი დაადგა. ოღონდ ეგ არის, არ იცოდნენ, სად განისვენებდა მარადი ქალწული.



# აფროდიტე ორ თვეში გაცოცხლდება(?!)...

განა ღმერთები კვდებიანო, — იკითხავს მავანი. კვიპროსელებს აფროდიტე ხორციელ ქალად ჰყავდათ აღქმული, ამიტომაც მიანიჭეს მას მშვენიერი ჰეტერა ფრინას სახე.

...სასწაულმოქმედმა ზეთმა, რომელიც უხრწნელს ხდიდა სხეულს, სიცოცხლე გაუხანგრძლივა აფროდიტეს.

მეცნიერთა ვარაუდით, სარკოფაგი ჩვენი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნეს განეკუთვნება. ამას ადასტურებს როგორც ბიოქიმიური ანალიზები, ასევე სარკოფაგის გვერდით, საცავში დალაგებული ძვირფასეულობა, სამკაულები, სამოსი...

ბრიტანეთის მუზეუმის ხელოვნებათმცოდნე ჩარლზ ჰიგსი ამბობს, — ბროლის სარკოფაგი არ არის დამახასიათებელი არც ერთი ეპოქისათვის და ზღაპრების გარდა, არსად შეგვხვედრიაო.

ნასა-ს თანამშრომლებს სჯერათ, რომ ქალი ცოცხალია. ამიტომ დახშული, ხელუხლებელი კუბო გამოსაკვლევად ამერიკაში წაიღეს.

— იქნებ ვინმემ იეჭვოს — აფროდიტე კი არა, რომელიმე წარჩინებული ელინი ქალბატონი განისვენებს ბროლის ჭურჭელშიო, მაგრამ ასე არ არის. სარკოფაგზე ამოტვიფრული ურიცხვი სამიჯნურო ჰეგზამეტრი, რელიეფური ნახატი — ზღვის ქაფიდან ამომავალი ქალწულისა, ადასტურებს, რომ იგი ნამდვილად სიყვარულის ქალღმერთია და არა სხვა ვინმე. დარწმუნებული ვარ, ორი თვის შემდეგ ევროპას ცოცხალი აფროდიტე დაუბრუნდება, — იმედი აქვს ჩარლზ ჰიგსს.

ნეტარ არიან მორწმუნენი.

***ელეფთეროტიპია №7***

# ადამიანის ფარული ენერგია

...ადამიანს გააჩნია ფარული ენერგიის დიდი მარაგი, რაც ხშირად ვლინდება ხოლმე მის ფიზიკურ ამტანობაში.

...ამერიკელ ბიოლოგს უილიამს თავს დაესხა ორი შეიარაღებული ბანდიტი, რომლებმაც წაართვეს ფული და გონდაკარგული, თითქმის სისხლისგან დაცლილი მიატოვეს. გონს მოსულმა ძლივს გააჩერა ტაქსი და საშინელი თავის ტკივილით სასტუმროში დაბრუნდა. დაზარალებული მეორე დღეს მივიდა ექიმთან, რომელმაც გააშუქა და გაოგნებული დარჩა: პაციენტს თავის ქალაში აღმოაჩნდა 5 ტყვია. საკვირველი ის იყო, რომ ავადმყოფი თავს კარგად გრძნობდა. საბედნიეროდ, არც ერთი სასიცოცხლო ცენტრი დაზიანებული არ იყო.

...26 წლის იტალიელმა ნანელა ბანდინიმ 17 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთა ჟანგბადის აპარატურის გარეშე.

...ამერიკელ როი სალივანს ოთხჯერ დაეცა მეხი. მეხუთე ჯერზე ოდნავ შეკრთა და მხოლოდ თმა შეეტრუსა.

...ამერიკელი ავიატექნიკოსი როი სალივანი მოსალოდნელი საშიშროების გაუთვალისწინებლად მიუახლოვდა თვითმფრინავს. ჰაერის ძლიერმა ჭავლმა იგი შეიტაცა ტურბინაში, რომელიც მაშინვე გააჩერეს. როი გადარჩა, მხოლოდ გონება დაკარგა მცირე ხნით.

...ავსტრალიელ ჩარლზ მეთიუს ქუჩაზე გადასვლისას მანქანა დაეჯახა. იგი რამდენჯერმე აყირავდა ჰაერში და მომავალი მანქანის კაპოტს დაეცა. ახლა მანქანამ საპირისპირო მხარეს გადააგდო და აქ მას მესამედ დაეჯახა მანქანა. მართალია, მეთიუმ მრავალჯერადი დაზიანება მიიღო, მაგრამ ცოცხალი გადარჩა.

ეს უცნაური თვისება ფარული



ენერგიის ამოქმედება — მამაკაცებში ძირითადად 35-45 წლის ასაკში იჩენს თავს. ცნობილია, რომ, როცა იულიუს კეისარი ჯარისკაცებს არჩევდა, უპირატესობა სწორედ ამ ასაკის მამაკაცებს ანიჭებდა.

***მირ ნოვოსტეი №7***

## ჩვენ გვწერენ

# მესამე სართულის სართულის სამოთხე...

უცნაურ ადამიანს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე?! დიდი ილიას თქმისა არ იყოს,



„კაცია და გუნება“. კახეთში ასეთ კაცს ახირებულს ეძახიან... გურჯაანი-თელავის გზაზე, სოფელ ბუშეტში ყურადღებას იქცევს საგულდაგულოდ მოვლილი კარმიდამო, ბაღ-ვენახს გამრჯე გლეხის ხელი ატყვია, ეზოს შუაგულში სამსართულიანი კოხტა სახლი წამოჭიმულა. სარდაფი და მეორე სართული შესაფერისად მოვლილი და გაწკრიალებულია, მესამე სართულს კი, ერთი შეხედვითვე შეამჩნევთ, რომ კაცის ხელი არ გაჰკარებია; ოჯახის პატრონს, ჭაბალაანთ გიგას სიზმარი უნახავს — თუ მესამე სართულზე ახვალ, მოკვდებიო და მართლაც არ ადიოდა მაღლა.

ამ სახლის ამბავი თითქმის ნახევარმა კახეთმა იცის.

მოგეხსენებათ, კომუნისტობის დროში მშენებლობის პროექტი მკაცრად დადგენილი ნორმებით განისაზღვრებოდა, სამსართულიანი სახლიც დიდი იშვიათობა გახლდათ.

**გიორგი (ბალხაზ) ბოჭორიძე** — სახლის პატრონი: — ექვსი-შვიდი წლის ვიყავი, როცა პირველი სართული, უფრო სწორად, სარდაფი დავამთავრეთ, 1959 წელს გადავხურეთ. მამაჩემის სიზმრის ამბავი პატარაობაშივე ვიცოდი, უბანში ლაპარაკობდნენ, ჭაბალაანთ გიგა სახლს იმიტომ არ ამთავრებს, სიზმარი უნახავსო. მეც მივედი და ვკითხე:

— მამი, მართალია, რასაც ხალხი შენზე ამბობს-მეთქი? — არაო, — მიპასუხა. არ ვიცი, მაშინ კომუნისტობა იყო და ყველაფერს ანგარიშს უწევდნენ, იქნება იმისიც ეშინოდა ცრუმორწმუნეობა არ დამაბრალონო, ან იქნებ ფიქრობდა, შვილმა სიკვდილის შიში რომ შემატყოს, ჩემზე წარმოდგენა დაეკარგებაო. ერთხელ კი ვკითხე, მაგრამ პასუხი რომ მიმიკიბ-მომიკიბა, აღარ შევპასუხებივარ. ისე კი, სარდაფი და მეორე სართული გავმართეთ, მესამე სართული დარჩა დაუმთავრებელი. 1967 წელს დიდი მოსავალი მოგვივიდა, მამა გლეხი კაცი იყო და ზვარ-ხოდაბუნი საკმაო გვქონდა; ღვინო მარანში დავაბინავეთ, ყურძენი ჯაგნებად ავასხით და მაღლა სახლში ავიტანეთ. გიგაც გვეხმარებოდა, არავის დაუძალებია, ან ვინ რას ეტყოდა, ვიცოდით, მესამე სართულზე ფეხი არ დაუდგამს... მაგრამ მაშინ თვითონ აიტანა რამდენიმე ჯაგანი და კედელზე დაჰკიდა... იმ წელიწადს გახდა ავად და მალევე გარდაიცვალა.

**— თქვენც ოჯახურ ტრადიციას აგრძელებთ, თუ გაჭირვება წამოგეწიათ და ველარ დაასრულეთ სახლი?**

— არა, კაცო, ჩვენ მაღლა ავდივართ, იქ არა ვცხოვრობთ თორე!..

**— კიბეს რომ ვერ ეხედავ?**

— როცა დაგვჭირდება, მივაყუდებთ ხოლმე (იცინის), ისე კი, ამ ორ სართულზეც კარგად ვეტევით. მე არ მეშინია, სიზმარი მე ხომ არ მინახავს, მამაჩემმა ნახა, მაგრამ ნათქვამია, „სიფრთხილეს თავი არა სტკივაო“.

***მაია ყალაბეგაშვილი***

# ქამელეონი დაგეხმარებათ...

იორკშირელმა სასაფლაოს დარაჯმა დენ გრიფინმა თავისი საყვარელი მწვანე ქამელეონი ჩიჩი სასაფლაოს მახლობლად გაასეირნა. პატრონის გასაოცრად, ცხოველმა სასაფლაოს გალავანთან მიახლოებისას კანის ფერი შეიცვალა, ჯერ ღვინისფერი გახდა, მერე გაშავდა, ასეთი რამ ქამელეონებს არ ემართებათ.



ჩიჩი მკვეთრად იცვლის ფერს ლორდების და მათი მეუღლეების საფლავებთან მიახლოებისას, რომელთა აჩრდილები ქალაქის შემოგარენში დაძრწიან. გრიფინმა ჩიჩის ყველა ნაზრახი ციხესიმაგრე შემოატარა, ორ მათგანში ქამელეონი გაშავდა!

ბიოლოგებმა ჩიჩის ფენომენი ვერ ახსნეს. ცდისთვის ათი ქამელეონი სასაფლაოზე წაიყვანეს. მოჩვენებების საყვარელ ადგილებში ყველა მათგანი თავიანთი ბუნებისთვის შეუფერებლად იქცეოდა. გამოკვლევის მიზნით, ერთი ქამელეონი მოკლეს მაშინ, როცა შავდებოდა, მკვდარმა ჩვეული ფერი დაიბრუნა.

გაუგებარია მდედრი ქამელეონის საქციელიც — სასაფლაოდან დაბრუნებულმა ქვეწარმავალმა კვერცხი დადო და განრისხებულმა უმალ მოსპო. ერთი ქამელეონი ჰოლდერნესის ციხეში ინფარქტით მოკვდა და ზურგზე გამოესახა ადამიანის თავის ქალა.

მერსშეირთა სამკვიდროში დედალმა ქამელეონმა თათებზე ვენები გადაიღრღნა ზუსტად ისე, როგორც სამი საუკუნის წინ ქმრისგან მიტოვებულმა ქალბატონმა ლუსი მერსშეირმა.

— ამის ახსნა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ შეგვიძლია დაბეჯითებით ვურჩიოთ ადამიანებს — თუ ქამელეონი თქვენ თვალწინ გაშავდა, საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალეთ, — გვაფრთხილებს ბრიტანეთის პარაფსიქოლოგიის ცენტრის მკვლევარი კლერ ბალერტონი.

***მეგაპოლის-ექსპრესი №8***

# იგი დახურულ წიგნს კითხულობდა

მოლი ფენჩერი 24 წლამდე ჩვეულებრივი გოგონა იყო. ზამთრის ერთ დღეს, შუადღისას, უეცრად გულწასული დაეცა იატაკზე. დედა ამაოდ შეეცადა მის გონს მოყვანას. ვერც ოჯახის ექიმმა სამუელ სფაერმა უშველა რაიმე. ესლა თქვა, — მოლი ღრმა ტრანსშია ჩავარდნილიო.



გადიოდა დრო. ქალიშვილს სიცოცხლის ნიშანწყალი იმითლა ეტყობოდა, რომ ოდნავ უცემდა გული, თითქმის არაფერს ჭამდა და სვამდა. ოღონდ ეგ იყო, ექიმის შეკითხვებს დუნედ, მაგრამ მაინც პასუხობდა.

1875 წელს ექიმმა სფაერმა კონსილიუმი შეკრიბა და განაცხადა, — 9 წლის დაკვირვებით დავადგინე, რომ მოლი ფენჩერი ზებუნებრივ ძალებს ჰყავთ შეპყრობილი. შეუძლია გამოიცნოს აზრები, ადამიანთა ქცევა, საქმიანობა, წაიკითხოს გაუხსნელი წერილი, გადაუშლელი წიგნი, თანაც შორ მანძილზე აღწეროს ადამიანის გარეგნობა, სამოსიო.

სამმა მეცნიერმა მოილაპარაკა, რომ გამოსაცდელად შეედგინათ რაიმე ტექსტი, ჩაედოთ სამ კონვერტში, გაეგზავნათ ექიმ სფაერის ოფისში, რომელიც მოლის სახლიდან 5 კმ-ით იყო დაშორებული და ეთხოვათ მოლისთვის, გამოეცნო, რა ეწერა შიგ.

მის ფენჩერმა თქვა: „სამი დაწებებული კონვერტი მისტერ სფაერის მისაღებში დევს. ბარათებში წერია: „ლინკოლნი მოკლა გიჟმა მსახიობმა“.

ეს სრული სიმართლე იყო — ექიმები გაოგნდნენ, მაგრამ განიზრახეს, გაეგრძელებინათ გამოცდა. რახან ექიმ სფაერის მისაღებში წერილები მიიტანა პიტერ გრემმა, ჰკითხეს მოლის, — როგორია პიტერის ძმა ფრენკი, რა აცვია, ახლა სად არის და რას აკეთებსო. მოლიმ დაწვრილებით აღწერა ფრენკი და ისიც კი თქვა, პალტოს მარცხენა სახელოზე ღილი აკლიაო.

მის ფენჩერის ნათქვამი ნამდვილი გამოდგა.

მოლიმ 46 წლის შემდეგ გაიღვიძა. ტრანსში ყოფნისა აღარაფერი ახსოვდა. 73 წლისა ძილში გაიპარა.

***ნლო №10***




## „საზალდო-სალადო“ გვერდის პასუხები

I. რებუსი
გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია.

II. მწყერი.

# მგლების დუმილი ანუ დაუსრულებელი ტრაგედია



ბოლო დროს ქართულ სპორტულ მედიაში უცნაური და სამწუხარო ტენდენცია შეინიშნება. ძალზე ხშირად საპირველგვერდო ანონსებში არა წმინდა სპორტული, არამედ სპორტსმენებთან დაკავშირებული კრიმინალური მოვლენებია გამოტანილი. გამონაკლისი არც გასული კვირა აღმოჩნდა. დიდი და პატარა შეძრა კახა კალაძის განცხადებამ და ქინქლაძის მამის დაყაჩაღებამ. ლევან კალაძის გატაცებიდან 10 თვის შემდეგაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თავკაცები და უმაღლესი ხელისუფალნი კალაძეების ოჯახს აიმედებდნენ, რომ ლევანს უახლოეს პერიოდში გამოიხსნიდნენ. სამწუხაროდ, მათი სიტყვები მხოლოდ დაპირება აღმოჩნდა, რამაც კახას მოთმინების ფიალა აუვსო და საჯაროდ განაცხადა:

*— თუკი 1 მაისამდე არ მოძებნიან ჩემს ძმას, იძულებული გავხდები, მივიღო უკრაინის მოქალაქეობა და მშობლიური საქართველოს ნაკრების მაისურის ნაცვლად, უკრაინის გუნდში ვითამაშო... ყოველდღიურად მპირდებიან დახმარებას, თუმცა უკვე აუტანელია შსს-ს უსუსურობა, ამორფულობა და გულგრილობა...*

განცხადება მეტად მწვავე და ამაღელვებელია. არ შეეფერებოდა სიმართლეს ინფორმაცია კალაძის ძმის გათავისუფლებისა და იტალიაში დასახლების თაობაზე. მეტიც, პარლამენტარი ბეჟან ხურციძე აღნიშნულ ხმებს შსს-ს მიერ გავრცელებულს უწოდებს და გაოცებულია, იგი საქართველოს ახალმა გენერალურმა პროკურორმა, ბატონმა ნუგზარ გაბრიჩიძემაც რომ დაიჯერა.

კალაძის ძმის გატაცებასთან დაკავშირებით უამრავი აბსურდული ვერსიაც ვრცელდება, რომლებიც მის მიერ 3 წლის წინ გაკეთებულ განცხადებას უკავშირდება. კახამ ჯერ კიდევ 1999 წელს გამოთქვა სურვილი, სამუდამოდ დასახლებულიყო უკრაინაში და ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიეღო. ეს ინფორმაცია მაშინ მთელი დუნიის სააგენტოებმა გაავრცელეს. ჭორის გამავრცელებლები ახლა სწორედ აღნიშნულ ინტერვიუს იშველიებენ, — კალაძის ძმა არავის გაუტაცებია და „მილანის“ ქართველ მცველს ეს ყველაფერი უკრაინის ნაკრებში სათამაშოდ დასჭირდაო.

როდესაც კალაძის მშობლებს მოუსმენთ, შეუძლებელია აღნიშნული ვერსიის დაჯერება. როგორც ჩანს, კალაძის დისკრედიტაციას შეგნებულად ცდილობენ, რადგანაც მისი ძმა დღემდე ვერ გამოიხსნეს.

არანაკლებ ამაზრზენი ფაქტი გიორგი ქინქლაძის მამის, ბატონ რობიზონის დაყაჩაღება გახლდათ. 4 მარტს, საღამოს 7 საათზე საკუთარ ავტოფარეხთან რობიზონ ქინქლაძეს ერთი წლის ახალთახალი მერსედესი წაართვეს და ლამის სიცოცხლეს გამოასალმეს. ქინქლაძის დედა ქალბატონი ხათუნა აბაშიძე იხსენებს:

*— რობიზონი დიაბეტიანია და მიკვირს, მომხდარი როგორ გადაიტანა. თავში იარაღი ჩაარტყეს და მუქარით მანქანა წაართვეს. ამის მიუხედავად, თავგასისხლიანებული გაეკიდა ყაჩაღებს, მაგრამ ვერ დაეწია. თუმცა, მანქანას ვინ ჩივის, ბოლოს და ბოლოს, რკინაა და უიმისოდაც რამენაირად გავძლებთ. უბრალოდ, შემაშფოთებელია ის პროცესები, რომელიც საქართველოში ბოლო დროს ჩვეულ მოვლენად იქცა და ქვეყანას სახელს უტეხს. ასე თუ ისე, სწორედ ფეხბურთელებს გააქვთ უცხოეთში ქვეყნის სახელი და მათთან დაკავშირებული მოვლენებით იქმნიან საქართველოზე წარმოდგენას. აგერ, კალაძემ ნაკრებში თამაში იუარა, ქინქლაძის მამას მანქანა წაართვეს, ისევე როგორც გუცაევსა და შაშიაშვილს. ასეთი ინფორმაციებით საქართველოზე როგორ წარმოდგენას შეიქმნიან? სწორედ ამის ფონზეა გულდასაწყვეტი, როდესაც სპორტსმენის ოჯახს ასე ექცევიან, თორემ რა მნიშვნელობა აქვს, ცნობილ ადამიანს დააყაჩაღებენ თუ უცნობს — დანაშაული დანაშაულია და ყველა ერთნაირად განიცდის მას. თუმცა არანაირი სურვილი არ გვაქვს საქართველო დავტოვოთ. მართალია, ქუჩაში გასვლა, შვილისა და შვილიშვილების გაშვება საშიში გახდა, მაგრამ სად უნდა წავიდეთ?! — ცუდია თუ კარგი, საქართველოა ჩვენი ქვეყანაა და სხვაგან ვერსად გავძლებ. ასევე ფიქრობს გიორგიც. ინგლისში, აწყობილი ცხოვრებაა და თითქოს პრობლემა ადამიანს არ აწუხებს, მაგრამ იქაური ურთიერთობები, ნათესავებისა და მეზობლების ერთმანეთთან დამოკიდებულება ის რუბიკონია, რომლის გადალახვის სურვილიც არასდროს გაგვჩენია.*

მოკლედ, კალაძეებისა და ქინქლაძეების ოჯახები სხვადასხვაგვარად დაზარალდნენ და, ბუნებრივია, მომხდარის მიმართ განსხვავებული მიდგომაც აქვთ. კალაძეები საქართველოდან გადახვეწას ფიქრობენ, ქინქლაძეები კი ამ ნაბიჯის გადადგმას არ აპირებენ. თუმცა ფაქტია, რომ ორივე ოჯახს თითოეულ ჩვენგანთან ერთად აშფოთებს ის ფაქტი, რომ მდიდარ ადამიანებს საქართველოში ცხოვრება მეტად გაუჭირდათ. ნურავინ გაამტყუნებს კახა კალაძეს — მართალია, სამი წლის წინაც ფიქრობდა უკრაინის მოქალაქეობაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს მაშინაც უკრაინის ნაკრებში გამოსვლის სურვილი ამოძრავებდა. მისი განცხადება გამწარებული კაცის ემოციაა და არა იმ კაცისა, რომელიც „სპორტ-ექსპრესთან“ ინტერვიუში ორი წლის წინ აცხადებდა:

*— საქართველოში ყოველ შესვენებაზე მივემგზავრები. ბაჰამისა და კანარის კუნძულებზე დასვენება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ჯერჯერობით არ მიზიდავს. ასეთი ადგილები ვერაფრით შემიცვლის სახლში ნათესავებისა და ახლობლების წრეში ყოფნის ბედნიერებას.*

იმედია, ქინქლაძეები, კალაძეები და მასთან ერთად მრავალი ფეხბურთელი კვლავ იმავეს გაიმეორებს. რაც შეეხება გამტაცებლებს, მათთვის უინტერესო არ უნდა იყოს ქალბატონ ხათუნა აბაშიძის მიერ მოთხრობილი ამბავი:

*— ერთხელ მოსკოვში საფრანგეთის პრეზიდენტს, შარლ დე გოლს სასტუმროში უძვირფასესი საათი მოჰპარეს. ასეთი ფაქტის გახმაურება ქვეყანას სახელს შეუბღალავდა და კომუნისტური ხელისუფლებაც დაფაცურდა სირცხვილის თავიდან ასაცილებლად. სწორედ იმ დროს ორი რეციდივისტი დააკავეს, რომელთაც დიდი ხანი ეძებდნენ. გამომძიებელმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და რეციდივისტები იმ პირობით გაათავისუფლა, რომ ისინი დაკარგულ საათს ორ დღეში, ანუ შარლ დე გოლის გამგზავრებამდე იპოვნიდნენ. რა თქმა უნდა, მათ ვერ ენდობოდნენ, რადგანაც რეციდივისტებს სასჯელის უმაღლესი ზომა ელოდათ, მაგრამ არჩევანმა გაამართლა — რეციდივისტებმა პრეზიდენტის საათი იპოვეს, საკუთარი ფეხით დაუბრუნდნენ საკნებს და სასჯელიც შეიმსუბუქეს.*

დამეთანხმებით, ქალბატონ ხათუნას მონათხრობი გვახსენებს, რომ ზოგჯერ დამნაშავეებიც სამშობლოს სახელზე ფიქრობენ. სამწუხაროდ, ასეთი გაგება ჩვენთან ბოლო წლების განმავლობაში დაიკარგა, რადგანაც სამშობლოს სახელზე უკვე ისინიც აღარ ფიქრობენ, რომლებსაც წესრიგის დამყარება ევალებათ. მათ დაკარგეს მორალი და ამიტომაც დუმან, რასაც კახა კალაძე „მგლების დუმილად“ ნათლავს. ასეთი დუმილი კი ოქროს ტოლფასი სულაც არ არის და უკვე ქვეყნის დაუსრულებელ ტრაგედიად იქცა.

# ჯუღელი ახალი ტურნირის ჩატარებაზე ფიქრობს

## კავკასიის თასი — რეალობა თუ ოცნება?

*ჩამკვდარი ფეხბურთი და ცარიელი ტრიბუნები არავის უხარია. ამიტომაც ყველა ფიქრობს, რა ვუშველოთ ქართულ ფეხბურთს. ზოგს ისეთი აზრებიც მოსდის თავში, კი ღირს გულშემატკივრის ფართო წრისთვის მისი წარდგენა.*



*დღეს ჩვენ მოგითხრობთ თბილისის „ლოკომოტივის“ პრეს ატაშე* ***ნუგზარ ჯუღელის*** *მეტად პერსპექტიულ წამოწყებაზე, რომლის მიზანიც ზემოთ დასახელებული პრობლემების მოგვარების სურვილია:*

*— იმ დროს, როდესაც მთელი მსოფლიო ათასგვარი ტურნირის გამართვით სპორტული ცხოვრების გაკეთილშობილებაზე ფიქრობს, საქართველოში მძიმე სურათია — წუხს ბატონი ნუგზარი. — ამიტომაც დავფიქრდი, ხომ არ ღირს თანამეგობრობის თასის ახლებური ფორმატი წარვადგინოთ ქართველებმა. ჩემი ჩანაფიქრით, საჭიროა სანაკრებო რანგის ტურნირის ჩატარება, რომელიც თავდაპირველად ტერიტორიული პრინციპით ჩატარდება. წარმომიდგენია, კავკასიის თასის ჩატარების შემთხვევაში რამხელა ინტერესს გამოიწვევს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრებთა შეხვედრები. ეჭვიც არ მეპარება, რომ ტურნირზე სტადიონის შევსების პრობლემა არ გვექნება და ტელეტრანსლაციის უფლების შესყიდვის მსურველებიც გამოჩნდებიან. ასეთ შემთხვევაში, სავსებით რეალურად მეჩვენება ჩამკვდარი საფეხბურთო ცხოვრების გამოცოცხლება.*

**— თქვენი იდეა აზერბაიჯან-სომხეთს შორის არსებული საომარი მდგომარეობის გამო არ ჩაიშლება?**

— ეჭვიც არ მეპარება, რომ ასე არ მოხდება. მეტიც, ამ ქვეყნის ფედერაციათა წარმომადგენლებმა წინასწარი თანხმობაც განაცხადეს ტურნირში მონაწილეობაზე.

**— „ლოკომოტივისა“ და რკინიგზის დეპარტამენტის თავკაცს, ბატონ აკაკი ჩხაიძეს ტურნირის თაობაზე თუ ესაუბრეთ?**

— რა თქმა უნდა! ბატონი აკაკი მშვენივრად აცნობიერებს ასეთი შეჯიბრების მნიშვნელობას და მზად არის მის ორგანიზებას ხელიც შეუწყოს. ამასთანავე ეჭვიც არ მეპარება, რომ ჭკვიანი ბიზნესმენებიც დაინტერესდებიან და გვერდში დაგვიდგებიან. თუმცა, ამ საქმეში ფეხბურთის ფედერაციის თანადგომაა უპირველესად საჭირო.

ბუნებრივია, კავკასიის თასის ჩატარებას მომხრეებიც ჰყავს და მოწინააღმდეგეებიც, მაგრამ მისი განხორციელება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **მერაბ ჟორდანიას** კეთილ ნებაზე რომ არის დამოკიდებული, უდავო ფაქტია:

**— რას ფიქრობს მერაბ ჟორდანია ბატონი ნუგზარ ჯუღელის იდეის თაობაზე?**

— მშვენიერი იდეაა, რომელიც უდავოდ მოწონებას დაიმსახურებს. ამის თაობაზე, ბუნებრივია, ინფორმაციამ უკვე ჩემთანაც მოაღწია, მაგრამ ჯერ სომხეთისა და აზერბაიჯანის ფედერაციის ხელმძღვანელებთან არ მისაუბრია.

**— მათ წინასწარი თანხმობა განაცხადეს ტურნირში მონაწილეობაზე, თუკი იგი გაიმართება...**

— მესმის და ეს სავსებით გასაგებია, მაგრამ ტურნირის ჩასატარებლად მრავალი წვრილმანია მოსაგვარებელი. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ჩვენ გარეშე ეს საკითხი ვერ მოგვარდება. ჩვენ სომხებთანაც და აზერბაიჯანელებთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

რაც შეეხება თასის გათამაშებას, უპირველესი პრობლემა თავისუფალი დროის გამონახვაა.

**— ეს დეტალებია, რომლის მოგვარებაც სავსებით რეალურია. იდეა რეალურად გეჩვენებათ?**

— ძალიან კარგი იდეაა, მაგრამ 2002 წლიდან მეტად გაგვიჭირდება ზედმეტი ამხანაგური შეხვედრის გამართვა. ოფიციალური მატჩების გარდა, მხოლოდ ფიფას დადგენილ ვადებში— წელიწადში ორჯერ ან სამჯერ მოგვეცემა ლეგიონერთა ნაკრებში გამოძახების უფლება.

ამ შეზღუდვის შედეგად არ არის გამორიცხული, საერთოდაც გაჭირდეს ამხანაგური შეხვედრების ჩატარება. შეზღუდვა ლეგიონერების მოწვევის პრობლემას შეგვიქმნის, რადგანაც ერთიანი მსოფლიო კალენდარი ასეთი წნეხის წინაპირობას ქმნის. თუკი კლუბებისგან არ იქნება კეთილი ნება, როგორ მოვიწვევთ ლეგიონერებს, არ ვიცი. ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა.

ანალოგიური კანონი გავრცელდება საქართველოშიც და ნებისმიერი კლუბი უფლებამოსილი იქნება, არაკალენდარულ დღეებში ნაკრებში ფეხბურთელი არ გამოუშვას. ასე იყო წინა წელსაც. საქართველოში ეს პრობლემა ისე მწვავედ არასდროს დამდგარა, რადგანაც ერთმანეთის სატკივრის გაგება შეგვიძლია, მაგრამ რა ვუყოთ ევროპულ კლუბებს? სწორედ ამ პრობლემის გამო მიჭირს პასუხის გაცემა თქვენს კითხვაზე, არის თუ არა რეალური, კავკასიის თასის გათამაშების ჩატარება.

*როგორც ხედავთ, მერაბ ჟორდანია ფრთხილ პოზიციას იკავებს და იდეას აღტაცებით ვერ იღებს. არადა, მისი თანადგომით სასიკეთო საქმის მოგვარებაა შესაძლებელი. საინტერესოა, რომ საქართველოს მინი-ფეხბურთის ასოციაციაშიც არსებობს ანალოგიური პროექტი. მოკლედ, ხალხი ფიქრობს, როგორ უშველონ ქართულ ფეხბურთს და ამიტომაც იწვევს გაოცებას ფედერაციის პასიურობა. გული გულობდეს და კალენდრის პრობლემაც როგორმე მოგვარდება.*

*სხვათა შორის, კარგად ინფორმირებული წყაროებიდან ისიც შევიტყვეთ, რომ ბადრი პატარკაციშვილსა და თბილისის „დინამოსაც“ სურთ საკლუბო დონის საერთაშორისო ტურნირის გამართვა.*

*სწორედ, თანამდგომთა იმედად არ ჩაუქნევია ხელი ნუგზარ ჯუღელს და თავისი პროექტის პერსპექტივაში დარწმუნებული აცხადებს:*

*— ტურნირი მაინც ჩატარდება. მესმის, რომ იდეა ყველას არ მოეწონება, მაგრამ მთავარია გულშემატკივრის თანადგომა, მას კი ასეთი ტურნირი სჭირდება.*

**ლაშა დუმბაძე**

# „დეპორტივომ“ მადრიდი დაადუმა

გასულ ოთხშაბათს ესპანეთის დედაქალაქში თითქმის წარმოუდგენელი რამ მოხდა: სჯობს თავიდან მივყვეთ — ოთხშაბათს, 6 მარტს სრულიად ესპანეთის სიამაყე მადრიდის „რეალი“ ასი წლისა შესრულდა. მიმდინარე სეზონის დაწყებისას „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ესპანური ფეხბურთის „მამებს“ „გაურიგდა“ — „სამეფო თასის“ ფინალი ჩვენს იუბილეს დავამთხვიოთ და თანაც ჩვენსავე „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩავატაროთო, რაზეც თანხმობა მიიღო, რის შემდეგაც კატეგორიულად მოსთხოვა გუნდის მწვრთნელს — „სამეფო თასი“ „სამეფო კლუბმა“ უნდა მოიგოს და საუკუნოვანი იუბილეც ამით აღვნიშნოთო. „რეალი“ ფინალში გავიდა... 6 მარტს მთელი მადრიდი საზეიმოდ ემზადებოდა. უფრო სწორად ზეიმობდა, რაც იმავე საღამოს უნდა დაგვირგვინებულიყო „სანტიაგო ბერნაბეუზე“, როცა მადრიდელთა კაპიტანი „სამეფო თასს“ აღმართავდა. ასე ფიქრობდნენ მადრიდელები. ასე ფიქრობდნენ მთელ მსოფლიოში და როგორც აღმოჩნდა, ასე არ ფიქრობდნენ პროვინციულ ლა კორუნიაში. „დეპორტივომ“ „რეალს“ საუკუნოვანი იუბილე „საუკუნო შერცხვენით“ „მიულოცა“ — ფინალი 2:1 მოუგო და ესპანეთის „სამეფო თასი“, ესპანეთის „სამეფო კლუბს“, ესპანეთის მეფის თვალწინ ააცალა და შინ გაიყოლა.

ბევრჯერ დამარცხებულა მადრიდის „რეალი“, ათჯერ და ალბათ მეტჯერ გამარჯვებულიც დარჩენილა, მაგრამ წაგებაც არის და წაგებაც. შეიძლება ითქვას, რომ ასი წლის არსებობის მანძილზე „სამეფო კლუბი“ ასე არ შერცხვენილა, არსებობს მატჩები, რომლის წაგების უფლება მსოფლიო ფეხბურთის ისეთ გრანდებს, როგორიც „რეალია“, არა აქვთ. სწორედ ასეთი მატჩი დათმო „სამეფო კლუბმა“. „დეპორტივომ“ თავის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჯილდო მოიგო, „რეალის“ ჯილდოებთან ეს თასი აბა რა სახსენებელია, მაგრამ ფაქტია — საყოველთაო ზეიმმა მადრიდიდან ლა კორუნიას ქუჩებში გადაინაცვლა.




## საჭადრაკო კლუბი

**„კვირის პალიტრა“ აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. მფe1-e2!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **სამ** სვლაში.



# სიახლე სპორტულ კატეგორიაში

უახლოეს მომავალში სპორტული ავტომობილების გამა კიდევ ორი მოდელით შეივსება — კორპორაცია „პეჟომ“ უკვე განაცხადა ახალი სპორტული სუპერავტომობილის შექმნის შესახებ, რომელიც ორი ვარიაციით გამოვა — RS Spades-ი და RS Diamonds-ი.



RS Spades და RS Diamonds

ამ ავტომობილებს საფუძვლად „პეჟო 307“-ის მოდერნიზებული პლატფორმა დაედება. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ასეთი ტენდენცია უკვე ტრადიციად იქცა — პირველად პოპულარული ჰეტჩბეკის ტრანსმისია VW-ისგან გადმოიღეს AUDI TT-ს დამზადებისას. „პეჟოს“ ახალი მოდელები სხვადასხვა ძრავით აღიჭურვება — RS Spades-ი 2,0 ლ მოცულობით და 181 ცხ.ძ სიმძლავრით გამოვა, ხოლო RS Diamonds-ი კი დიზელის 2,2 ლ მოცულობით 175 ცხ.ძ სიმძლავრით.

სიახლეს გვთავაზობს კორპორაცია „ფორდიც“, რომელმაც ასევე მოდად ქცეული ხერხი გამოიყენა და განახლებული სპორტული კუპე, GT 40 შექმნა. აღნიშნული ავტომობილის პროტოტიპი ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში გამოდიოდა ანალოგიური სახელწოდებით და დიდად პოპულარულიც იყო. თავად განსაჯეთ — იმ წლებში „ფორდი GT 40“ ზედიზედ ოთხჯერ გახდა ლე-მანის 24-საათიანი რბოლების ჩემპიონი. ახალი მოდელი მას ძალიან წააგავს გარეგნული ფორმებით, განსხვავება მხოლოდ სიმაღლეშია. აბრევიატურა GT 40 სწორედ ძველი მოდელის სიმაღლეს აღნიშნავდა — ის ზუსტად 40 დუიმი, ანუ 1მ და 15მმ იყო. ახალი მოდელი კი რამდენადმე მაღალი იქნება — 1მ და 117მმ. რა თქმა უნდა, ცვლილებებია ძრავასა და ტრანსმისიაშიც — ახალი მოდელი ალუმინის ზემტკიცე ჩარჩოზეა აწყობილი და მისი V8 ტიპის, 5,4 ლ მოცულობის ძრავი 500 ცხ.ძ სიმძლავრეს წარმოშობს.



Ford Gt40

# „სმარტისგან“ რაკეტას აკეთებენ...

ვერ გეტყვით, რამდენად საიმედო იქნება ასეთი „რაკეტით“ მგზავრობა, მაგრამ გერმანელებმა თავისი საქმე უკეთ იციან. როგორც სპორტული ვარიაციების ცნობილმა ოსტატმა, ფირმა „ბრაბუსმა“ განაცხადა, განზრახული აქვს, „სმარტის“ ტრანსმისია სპორტული კატეგორიის სტანდარტებით შეცვალოს და ორჯერ გაზარდოს მისი ძრავის მოცულობაც, რომელიც — 70 ცხ.ძ-ს მიაღწევს. თუ მის მინიატურულ ზომებს და სერიული წარმოების ძრავის სიმძლავრეს (54 ცხ.ძ) გავითვალისწინებთ, სპორტული „სმარტით“ რბოლა გმირობის ტოლფასი იქნება...



# „ფორდი“ პორნოგრაფიის წინააღმდეგ...

„ფორდ მოტორის“ ბრიტანული ფილიალის ყველა წარმომადგენელს კატეგორიულად აეკრძალა ინტერნეტის პორნოგრაფიულ საიტებში „მოგზაურობა“. ბრიტანეთის გარდა, „ფორდის“ სათავო ოფისმა ანალოგიური ხასიათის ბრძანება თითქმის ყველა თავის სტრუქტურაში გაავრცელა — საქმე იმაში გახლავთ, რომ გასული წლის ბიუჯეტიდან კორპორაციას საკმაოდ სოლიდური თანხის გადახდა მოუწია საინტერნეტო ხარჯებზე. ანგარიშების 90%, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, პორნოგრაფიული საიტებიდან იყო მოსული. „ამ შემთხვევაში ჩვენი ფირმა ფულთან ერთად იმ თანამშრომელთა დროსაც კარგავს, რომლებიც სამუშაო პერიოდში ფირმის ხარჯზე ერთობიან“ — ამბობს „ფორდის“ აღმასრულებელი დირექტორი. მისივე განცხადებით, უმკაცრესი ადმინისტრაციული ზომები გატარდება მათ წინააღმდეგ, ვის კომპიუტერშიც ორი კვირის შემდეგ ჩატარებული შემოწმების შედეგად არათუ საინტერნეტო, არამედ ზოგადად, პორნოგრაფიასთან და მსგავს გარყვნილებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია აღმოჩნდება.

# მერსედესის სუპერლიმუზინი

მძაფრი კონკურენციის გამო, ავტომწარმოებლები არაფერზე არ იხევენ უკან — წლევანდელი წელი ლიმუზინების ბუმად შეიძლება ჩაითვალის. თავად განსაჯეთ — პრესტიჟული ლიმუზინები გამოუშვეს „ოპელმა“, „ფოლკსვაგენმა“ და „ჰიუნდაიმაც“ კი. ამით ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, წარმომადგენლობითი კლასის ტრადიციული მწარმოებლები დაზარალდნენ. მიუხედავად ამისა, „მერსედესი“, როგორც ჩანს, იოლად დანებებას არ აპირებს — მისი ახალი ლიმუზინი ნამდვილი გამოწვევაა მათ მიმართ, ვინც ახლახან გადაწყვიტა ლიმუზინების წარმოება, მანამდე კი საყოფაცხოვრებო, იაფფასიანი მოდელების წარმოებით იყო ცნობილი. მერსედესის ახალი ლიმუზინი 5.77 მ სიგრძისაა. გარეგნულ დიზაინზე ფოტოს მიხედვითაც შეგიძლიათ იმსჯელოთ. რაც შეეხება სალონს, მისი კომფორტი ბრუნეის სულთანსაც კი შეშურდება. აქ ყველაფერია, მინი ბარით დაწყებული და კავშირგაბმულობის ულტრათანამედროვე სისტემებით დამთავრებული.

„მერსედესის“ ახალ ლიმუზინს 12-ცილინდრიანი ძრავი აქვს, რომელიც დამატებით ტურბოგამაძლიერებლებით არის აღჭურვილი.



# სატერფულთა რიცხვი კიდევ ერთით შემცირდება?

ყოველ შემთხვევაში, ასეთი იდეა მოუვიდა თავში შვეიცარიელ გამომგონებელს, გუსტაფსონს, რომელმაც გადაწყვიტა, გაზისა და დამუხრუჭების სატერფულები („პედლები“) ერთ კონსტრუქციაში გაეერთიანებინა. გეთანხმებით, საკმაოდ უცნაურად და ერთი შეხედვით, არასერიოზულადაც კი ჟღერს, მაგრამ გუსტაფსონის არგუმენტაცია საკმაოდ მყარი აღმოჩნდა. მისი გამოთვლებით, კრიტიკულ სიტუაციაში მძღოლი აქსელერატორიდან მუხრუჭზე ფეხის გადატანას მინიმუმ, 0,2 წამს ანდომებს. ეს კი 90 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის დროს დაახლოებით 5 მეტრი მანძილის გავლას ნიშნავს, რაც საავარიო სიტუაციაში არცთუ უმნიშვნელო მანძილია.




გუსტაფსონის სატერფულის კონსტრუქციაში ორი პლატფორმაა გაერთიანებული — მუხრუჭი სპეციალურ კრონშტეინზეა ჩამოკიდული და მოძრაობაში ფეხის კიდურის დაწოლით მოდის. ხოლო გაზი კი მხოლოდ ტერფის მეშვეობით მოძრაობს, რომლის ღერძიც იატაკისკენ მდებარეობს (იხ. ფოტო). მათთვის, ვინც შეიძლება ერთდროულად მოინდომოს ორივე ფუნქციის შესრულება, გუსტაფსონმა სპეციალური კონსტრუქცია შეიმუშავა, რომელიც მუხრუჭის დაჭერისას გადაცემათა კოლოფს ნეიტრალურ მდგომარეობაში აყენებს.

ევროპელმა ავტომშენებლებმა ნოვაცია საკმაოდ კარგად მიიღეს. ეს არც იყო გასაკვირი — ავტომობილი და მისი მართვის სისტემა ხომ გამუდმებით იხვეწებოდა. „ავტოსალონის“ მკითხველს ემახსოვრება პირველი სერიული წარმოების ავტომობილი „ფორდი T“, იგივე „თუნუქის ლიზი“. როგორ უნდა დაგეძრა ეს ავტომობილი? — ბლოკირება, დაქოქვა და სიჩქარეში ჩაგდება ორი სატერფულის მეშვეობით ხდებოდა, გაზის აქსელერატორი კი საჭეზე იყო დამაგრებული. იმ პერიოდში დაუშვებლად მიაჩნდათ, გაზისა და მუხრუჭის ფუნქციები ერთმანეთთან ახლოს მყოფ ბერკეტებს (ამ შემთხვევაში სატერფულებს) შეესრულებინათ. თუმცა, ნოვაციების მოყვარულმა ჰენრი ფორდმა ამ სტერეოტიპსაც სძლია და დღევანდელი კონსტრუქციით, მანქანის ამძრავი სისტემა პირველად სწორედ „ფორდის“ მოდელებზე გამოჩნდა (ანუ, გვერდიგვერდ ეყენა ბლოკირების, მუხრუჭისა და გაზის სატერფულები). 40-იანი წლების მიწურულს, როდესაც გადაცემათა ავტომატური კოლოფი გამოიგონეს, ავტომობილიდან ბლოკირების სატერფულიც გაქრა. აჟიოტაჟი მაშინ ამ მოვლენასაც მოჰყვა. ისე, მწარმოებლები იძულებულნი გახდნენ, სარეკლამო კამპანიაში საკმაოდ დიდი ფული დაებანდებინათ, რათა მოსახლეობა გამოგონების უსაფრთხოებასა და კომფორტულობაში დარწმუნებულიყო.

გუსტაფსონის იდეა საკმაოდ საფუძვლიანად გამოსცადეს — მისი კონსტრუქცია 18 მანქანაზე იქნა დამონტაჟებული. რომელთა მძღოლებმაც მცირედი ტრენინგის შემდეგ ასეთი სატერფულით 1000 კმ მანძილი გაიარეს. ყველა მათგანი ერთხმად აღნიშნავდა ნოვაციის უპირატესობას მართვის ძველ სისტემასთან შედარებით.

ავტომწარმოებელი კორპორაციებიდან პირველმა სიახლის დანერგვის სურვილი „ვოლვომ“ გამოთქვა. მისი მენეჯერების განცხადებით, ახალი კონსტრუქცია არა მხოლოდ მსუბუქ, არამედ სატვირთო და სპეციალურ მანქანებზეც დამონტაჟდება. თუმცა, სერიულ წარმოებაში სიახლე სულ მცირე, 3 წელი არ გამოჩნდება.

# რაც უფრო ძვირია, მით უკეთ იყიდება?

— ასეთი დასკვნა გამოიტანეს „ოპელის“ მენეჯერებმა, რომელთაც წარმოებიდან ახალი სუპერსპორტული ავტომობილის, OPEL Speedster-ის ამოღების შესახებ განაცხადეს. აღნიშნული მოდელის პრეზენტაცია თავის დროზე დიდი ზარ-ზეიმით გაიმართა და მისი „პრომოუშენის“ სარეკლამო კამპანიაშიც ზღვა ფული დაიხარჯა. სამწუხაროდ, „ოპელის“ მარკეტინგული განყოფილება მწარედ შეცდა, როდესაც იმედოვნებდა, რომ ყველაზე იაფფასიანი (30 000$) როდსტერი მსოფლიო ბესტსელერად იქცეოდა. როგორც აღმოჩნდა, ასეთ ავტომობილებს მხოლოდ ისინი ყიდულობენ, ვინც მდიდარია... და თავის გამოსაჩენად ამაში ბევრ ფულსაც იხდიან...



# ჟენევის ავტოსალონი



7 მარტს ჟენევაში მორიგი ავტოსალონი გაიხსნა. ამჯერად ავტომშენებლები დამთვალიერებლებს თავს ტექნიკური სიახლეებით უფრო აწონებდნენ. აღნიშნულ ჩვენებაზე განსაკუთრებით კარგად წარმოჩინდა მსოფლიო ავტომშენებლობაში არსებული მძაფრი კონკურენცია — ნოვაციების ხარჯზე თითოეული ფირმა ყველანაირად ცდილობდა, თავისი წარმოება რაც შეიძლება შეძლებულად და უზრუნველყოფილად წარმოეჩინა. უამრავ მოდელს შორის ნამდვილი ფურორი მაინც BMW-ს მიერ წარმოდგენილმა მე-7 სერიის კაბრიოლეტმა მოახდინა. „მერსედესმა“ ახალი CLK წარმოადგინა, ხოლო „აუდი“ კი თავს პრესტიჟული „ავანტით“ იწონებდა.

როგორც ჩანს, „მერსედესს“ მძაფრი კონკურენციის გადატანა მოუწევს. „ავტოსალონის“ მკითხველი უკვე გაეცნო „აუდის“ ჩანაფიქრს, შეეცილოს მას სოლიდური, წარმომადგენლობითი კატეგორიის ავტოწარმოებაში. ანალოგიური ნაბიჯი გადადგა „ფოლკსვაგენმაც“, მან საზოგადოებას კომფორტული ლიმუზინი „ფაეტონი“ წარუდგინა.

# „დაიმლერ-კრაისლერმა“ კიდევ ერთი სასამართლო პროცესი წააგო

ამჯერად სარჩელი თავად კორპორაციის ადვოკატებმა აღძრეს, სხვა ავტომწარმოებლის, „ჯენერალ-მოტორსის“ წინააღმდეგ. საქმე ეხება ამ უკანასკნელის მიერ გამოშვებულ „ჰამერის“ განახლებულ მოდიფიკაციას — როგორც ცნობილია, „ჯენერალ-მოტორსმა“ ორიოდე წლის წინ „ჰამერისგან“ ყველგანმავლების სამოქალაქო ვარიანტის წარმოების უფლება შეიძინა. „დაიმლერ-კრაისლერის“ ადვოკატების განცხადებით, ახალი ავტომობილის რადიატორის საფრის, ე.წ. „ბამპერის“ დიზაინი „ჯიპისგან“ იქნა გადმოღებული. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა, რადგან ანალოგიური დიზაინის დეტალი „ჰამერის“ წინამორბედ მოდელსაც ჰქონდა.



# 17 ათასი დოლარი — მუცელში!




ახალზელანდიელმა ექიმმა პიტერ ნიუსემმა ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთა პაციენტს. 24 საათის შემდეგ ქალბატონი ჰელენ ვანდერტრეპი ძალიან შეაწუხა ტკივილმა. რენტგენმა მუცელში რაღაც საგანი აღმოუჩინა.

სასწრაფოდ გაუკეთეს ხელმეორე ოპერაცია და „როლექსის“ ფირმის 17 ათას დოლარად ღირებული მაჯის საათი ამოუღეს, რომელიც ქირურგ ნიუსემს დარჩენოდა შიგ...

პაციენტმა საათი კლინიკას აჩუქა.

ნიუსემმა — შვებით ამოისუნთქა, მადლობა ღმერთს, რომ სიკვდილს გადაურჩაო. მაგრამ როცა გაიგო ქალბატონმა ჰელენმა საათი გააჩუქაო, შინ მიეჭრა და მისი საფასური მოსთხოვა. ჰელენმა ქოქოლა მიაყარა — მაგ თხოვნით როგორ გაბედე ჩემთან მოსვლაო, კარი მიუჯახუნა და კინაღამ ცხვირი მოამტვრია. ექიმმა იხტიბარი არ გაიტეხა და სასამართლოში უჩივლა. მოსამართლეებმა სიცილი დააყარეს და ურჩიეს, — აქედან მოუსვი, თორემ ცხრაკლიტული უკან დაგრჩებაო.

***მეგაპოლის-ექსპრესი №7***

# ყველას ჰყავს თავისი ლეგენდა-კერპი

კლეპტომანებისათვის ეს 83 წლის გრეთჰენ გრიმი გახლავთ. მან ქურდობა 6 წლის ასაკში დაიწყო — მაღაზიიდან დედამისისთვის პომადა მოიპარა. ამის შემდეგ კი იპარავდა ყველაფერს — ტანსაცმელსა და საიუველირო ნაწარმს, ტუალეტის ქაღალდებს, პირსახოცებს, ფანქრებს, აგურებსაც კი. გრიმის თქმით (რაც ძალზე ჰგავს ყველა კლეპტომანის საქციელის თავისეულ ახსნას), — „ქურდობის მომენტში თავს ამაღლებულად და თავისუფლად გრძნობ, ენით აუწერელი ბედნიერება გენიჭება, მეორე ქურდობამდე მიგყვება და ნელ-ნელა ქრება“. გრიმს ხშირად აპატიმრებდნენ, თუმცა ადვოკატები ადვილად ამტკიცებდნენ მის კლეპტომანობას და ათავისუფლებდნენ. მხოლოდ 83 წლის ასაკში შეძლო გათავისუფლება ამ სენისგან, როდესაც ფსიქოთერაპიული სეანსები ჩაუტარდა. თუმცა, როგორც ჩანს, კლეპტომანია ბოლომდე უკურნებელი სენია. გრიმი ამბობს, — ყოველთვის, როდესაც მაღაზიას ჩავუვლი, გონების რაღაც ნაწილში დღემდე მენთება სიგნალი, რომელიც მანიშნებს — „მიდი, მოიპარე რამეო“.

თუმცა ფსიქოთერაპიის შემდეგ მას მეორე „სიგნალიც ენთება“, რომელიც ამის საშუალებას არ აძლევს.

***პარი მატჩი***

# კაბალიე საოპერო სცენას დაუბრუნდა



გამოჩენილი ესპანელი მომღერალი მონსერატ კაბალიე ათი წლის შესვენების შემდეგ ტრიუმფით დაუბრუნდა ოპერის სცენას. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ კონცერტებზე გამოდიოდა. მსოფლიოს საუკეთესო სოპრანომ ბრწყინვალედ იმღერა ეკატერინე არაგონელის პარტია ოპერა „ანრი VIII“-ში.

კაბალიემ ჟურნალისტებს მოუთხრო, როგორ გამოუტანეს ექიმებმა რამდენიმე წლის წინ განაჩენი — სიცოცხლის ორიოდ წელიღა დაგრჩენიაო. კოლეგამ და მეგობარმა ლუჩანო პავაროტიმ ურჩია, მიემართა შვედი ექიმისთვის, რომელიც პავაროტის მძიმედ დაავადებულ ქალიშვილს მკურნალობდა. საგანგებო კურსის შემდეგ მომღერალი უკეთ შეიქნა — იგრძნო სიცოცხლის და სიმღერის სურვილი, მაგრამ საჭირო იყო, დროებით თავი აერიდებინა სტრესული მდგომარეობისთვის. სცენაზე კი, როგორც თქვა, ძალიან ნერვიულობს. ამიტომაც ბოლო წლებში თაყვანისმცემლებს სოლო კონცერტებითღა ახარებდა.

68 წლის კაბალიემ იგრძნო, რომ შეეძლო საოპერო სცენაზე დაბრუნება და ბარსელონაში, ლისეოს თეატრს მიაშურა.

***ელ მუნდო***

# ბრუს უილისმა მასაჟისტი შეაცდინა



ჰოლივუდის „კერკეტი კაკალი“ ბრუს უილისი აღაშფოთა მასაჟისტი ქალის სურვილმა, პრესაში გამოაქვეყნოს მათი ურთიერთობის დეტალები. დემი მურთან განშორების შემდეგ მსახიობი ხშირად სტუმრობდა დოტ შტაინს, როგორც თავად ამბობს, მხოლოდ მასაჟისთვის. მაგრამ დოტი ირწმუნება, — მასაჟს სექსი სჭარბობდაო.

ახლა დოტს გადაწყვეტილი აქვს, საქვეყნოდ განაცხადოს ის, რისი თვითმხილველიც და მონაწილეც თავად იყო. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მისი კლიენტების სიაში შედიოდნენ მიკ ჯაგერი, სტინგი, სტივ თაილერი, ემინემი და სხვები, ადვილი წარმოსადგენია, რა მოჰყვება ამ წიგნს.

დოტმა, თავდაპირველად, თავის საიტზე, ინტერნეტში გამოაქვეყნა მასაჟის სეანსის დროს ბრუსის ფოტოები, რამაც მსახიობი კინაღამ გადარია და წიგნზე რაღა დაემართებოდა! დოტი ამბობს, ბრუსმა დამირეკა. ღრიალებდა, — არც კი იფიქრო, რაიმეს დაწერა, თორემ სასამართლოში გიჩივლებ, გირჩევნია, კარგი ადვოკატი მოძებნოო.

უილისი მხრებს იჩეჩს — ვინ დოტი, რა დოტი, ამჟამად მხოლოდ ახლახან გარდაცვლილ ძმაზე რობერტზე ვფიქრობ, რომელსაც მედიუმი ქალის საშუალებით ვესაუბრებიო.

ადვოკატები ცდილობენ, დააშოშმინონ ბრუსი, რომ მედიუმ ქალთანაც იგივე არ გარდახდეს, რაც მასაჟისტთან.

***სობესედნიკი №7***

# „უცხოპლანეტელები“ გისოსებს მიღმა



სანამ მეცნიერები კამათობენ, არის თუ არა სიცოცხლე მარსზე, ამერიკის არკანზასის შტატში ორი „მარსელი“ გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

ეს კი ასე მოხდა: საღამო ხანს, ავტოსტრადაზე მოცისფრო, ბრჭყვიალა კომბინეზონში გამოწყობილი ორი უცხოპლანეტელი გამოჩნდა, რომელთაც ზურგზე დიდი ასოებით ეწერათ „მარსი“. თავზე ანტენიანი ჩაფხუტები ეხურათ, ხელში მანათობელი ჯოხები ეჭირათ. მძღოლები დაფეთდნენ, შეეცადნენ, მათთვის გვერდი აეარათ და ავტოსტრადა მთლიანად ჩაიხერგა.

თუმცა „მარსელებს“ აგრესიულობა არ გაუმჟღავნებიათ და მშვიდად იდგნენ. პოლიციელებმა, როგორც იქნა, გაბედეს მიახლოება და აღმოაჩინეს, რომ ისინი უცხოპლანეტელები კი არა, ადგილობრივი კოლეჯის სტუდენტები იყვნენ.

წესრიგის დამრღვევმა ხუმარა „უცხოპლანეტელებმა“ განაცხადეს, რომ ეს მასკარადი მათი სამეცნიერო-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ნაწილი იყო, მაგრამ მოსამართლემ ჩათვალა, რომ მათი გამართლება ამ მიზეზით მაინც არ შეიძლება და „მარსელებს“ 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის.

***ინტერპოლ-ექსპრესი №7***

# ჩიტის მოტანილი ამბები

**სამი ათასი ენა გაქრება.** ლათინური დიდი ხანია „მკვდარ“ ენად მიიჩნევა, მაგრამ



ცოტამ თუ იცის, რომ სამი ათასი ენა გაქრობის პირას დგას.

იუნესკომ უკვე გამოსცა მსოფლიოს იმ ენათა ატლასი, რომლებიც, მეცნიერთა აზრით, უმოკლეს დროში აღარავის ეცოდინება. ეს გამოწვეულია მსოფლიოს ძლიერი ერების ენების ზეწოლით. ასეთი ენებია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური, რუსული და ჩინური.

**მომღერალი გაჩერებები.** გაჩერება — „ქამელეონები“, რომლებიც გარემო პირობების შესაბამისად იცვლიან ფერს და მღერიან კიდეც — ფანტასტიკა კი არა, რეალურად არსებული პროექტია, რომელიც დიდი ბრიტანეთის სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

ამ სიახლის შეფასების საშუალება პირველად ქალაქ ბრედფორდის მკვიდრთ მიეცემათ. გაჩერების მუსიკალური და ფერადი გაფორმება შეიცვლება საგანგებოდ დამონტაჟებული კამერის წყალობით, რომელიც სინათლის შუქის მცირეოდენ ცვლილებაზეც კი რეაგირებს. გარდა სიმღერისა და ფერთა ცვლისა, ზოგიერთ გაჩერებაზე დაიდგმება სავარძლები, რომლებიც ქარის ენერგიის დახმარებით სითბოს შეინარჩუნებს.

თუ ამ სიახლემ გაამართლა, ბრედფორდი 2008 წლისათვის დაგეგმილ ევროპის საუკეთესო კულტურული დედაქალაქის გამოსავლენ კონკურსში მიიღებს მონაწილეობას.

**მსოფლიოში ყველაზე მაღალი საპატარძლო.** მსოფლიოში ყველაზე მაღალი ქალია 25 წლის პაკისტანელი ზეინაბ ბიბი, რომელიც სიმაღლით 240 სმ-ია. იგი პრეტენზიას აცხადებს გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრაზე. ბიბი ყოველდღიურად ჭამს 8 დიდ კვერს, ორ ქათამს, 5 კგ ხილს, სვამს 2 ლ რძესა და 6 ლ წყალს. იცვამს 50 ზომის ფეხსაცმელს, კაბის შესაკერად კი სჭირდება 12 მ ქსოვილი.

ავეჯის კომპანიამ „ჰაი კომფორტმა“ მას საგანგებოდ დაუმზადა სიგრძით 3,1 მ და სიგანით 1,5 მ საწოლი ლეიბითურთ.

საუდის არაბეთის გაზეთები წერენ, რომ ამ დღეებში გოლიათმა საპატარძლომ უარი თქვა გათხოვებაზე. მას გული და ხელი შესთავაზა საუდელმა მოქალაქემ, რომელიც მზად იყო გადაეხადა მისი მშობლებისთვის ურვადი 200 000 რეალის (54 000 დოლარი) ოდენობით. აღსანიშნავია, რომ ქალმა არ იცის წერა-კითხვა.

**საქორწინო რიტუალის მსხვერპლი.** აღმოსავლეთის ქვეყნებში მტკიცედ იცავენ ძველ ტრადიციებს. ერთ-ერთია ტკბილი საქორწინო რიტუალი, რომლის დროსაც საქმრო თავისი საცოლის ხელიდან თაფლს ლოკავს. ეს ცოლქმრული ხანგრძლივი და „ტკბილი“ ცხოვრების სიმბოლოა.

სრულიად მოულოდნელად დასრულდა თაფლის ტრადიცია ქალაქ ზენჯანში (ირანი): 28 წლის საქმრომ ისე ალოკა საცოლის თითები, რომ ენით წამოედო მის ხელოვნურ ფრჩხილს და... გადაყლაპა. ეს ლუკმა ახალდაქორწინებულისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა — მას ფრჩხილი ყელში გაეჩხირა და სიძე დაიხრჩო პირდაპირ საქორწინო სუფრასთან, გულწასული პატარძალი კი საავადმყოფოში გააქანეს... ამ ინციდენტის შემდეგ 19 წლის ყოფილ პატარძალს, ამჟამად კი ქვრივს, მეორედ გათხოვების არანაირი შანსი აღარ აქვს, ასეთია ტრადიცია.

**წინ, ბავშვებო!** საფრანგეთში შვილოსნობის ნამდვილი ბუმია. შარშან 774.800 ბავშვი დაიბადა. მსგავსი შობადობა 20 წელია, არ ყოფილა. ეს დიდებული საქმე ვარსკვლავებმა წამოიწყეს. ფრანგმა მანდილოსნებმა შესანიშნავად შეუხამეს ერთმანეთს დედობა და სამსახური.

# კლონირებული კატები

ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს მსოფლიოში პირველი კლონირებული კატა „სისი“, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სისი გაქრილი ვაშლივით დაემსგავსა თავის „გენეტიკურ დონორს“, კატა „რეინბოუს“, იგი მისგან ფერით განსხვავდება — რეინბოუ ყვითელი, თეთრი და შავი ხალებითაა დაფარული, სისი კი შავ-თეთრია. მეცნიერებმა ვერ ახსნეს, თუ რატომ მოხდა ეს. მათივე თქმით, ჯერჯერობით „კომერციული კლონირების“ განსახორციელებლად რამდენიმე წელიწადია საჭირო. როგორც ყოველთვის, კლონირების წინააღმდეგ ცხოველთა დაცვის ორგანიზაციები გამოდიან — „კლონირებული სუროგატის“ შექმნა უზნეობაა იმ დროს, როდესაც ქუჩებში ასობით, ათასობით უპატრონო კატა დარბისო და კლონირების მსურველთ მათ აყვანას ურჩევენ. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტში სატელეფონო ზარები არ წყდება, სადაც კატების მეპატრონენი თავიანთი „ოთხფეხა მეგობრების“ კლონირებისთვის წინასწარ ეწერებიან.

***ნიუ ზუიქი***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში იმ სიტყვებს ამოიკითხავთ, რომლითაც აკაკი ბაქრაძე მერაბ კოსტავას მოიხსენიებდა.




**დ.** საჯარო კამათი; **ა.** დ'არტანიანის ერთ-ერთი მეგობარი; **ი.** ერთი ქულა ნარდში; **ს.** საქართველოს ერთ-ერთი კუთხე; **ვ.** ქართული სამარკო კონიაკი; **ე.** მხატვრული ფილმის, „შერეკილების“ მთავარი მოქმედი პირი; **ნ.** საფრანგეთის პროვინცია; **ე.** ქალის სახელი, რომლის გულისთვისაც დაიწყო ტროას ომი; **ჩ.** მუსლიმანთა ტრადიციული თავსაბურავი; **ვ.** მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელზეც უკრავდა აინშტაინი; **ე.** მწვავე შეხლა-შემოხლა; **ნ.** გვამი, ცხედარი; **ს.** ჰოლანდიელი ფილოსოფოსი; **გ.** შავი ფერის ქვა, რომელსაც ავი თვალისაგან დასაცავად ატარებენ; **ა.** ფაშისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვა; **ზ.** იმ წესების, ნორმების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ყოფაქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში; **ე.** ერთგვარი კრემიანი ნამცხვარი; **თ.** ცხოველი, რომელიც ენის გასატეხის თანახმად, „თეთრ თრთვილზე თრთოდა“; **თ.** წვრილი ღვედი; **ა.** რითიმე თავდავიწყებით გატაცება; **ნ.** ცხოველი მღრღნელების ოჯახიდან; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **რ.** ბრაზილიელი ფეხბურთელი; **თ.** ის, რაც ჰანიბალმა გაცივების შედეგად დაკარგა; **ა.** ფორმებად დაჭრილი და მოხარშული ცომის ნაჭრები; **დ.** ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**ი.** იუბილე; **კ.** კაუნასი; **ი.** იუნგა; **თ.** თხევადი; **ხ.** ხაბაკი; **ე.** ემისია; **თ.** თასმა; **მ.** მადრიდი; **ხ.** ხრამული; **ო.** ორქიდი; **ლ.** ლიეჟი; **ო.** ორშიმო; **დ.** დიმიტრი; **კ.** კრატერი; **ვ.** ვერონა; **ი.** ილიონი; **რ.** რატუშა; **ი.** ივერია; **ს.** სიბილა; **პ.** პაიკი; **ა.** აქსიომა; **ლ.** ლიმონი; **ი.** იტალია; **ტ.** ტემზა; **რ.** რეალი; **ა.** არსენა.

გამუქებულ უჯრებში იკითხება: **ბუნების და ჭეშმარიტების მამას.**

## №9 (283) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 640 მკითხველი გამოეხმაურა. 5 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 199-მა ქალმა და 436-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელი უწყება (ორგანიზაცია) ამართლებს თავის არსებობას საქართველოში ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ჩვენი მკითხველების აზრით, საქართველოში კონტროლის პალატა ყველაზე მეტად ამართლებს საკუთარ არსებობას. **6,24** საშუალო ქულით კონტროლის პალატა პირველ ადგილზეა. მაქსიმალური — 9 ქულით ის მკითხველთა 19-მა შეაფასა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნიშნით მასაც და მეორე ადგილზე გასულ მერიასაც (17)) არასამთავრობო ორგანიზაციები უსწრებს, რომელიც საერთო ქულების რაოდენობის მიხედვით მესამე ადგილზეა — რესპონდენტთა 20-მა შეაფასა არასამთავრობოები 9 ქულით.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ყველაზე ცოტა რაოდენობის მინიმალური ქულა მერიას ხვდა წილად — მხოლოდ ოთხმა მკითხველმა (0,65) დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა.

ჩვენი მკითხველების აზრით, საკრებულო, შემოსავლების სამინისტრო და პოლიცია აქ ჩამოთვლილ უწყებათა შორის შედარებით ნაკლებად ამართლებენ თავიანთ არსებობას, მით უფრო პოლიცია, რომელიც მინიმალური ქულით რესპონდენტთა 49-მა შეაფასა.

საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, მამაკაცები თვლიან, რომ სასამართლო და პარლამენტი უფრო აკეთებენ თავიანთ საკეთებელს, ვიდრე ომბუდსმენის აპარატი.

ქალი რესპონდენტები კი, ყველაზე დადებითად მერიის მუშაობას აფასებენ. მათთან პარლამენტი მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა.

### გამართლებული არსებობა




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. არც მიახლოებული ვარიანტები დაფიქსირებულა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯეკ-პოტია და მომავალი რეიტინგის საპრიზო ფონდი **200** ლარს შეადგენს.

წარმატებებს გისურვებთ!

## №10 (284) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

~~100~~ **200 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგში.*

**№10 (284) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 13 მარტის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 14 მარტის 13 საათამდე.**

© თბილისი

**თემა №10 (284) — ორატორები**

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე სიტყვამოსწრებული პოლიტიკოსი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№10(284) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ორატორები | ქულა |
|---|---|---|
| 1 | შალვა ნათელაშვილი | |
| 2 | ირინა სარიშვილი-ჭანტურია | |
| 3 | ედუარდ შევარდნაძე | |
| 4 | გიორგი თარგამაძე | |
| 5 | კობა დავითაშვილი | |
| 6 | მიხეილ სააკაშვილი | |
| 7 | ვახტანგ ბოჭორიშვილი | |
| 8 | ზურაბ ჟვანია | |
| 9 | ვახტანგ რჩეულიშვილი | |

### *მკითხველის რეიტინგი*

**რომელი ცნობილი ოჯახური წყვილი იმსახურებს ყველაზე მეტად თქვენს კეთილგანწყობას?**

✓ ______________________

______________________
თქვენი სახელი, გვარი

______________________
ქალაქი (რაიონი)

__________ __________
ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

### *მკითხველის რეიტინგის შედეგები*

**კითხვა: პირველ რიგში, რომელი ქვეყანა უნდა აირჩიოს საქართველომ სტრატეგიულ პარტნიორად?**




**ყველა ასაკისა და სქესის მკითხველებში პირველ ადგილზე ამერიკის შეერთებული შტატებია. მაგრამ, საგულისხმოა, რომ ქალებს შორის უფრო მეტია (25%) რუსული ორიენტაციის მომხრე, ვიდრე მამაკაცებში (22%). 50 წელს გადაცილებულ რესპონდენტების 26%, ხოლო ახალგაზრდა და შუახნის მკითხველების 20% თვლის, რომ საქართველომ პირველ რიგში, რუსეთი უნდა აირჩიოს სტრატეგიულ პარტნიორად.**

*მკითხველის რეიტინგში 569 რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

______________________

______________________

______________________

______________________

თქვენი სახელი, გვარი ______________________

ქალაქი (რაიონი) ______________________



**ვახტანგ რჩეულიშვილი**

აგენი რომ იმგენს აგინებდნენ,
ჩვენ გამოვედით ნაგინებლები.

***ტ. მელიქიძე, თბილისი***

წუთისოფლის სტუმრები
ხართ,
თქვენც წახვალთ და
მე დავრჩები.
(შევარდნაძე ეხმაურება ფოტოპალიტრას).

***ქიშო ქურხული, თბილისი***

**ვ.პ.** — ბინ ლადენს ეძებს
პანკისში ბუში,
ალბათ ჰგონია ქისტი
ან თუში.
**ჯ.ბ.** — ნუ გეწყინება მისტერ
პუტინო,
გთხოვ, სიბრაზისგან არ
დაუსტვინო,
ჯორჯიას გართმევ, არ ვარ
უტვინო,
ეგ თმებიც უნდა
დაგაპუტინო.

***მამუკა დაიაური, გარდაბანი***

**ჯ.ბ.** — ვალოდია, შეეშვი ედიკას, ჩვენი კაცია.
**ვ.პ.** — ევროპა დაგვაკარგვინა, საბჭოთა კავშირი დაშალა, ჩეჩნებს ეხმარება, ვიზიტების დროს ჩემი ცოლისკენ აპარებს თვალს და კიდევ მე შევეშვა?!

***სვანი, თბილისი***

**ვ.პ.** — შემიშვით საქართველოში. ხომ იცით, როგორ მიყვარს ქართველები.
**ჯ.ბ.** — სავიზო რეჟიმს რომ გააუქმებ, მერე შეგიშვებ... ტურისტად.

***გიო ხვისტანი, თბილისი***



**ვლადიმირ პუტინი, ჯორჯ ბუში**

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 157 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ჯ.ბ.** — ვალოდია, დამითმე საქართველო, ძალიან გთხოვ.
**ვ.პ.** — შენი იყოს, ჯორჯ, ოღონდ თეთრ მელასთან ფრთხილად იყავი, ხომ იცი, როგორი ეშმაკია?
**ჯ.ბ.** — ეხ, ვიცი, ვიცი, მაგან დააბერა მამაჩემი უდროოდ.

***ზურა ქართველიშვილი, თბილისი***

**ვ.პ.** — კი მარა, რა იმედი მიეცი შევარდნაძეს ისეთი, ასე რომ ამიბლატავდა?
**ჯ.ბ.** — კაი რა?! შენ მაინც არ იცნობდე ედიკას, დღეს ჩემია, ხვალ ისევ შენი იქნება.

***ზურაბ გვიშიანი, თბილისი***

**ვ.პ.** — ჯორჯ, მოდი, მოვრჩეთ რიჟა ბაზარს. საქართველო ყოველთვის იყო, არის და იქნება რუსეთის საკუთრება!
**ჯ.ბ.** — დემოკრატიის პრინციპებიდან გამომდინარე, მოდი, დაველოდოთ მკითხველის რეიტინგის შედეგებს და რომელ ბატონსაც აირჩევს ქართველი ხალხი, იმისი იყოს სრულიად საქართველო. მოსულა?
**ვ.პ.** — მოსულა!

***ლიკა ბერიძე, თბილისი***

**ჯ.ბ.** — ყველა ამერიკელი ჩემნაირია, ჩემო ვალოდ! ყველაზე კარგები, ლამაზები და ა.შ.
**ვ.პ.** — ვიცი, ჯორჯ, ვიცი, ყველანი ბუშები ხართ, ყველანი, შენსავით.

***მიშა ჯიბუტი, ხაშური***

**ჯ.ბ.** — ვოვა, პანკისის ხეობა ხომ კახეთშია?
**ვ.პ.** — კი, მაგრამ რატომ მეკითხები?
**ჯ.ბ.** — რატომ და სასმელს არ სვამსო, შენზე მითხრეს და მანდ მაინც ნუ შემეცილები.
**ვ.პ.** — თანახმა ვარ, მაგრამ მერე ნასვამს აფხაზეთის პლაჟებზე ბანაობა, სამაჩაბლოში პახმელიაზე ოსური ლუდით გამოსვლა და ჩეჩნეთის მთებში ნადირობა არ მოგინდეს!..

***გელა ზურაბიშვილი, ყვარელი***

**ვ.პ.** — ხომ გითხარი, ფრეს ვითამაშებთ რაგბიში ქართველებთან-თქო.
**ჯ.ბ.** — ზატო, ფეხბურთში დაგახევენ ბურთს თავზე.

***ლევგა, ზესტაფონი***













## ქართულ წამალ „სალხინოს" გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო" და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო" აწესრიგებს კუჭნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქშბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის" უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე" (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე" არანაკლებ ეფექტიანია).
„კვირის პალიტრაში" კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი" ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება თბილისში ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მოსკოვის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიღმის ავტოსადგურთან; ლიდო დიღომშიათანე პეტრიწის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; ლავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (სამგორს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კი „საქართველოსთან", წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან" და სტადიონთან; ლილოში, „ხამით ქიმის" გაჩერებასთან; დიღომში - მევობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ბინქსების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაკებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვაშლიჯვრის დასაწყისში; ქაზთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მ/რ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან".*

*ქალაქებში და რაიონებში:* მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე – *არსებული „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან.* ახმეტასა და დედოფლისწყაროში *ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ.-დან.* ბოლნისში *თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან.* შინვალსა და დუშეთში *– თვის III კვირის ოთხშაბათს.*

**ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

### (10) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა – 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№10 ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 14 მარტის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

## ეს იცოდით?..

ევროპაში ყველის დამზადება ისწავლეს ჩვ. წთ. აღ-მდე რამდენიმე საუკუნით ადრე. დღეს კი, ევროპაში ყველის დამზადების მრავალი ხერხი არსებობს. მსოფლიოში ყველის 600-მდე სახეობას ამზადებენ, ფრანგებისთვის ყველის მეფედ ითვლება როკფორი-რბილი, მომწვანო ფერის ობით, რომელიც მას მკვეთრ და ოდნავ მომწარო გემოს აძლევს და საკმაოდ მძაფრი სუნი აქვს. არსებობს ლეგენდა, რომ ოდესღაც, საფრანგეთის ერთ-ერთი პროვინციის, როკფორის საძოვარზე მწყემსმა ბიჭმა შეამჩნია მწყემსი გოგონა, რომლის სილამაზემაც დაავიწყა მას არა მარტო ძროხები, არამედ საუზმეც — ყველი და პური. როდესაც, რამდენიმე კვირის შემდეგ, მწყემსმა ბიჭმა ხელახლა გარეკა ნახირი საძოვარზე, შემთხვევით აღმოაჩინა დარჩენილი ობმოკიდებული ყველი და გემო გაუსინჯა, ძალიან მოეწონა. ასე იყო აღმოჩენილი ახალი დელიკატესი. მიუხედავად იმისა, რომ „ობიანი" ყველი არცთუ ისე კარგი შესახედავია, ძალიან სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის, რადგან შეიცავს „კარგ" ბაქტერიებს.

* * *



პატარა ბიჭუნა ტირილით იღვიძებს...
— რა იყო, ჩემო სიცოცხლევ, რატომ ტირი? — ეკითხება დედა.
— სიდედრი დამესიზმრა!!.

ფირმა „ბერმუხა"
ბრტყელი და თუნუქის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.
წერეთლის გამზ. №55, ბინა №53
☎96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, ფირმების სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი
მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ.: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge\kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა"©
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".